

**აღაგიანი უფლებათა სფეროში ძირითადი
საერთაშორისო საგარეოებრივი აქტების
კრებული**

გეორგი ნანიანი

თბილისი - 2001

კრებული გამოსაცემად მოამზადა
მარია მერაბიშვილმა

რედაქტორი
ლევან ბერძენიშვილი

ყდის დიზაინი
ირაკლი მაისურაძისა

კრებული მომზადებული და გამოცემულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური დახმარებითა და რაულ ვალენბერგის ინსტიტუტის (RWI) მხარდაჭერით.

Complier
Marika Merabishvili

Editor
Levan Berdzenishvili

Cover design
Irakli Maisuradze

Prepared and published with financial aid of Sweden International Development Agency (SIDA) and support of Raul Wallenberg Institution (RWI).

ევროპის საბჭოს დოკუმენტები

1. ევროპის საბჭოს წესდება	5
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია	25
3. 1951 წლის მაისის რეზოლუცია მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ VIII სესიაზე	83
4. ევროპის სოციალური ქარტია	90
5. ევროპის კონვენცია წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილებისათვის	112
6. ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი	120
7. ევროპის ქარტია რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ	133
8. ჩარჩოკონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ	155

*ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის
ორგანიზაციის დოკუმენტები*

1. პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის	169
2. პელსინკის გადაწყვეტილება ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის შესახებ	174
3. პრინციპები ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის სახელმწიფო ინსტიტუტების სტატუსისა და ფუნქციების შესახებ	182

**შრომის საქრთავო ორგანიზაციის
დოკუმენტები**

1. კონვენცია იძულებითი შრომის შესახებ -----	188
2. კონვენცია ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ -----	205
3. კონვენცია კოლექტიური მოლაპარაკების ორგანიზებისა და გამართვაზე უფლებათა პრინციპების გამოყენების შესახებ -----	212
4. კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ -----	219
5. კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ -----	225
6. კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ -----	230
7. კონვენცია სოციალური პოლიტიკის მიზნებისა და ნორმების შესახებ -----	237
8. კონვენცია დასაქმების პოლიტიკის შესახებ -----	248
9. კონვენცია სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ -----	254

მეროპის საბჭოს წესდება

ლონდონი, 1949 წლის 5 მაისი

ბელგიის სამეფოს, დანიის სამეფოს, საფრანგეთის რესპუბლიკის, ირლანდიის რესპუბლიკის, იტალიის რესპუბლიკის, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს, ნიდერლანდების სამეფოს, ნორვეგიის სამეფოს, შვედეთის სამეფოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობები,

ღარწყვენილებული არიან რა რომ მისწრაფება მშვიდობისაკენ, რომელიც ეფუძნება სამართლიანობასა და საერთაშორისო თანამშრომლობას, არის სასიცოცხლო მნიშვნელობის კაცობრიობისა და ცივილიზაციის გადარჩენისათვის;

ხელახლა აღასტურებენ რა თავიანთ ერთგულებას იმ სულიერი და მორალური პრინციპებისადმი, რომლებიც მათი ხალხების საერთო მემკვიდრეობაა და პიროვნების თავისუფლების, პოლიტიკური თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის ნამდვილ წყაროს წარმოადგენს, პრინციპებისადმი, რომლებიც წარმოადგენენ ჭეშმარიტი დემოკრატიის საფუძველს;

სწამთ რა, რომ ამ იდეალების შენარჩუნებისა და განხორციელებისათვის, და სოციალური და ეკონომიკური პროგრესის ინტერესებისათვის საჭიროა ერთნაირი მრწამსის მქონე ყველა ევროპულ სახელმწიფოს შორის უფრო მტკიცე კავშირის არსებობა;

თვლიან რა, რომ ამ საჭიროებაზე და ამ მიმართებით მათი ხალხების მიერ გამოხატულ მისწრაფებაზე რეაგირებისათვის, აუცილებელი წინაპირობა იქნება ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც უფრო მჭიდრო კავშირში გააერთიანებს ევროპის ქვეყნებს,

შესაბამისად გადაწყვიტეს დააფუძნონ ევროპის საბჭო, რომელიც შედგება მთავრობათა წარმომადგენლების კომიტეტისა და საკონსულტაციო ასამბლეისაგან და ამ მიზნისათვის მიიღეს წინამდებარე წესდება.

თავი I – ევროპის საბჭოს მიზანი

მუხლი 1

- a. ევროპის საბჭოს მიზანია მიიღწიოს უფრო დიდ ერთობას მის წევრებს შორის იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და განხორციელების მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას და ხელს უწყობენ მათ ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს.
- b. ეს მიზანი მიიღწევა საბჭოს ორგანოების მიერ საერთო საკითხების განხილვის, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამეცნიერო, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საკითხებზე შეთანხმებებით და საერთო ზომების მიღებით, და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვითა და შემდგომი განხორციელების გზით.
- c. ევროპის საბჭოს წევრობამ არ უნდა შეუშალოს ხელი მის წევრთა თანამშრომლობას გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ან კავშირების საქმიანობაში, რომელთა წევრებიც ისინი არიან.
- d. ეროვნულ თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხები არ ექვემდებარება ევროპის საბჭოს კომპეტენციას.

თავი II – წევრობა

მუხლი 2

ევროპის საბჭოს წევრები არიან ამ წესდების მხარეები.

მუხლი 3

ევროპის საბჭოს ყოველმა წევრმა უნდა აღიაროს კანონის უზენაესობისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა პირის მიერ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობის პრინციპები

და ითანამშრომლოს კეთილსინდისიერად და ეფექტურად საბჭოს პირველ თავში აღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის.

მუხლი 4

ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც სურვილი აქვს და შეუძლია შეასრულოს მე-3 მუხლის დებულებები, შეიძლება მოწვეულ იქნეს მინისტრთა კომიტეტის მიერ ევროპის საბჭოში გასაწევრიანებლად. ნებისმიერი ამგვარად მოწვეული სახელმწიფო, ევროპის საბჭოში გაწევრიანდება გენერალური მდივნისათვის აღნიშნულ წესდებასთან მიერთების სიგელის დეპონირების მომენტიდან.

მუხლი 5

- a. განსაკუთრებულ შემთხვევებში ევროპის ქვეყანა, რომელიც მიიჩნევა მე-3 მუხლის დებულებების შესრულების უნარის მქონედ და მსურველად, მინისტრთა კომიტეტმა შეიძლება მიიწვიოს ევროპის საბჭოს ასოცირებულ წევრად გახდომის მიზნით. ნებისმიერი, ამგვარად მიწვეული სახელმწიფო, ხდება ასოცირებული წევრი, გენერალური მდივნისათვის აღნიშნული წესდების მიღების შესახებ სიგელის დეპონირების მომენტიდან. ასოცირებული წევრი აღჭურვილია მხოლოდ საკონსულტაციო ასამბლეაზე, წარმომადგენლობის უფლებით.
- b. წესდებაში ტერმინი „წევრი“ მოიცავს ასოცირებულ წევრს, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც იგი გამოყენებულია მინისტრთა კომიტეტში წარმომადგენლობასთან დაკავშირებით.

მუხლი 6

მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად განხორციელებულ მიწვევამდე, მინისტრთა კომიტეტი განსაზღვრავს ასამბლეაში წარმომადგენელთა იმ რაოდენობას, რა რაოდენობის წარმოდგენაზეც უფლებამოსილია წევრობის კანდიდატი და მის პროპორციულ ფინანსურ შესატანს.

მუხლი 7

ევროპის საბჭოს ნებისმიერი წევრი შეიძლება გავიდეს წევრობიდან გენერალური მდიუნისათვის ამის შესახებ ფორმალური შეტყობინების წარდგენის საშუალებით. ასეთი გასვლა ძალაში შედის ფინანსური წლის ბოლოს, თუ შეტყობინება გაკეთებულია ფინანსური წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ შეტყობინება გაკეთებულია ფინანსური წლის უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში, იგი ძალაში შევა შემდგომი ფინანსური წლის დასასრულისათვის.

მუხლი 8

ევროპის საბჭოს ნებისმიერ წევრს, რომელმაც სერიოზულად დაარღვია მე-3 მუხლი, შეიძლება შეუჩერდეს წარმომადგენლობის უფლება და მინისტრთა კომიტეტის მიერ მოეთხოვოს გასვლა მე-7 მუხლის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ მხარე არ შეასრულებს ამ მოთხოვნას, კომიტეტს შეუძლია შეუწყვიტოს საბჭოს წევრობა კომიტეტის მიერ დადგენილი დღიდან.

მუხლი 9

მინისტრთა კომიტეტს შეუძლია დროებით შეუჩეროს კომიტეტში და საკონსულტაციო ასამბლეაში წარმომადგენლობის უფლება იმ წევრს, რომელმაც ვერ შეასრულა თავისი ფინანსური ვალდებულებები, მანამდე სანამ ეს ვალდებულებები რჩება შეუსრულებელი.

თავი III – ზოგადი დებულებები

მუხლი 10

ევროპის საბჭოს ორგანოებია:

- I. მინისტრთა კომიტეტი;

II. საკონსულტაციო ასამბლეა¹

ორივე ორგანოს ემსახურება ევროპის საბჭოს სამდივნო.

მუხლი 11

ევროპის საბჭოს ადგილსამყოფელია სტრასბურგი.

მუხლი 12

ევროპის საბჭოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. მინისტრთა კომიტეტისა და საკონსულტაციო ასამბლეის პროცედურული წესები განსაზღვრავენ თუ რა პირობებში და რა გარემოებებში შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა ენები.

თავი IV – მინისტრთა კომიტეტი

მუხლი 13

მინისტრთა კომიტეტი წარმოადგენს ორგანოს, რომელიც მოქმედებს¹ ევროპის საბჭოს სახელით მე-15 და მე-16 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 14

ყოველი წევრი უფლებამოსილია ჰყავდეს ერთი წარმომადგენელი მინისტრთა კომიტეტში და თითოეულ წარმომადგენელს აქვს ერთი ხმის უფლება. კომიტეტში წარმომადგენლები უნდა იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრები. იმ შემთხვევაში, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრის წარმოდგენა ვერ ხერხდება ან გარკვეული გარემოებების გამო არ არის ეს სასურველი, მისი მოვალეობების შესასრულებლად შეიძლება

¹ 1994 წლის თებერვალში მინისტრთა კომიტეტმა გადაწყვიტა „საკონსულტაციო ასამბლეას“ ეწოდოს „საპარლამენტო ასამბლეა“.

დასახელებულ იქნას სხვა პირი, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა იყოს მთავრობის წევრი.

მუხლი 15

- a. საკონსულტაციო ასამბლეის რეკომენდაციის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, მინისტრთა კომიტეტი განიხილავს ევროპის საბჭოს მიზნის მიღწევისათვის საჭირო ზომებს, კონკრეტულ საკითხებზე კონვენციათა და შეთანხმებათა დადების და მთავრობათა საერთო პოლიტიკის მიღების ჩათვლით. მისი გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობება წევრებს გენერალური მდივნის მეშვეობით.
- b. შესაბამის შემთხვევებში კომიტეტის გადაწყვეტილებებს შეიძლება მიეცეთ სახელმწიფოების მთავრობებისათვის რეკომენდაციების ხასიათი და კომიტეტს უფლება აქვს მოსთხოვოს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს შეატყობინონ მას იმ ზომების შესახებ, რომლებიც მათ ამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გაატარეს.

მუხლი 16

მინისტრთა კომიტეტი 24-ე, 28-ე, 30-ე, 32-ე, 33-ე და 35-ე მუხლების დებულებების შესაბამისად, რომლებიც დაკავშირებულია საკონსულტაციო ასამბლეის უფლებამოსილებებთან, იღებს სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილებებს ევროპის საბჭოს შიდა ორგანიზაციულ და მოწყობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. ამ მიზნით მინისტრთა კომიტეტი იღებს ისეთ ფინანსურ და ადმინისტრაციულ ზომებს, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო.

მუხლი 17

მინისტრთა კომიტეტს შეუძლია ჩამოაყალიბოს საკონსულტაციო და ტექნიკური კომიტეტები ან კომისიები ყველა იმ სპეციალური მიზნისათვის, რომლებიც შეიძლება იქნეს სასურველად მიჩნეული.

მუხლი 18

მინისტრთა კომიტეტი იღებს საკუთარ პროცედურულ წესებს, რომლებიც განსაზღვრავენ შემდეგ საკითხებს:

- I. ქვორუმი;
- II. თავმჯდომარის დანიშვნის წესი და თანამდებობაზე ყოფნის ვადა;
- III. დღის წესრიგში საკითხების შეტანის პროცედურა, რეზოლუციების თაობაზე წინადადებების შეტყობინებების ჩათვლით;
- IV. მე-14 მუხლის შესაბამისად ალტერნატიული კანდიდატურის წარდგენის თაობაზე საჭირო შეტყობინებები.

მუხლი 19

საკონსულტაციო ასამბლეის ყოველ სესიაზე მინისტრთა კომიტეტი წარუდგენს ასამბლევას ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.

მუხლი 20

a. მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციები ეხება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს, კერძოდ:

- I. მე-15 მუხლის „ა“ პუნქტის რეკომენდაციებს;
- II. მე-19 მუხლის საკითხებს;
- III. 21-ე მუხლის „ა(i)“ და „ბ“ პუნქტების საკითხებს;
- IV. 33-ე მუხლის საკითხებს;
- V. 1 მუხლის „d“ პუნქტში, მე-7, მე-15, მე-20 და 22-ე მუხლებში შესწორებების შემტან რეკომენდაციებს;

VI. სხვა ნებისმიერი საკითხი, რომელზეც კომიტეტი, ქვემოთ მოცემული „მ“ პუნქტზე რეზოლუციის თანახმად გადაწყვეტს, რომ ექვემდებარება ერთხმად მიღებას მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროებს ხმის მიმცემთა ერთსულოვან მხარდაჭერას, და კომიტეტში წარმოდგენილ წარმომადგენელთა ხმათა უბრალო უმრავლესობას.

b. პროცედურული წესებიდან ან ფინანსური და ადმინისტრაციული ნორმებიდან წარმოშობილი საკითხები შეიძლება გადაწყდეს კომიტეტში წარდგენილი ყველა წარმომადგენელის ხმების უბრალო უმრავლესობით.

c. კომიტეტის მიერ მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად გაკეთებული რეზოლუციები საჭიროებენ კომიტეტში წარმოდგენილ ყველა წარმომადგენელის ხმათა ორ მესამედს.

d. კომიტეტის ყველა სხვა რეზოლუცია, ბიუჯეტის მიღების, პროცედურული წესების და ფინანსური და ადმინისტრაციული ნორმების, ამ წესდების მუხლებში შესწორებების შემტანი რეკომენდაციების, გარდა ზემოთ მოცემულ a (V) პუნქტში ჩამოთვლილისა, და გაურკვევლობის შემთხვევაში თუ რომელი პუნქტი უნდა იქნას გამოყენებული გადაწყვეტილების მიღების ჩათვლით, საჭიროებს ხმის მიმცემთა ორ მესამედს და კომიტეტში წარმოდგენილ წარმომადგენელთა ხმათა უბრალო უმრავლესობას.

მუხლი 21

a. თუ კომიტეტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, მინისტრთა კომიტეტის შეხვედრები ტარდება:

I. დახურულ კარს მიღმა ან,

II. საბჭოს შტაბ-ბინაში.

b. კომიტეტი იკრიბება საკონსულტაციო ასამბლეის ყოველი სესიის დაწყებამდე და დაწყებისას, ასევე სხვა დროს გადაწყვეტილებისამებრ.

თავი V – საკონსულტაციო ასამბლეა

მუხლი 22

საკონსულტაციო ასამბლეა ევროპის საბჭოს სათათბირო ორგანოა. იგი განიხილავს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს წესდების თანახმად და თავის დასკვნებს რეკომენდაციების სახით წარუდგენს მინისტრთა კომიტეტს.

მუხლი 23²

- a. საკონსულტაციო ასამბლეას შეუძლია იმსჯელოს და გასცეს რეკომენდაციები ნებისმიერ საკითხზე, 1-ლ თავში განსაზღვრული ევროპის საბჭოს მიზნისა და კომპეტენციის ფარგლებში. იგი აგრეთვე განიხილავს და იძლევა რეკომენდაციებს ნებისმიერ საკითხზე, რომელზეც შეხედულების გამოხატვა ეთხოვება მინისტრთა კომიტეტის მიერ.
- b. ასამბლეა ადგენს თავის დღის წესრიგს ზემოთ მოცემული „ა“ პუნქტის დებულებების შესაბამისად. ამ პროცესში იგი ითვალისწინებს სხვა ევროპულ მთავრობათაშორისი ორგანიზაციების საქმიანობას, რომელთა წევრებიც არიან ევროპის საბჭოს ზოგიერთი ან ყველა წევრი.
- c. გაურკვევლობის შემთხვევაში ასამბლეის თავმჯდომარე წყვეტს, სხდომის დროს წამოჭრილი საკითხი არის თუ არა დღის წესრიგით განსაზღვრული.

მუხლი 24

საკონსულტაციო ასამბლეა, 38-ე მუხლის „d“ პუნქტის დებულებების სრული დაცვით, 23-ე მუხლის შესაბამისად, მის კომპეტენციას დაქვემდებარებადი ნებისმიერი საკითხის განხილვის და მასზე

² შესწორებულია 1951 წლის მაისში

მოსახსენებლად, დღის წესრიგის საკითხთა გამოსაკვლევად და მოსამზადებლად და ყველა პროცედურულ საკითხზე რჩევების გამოსამუშავებლად, აყალიბებს კომიტეტებსა და კომისიებს.

მუხლი 25³

a. საკონსულტაციო ასამბლეა შედგება თითოეულ წევრთა წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც ირჩევს ქვეყნის პარლამენტი პარლამენტის წევრებიდან, იმ ფორმით როგორც ის გადაწყვეტს, თუმცა თითოეული წევრის მთავრობას აქვს უფლება დამატებითი დანიშვნის გაკეთებისა იმ აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც არ მიმდინარეობს პარლამენტის სესიები და პარლამენტს არ დაუდგენია პროცედურა, რომელიც უნდა იქნეს განხორციელებული აღნიშნულ შემთხვევაში. თითოეული წარმომადგენელი უნდა იყოს იმ წევრის მოქალაქე, რომელსაც იგი წარმოადგენს და იმავდროულად არ უნდა იყოს მინისტრთა კომიტეტის წევრი.

b. ამგვარად დანიშნული წარმომადგენლების თანამდებობაზე ყოფნის ვადა იწყება მათი დანიშვნის შემდგომი პლენარული სესიის გახსნიდან; აღნიშნული ვადა ამოიწურება შემდგომი ან საბოლოო პლენარული სესიის გახსნისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი პარლამენტების არჩევნები ჩატარდა, ასეთ შემთხვევებში წევრებს ეძლევათ ახალი დანიშვნების გაკეთების უფლება.

იმ შემთხვევაში თუ წევრი ავსებს გარდაცვალების ან გადადგომის შედეგად წარმოქმნილ ვაკანსიას, ან პარლამენტის ახალი არჩევნების ჩატარების შემდეგ იწყებს ახალი დანიშვნების გაკეთების პროცედურას, ახალი წარმომადგენლების თანამდებობაზე ყოფნის ვადა იწყება ასამბლეის მორიგი სხდომიდან, რომელიც მოჰყვება მათ დანიშვნას.

c. ასამბლეის სესიის მიმდინარეობის დროს არცერთ წარმომადგენელს არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი მანდატი ასამბლეის თანხმობის გარეშე.

d. ყოველ წარმომადგენელს შეიძლება ჰყავდეს თავისი შემცველი, რომელსაც მისი არყოფნის შემთხვევაში შეუძლია დაესწროს

³ შესწორებულია 1951 წლის მაისში

სხდომას, გამოვიდეს სიტყვით და მისცეს ხმა. ზემოთ მოცემული „ა“ პუნქტის დებულებები ვრცელდება შემცვლელის დანიშნაზეც.

მუხლი 26⁴

წევრები უფლებამოსილნი არიან ჰყავდეთ შემდეგი რაოდენობის წარმომადგენლები:

ალბანეთი		4
ავსტრია	6	
აზერბაიჯანი		6
ანდორია	2	
ბელგია		7
ბულგარეთი		6
გერმანია	18	
დანია		5
დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო	18	
ესპანეთი	12	
ესტონეთი		3
თურქეთი		12
ირლანდია		4
ისლანდია		3

⁴ შესწორებულია 1951 წლის დეკემბერში, 1958 წლის მაისში, 1961 წლის ნოემბერში, 1963 წლის მაისში, 1965 წლის მაისში, 1971 წლის თებერვალში, 1974 დეკემბერში, 1976 წლის ოქტომბერში, 1978 წლის იანვარში, 1978 წლის ნოემბერში, 1988 წლის ნოემბერში, 1989 წლის მაისში. 1990 წლის ნოემბერში, 1991 წლის ნოემბერში, 1992 წლის მაისში, 1993 წლის მაისში, 1993 წლის ივნისში. 1993 წლის ოქტომბერში, 1994 წლის ნოემბერში, 1995 წლის თებერვალში, 1995 წლის ნოემბერში, 1996 წლის თებერვალში, 1986 წლის ნოემბერში, 1999 წლის აპრილში და 2001 წლის იანვარში.

იტალია	18	
კვიპროსი		3
ლატვია	3	
ლიტვა		4
ლიხტენშტეინი	2	
ლუქსემბურგი		3
მალტა		3
ნიდერლანდები		7
ნორვეგია		5
პოლონეთი		12
პორტუგალია		7
რუმინეთი		10
რუსეთი	18	
საბერძნეთი		7
სან მარინო		2
საფრანგეთი		18
საქართველო		5
ხომხეთი		4
სლოვაკეთი		5
სლოვენია		3
უკრაინა	12	
უნგრეთი	7	
ფინეთი		5
შვედეთი	6	
შვეიცარია		6
ჩეხეთის რესპუბლიკა	7	
“ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია“	3	
ხორვატია		5

მუხლი 27⁵

პირობები, რომლებიც ითვალისწინებენ მინისტრთა კომიტეტის შესაძლებლობას კოლექტიურად იქნეს წარმოდგენილი საკონსულტაციო

⁵ შესწორებულია 1951 წლის მაისში

ასამბლეის დებატებზე ან კომიტეტში პიროვნებების ან მათი შემცველების შესაძლებლობას მიმართონ ასამბლეს, განისაზღვრება ამ საკითხზე პროცედურის იმ წესებით, რომლებიც შეიძლება იქნეს მიღებული კომიტეტის მიერ ასამბლესთან კონსულტაციების შემდეგ.

მუხლი 28

- a. საკონსულტაციო ასამბლეა იღებს პროცედურის საკუთარ წესებს და ირჩევს თავისი წევრებიდან თავმჯდომარეს, რომელიც თანამდებობაზე რჩება მომავალ პლენარულ სესიამდე.
- b. თავმჯდომარე კონტროლს უწევს პროცესუალურ საქმიანობას, მაგრამ არ იღებს მონაწილეობას დებატებში ან კენჭისყრაში. თავმჯდომარის შემცველს შეუძლია დაესწროს სხდომას, სიტყვით გამოვიდეს და ხმა მისცეს მის მაგივრად.
- c. პროცედურული წესები, *inter alia*, განსაზღვრავს:
 - I. ქეორუმს;
 - II. თავმჯდომარისა და სხვა თანამდებობის პირების არჩევის წესსა და თანამდებობაზე ყოფნის ვადებს;
 - III. დღის წესრიგის შედგენისა და წარმომადგენლებისათვის მისი გაცნობის წესს;
 - IV. წარმომადგენელთა და მათი შემცველების სახელების შეტყობინების დროსა და წესს.

მუხლი 29

30-ე მუხლის დებულებების თანახმად, საკონსულტაციო ასამბლეის ყველა რეზოლუცია, იმ რეზოლუციების ჩათვლით, რომლებიც:

- I. მოიცავენ მინისტრთა კომიტეტისადმი გაკეთებულ რეზოლუციებს;
- II. წარუდგენენ კომიტეტს ასამბლეაზე განსახილველ საკითხებს;
- III. ქმნიან კომიტეტებს ან კომისიებს;
- IV. განსაზღვრავენ სესიების დაწყების თარიღს;
- V. განსაზღვრავენ, თუ როგორი უმრავლესობაა საჭირო იმ რეზოლუციების მისაღებად, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ მოცემული I – IV ქვეპუნქტებით ან გაურკვევლობის შემთხვევაში განსაზღვრავენ, თუ როგორი უმრავლესობაა საჭირო;

საჭიროებენ კენჭისყრაში მონაწილე წარმომადგენელთა ხმათა ორ მესამედს.

მუხლი 30

შიდა პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც მოიცავენ თანამდებობის პირების არჩევას, კომიტეტებში სამუშაოდ პირთა დასახლებას და პროცედურის წესების მიღებას, საკონსულტაციო ასამბლეა იღებს რეზოლუციებს ისეთი უმრავლესობით, როგორსაც ასამბლეა განსაზღვრავს და რისი განსაზღვრის უფლებაც მას 29-ე მუხლის V პუნქტის შესაბამისად აქვს.

მუხლი 31

დებატები წინადადებებზე, რომლებიც კეთდება მინისტრთა კომიტეტისათვის და მიმართულია საკითხის საკონსულტაციო ასამბლეის დღის წესრიგში შეტანაზე, იფარგლება წარმოდგენილ საკითხზე მითითებით და მისი დღის წესრიგში შეტანის მიზანშეწონილობის და მიზანშეუწონლობის მიზეზებით.

მუხლი 32

საკონსულტაციო ასამბლეა იკრიბება პლენარულ სესიაზე წელიწადში ერთხელ, რომლის თარიღი და ხანგრძლივობა განისაზღვრება ასამბლეის მიერ, ისე რომ შესაძლებლობის ფარგლებში არ დაემთხვეს წევრთა საპარლამენტო სესიებს და გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებს. არც ერთ შემთხვევაში პლენარული სესიის ხანგრძლივობამ არ უნდა გადაჭარბოს ერთ თვეს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ასამბლეა და მინისტრთა კომიტეტი შეთანხმდება ამაზე.

მუხლი 33

ასამბლეის პლენარული სესიები ტარდება საბჭოს განლაგების ადგილას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასამბლეა და კომიტეტი შეთანხმდებიან მის სხვა ადგილზე ჩატარებაზე.

მუხლი 34⁶

საკონსულტაციო ასამბლეა შეიძლება შეიკრიბოს საგანგებო სესიაზე როგორც მინისტრთა კომიტეტის, ასევე ასამბლეის თავმჯდომარის ინიციატივით მათ შორის შეთანხმების შემდეგ. ასეთი შეთანხმება აგრეთვე უნდა განსაზღვრავდეს სესიის ჩატარების თარიღსა და ადგილს.

მუხლი 35

თუ ასამბლეა სხვაგვარად არ გადაწყვეტს, დებატები გაიმართება საჯაროდ.

⁶ შესწორებულია 1951 წლის მაისში

თავი VI – სამდივნო

მუხლი 36

- a. სამდივნო შედგება გენერალური მდივნის, გენერალური მდივნის მოადგილისა და საჭირო რაოდენობის თანამშრომლებისაგან.
- b. გენერალური მდივანი და გენერალური მდივნის მოადგილე ინიშნებიან საკონსულტაციო ასამბლეის მიერ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით.
- c. სამდივნოს დანარჩენი თანამშრომლები ინიშნებიან გენერალური მდივნის მიერ, აღმინისტრაციული ნორმების შესაბამისად.
- d. სამდივნოს არც ერთი წევრი არ უნდა მსახურობდეს რომელიმე მთავრობის ანაზღაურებად თანამდებობაზე ან იყოს ასამბლეის წევრი ან ეროვნული საკანონმდებლო ხელისუფლების წევრი ან ეწეოდეს მის მოვალეობასთან შეუთავსებელ რომელიმე საქმიანობას.
- e. სამდივნოს თითოეული თანამშრომელი საჯაროდ აცხადებს ევროპის საბჭოს ვალდებულებების მიღებას და თავისი საქმიანობის კეთილსინდისიერად განხორციელებას, ეროვნული ინტერესებთან მიუკერძოებლობას, და რომ არ მიიღებს და არ მოიძიებს ევროპის საბჭოსათვის ნებისმიერი უცხო მთავრობისაგან ან ხელისუფლებისაგან თავის საქმიანობის წარმოებასთან დაკავშირებულ მითითებებს, და შეიკავებს თავს ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც შეიძლება აისახოს მასზე, როგორც მხოლოდ ევროპის საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული საერთაშორისო მოხელის თანამდებობის მქონეზე. გენერალური მდივანი ან გენერალური მდივნის მოადგილე ასეთ განცხადებას აკეთებენ კომიტეტის წინაშე, სხვა წევრები კი გენერალური მდივნის წინაშე.
- f. ყოველი წევრი პატივს სცემს გენერალური მდივნისა და სამდივნოს თანამშრომელთა მოვალეობათა განსაკუთრებულ

საერთაშორისო ხასიათს და არ უნდა შეეცადოს ზეგავლენა მოახდინოს მათ მიერ მოვალეობების შესრულებაზე.

მუხლი 37

- a. სამდივნო განლაგებულია საბჭოს ადგილსამყოფელ ადგილას.
- b. გენერალური მდივანი პასუხისმგებელია მინისტრთა კომიტეტის წინაშე სამდივნოს საქმიანობაზე. სხვა საქმიანობასთან ერთად, 38-ე მუხლის „d“ პუნქტის თანახმად, იგი უზრუნველყოფს საკონსულტაციო ასამბლეას ისეთი სამდივნოთი და სხვა დახმარებით, როგორცაც საკონსულტაციო ასამბლეა მოითხოვს.

თავი VII – ზინანსები

მუხლი 38⁷

- a. ყოველი წვერი ანაზღაურებს მინისტრთა კომიტეტში და საკონსულტაციო ასამბლეაში თავის წარმომადგენლობის ხარჯებს.
- b. სამდივნოსა და ყველა სხვა საერთო ხარჯები განაწილდება ყველა წვერს შორის იმ პროპორციით, რომელიც განისაზღვრება კომიტეტის მიერ წვერთა მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად.

ასოცირებული წვერის შესატანს განსაზღვრავს კომიტეტი.
- c. ფინანსური ნორმების შესაბამისად, საბჭოს ბიუჯეტი გენერალურ მდივნის მიერ წარედგინება კომიტეტს მისაღებად.

⁷ 8-ე მუხლის e პუნქტი დამატებულია 1951 წლის მაისში

- d. გენერალური მდივანი კომიტეტს გადასცემს ასამბლეის იმ მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია ასამბლეასა და მისი საქმიანობისათვის ბიუჯეტით უკვე გათვალისწინებული თანხების ზემოთ ხარჯვებთან.
- e. გენერალური მდივანი ასევე წარუდგენს მინისტრთა კომიტეტს იმ ხარჯების გამოანგარიშებულ რაოდენობას, რომელიც საჭიროა კომიტეტისთვის წარდგენილი ყოველი რეკომენდაციის განსახორციელებლად. ნებისმიერი რეზოლუცია, რომლის განხორციელებაც მოითხოვს დამატებით ხარჯებს, არ განიხილება მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულად, თუ კომიტეტი არ დაუმტკიცებს ამ დამატებითი ხარჯების გამოანგარიშებულ რაოდენობას.

მუხლი 39

გენერალური მდივანი ყოველწლიურად ატყობინებს წევრთა მთავრობებს მათი გადასახადის რაოდენობის შესახებ და თითოეული წევრი გენერალურ მდივანს უხდის მის მიერ გადასახდელ თანხას, რომელიც შეტყობინების დღიდან ჩაითვლება სავალდებულოდ, და გადახდილ უნდა იქნას შეტყობინებიდან არა უგვიანეს ექვსი თვის ვადაში.

თავი VIII – პრივილეგიები და იმუნიტეტები

მუხლი 40

- a. ევროპის საბჭო, წევრთა წარმომადგენლები და სამდივნო თითოეული წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სარგებლობენ იმ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში აუცილებელია მათი ფუნქციების განსახორციელებლად. ეს იმუნიტეტები ასევე მოიცავს საკონსულტაციო ასამბლეაში ყველა წარმომადგენლის დაკავებისაგან და სასამართლო

დენისაგან ხელშეუხებლობას ყველა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ასამბლეაში ან მის კომიტეტებსა და კომისიებში განხილვის დროს წარმოთქმული სიტყვისა და ხმის მიცემასთან დაკავშირებით.

- b. მხარეები „ა“ პუნქტის დებულებების შესრულების მიზნით შეძლებისდაგვარად დროულად დებენ შეთანხმებას. ამ მიზნით მინისტრთა კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრების მთავრობებს მიიღონ შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს ყველა წევრის ტერიტორიაზე მინიჭებულ პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს. საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასთან დადებულ უნდა იქნას სპეციალური შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს საბჭოს მიერ მის განლაგების ადგილას პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობას.

თავი IX – შესწორებები

მუხლი 41

- a. წინადადებები აღნიშნულ წესდებაში შესწორებების შეტანასთან დაკავშირებით შეიძლება გაკეთებულ იქნას მინისტრთა კომიტეტის წინაშე, ან 23-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებით საკონსულტაციო ასამბლეის წინაშე.
- b. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს და უზრუნველყოფს ოქმში იმ შესწორებების შეტანას, რომელთაც იგი ჩათვლის საჭიროდ.
- c. შესწორებების შემტანი ოქმი ძალაში შედის მხარეთა 2/3-ის მიერ ხელმოწერისა და რატიფიცირების შემდეგ.
- d. ამ მუხლის წინა პუნქტის დებულებების დაცვით, 23-35-ე, 38-ე და 39-ე მუხლებში შესწორებები, რომლებიც დამტკიცებული იქნა კომიტეტის და ასამბლეის მიერ, ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ დამოწმების

თარიღიდან, რომელიც გადაეგზავნება წევრების მთავრობებს ამ სახით დამტკიცების დადასტურების მიზნით. ეს პუნქტი არ მოქმედებს ასამბლეის მეორე პლენარული სესიის მიერ დასკვნის მიღებამდე.

თავი X – დასკვნითი დებულებები

მუხლი 42

- a. წინამდებარე წესდება ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები უნდა ჩაბარდეს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობას.
- b. წინამდებარე წესდება ძალაში შედის შვიდი სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების დღიდან. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ყველა ხელისმომწერ მთავრობას უგზავნის საბუთს ევროპის საბჭოს წესდების ძალაში შესვლის შესახებ და წარუდგენს ამ თარიღისათვის ევროპის საბჭოს წევრთა ნუსხას.
- c. ამის შემდეგ ყოველი სხვა ხელისმომწერი ხდება წესდების მხარე, მის მიერ სარატიფიკაციო სიგელების დეპონირების თარიღიდან.

რის დასტურადაც, შესაბამისად უფლებამოსილმა ქვემოთ ხელმომწერებმა, ხელი მოაწერეს წინამდებარე წესდებას.

შესრულებულია ლონდონში 1949 წლის მაისს მეხუთე დღეს ერთ პირად ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბარი ძალისაა და შესაბამისად გადაეცემა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის არქივს, რომელიც გადაეგზავნის შესაბამისად დამოწმებულ ასლებს სხვა ხელისმომწერ მთავრობებს.

ადამიანის უფლებათა და პირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია

მიღებულია ევროპის საბჭოს მიერ 1950 წლის 4 ნოემბერს, რომში

პალაშია: 1953 წლის 3 სექტემბრიდან

ქვემოთ ხელმოწერილი მთავრობები, არიან რა ევროპის საბჭოს წევრები,

ითვალისწინებენ რა, 1948 წლის 10 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას;

ითვალისწინებენ რა, რომ ეს დეკლარაცია მიზნად ისახავს მასში დეკლარირებული უფლებების საყოველთაო და ეფექტური აღიარების უზრუნველყოფასა და დაცვას;

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭო მიზნად ისახავს მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევას და იმას, რომ ამის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მხარდაჭერა და მათი შეზღვევა განხორციელება;

ადასტურებენ რა თავიანთ ღრმა რწმენას იმ ძირითად უფლებათა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ საყოველთაო სამართლიანობასა და მშვიდობის საფუძველს და რომელთა დაცვაც ხორციელდება ერთის მხრივ ეფექტური პოლიტიკური დემოკრატიითა და მეორეს მხრივ, ადამიანის უფლებების საერთო გაგებითა და მათი დაცვით, რაზედაც ისინი დამოკიდებული არიან,

გადაწყდა რა, რომ როგორც ევროპის ქვეყნების მთავრობებმა, რომელთაც აქვთ მსგავსი აზრი და პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობა, გადადგან პირველი ნაბიჯები, რათა კოლექტიურად განახორციელონ საყოველთაო დეკლარაციის მიერ გამოცხადებული უფლებები,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი I – ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება

მაღალი ხელმოწერი მხარეები მათი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I ნაწილში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ნაწილი I უფლებები და ვალდებულებანი

მუხლი 2 – სიცოცხლის უფლება

1. ადამიანის უფლება სიცოცხლეზე დაცული იქნება კანონის მიერ. არავის სიცოცხლე არ შეიძლება ხელყონ განზრახ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სრულდება სასამართლოს განაჩენი პიროვნების დამნაშავედ აღიარების შემდეგ და როცა ასეთ სასჯელს ითვალისწინებს კანონი.
2. სიცოცხლის წართმევა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგო ქმედებად, თუ იგი წარმოადგენს ძალის გამოყენების შედეგს, რომელიც არ სცილდება აბსოლუტური საჭიროების ფარგლებს:
 - a. ნებისმიერი პიროვნების უკანონო ხელყოფისაგან დასაცავად;
 - b. რათა მოხდეს კანონიერი დაპატიმრება ან აღიკვეთოს კანონიერად დაკავებული პირის გაქცევა.
 - c. ამბოხებისა და ჯანყის ჩასახშობად კანონიერად მიღებული ზომების დროს.

მუხლი 3 – წამების აკრძალვა

არავინ არ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი.

მუხლი 4 – მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

1. არაინ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში.
2. არავის მოეთხოვება იძულებითი ან სავალდებულო შრომა.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო შრომა“ არ მოიცავს:
 - a. ნებისმიერ სამუშაოს, რომლის შესრულებაც მოითხოვება სასჯელის მოხდის ჩვეულებრივი წესის მიხედვით, რაც დაწესებულია ამ კონვენციის მე-5 მუხლის დებულებათა შესაბამისად ან ამგვარი პატიმრობიდან პირობითი განთავისუფლების განმელობაში;
 - b. ნებისმიერ სამხედრო ხასიათის სამსახურს, ან სამსახურს, განსაზღვრულს სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად, იმ ქვეყნებში, სადაც კანონით არის აღიარებული სინდისის მოსაზრებით სამხედრო სამსახურზე უარის თქმა;
 - c. ნებისმიერ სამსახურს, განსაზღვრულს საგანგებო ან სტიქიური უბედური შემთხვევის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და კეთილდღეობას.
 - d. ნებისმიერ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც ჩვეულებრივ სამოქალაქო ვალდებულებათა ნაწილს შეადგენს.

მუხლი 5 – თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

1. ყოველ პიროვნებას აქვს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. არავის წაერთმევა თავისუფლება ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა და ეს მოხდება კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

- a. პიროვნების კანონიერი დაკავება, კომპეტენტური სასამართლოს მიერ მისი მსჯავრდებულად აღიარების შემდგომ;
 - b. პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება სასამართლოს • კანონიერი გადაწყვეტილებისაღმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ან იმ მიზნით, რათა შესრულებული იქნეს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულება;
 - c. პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება, განხორციელებული იმ მიზნით, რათა მოხდეს მისი წარდგენა უფლებამოსილი სასამართლო ხელისუფლების წინაშე, მის მიერ დანაშაულის ჩადენის კანონზომიერი ეჭვის არსებობის შემთხვევაში ან როდესაც დაპატიმრება ან დაკავება კანონზომიერად აუცილებლად განიხილება მის მიერ დანაშაულის ჩადენის ან შემდგომ მისი გაქცევის თავიდან აცილებისათვის;
 - d. არასრულწლოვანის დაკავება კანონიერი ორდერით მასზე საგანმანათლებლო ზედამხედველობის მიზნით, ან მისი კანონიერი დაკავება უფლებამოსილი სასამართლო ხელისუფლების წინაშე წარდგენის მიზნით;
 - e. პიროვნებათა კანონიერი დაკავება ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ფსიქიურად შეშლილი პირების, ლოთების, ნარკომანებისა და მაწანწალების დაკავება.
 - f. პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება მის მიერ ქვეყანაში უკანონოდ შესვლის აღკვეთისათვის ან იმ პიროვნების დაპატიმრება ან დაკავება, რომლის წინააღმდეგაც ზორციელდება ღონისძიებები მისი დეპორტაციისა ან გადაცემისათვის.
2. ყოველ დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ აცნობებენ მისი დაკავების მიზეზებსა და მის წინააღმდეგ აღძრულ ბრალდებებს.

3. ამ მუხლის 1 (c) პუნქტის დებულებების შესაბამისად დაპატიმრებული ან დაკავებული ნებისმიერი პირი დაუყოვნებლივ უნდა წარსდგეს მოსამართლის ან სხვა მოხელის წინაშე, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს სასამართლო ხელისუფლება და უფლება აქვს ჩატარდეს სასამართლო პროცესი გონივრულ ვადებში ან გათავისუფლდეს სასამართლომდე. გათავისუფლება შეიძლება განპირობებული იყოს სასამართლოში მოსვლის გარანტიებით.
4. დაპატიმრებით ან დაკავებით თავისუფლებააღკვეთილ ყველა პირს უფლება მიეცემა განახორციელოს სამართლებრივი ქმედებანი, რომლითაც მისი დაკავების კანონიერება სწრაფად გადაწყდება სასამართლოს მიერ და გათავისუფლდება, თუკი მისი დაკავება არ არის კანონიერი.
5. ყველა, ვინც გახდა დაპატიმრების ან დაკავების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა საწინააღმდეგოდ, აქვს კომპენსაციის უფლება, რომელსაც სარჩელის ძალა აქვს.

მუხლი 6 – სამართლიანი მართლმსაჯულების უფლება

1. სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ან ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და საჯარო მოსმენაზე კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ დროის განსაზღვრულ ვადაში. განაჩენი გამოცხადდება საჯაროდ, მაგრამ პრესა და საზოგადოება შეიძლება არ ესწრებოდეს მთელ სასამართლო პროცესს ან მის ნაწილს, დემოკრატიულ სახელმწიფოში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ან როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან მაშინ, როდესაც სასამართლოს აზრით, განსაკუთრებულ გარემოებებში ეს უკიდურესად აუცილებელია, რადგან საჯაროობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულების ინტერესებს.
2. თითოეული პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, მიიჩნევა უდანაშაულოდ სანამ მისი დამნაშაულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყველა ბრალდებულს აქვს უფლებათა შემდეგი მინიმუმი:

- a. მისთვის გასაგებ ენაზე სასწრაფო წესით და დაწერილებით შეატყობინონ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების ხასიათი და საფუძველი;
- b. მიეცეს საკმარისი დრო და საშუალებები, რათა მოემზადოს დაცვისათვის;
- c. დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის დახმარების მეშვეობით, ან თუკი მას არ აქვს საკმარისი სახსრები მისი სამართლებრივი დახმარების ასანაზღაურებლად, დახმარება გაეწევა მას უსასყიდლოდ, როცა მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს;
- d. დაკითხოს მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები, ან ჰქონდეს იმის უფლება, რომ ეს მოწმეები იქნენ დაკითხულნი და ჰქონდეს თავის მოწმეთა გამოძახების და დაკითხვის უფლება იმავე პირობებით, რომლებიც გამოიყენება მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეების მიმართ
- e. ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუკი მას არ ესმის სამართალწარმოების ენა.

მუხლი 7 – არავითარი სასჯელი კანონის გარეშე

- 1. არავინ შეიძლება ცნონ დამნაშავედ ისეთი ქმედების ან დაუდევრობის გამო, რომელიც არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა თუ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, იმ დროისათვის, როცა ის იქნა ჩადენილი. ასევე დაუშვებელია დაეკისროს უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე ის, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მომენტში.
- 2. ეს მუხლი ხელს არ შეუშლის ნებისმიერი პიროვნების გასამართლებას ან დასჯას რაიმე ქმედების ან დაუდევრობის გამო, რომელიც იმ დროისათვის, როდესაც ის ჩადენილი იქნა, ითვლებოდა

სისხლის სამართლის დანაშაულად ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 8 – პირადი და საოჯახო ცხოვრების პატივისცემის უფლება

1. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს თავისი პირადი და საოჯახო ცხოვრების საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპოდენციის საიდუმლოების პატივისცემა.
2. საჯარო ხელისუფლება არ ჩაერევა ამ უფლების განხორციელებაში, იმ შემთხვევის გარდა, როცა კანონის შესაბამისად ეს დასაშვებია და როცა ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობის ან სისხლის სამართლის დანაშაულის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვების უფლებებისა და თავისუფლებათა დასაცავად.

მუხლი 9 – მრწამსის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყოველ პიროვნებას აქვს მრწამსის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიის და რწმენის შეცვლის თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საჯარო თუ კერძო წესით, თავისუფლებას ასრულებდეს მის რელიგიას ან რწმენას აღმსარებლობით, მოძღვრებით, რიტუალების შესრულებითა და დაცვით.
2. ადამიანის რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომელიც განსაზღვრულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა და ზნეობის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებათა დასაცავად.

მუხლი 10 – აზრის გამოხატვის თავისუფლება

1. ყოველ ადამიანს აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას იქონიოს საკუთარი აზრი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ხელისუფლების ჩარევის

გარეშე და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ შეუშლის ხელს სახელმწიფოებს მოითხოვონ რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის ან კინოწარმოების ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომელსაც კანონი ითვალისწინებს და აუცილებლობას წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე უწესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა და ზნეობის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა ან სასამართლო ხელისუფლებისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის.

მუხლი 11 – შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლება

1. ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება, რაც მოიცავს ადამიანის უფლებას შექმნას და გაერთიანდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.
2. შეზღუდვები არ დაწესდება ამ უფლებათა განხორციელებაზე იმათ გარდა, რომლებიც განსაზღვრულნი არიან კანონით და აუცილებლობას წარმოადგენენ დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, დანაშაულისა და უწესრიგობის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა და ზნეობის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვისათვის. ეს მუხლი არ შეუშლის ხელს შეიარაღებული ძალების, პოლიციისა და სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრების მიერ ამ უფლებების განხორციელებაზე კანონიერი შეზღუდვების დაწესებას.

მუხლი 12 – ქორწინების უფლება

ქორწინების ასაკს მიღწეულ ქალებსა და მამაკაცებს უფლება აქვთ დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი ქვეყნის კანონების შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებენ ამ უფლების განხორციელებას.

მუხლი 13 – კანონით ევექტური ღაცვის უფლება

ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, აქვს კანონით ევექტური ღაცვის უფლება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩადენილი იქნას იმ პირების მიერ, რომლებიც მოქმედებენ ოფიციალური უფლებამოსილებით.

მუხლი 14 – დისკრიმინაციის დაუშვებლობა

ამ კონვენციაში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება უზრუნველყოფილი იქნება ყველასათვის ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციის დაუშვებლად მათი სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნულ უმცირესობასთან კუთვნილების, ქონებრივი, წოდებრივი ან სხვაგვარი მდგომარეობის მიხედვით.

მუხლი 15 – დათქმა საგანგებო სიტუაციის დროს

1. ომის ან სხვა საზოგადოებრივი საგანგებო სიტუაციის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს, ნებისმიერ მაღალ ხელმომწერ მხარეს უფლება აქვს მიიღოს ზომები, რომლებიც ზღუდავენ ამ კონვენციიდან გამოძინარე მის ვალდებულებებს, იმდენად, რამდენადაც ეს გამოწვეულია სიტუაციის აუცილებლობით, ამასთან ამგვარი ზომები არ უნდა იყვნენ საერთაშორისო სამართლით მასზე დაკისრებულ სხვა ვალდებულებების მიმართ შეუსაბამობაში.
2. დაქმა არ დაიშვება მე-2 მუხლის მიმართ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარდაცვალება წარმოადგენს ომის კანონზომიერ შედეგს, აგრეთვე მე-3, მე-4 (პირველი პუნქტი) და მე-7 მუხლების მიმართ.

3. ნებისმიერი მაღალი ხელმოწერი მხარე, რომელიც გამოიყენებს დათქმის დაწესების უფლებას, ატყობინებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მიღებული ზომებისა და მათი მიზეზების თაობაზე. იგი ასევე ატყობინებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ამ ზომების მოქმედების შეწყვეტისა და კონვენციის დებულებათა ძალაში სრულად შესვლის შესახებ.

მუხლი 16 – უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა

არაფერი, გათვალისწინებული მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებით შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მაღალი ხელმოწერი მხარის მიერ უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვაში ხელის შემშლელი ფაქტორი.

მუხლი 17 – უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა

ამ კონვენციით გათვალისწინებული არც ერთი საკითხი არ შეიძლება განმარტებული იქნეს იმგვარად, რომ უფლებას ანიჭებდეს ნებისმიერ სახელმწიფოს, ჯგუფსა და პიროვნებას რაიმე საქმიანობაში გამოიყენოს ან შეასრულოს რაიმე ქმედება, მიზანმიმართული აქ ჩამოთვლილი ნებისმიერი უფლებისა და თავისუფლების საზიანოდ ან მათ შესაზღუდვად იმაზე უფრო მეტი მოცულობით, ვიდრე ეს განსაზღვრულია კონვენციით.

მუხლი 18 – უფლებათა შეზღუდვის გამოყენების ლიმიტირება

ამ კონვენციით დაშვებული შეზღუდვები ზემონახსენებ უფლებებისა და თავისუფლებათა მიმართ არ გამოიყენება სხვა მიზნებით, იმათ გარდა, რომლისთვისაც ისინი იქნენ გათვალისწინებული.

ნაწილი II

აღამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო

მუხლი 19 – სასამართლოს დაარსება

კონვენციისა და მისი ოქმების ხელმოწერ მხარეთა მიერ აღიარებულ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად იქმნება აღამიანის

უფლებათა ევროპის სასამართლო (შემდგომში „სასამართლო“). იგი მუშაობს მუდმივად.

მუხლი 20 – მოსამართლეთა რაოდენობა

სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა თანაბარი იქნება მაღალ ხელმომწერ მხარეთა რაოდენობისა.

მუხლი 21 – მოსამართლეთა არჩევის კრიტერიუმი

1. მოსამართლეები უნდა ხასიათდებოდნენ მაღალი მორალური თვისებებით და უნდა ჰქონდეთ მაღალი თანამდებობის დაკავებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია, ან უნდა იყვნენ აღიარებული კომპეტენციის იურიდიული კონსულტანტები.
2. მოსამართლეები სასამართლოში იმსახურებენ თავიანთი პირადი უფლებაუნარიანობით.
3. მათი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში მოსამართლეები არ უნდა დაკავდნენ ისეთი საქმიანობით, რაც შეუთავსებელი იქნება მათ დამოუკიდებლობასთან და მოუკერძოებლობასთან ან სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოთხოვნებთან; ყველა საკითხი, რომელიც წარმოიშობა ამ პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით, გადაწყდება სასამართლოს მიერ.

მუხლი 22 – მოსამართლეთა არჩევა

1. მოსამართლეები აირჩევიან საპარლამენტო ასამბლეის მიერ ხმების უბრალო უმრავლესობით თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარის სურვილის გათვალისწინებით მათ მიერ წარმოდგენილი სამი კანდიდატისაგან შემდგარი სიიდან.
2. იგივე პროცედურა იქნება გამოყენებული სასამართლოს შესავსებად ახალი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიღებისა და სათანადო ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 23 – უფლებამოსილების ვადა

1. მოსამართლეები აირჩევიან ექვსი წლის ვადით. შესაძლებელია მათი ხელახალი არჩევა. ამასთან პირველ არჩევნებზე არჩეული მოსამართლეების ერთი ნახევრის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება პირველი სამი წლის ბოლოს.
2. მოსამართლეები, რომელთა უფლებამოსილების ვადა უნდა ამოიწუროს პირველი სამი წლის ბოლოს, აირჩევიან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ჩატარებული კენჭისყრით დაუყოვნებლივ მათი არჩევის შემდეგ.
3. იმისათვის, რომ მოსამართლეთა ნახევრის განახლება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი, საპარლამენტო ასამბლეამ შემდგომში არჩევნების ჩატარებამდე შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ერთი ან მეტი ასარჩევი მოსამართლის უფლებამოსილების ვადა ან ვადები არ განისაზღვროს ექვსი წლით და განისაზღვროს არა უმეტეს ცხრა და არა ნაკლებ სამი წლით.
4. იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა უფლებამოსილების ერთზე მეტი ვადა და საპარლამენტო ასამბლეა გამოიყენებს წინა პარაგრაფს, უფლებამოსილების ვადების განსაზღვრა მოხდება გენერალური მდივნის ან ევროპის საბჭოს მიერ არჩევნების შემდეგ კენჭისყრის დაუყოვნებლივ ჩატარებით.
5. მოსამართლე, რომელიც აირჩევა იმ მოსამართლის შესაცვლელად, რომლის უფლებამოსილების ვადაც არ არის ამოწურული, იმსახურებს მისი წინამორბედი მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.
6. მოსამართლეთა უფლებამოსილება იწურება, როდესაც ისინი აღწევენ 70 წლის ასაკს.
7. მოსამართლეები მსახურობენ მათ შეცვლამდე. ამასთან, ისინი გააგრძელებენ მუშაობას იმ საქმეებზე, რომლებიც არიან მათი განხილვის ქვეშ.

მუხლი 24 – სამსახურიდან დათხოვნა

დაუშვებელია მოსამართლის დათხოვნა სამსახურიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა მოსამართლეები ხმების ორი მესამედით გადაწყვეტენ, რომ იგი ვეღარ აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 25 – კანცელარია და რეფერენტები

სასამართლოს აქვს კანცელარია, რომლის ფუნქციები და ორგანიზაცია განისაზღვრება სასამართლოს რეგლამენტით. სასამართლო სარგებლობს რეფერენტთა მომსახურებით.

მუხლი 26 – სასამართლოს პლენარული სხდომები

პლენარულ სხდომებზე სასამართლო:

- a. ირჩევს სასამართლოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის ერთ ან ორ მოადგილეს სამი წლის ვადით; შესაძლებელია მათი ხელახალი არჩევა;
- b. ქმნის პალატებს განსაზღვრული ვადით;
- c. ირჩევს სასამართლოს პალატების თავმჯდომარეებს; შესაძლებელია მათი ხელახალი არჩევა;
- d. იღებს სასამართლოს რეგლამენტს;
- e. ირჩევს კანცელარიის ხელმძღვანელსა და მის ერთ ან ორ მოადგილეს.

მუხლი 27 – კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა

1. შემოსულ საქმეებს სასამართლო განიხილავს სამი მოსამართლისაგან შემდგარ კომიტეტებში, შვიდი მოსამართლისაგან შემდგარ პალატებსა და ჩვიდმეტი მოსამართლისაგან შემდგარ დიდ პალატაში. სასამართლოს პალატები განსაზღვრული ვადით ქმნიან კომიტეტებს.

2. მოსამართლე არჩეული სახელმწიფოს მიერ, რომელიც მხარეა საქმეში, წარმოადგენს პალატისა და დიდი პალატის ex officio წევრს; ასეთი მოსამართლის არყოფნის შემთხვევაში, ან თუ მას სხდომაში მონაწილეობა არ შეუძლია, მონაწილე სახელმწიფო ნიშნავს პირს, რომელიც სხდომაში მონაწილეობს მოსამართლის უფლებით;
3. დიდი პალატის შემადგენლობაში ასევე შედიან სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პალატის თავმჯდომარეები და სხვა მოსამართლეები, რომელთა არჩევა ხდება სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად, როდესაც 43-ე მუხლის შესაბამისად საქმე გადაეცემა დიდ პალატას, არც ერთი მოსამართლე იმ პალატიდან, რომელმაც გადასცა საქმე დიდ პალატას, არ შედის მის შემადგენლობაში სასამართლოს თავმჯდომარისა და იმ მოსამართლის გარდა, რომელიც განიხილავდა საქმეს საქმეში ჩართული სახელმწიფო მხარის წესის გათვალისწინებით.

მუხლი 28 – კომიტეტების მიერ საქმის მიუღებლობის გამოცხადება

კომიტეტს ხმების ერთსულოვნებით უფლება აქვს მიუღებლად გამოაცხადოს ან მისი საქმეების სიიდან ამოიღოს ინდივიდუალური განაცხადი, შემოსული 34-ე მუხლის მიხედვით, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებული იქნას შემდგომი განხილვის გარეშე. გადაწყვეტილება საბოლოო იქნება.

მუხლი 29 – პალატების გადაწყვეტილება საქმის მიღების და სათანადო ზომების შესახებ

1. თუკი გადაწყვეტილება არ არის მიღებული 28-ე მუხლის შესაბამისად, პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას 34-ე მუხლის მიხედვით შემოსული ინდივიდუალური განაცხადის თაობაზე და სათანადო ზომებზე.
2. პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას 33-ე მუხლის თანახმად შემოსული სახელმწიფოთაშორისი მიმართებების განსახილველად მიღებისა და სათანადო ზომების თაობაზე.

3. გადაწყვეტილება საქმის განსახილველად მიღების თაობაზე მიღებული იქნება განცალკევებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სასამართლო გამონაკლის შემთხვევებში სხვაგვარად გადაწყვეტს.

მუხლი 30 – დიდი პალატისათვის იურისდიქციის გადაცემა

იმ შემთხვევაში, როდესაც პალატის განხილვის ქვეშ მყოფი საქმე წამოჭრის სერიოზულ საკითხებს, რომლებიც ეხებიან კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებას, ან როდესაც პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გადაწყვეტილების გამოტანამდე გადასცეს იურისდიქცია დიდ პალატას, თუკი საქმის არც ერთი მხარე არ იქნება ამის წინააღმდეგი.

მუხლი 31 – დიდი პალატის უფლებამოსილებანი

დიდი პალატა:

- a. გადაწყვეტს 33-ე ან 34-ე მუხლების მიხედვით შემოსულ საქმეებს, როდესაც რომელიმე პალატა გადასცემს მას იურისდიქციას 30-ე მუხლის შესაბამისად, ან როდესაც მას საქმე გადაეცემა 43-ე მუხლის მიხედვით.
- b. განიხილავს 47-ე მუხლის მიხედვით შემოსულ თხოვნებს კონსულტაციების თაობაზე.

მუხლი 32 – სასამართლოს იურისდიქცია

1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებასა და გამოყენებას, როგორც ეს განსაზღვრულია 33-ე, 34-ე და 47-ე მუხლებით.
2. სასამართლო თავად გადაწყვეტს დავას იმის თაობაზე, აქვს თუ არა მას იურისდიქცია კონკრეტულ საქმეზე.

მუხლი 33 – სახელმწიფოთაშორისი საქმეები

ნებისმიერ მაღალ ხელმომწერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა მაღალი ხელმომწერი მხარის მიერ კონვენციისა და მისი დებულებების ნებისმიერი დარღვევის თაობაზე.

მუხლი 34 – ინდივიდუალური განაცხადები

სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელმომწერი მხარის მიერ კონვენციითა და თანდართული ოქმებით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელმომწერი მხარეები ვალდებული არიან არ შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტურ განხორციელებას.

მუხლი 35 – საქმის მიღების კრიტერიუმი

1. სასამართლოს შეუძლია მიიღოს საქმე მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული წესების თანახმად, ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება ამოიწურება, და ამასთან, ექვსი თვის ვადაში იმ თარიღიდან, როდესაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება იქნა მიღებული.
2. სასამართლო არ მიიღებს 34-ე მუხლის მიხედვით შემოსულ ინდივიდუალურ საქმეებს, თუკი:
 - a. იგი არის ანონიმური, ან
 - b. არსებითად წარმოადგენს იგივე საკითხს, რომელიც უკვე განხილული იქნა სასამართლოს მიერ, ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა პროცედურას და არ შეიცავს რაიმე ახალ ინფორმაციას.
3. სასამართლო გამოაცხადებს მიუღებლად ინდივიდუალურ განაცხადს, შემოსულს 34-ე მუხლის მიხედვით, თუკი მიიჩნევს, რომ განაცხადი შეუთავსებელია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, ამკარად უსაფუძვლოა ან ბოროტად იყენებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.

4. სასამართლო უარყოფს განაცხადს, რომელსაც იგი მიიჩნევს მიუღებლად ამ მუხლის მიხედვით. სასამართლოს ამის გაკეთება შეუძლია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 36 – მესამე მხარის მონაწილეობა

1. პალატის ან დიდი პალატის მიერ განსახილველ ყველა საქმეში, მაღალ ხელმძღვრე მხარეს, რომლის ერთ-ერთი მოქალაქეც არის განმცხადებელი, უფლება ექნება წარმოადგინოს წერილობითი კომენტარები და მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენაში.
2. სასამართლოს პრეზიდენტს შეუძლია მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, მოიწვიოს ნებისმიერი მაღალი ხელმძღვრე მხარე ან ნებისმიერი პიროვნება, რომელიც არ არის მხარე პროცესში, რათა მათ წარმოადგინონ წერილობითი კომენტარები ან მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენაში.

მუხლი 37 – განაცხადის ამოღება სასამართლოს საქმეთა სიიდან

1. სასამართლოს შეუძლია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ამოიღოს განაცხადი მის საქმეთა სიიდან, როდესაც საქმის გარემოებებს იგი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ
 - a. განმცხადებელი არ აპირებს ბოლომდე მიჰყვეს მის განაცხადს;
 - b. საკითხი გადაწყდა;
 - c. სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა მიზეზით აღარ არის გამართლებული განაცხადის განხილვის გაგრძელება.

ამასთან, სასამართლო განაგრძობს განაცხადის განხილვას იმ შემთხვევაში, თუკი კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების პატივისცემა ამას მოითხოვს.

2. სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის მის საქმეთა სიაში აღდგენის შესახებ, თუკი მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებანი ამართლებენ ამგვარ ქმედებას.

მუხლი 38 – საქმის განხილვა და დავის მეგობრულად მოგვარების პროცედურები

1. თუკი სასამართლო გამოაცხადებს, რომ განაცხადი მიღებულია, იგი
 - a. შეუდგება საქმის განხილვას მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად, და თუკი საჭირო იქნება, ჩაატარებს გამოძიებას, რომლის ეფექტური განხორციელებისათვის შესაბამისი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელ საშუალებას;
 - b. შესთავაზებს შესაბამის მხარეებს თავის საშსახურს საქმის მეგობრულად მოგვარების მიღწევის მიზნით კონვენციითა და თანდართული ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების გათვალისწინებით.
2. 1. ხ პუნქტით გათვალისწინებული პროცედურები კონფედენციალური ხასიათისაა.

მუხლი 39 – საქმის მეგობრულად მოგვარება

მეგობრულად მოგვარების შემთხვევაში სასამართლო ამოიღებს საქმეს თავისი სიიდან სათანადო გადაწყვეტილების მიღების გზით, რომელიც შემოიფარგლება ფაქტისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე აღნუსხვით.

მუხლი 40 – საჯარო მოსმენები და დოკუმენტების ხელმისაწვდომობა

1. სასამართლო მოსმენები იქნება საჯარო იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად გადაწყვეტს.
2. კანცელარიაში შესანახად გადაცემული დოკუმენტები ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისათვის, თუკი სასამართლოს თავმჯდომარე სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

მუხლი 41 – სამართლიანი დაკმაყოფილება

თუკი სასამართლო დაადგენს, რომ მოხდა კონვენციისა და მისი ოქმების დარღვევა, და თუკი მაღალი ხელშემკრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი მხოლოდ ნაწილობრივი დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა, სასამართლო აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს დაზარალებული მხარის სამართლიან დაკმაყოფილებას.

მუხლი 42 – პალატების გადაწყვეტილებები

პალატათა გადაწყვეტილებები საბოლოოა 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 43 – საქმის დიდ პალატაში გადაცემა

1. პალატის მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან სამი თვის ვადაში, საქმის ნებისმიერ მხარეს გამონაკლის შემთხვევებში შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა.
2. დიდი პალატის ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია მიიღებს თხოვნას იმ შემთხვევაში, თუკი საქმე ეხება კონვენციისა და მისი ოქმების გამოყენებასა და ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებულ საკითხებს ან სხვა ზოგადი მნიშვნელობის საკითხს.
3. თუკი კოლეგია მიიღებს თხოვნას, დიდი პალატა გადაწყვეტს საქმეს სასამართლო აქტის მიღების გზით.

მუხლი 44 – საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებები

1. დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა.
2. პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა, როდესაც
 - a. მხარეები აცხადებენ, რომ ისინი არ მოითხოვენ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემას;

b. გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში არ ყოფილა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის მოთხოვნა;

c. დიდი პალატის კოლეგია უარს ეტყვის 43-ე მუხლის შესაბამისად შემოსულ თხოვნას.

3. საბოლოო დადგენილებები უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 45 – სასამართლო დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების დასაბუთება

1. განაცხადის მისაღებად ან მიუღებლად გამოცხადებული აქტისა და გადაწყვეტილებების დასაბუთებანი წარმოდგენილი უნდა იქნეს.
2. თუკი დადგენილება მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილი არ წარმოადგენს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერ მოსამართლეს უფლება აქვს წარმოადგინოს განსხვავებული მოსაზრება.

მუხლი 46 – სასამართლო აქტების სავალდებულო ძალა და მათი აღსრულება

1. მაღალი ხელმოწერი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ შეასრულონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ნებისმიერ საქმეზე, რომელშიც ისინი მხარეები არიან.
2. სასამართლოს საბოლოო აქტი გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობას უწევს მის აღსრულებას.

მუხლი 47 – საკონსულტაციო დასკვნები

1. სასამართლოს, მინისტრთა კომიტეტის თხოვნით, შეუძლია წარმოადგინოს საკონსულტაციო დასკვნები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხებიან კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებას.
2. ამგვარი დასკვნები არ უნდა ეხებოდეს კონვენციის პირველ ნაწილში და მის ოქმებში განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა

შინაარსთან ან მიზანთან დაკავშირებულ არც ერთ საკითხს, რომელსაც სასამართლო ან მინისტრთა კომიტეტი განიხილავენ სამართალწარმოების სათანადო წესით, როგორც ეს შეიძლება განსაზღვრული იქნას კონვენციის მიხედვით.

3. მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება სასამართლოსთვის საკონსულტაციო დასკვნების მიწოდების მოთხოვნაზე საჭიროებს კომიტეტში სხდომის უფლების მქონე წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობას.

მუხლი 48 – სასამართლოს კომპეტენცია საკონსულტაციო დასკვნების მიმართ

სასამართლო წევრებს, შედის თუ არა მის კომპეტენციაში მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენილი თხოვნა საკონსულტაციო დასკვნების შესახებ, იმგვარად, როგორც ეს დადგენილია 47-ე მუხლით.

მუხლი 49 – საკონსულტაციო დასკვნების დასაბუთება

1. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები უნდა იყოს დასაბუთებული.
2. თუკი საკონსულტაციო დასკვნა მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილი არ წარმოადგენს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერ მოსამართლეს უფლება აქვს წარმოადგინოს განსხვავებული მოსაზრება.
3. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს.

მუხლი 50 – სასამართლოს ხარჯები

სასამართლოს შენახვის ხარჯებს ფარავს ევროპის საბჭო.

მუხლი 51 – მოსამართლეთა პრივილეგიები და იმუნიტეტები

თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელების პერიოდში მოსამართლეს ენიჭებათ ევროპის საბჭოს წესდების მე-40 მუხლით და

შესაბამისი შეთანხმებებით უზრუნველყოფილი პრივილეგიები და იმუნიტეტები.

ნაწილი III სს მადასსპა დეპუტატები

მუხლი 52 – გენერალური მდივნის მოთხოვნები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისაგან მოთხოვნის მიღებისთანავე ნებისმიერი მაღალი ხელმძღვანელი მხარე მიაწვდის მას ახსნა-განმარტებას იმის თაობაზე, თუ რა გზებით უზრუნველყოფს მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა კონვენციის ნებისმიერი დებულების ეფექტურ განხორციელებას.

მუხლი 53 – ადამიანის არსებული უფლებების დაცვა

ამ კონვენციით გათვალისწინებული არც ერთი საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ადამიანის რაიმე უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა ან გადახვევა, რომელიც შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს რომელიმე მაღალი ხელმძღვანელი მხარის კანონმდებლობით ან მისი მონაწილეობით მიღებული სხვა შეთანხმებით.

მუხლი 54 – მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილება

ამ კონვენციით გათვალისწინებული არც ერთი საკითხი არ ზღუდავს ევროპის საბჭოს წესდებით მინისტრთა კომიტეტისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

მუხლი 55 – დავების მოგვარების სხვა საშუალებათა გამორიცხვა

მაღალი ხელმძღვანელი მხარეები თანხმდებიან, რომ საპეციალური შეთანხმების გარდა ისინი არ გამოიყენებენ მათ შორის მოქმედ შეთანხმებებს, კონვენციებსა და დეკლარაციებს იმ მიზნით, რომ პეტიციის გზით დაუქვემდებარონ ამ კონვენციის ახსნა-განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული დავა მოგვარების სხვა საშუალებებს, რომლებიც არ არიან გათვალისწინებულნი ამ კონვენციით.

მუხლი 56 – კონვენციის ტერიტორიული გამოყენება

1. ნებისმიერ სახელმწიფოს რატიფიკაციის დროს ან მის შემდეგ შეუძლია გააკეთოს განცხადება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე, რომ წინამდებარე კონვენციის მოქმედება ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვრცელდება მთელ ტერიტორიაზე, ან მის იმ ნაწილზე, რომლის საერთაშორისო ვალდებულებებზეც იგი პასუხს აგებს.
2. კონვენციის მოქმედება ვრცელდება შეტყობინებაში მითითებულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან ოცდამეათე დღეს.
3. ამ კონვენციის დებულებანი გამოიყენებიან ამ ტერიტორიებზე ადგილობრივი პირობების სათანადო გათვალისწინებით.
4. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ მუხლის I პუნქტის მიხედვით, შემდგომში ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს მისი ერთი ან მეტი ტერიტორიის სახელით, რომელმაც განცხადება ეხებათ, რომ იგი აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას მიიღოს განაცხადები ფიზიკური პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფებისაგან ისე, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის 34-ე მუხლით.

მუხლი 57 – დათქმები

1. ნებისმიერ სახელმწიფოს კონვენციაზე ხელის მოწერის ან სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების დროს შეუძლია დააწესოს დათქმა კონვენციის რომელიმე კონკრეტული დებულების მიმართ, თუკი მის ტერიტორიაზე ძალაში მყოფი რომელიმე კანონი არ შეესაბამება კონვენციის შესაბამის დებულებას. დაუშვებელია საერთო ხასიათის დათქმების გაკეთება ამ მუხლის მიხედვით.
2. ამ მუხლის მიხედვით გაკეთებული ნებისმიერ დათქმა უნდა შეიცავდეს მოკლე განცხადებას სათანადო კანონის შესახებ.

მუხლი 58 – დენონსაცია

1. მაღალ ხელმომწერ მხარეს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსაცია მხოლოდ ხუთი წლის ვადის ამოწურვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც იგი გახდა მისი მხარე და ევროპის საბჭოს გენერალური მდიენისათვის შეტყობინების გაგზავნიდან ექსი თვის შემდეგ; გენერალური მდიენი ამის შესახებ ატყობინებს სხვა მაღალ ხელმომწერ მხარეებს.
2. ასეთი დენონსაცია ვერ გაათავისუფლებს შესაბამის მაღალ ხელმომწერ მხარეს ამ კონვენციით გათვალისწინებული მისი ვალდებულებისაგან რაიმე მოქმედების მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ამ ვალდებულებათა დარღვევას და შეიძლება მას ჩადენილი ჰქონდეს დენონსაციის ძალაში შესვლამდე.
3. მაღალი ხელმომწერი მხარე, რომელიც შეწყვეტს ევროპის საბჭოს წევრობას, ასეთივე პირობებით წყვეტს ამ კონვენციის წევრობას.
4. კონვენციის დენონსაცია შეიძლება მოხდეს წინა პუნქტების დებულებათა შესაბამისად, ნებისმიერ ტერიტორიასთან მიმართებით, რომელთა მიმართაც მოხდა მისი დეკლარირება 56-ე მუხლის მიხედვით.

მუხლი 59 – ხელის მოწერა და რატიფიკაცია

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრებისათვის. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელი დეკონირებისათვის გადაეცემა ევროპის საბჭოს გენერალურ მდიენს.
2. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ათი სარატიფიკაციო სიგელის დეკონირების შემდეგ.
3. იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც მოგვიანებით მოახდენს კონვენციის რატიფიკაციას, კონვენცია ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელის დეკონირების თარიღისათვის.
4. ევროპის საბჭოს გენერალური მდიენი ატყობინებს ევროპის საბჭოს ყველა წევრს კონვენციის ძალაში შესვლის თაობაზე, მაღალ ხელმომწერ მხარეთა სახელებს, რომელთაც მოახდინეს რატიფიკაცია

და სარატიფიკაციო სიგელების შესანახად ჩაბარების შესახებ, რომლითაც კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს.

*შესრულებულია რომში 1950 წლის ნოემბრის თვის მეოთხე დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ერთ პირად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ამასთან ორივე ტექსტი თანაბარი ძალისაა.
გენერალური მდივანი დამოწმებულ პირებს გადასცემს თითოეულ ხელმომწერ სახელმწიფოს*

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
ევროპის კონვენციის ოქმი №1

მიღებულია ევროპის საბჭოს მიერ 1954 წლის 20 მარტს, პარიზში
ქალაქში: 1954 წლის 18 მაისიდან

*წინამდებარე ოქმის ხელმოწერმა მთავრობებმა, არიან რა ევროპის
საბჭოს წევრები*

*ბაღაწყვიტეს რა, მიიღონ ზომები ზოგიერთი უფლებისა და
თავისუფლების კოლექტიური განხორციელების მიზნით, გარდა იმ
უფლებებისა, რომელიც უკვე შეტანილია 1950 წლის 4 ნოემბერს რომში
ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) პირველ ნაწილში,*

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 – ქონების დაცვა

ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება დაუბრკოლებლად
ისარგებლოს თავისი ქონებით. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ქონება,
იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს
და იმ პირობებით, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და
საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით.

ზემომოტანილი დებულებები არანაირად არ ზღუდავენ სახელმწიფოს
უფლებას განახორციელოს ისეთი კანონები, რომლებიც მას აუცილებლად
მიაჩნია საკუთრების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისათვის
საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ან ბეგარის ან სხვა
გადასახადებისა და ჯარიმების აკრეფის უზრუნველყოფისათვის.

მუხლი 2 – განათლების მიღების უფლება

არავის არ შეიძლება უარი ეთქვას განათლების მიღებაზე. სახელმწიფო
ნებისმიერი ფუნქციის შესრულების დროს, რომელსაც იგი თავის თავზე
იღებს განათლებისა და სწავლების დარგში, პატივს სცემს მშობელთა
უფლებას უზრუნველყონ თავისი ბავშვებისათვის ისეთი განათლება და
სწავლა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მათ რელიგიურ და
ფილოსოფიურ მრწამსთან.

მუხლი 3 – თავისუფალი არჩევნების უფლება

მაღალი ხელმომწერი მხარეები ვალდებულებას იღებენ გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული ხმის მიცემის გზით იმგვარ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვას საკანონმდებლო ხელისუფლების არჩევაში.

მუხლი 4 – ოქმის მოქმედება ტერიტორიების მიმართ

ნებისმიერ მაღალ ხელმომწერ მხარეს შეუძლია ხელმოწერის ან რატიფიკაციის, ან ამის შემდეგ ნებისმიერ დროს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს გაუგზავნოს განცხადება, თუ რა მოცულობით იღებს ვალდებულებას წინამდებარე ოქმის დებულებების გაერცელებას განცხადებაში ჩამოთვლილ იმ ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც იგი პასუხისმგებელია.

ნებისმიერ მაღალ ხელმომწერ მხარეს, რომელმაც გააგზავნა განცხადება წინამდებარე პუნქტის დებულებათა შესაბამისად, შეუძლია დროდადრო გააგზავნოს შემდგომი განცხადებები წინა განცხადებათა პირობების შეცვლის თაობაზე ან ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ წინამდებარე ოქმის გამოყენების შეწყვეტის შესახებ.

ამ მუხლის დებულებების შესაბამისად გაკეთებული განცხადება განიხილება კონვენციის 56-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად გაკეთებულ განცხადებად.

მუხლი 5 – კონვენციასთან მიმართება

მაღალი ხელმომწერი მხარეები განიხილავენ წინამდებარე ოქმის 1,2,3 და 4 მუხლებს როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს; კონვენციის ყველა დებულება შესაბამისად გამოიყენება.

მუხლი 6 – ხელის მოწერა და რატიფიკაცია

წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას; მისი რატიფიკაცია მოხდება

კონვენციის რატიფიკაციასთან ერთად ან მისი რატიფიკაციის შემდეგ. ოქმი ძალაში შედის ათი სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების შემდეგ. ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში მოახდენს ოქმის რატიფიკაციას, იგი ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების შემდეგ.

სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც აცნობებს ყველა წევრ სახელმწიფოს იმ სახელმწიფოთა შესახებ, რომლებმაც მოახდინეს ოქმის რატიფიკაცია.

შესრულებულია პარიზში 1952 წლის მარტის თვის მეოცე დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ერთ პირად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ამასთან ორივე ტექსტი თანაბარი ძალისაა. გენერალური მდივანი დამოწმებულ პირებს უგზავნის თითოეულ მთავრობას, რომელიც ხელს მოაწერს წინამდებარე ოქმს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის ოქმი №4

მიღებულია ევროპის საბჭოს მიერ 1963 წლის 16 სექტემბერს
ქალაქშია: 1968 წლის 2 მაისიდან

ქვემოთ ხელმოწერმა სახელმწიფოებმა, არიან რა ევროპის საბჭოს წევრები

გადაწყვიტეს რა მიიღონ კოლექტიური ზომები იმ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად, რომლებიც შეტანილნი არიან 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის 1 ნაწილსა (შემდგომში „კონვენცია“) და 1952 წლის 20 მარტს პარიზში ხელმოწერილი მისი პირველი ოქმის 1-3 მუხლებში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 – ვალის გადაუხდელობისათვის დიპლომატიის აკრძალვა

არავის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისუფლება სახელმწიფოებო ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის საფუძველზე.

მუხლი 2 – გადაადგილების თავისუფლება

1. ყოველ პიროვნებას, რომელიც კანონიერად იმყოფება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ ტერიტორიის ფარგლებში თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება აქვს.
2. ყოველ ადამიანს აქვს ნებისმიერი ქვეყნის თავისუფალი დატოვების უფლება, მათ შორის საკუთარი ქვეყნის ჩათვლით.
3. აღნიშნულ უფლებებზე არ შეიძლება დაწესდეს რაიმე შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის ხელშეწყობის, დანაშაულის

აღმოფხვრის, ჯანმრთელობისა და ზნეობის და სხვათა უფლებების დასაცავად.

4. I პუნქტში ჩამოყალიბებული უფლებები განსაზღვრულ რეგიონებში ასევე შეიძლება შეიზღუდოს კანონის შესაბამისად და ეს შეზღუდვები გამართლებული იქნას დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი ინტერესებით.

მუხლი 3 – მოქალაქეთა გაძევების აკრძალვა

1. არაინ არ შეიძლება გაძევებულ იქნას იმ სახელმწიფოს ტერიტორიიდან, რომლის მოქალაქეც თავად არის, ინდივიდუალური თუ კოლექტიური ღონისძიებების მეშვეობით.
2. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას იმ ქვეყანაში შესვლის უფლება, რომლის მოქალაქეც თავად არის.

მუხლი 4 – უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა

უცხოელთა კოლექტიური გაძევება აკრძალულია.

მუხლი 5 – ოქმის მოქმედება ტერიტორიებთან მიმართებაში

1. ყოველ მაღალ ხელმომწერ მხარეს შეუძლია ამ ოქმის ხელმოწერის ან რატიფიკაციის დროს, ან შემდგომ ამისა გაუგზავნოს განცხადება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს იმის თაობაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფს იგი წინამდებარე ოქმის დებულებების გაერცელებას განცხადებაში ჩამოთვლილ ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც იგი პასუხისმგებელია.
2. ყოველ მაღალ ხელმომწერ მხარეს, რომელმაც გააკეთა წინა პუნქტის შესაბამისი განცხადება, შეუძლია ნებისმიერ დროს განაცხადოს მანამდე გაკეთებული განცხადების შემცველი პირობების შეცვლის ან წინამდებარე ოქმის აღნიშნული ტერიტორიების მიმართ გამოყენების შეჩერების შესახებ.
3. ამ მუხლის საფუძველზე გაკეთებული განცხადება ჩაითვლება კონვენციის 56-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად გაკეთებულ განცხადებად.

4. იმ სახელმწიფოთა ტერიტორიები, რომელთა მიმართაც წინამდებარე ოქმი გამოიყენება რატიფიკაციის ძალით და ის ტერიტორიები, რომელთა მიმართაც იგი გამოიყენება სახელმწიფოს მიერ. ამ მუხლით გაკეთებული განცხადების ძალით, განიხილება ცალ-ცალკე ტერიტორიებად ამ ოქმის მე-2 და მე-3 მუხლების გამოყენებისას.
5. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 პუნქტების მიხედვით, შემდგომში ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს მისი ერთი ან მეტი ტერიტორიის სახელით, რომ იგი აღიარებს სასამართლოს კომპეტენციას მიიღოს განაცხადები ფიზიკური პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფისაგან ამ ოქმის პირველიდან მეოთხე მუხლებთან მიმართებაში, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის 34-ე მუხლით.

მუხლი 6 – კონვენციასთან მიმართება

მაღალი ხელმოწერი მხარეები განიხილავენ ამ ოქმის 1-დან 5-მდე მუხლებს, როგორც კონვენციის დამატებით დებულებებს და კონვენციის ყველა მუხლები გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 7 – ხელის მოწერა და რატიფიკაცია

1. წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს იმ წევრებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას იგი შეიძლება რატიფიცირებული იქნას კონვენციის რატიფიკაციისთანავე ან ამის შემდგომ ოქმი ძალაში შედის 5 სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების შემდეგ. რაც შეეხება სახელმწიფოს, რომელმაც მოგვიანებით მოაწერა ხელი ოქმს და მოახდინა მისი რატიფიკაცია, მისთვის ოქმი ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან.
2. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად გადაეცემა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც ყველა წევრს ატყობინებს იმ სახელმწიფოთა სახელებს, რომლებმაც გააკეთეს რატიფიკაცია.

რის ღასტურაღაც ქვემორე ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ უფლებამოსილნი, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს

შესრულებულია სტრასბურგში 1963 წლის სექტემბრის თვის მეთექვსმეტე დღეს ინლისურ და ფრანგულ ენებზე ერთ პირად, რომელიც ინაზება ვეროპის საბჭოს არქივში. ამასთან ორივე ტექსტს აქვს თანაბარი ძალა. ვეროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ პირებს გადასცემს თითოეულ ხელმომწერ სახელმწიფოს

**ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
დაცვის ევროპის კონვენციის ოქმი №6 სიკვდილით
დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით**

მიღებულია ევროპის საბჭოს მიერ 1983 წლის 28 აპრილს
ქალაქში: 1985 წლის 1 მარტიდან

*ევროპის საბჭოს წერილ სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს
1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილ ადამიანის უფლებათა და
ძირითად თავისუფლებათა კონვენციის (შემდგომში „კონვენციის“)
წინამდებარე ოქმს,*

*მიიჩნევენ რა, რომ ვითარება რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროპის
საბჭოს რამდენიმე სახელმწიფოში, გამოხატავს საერთო ტენდენციას
სიკვდილით დასჯის გაუქმების სასარგებლოდ,*

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 – სიკვდილით დასჯის გაუქმება

სიკვდილით დასჯა უქმდება. არავის არ შეიძლება შეეფარდოს
სიკვდილით დასჯა ან დაისაჯოს სიკვდილით.

მუხლი 2 – სიკვდილით დასჯა ომის დროს

სახელმწიფოს შეუძლია გაითვალისწინოს თავის კანონმდებლობაში
სიკვდილით დასჯა იმ ქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია ომის ან მისი
გარდაუვალი საფრთხის არსებობის დროს; ამგვარი სასჯელი გამოიყენება
მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში და მისი დებულებების
შესაბამისად. სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ
მდივანს ამ კანონის შესაბამის დებულებებს.

მუხლი 3 – ოქმის დებულებებიდან გადახვევის აკრძალვა

დაუშვებელია წინამდებარე ოქმის დებულებიდან გადახვევა კონვენციის
მე-15 მუხლის საფუძველზე.

მუხლი 4 – დათქმების აკრძალვა

დაუშვებელია წინამდებარე ოქმის მიმართ დათქმების გაკეთება კონვენციის 57-ე მუხლის საფუძველზე.

მუხლი 5 – ოქმის მოქმედება ტერიტორიებთან მიმართებაში

1. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერის ან თავისი სარატიფიკაციო სიგელის, ან მიღების ან მოწონების დოკუმენტის შესანახად გადაცემის დროს მიუთითოს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზედაც გავრცელდება წინამდებარე ოქმის მოქმედება.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მოგვიანებით ნებისმიერ დროს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის დეკლარაციის გაგზავნის გზით გააერცელოს წინამდებარე ოქმის გამოყენება ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე, რომელიც მითითებული იქნება დეკლარაციაში. ამგვარი ტერიტორიის მიმართ ოქმი ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოჰყვება გენერალური მდივნის მიერ ამგვარი განცხადების მიღების თარიღს.
3. ორი წინა პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, რომელიც ეხება იმ მითითებულ რომელიმე ტერიტორიას, შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების გზით. გამოთხოვა ძალაში შედის მომდევნო თვის პირველ დღეს, რომელიც მოჰყვება გენერალური მდივნის მიერ ამგვარი განცხადების მიღების თარიღს.

მუხლი 6 – კონვენციასთან მიმართება

მაღალი ხელმოწერილი მხარეები მიიჩნევენ წინამდებარე ოქმის 1-დან მე-5 მუხლებს, როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს და შესაბამისად გამოიყენება კონვენციის ყველა დებულება.

მუხლი 7 – ხელის მოწერა და რატიფიკაცია

წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან მოწონებას. ევროპის საბჭოს

წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია წინამდებარე ოქმის რატიფიცირება, მიღება ან მოწონება კონვენციის ერთდროული ან წინასწარი რატიფიკაციის გარეშე. სარატიფიკაციო სიგელები ან დოკუმენტები მიღების ან მოწონების თაობაზე შესანახად გადაეცემა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 8 – ძალაში შესვლა

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს თარიღს, როდესაც ევროპის საბჭოს ხუთმა წევრმა გამოხატა თავისი თანხმობა დაექვემდებაროს ოქმს, მე-7 მუხლის დებულებების შესაბამისად.
2. ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსათვის, რომელიც მოგვიანებით გამოთქვამს თანხმობას შეასრულოს ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებები, ოქმი ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სარატიფიკაციო სიგელების ან მიღების ან მოწონების შესახებ დოკუმენტების დეპონირების თარიღს.

მუხლი 9 – სარატიფიკაციო სიგელების შესანახად ჩამბარებული პირის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს წევრ სახელმწიფოებს:

- a. ოქმის ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b. სარატიფიკაციო სიგელის, ან მიღების ან მოწონების შესახებ დოკუმენტების დეპონირების თაობაზე;
- c. მე-5 და მე-8 მუხლების შესაბამისად ოქმის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;
- d. ნებისმიერი სხვა მოქმედების, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც ეხება წინამდებარე ოქმს.

რის დასტურადაც ქვემოთ ხელმოწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ უფლებამოსილნი, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს

შესრულებულია სტრასბურგში, 1998 წლის აპრილის თვის ოცდამეორე დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ერთ პირად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს ერქივში; ამასთან ორივე ტექსტი თანაბარი ძალისაა. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ პირებს გადასცემს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს

**აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
დაცვის ევროპის კონვენციის ოქმი №7**

მიღებულია ევროპის საბჭოს მიერ 1984 წლის 22 ნოემბერს
პალაშია: 1988 წლის 1 ნოემბრიდან

*ევროპის საბჭოს წერილი სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს
წინამდებარე ოქმს,*

*გადაწყვიტეს რა მიიღონ ზომები ზოგიერთი უფლებისა და
თავისუფლების კოლექტიურად განხორციელების მიზნით, რომში 1950
წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილ აღამიანის უფლებათა და ძირითად
თავისუფლებათა კონვენციის (შემდგომში „კონვენციის“) მეშვეობით,*

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი I – გარანტიები უცხოელთა გაძევების წინააღმდეგ

1. ყოველი უცხოელი, რომელიც კანონიერად ცხოვრობს სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არ შეიძლება გაძევებული იქნას ამ სახელმწიფოდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უნდა აღსრულდეს კანონის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, და მას უნდა ჰქონდეს საშუალება:
 - a. წარადგინოს არგუმენტები მისი გასახლების წინააღმდეგ;
 - b. ხელახლა იქნეს განხილული მისი საქმე; და
 - c. ამ მიზნებისათვის წარსდგეს კომპეტენტური ხელისუფლების ან ამ ხელისუფლების მიერ დანიშნული ერთი ან რამდენიმე პირის წინაშე.
2. უცხოელი შეიძლება გასახლებული იქნას წინამდებარე მუხლის I პუნქტის „ა“ „ბ“ და „ც“ პუნქტებში ჩამოთვლილი უფლებების განხორციელებამდე, თუკი ასეთი გაძევება აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე ან მისი მოტივირება ხდება სახელმწიფო უსაფრთხოების მოსაზრებებით.

მუხლი 2 – აპელაციის უფლება სისხლის სამართლის საქმეებზე

1. სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის დანაშაულისათვის მსჯავრდებულ ნებისმიერ პირს აქვს მისი განაჩენის უფრო მაღალ ინსტანციაში ხელახალი განხილვის უფლება. ამ უფლების განხორციელება, საფუძვლის ჩათვლით, რომლითაც იგი შეიძლება განხორციელებული იქნას, წესრიგდება კანონის მიერ.
2. ამ უფლებიდან შეიძლება გაკეთებული იქნას გამონაკლისები უმნიშვნელო სამართალდარღვევების მიმართ, რომლებიც განსაზღვრული იქნებიან კანონის მიერ, ან როდესაც შესაბამისი პიროვნება უკვე გასამართლებული იქნა პირველი ინსტანციით მაღალი ინსტანციის სასამართლოს მიერ ან გასამართლებული იქნა მისი გამართლების წინააღმდეგ აპელაციის განხილვის შემდეგ.

მუხლი 3 – კომპენსაცია მცდარია განაჩენის გამოტანის შემთხვევაში

თუკი რომელიმე პირი საბოლოო განაჩენით ცნეს დამნაშავედ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში და თუკი შემდგომ მისთვის გამოტანილი განაჩენი გაუქმებულ იქნა, ან იგი იმ საფუძველზე, რომ რაიმე ახალი ან ახლად აღმოჩენილი გარემოება მტკიცედ ადასტურებს სასამართლო შეცდომის არსებობას, მაშინ პირი, რომელიც დასჯილი იქნება ამგვარი გასამართლების შედეგად იღებს კომპენსაციას შესაბამისი სახელმწიფოს კანონის ან პრაქტიკის შესაბამისად, თუკი დაბტკიცებული არ იქნება, რომ ამგვარი გარემოების დაფარვაში თავის ღროზე მთლიანად ან ნაწილობრივ დამნაშავეა თავად ის პირი.

მუხლი 4 – ორჯერ გასამართლების ან დასჯის აკრძალვის უფლება

1. ერთი და იგივე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში არავინ არ შეიძლება ხელმეორედ იქნეს გასამართლებული ან დასჯილი სისხლის სამართლებრივი წესით დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი საბოლოოდ გამართლებული ან მსჯავრდებული იქნა ამ სახელმწიფოს კანონისა და სისხლის საპროცესო სამართლის შესაბამისად.
2. წინა. პუნქტის დებულებანი არ ეწინააღმდეგებიან შესაბამისი სახელმწიფოს კანონისა და სისხლის საპროცესო სამართლის მიხედვით საქმის გადახვევას, თუკი არსებობს ცნობები ახალი ან

ახლად აღმოჩენილი გარემოებების შესახებ ან წინა განხილვისას ადგილი ჰქონდა არსებით დეფექტს, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა მის შედეგზე.

3. დაუშვებელია წინამდებარე მუხლის დებულებებიდან გადახვევა კონვენციის მე-15 მუხლზე დაყრდნობით.

მუხლი 5 – თანასწორობა მეუღლეთა შორის

მეუღლეებს გააჩნიათ კერძო სამართლებრივი ხასიათის თანაბარი უფლებები და მოვალეობები ერთმანეთთან და თავიანთ ბავშვებთან ურთიერთობებში, ისეთ საკითხებში რომლებიც ეხება ქორწინებაში შესვლას, ქორწინებაში ყოფნას და განქორწინებას. წინამდებარე მუხლი ხელს არ შეუშლის სახელმწიფოებს მიიღონ აუცილებელი ზომები ბავშვების ინტერესების დასაცავად.

მუხლი 6 – ოქმის მოქმედება ტერიტორიებთან მიმართებაში

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერის ან მისი სარატიფიკაციო სიგელის ან მიღების ან მოწონების შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემის დროს შეუძლია მიუთითოს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზედაც გავრცელდება წინამდებარე ოქმის მოქმედება და განაცხადოს, თუ რამდენად უზრუნველყოფს იგი წინამდებარე ოქმის დებულებათა მოქმედებას ამ ტერიტორიის ან ტერიტორიების მიმართ.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის დეკლარაციის გაგზავნის გზით გაავრცელოს წინამდებარე ოქმის მოქმედება ნებისმიერ სხვა ტერიტორიებზე, რომელიც მითითებული იქნება დეკლარაციაში. ამგვარი ტერიტორიის მიმართ ოქმი ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოჰყვება გენერალური მდივნის მიერ ამგვარი განცხადების მიღების შემდეგ ორთვიანი ვადის ამოწურვას.
3. ორი წინა პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაცია, რომელიც ეხება ნებისმიერ იქ მითითებულ ტერიტორიას, შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი ან შეცვლილი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით. გამოთხოვა ან შეცვლა ძალაში შედის იმ თვის

პირველ დღეს, რომელიც მოჰყვება გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღებიდან ორთვიანი ვადის ამოწურვას.

4. წინამდებარე მუხლის მიხედვით გაკეთებული დეკლარაცია მიიჩნევა კონვენციის 56-ე მუხლის 1 პუნქტის მიხედვით გაკეთებულ განცხადებად.
5. იმ სახელმწიფოს ტერიტორია, რომლის მიმართაც წინამდებარე ოქმი გამოიყენება რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების ძალით და ის თითოეული ტერიტორია, რომლის მიმართაც იგი გამოიყენება სახელმწიფოს მიერ ამ მუხლით გაკეთებული განცხადების ძალით, შეიძლება განხილულ იქნას ცალ-ცალკე ტერიტორიებად ამ ოქმის პირველი მუხლის გამოყენებისას.
6. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მიხედვით, შეუძლია ნებისმიერ დროს ერთი ან მეტი ტერიტორიის სახელით განაცხადოს, რომ იგი აღიარებს სასამართლოს კომპეტენციას, მიიღოს განაცხადები ფიზიკური პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფებისაგან, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის 34-ე მუხლით ამ ოქმის პირველიდან მეხუთე მუხლების გათვალისწინებით.

მუხლი 7 – კონვენციასთან მიმართება

წვერი სახელმწიფოები განიხილავენ წინამდებარე ოქმის 1-დან მე-6 მუხლებს, როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს და შესაბამისად გამოიყენება კონვენციის ყველა დებულება.

მუხლი 8 – ხელის მოწერა და რატიფიკაცია

წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წვერი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას. მიღება ან მოწონება კონვენციის წინასწარი ან მათი ერთობლივი რატიფიკაციის გარეშე. სარატიფიკაციო სიგელები ან დოკუმენტები მიღების ან მოწონების თაობაზე გადაეცემა შესაბამისად ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 9 ძალაში შესვლა

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შედის იმ თვის პირველი რიცხვიდან, რომელიც მოსდევს ორთვიანი ვადის ამოწურვას, მას შემდეგ რაც ევროპის საბჭოს შეიდი წევრი სახელმწიფო გამოთქვამს თავის თანხმობას დაექვემდებაროს ოქმს მე-8 მუხლის დებულებათა შესაბამისად.
2. ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსათვის, რომელიც გამოთქვამს თანხმობას შეასრულოს ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებები, ოქმი ძალაში შედის იმ თვის პირველი დღიდან, რომელიც მოსდევს სარატიფიკაციო სიგელის, ან მიღების და ან მოწონების შესახებ დოკუმენტის დეპონირებას.

მუხლი 10 – სარატიფიკაციო სიგელების შესანახად ჩამბარებული პირის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს ყველა წევრს:

- a. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b. სარატიფიკაციო სიგელის ან მიღების ან მოწონების შესახებ დოკუმენტების შესანახად ჩაბარების თაობაზე;
- c. მე-6 და მე-9 მუხლების შესაბამისად ოქმის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;
- d. ნებისმიერი სხვა მოქმედების, შეტყობინების ან განცხადების შესახებ, რომელიც ეხება წინამდებარე ოქმს.

რის დასტურდაც ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ უფლებამოსილნი, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს

შესრულებულია სტრასბურგში 1984 წლის ნოემბრის თვის ოცდამეორე დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ერთ პირად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში; ამასთან ორივე ტექსტს აქვს თანაბარი ძალა. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ პირებს უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრს.

**ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
დაცვის ევროპის კომისიის ოქმი № 11**

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, რომლებმაც რომში 1950 წლის 4 ნოემბერს ხელი მოაწერეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციას (შემდგომში „კონვენციას“).

ითვალისწინებენ რა კონვენციის მიერ შექმნილი კონტროლის მექანიზმის რესტრუქტურის უკიდურეს აუცილებლობას, რათა შენარჩუნებული და გაუმჯობესებულ იქნას მის მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა, კერძოდ განაცხადების რიცხვისა და ევროპის საბჭოს წევრების ზრდის გათვალისწინებით;

ითვალისწინებენ რა რომ, სასურველია კონვენციის ცალკეულ დებულებათა შესწორება, იმ მიზნით, რათა მოხდეს არსებული ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს შეცვლა ახალი მუდმივმოქმედი სასამართლოთი;

ითვალისწინებენ რა №1 რეზოლუციას, რომელიც მიღებული იქნა ვენის 1985 წლის 19-20 მარტს ადამიანის უფლებათა თარბაზე ევროპის მინისტრთა კონფერენციაზე;

მხედველობაში იღებენ რა რეკომენდაცია 1994 (1992), რომელიც მიღებულ იქნა 1992 წლის 6 ოქტომბერს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ;

მხედველობაში იღებენ რა კონვენციის საკონტროლო მექანიზმის შესახებ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობათა მეთაურების მიერ 1993 წლის 9 ოქტომბერს ვენაში მიღებულ გადაწყვეტილებას;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

კონვენციის II და IV ნაწილების (მუხლები 19 და 56) №2 ოქმის არსებული ტექსტი, რომელიც იწონებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენციას გასცეს საკონსულტაციო დასკვნები

შეიკვალოს კონვენციის შემდგომი მეორე ნაწილით (მუხლები 19-დან 51-მდე):

ნაწილი II ადამიანის უფლებათა მშრომული სასამართლო

მუხლი 19 – სასამართლოს დაარსება

კონვენციისა და მისი ოქმების ხელმოწერ მხარეთა მიერ აღიარებულ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად იქმნება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო (შემდგომში „სასამართლო“). იგი მუშაობს მუდმივად.

მუხლი 20 – მოსამართლეთა რაოდენობა

სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა თანაბარი იქნება მაღალ ხელმოწერ მხარეთა რაოდენობისა.

მუხლი 21 – მოსამართლეთა არჩევის კრიტერიუმი

1. მოსამართლეები უნდა ხასიათდებოდნენ მაღალი მორალური თვისებებით და უნდა ჰქონდეთ მაღალი თანამდებობის დაკავებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია, ან უნდა იყვნენ აღიარებული კომპეტენციის იურიდიული კონსულტანტები.
2. მოსამართლეები სასამართლოში იმსახურებენ თავიანთი პირადი უფლებაუნარიანობით.
3. მათი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში მოსამართლეები არ უნდა დაკავდნენ ისეთი საქმიანობით, რაც შეუთავსებელი იქნება მათ დამოუკიდებლობასთან და მოუკერძოებლობასთან ან სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოთხოვნებთან; ყველა საკითხი, რომელიც წარმოიშობა ამ პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით, გადაწყდება სასამართლოს მიერ.

მუხლი 22 – მოსამართლეთა არჩევა

1. მოსამართლეები აირჩევიან საპარლამენტო ასამბლეის მიერ ხმების უბრალო უმრავლესობით თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარის სურვილის გათვალისწინებით მათ მიერ წარმოდგენილი სამი კანდიდატისაგან შემდგარი სიიდან.
2. იგივე პროცედურა იქნება გამოყენებული სასამართლოს შესავსებად ახალი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიღებისა და სათანადო ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 23 – უფლებამოსილების ვადა

1. მოსამართლეები აირჩევიან ექვსი წლის ვადით. შესაძლებელია მათი ხელახალი არჩევა. ამასთან პირველ არჩევნებზე არჩეული მოსამართლეების ერთი ნახევრის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება პირველი სამი წლის ბოლოს.
2. მოსამართლეები, რომელთა უფლებამოსილების ვადა უნდა ამოიწუროს პირველი სამი წლის ბოლოს, აირჩევიან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ჩატარებული კენჭისყრით დაუყოვნებლივ მათი არჩევის შემდეგ.
3. იმისათვის, რომ მოსამართლეთა ნახევრის განახლება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი, საპარლამენტო ასამბლეამ შემდგომში არჩევნების ჩატარებამდე შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ერთი ან მეტი ასარჩევი მოსამართლის უფლებამოსილების ვადა ან ვადები არ განისაზღვროს ექვსი წლით და განისაზღვროს არა უმეტეს ცხრა და არა ნაკლებ სამი წლით.
4. იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა უფლებამოსილების ერთზე მეტი ვადა და საპარლამენტო ასამბლეა გამოიყენებს წინა პარაგრაფს, უფლებამოსილების ვადების განსაზღვრა მოხდება გენერალური მდივნის ან ევროპის საბჭოს მიერ არჩევნების შემდეგ კენჭისყრის დაუყოვნებლივ ჩატარებით.
5. მოსამართლე, რომელიც აირჩევა იმ მოსამართლის შესაცვლელად, რომლის უფლებამოსილების ვადაც არ არის ამოწურული,

იმსახურებს მისი წინამორბედი მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

6. მოსამართლეთა უფლებამოსილება იწურება, როდესაც ისინი აღწევენ 70 წლის ასაკს.
7. მოსამართლეები მსახურობენ მათ შეცვლამდე. ამასთან, ისინი გააგრძელებენ მუშაობას იმ საქმეებზე, რომლებიც არიან მათი განხილვის ქვეშ.

მუხლი 24 – სამსახურიდან დათხოვნა

დაუშვებელია მოსამართლის დათხოვნა სამსახურიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა მოსამართლეები ხმების ორი მესამედით გადაწყვეტენ, რომ იგი ვეღარ აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 25 – კანცელარია და რეფერენტები

სასამართლოს აქვს კანცელარია, რომლის ფუნქციები და ორგანიზაცია განისაზღვრება სასამართლოს რეგლამენტით. სასამართლო სარგებლობს რეფერენტთა მომსახურებით.

მუხლი 26 – სასამართლოს პლენარული სხდომები

პლენარულ სხდომებზე სასამართლო:

- a. ირჩევს სასამართლოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის ერთ ან ორ მოადგილეს სამი წლის ვადით; შესაძლებელია მათი ხელახალი არჩევა;
- b. კმნის პალატებს განსაზღვრული ვადით;
- c. ირჩევს სასამართლოს პალატების თავმჯდომარეებს; შესაძლებელია მათი ხელახალი არჩევა;
- d. იღებს სასამართლოს რეგლამენტს;

ე. ირჩევს კანცელარიის ხელმძღვანელსა და მის ერთ ან ორ მოადგილეს.

მუხლი 27 – კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა

1. შემოსულ საქმეებს სასამართლო განიხილავს სამი მოსამართლისაგან შემდგარ კომიტეტში, შვიდი მოსამართლისაგან შემდგარ პალატებსა და ჩვიდმეტი მოსამართლისაგან შემდგარ დიდ პალატაში. სასამართლოს პალატები განსაზღვრული ვადით ქმნიან კომიტეტებს.
2. მოსამართლე არჩეული სახელმწიფოს მიერ, რომელიც მხარეა საქმეში, წარმოადგენს პალატისა და დიდი პალატის *ex officio* წევრს; ასეთი მოსამართლის არყოფნის შემთხვევაში, ან თუ მას სხდომაში მონაწილეობა არ შეუძლია, მონაწილე სახელმწიფო ნიშნავს პირს, რომელიც სხდომაში მონაწილეობს მოსამართლის უფლებით;
3. დიდი პალატის შემადგენლობაში ასევე შედიან სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პალატის თავმჯდომარეები და სხვა მოსამართლეები, რომელთა არჩევა ხდება სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად, როდესაც 43-ე მუხლის შესაბამისად საქმე გადაეცემა დიდ პალატას, არც ერთი მოსამართლე იმ პალატიდან, რომელმაც გადასცა საქმე დიდ პალატას, არ შედის მის შემადგენლობაში სასამართლოს თავმჯდომარისა და იმ მოსამართლის გარდა, რომელიც განიხილავდა საქმეს საქმეში ჩართული სახელმწიფო მხარის წესის გათვალისწინებით.

მუხლი 28 – კომიტეტების მიერ საქმის მიუღებლობის გამოცხადება

კომიტეტს ხმების ერთსულოვნებით უფლება აქვს მიუღებლად გამოაცხადოს ან მისი საქმეების სიიდან ამოიღოს ინდივიდუალური განაცხადი, შემოსული 34-ე მუხლის მიხედვით, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებული იქნას შემდგომი განხილვის გარეშე. გადაწყვეტილება საბოლოო იქნება.

მუხლი 29 – პალატების გადაწყვეტილება საქმის მიღების და სათანადო ზომების შესახებ

1. თუკი გადაწყვეტილება არ არის მიღებული 28-ე მუხლის შესაბამისად, პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას 34-ე მუხლის მიხედვით შემოსული ინდივიდუალური განაცხადის თაობაზე და სათანადო ზომებზე.
2. პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას 33-ე მუხლის თანახმად შემოსული სახელმწიფოთაშორისი მიმართულების განსახილველად მიღებისა და სათანადო ზომების თაობაზე.
3. გადაწყვეტილება საქმის განსახილველად მიღების თაობაზე მიღებული იქნება განცალკევებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სასამართლო გამონაკლის შემთხვევებში სხვაგვარად გადაწყვეტს.

მუხლი 30 – დიდი პალატისათვის იურისდიქციის გადაცემა

იმ შემთხვევაში, როდესაც პალატის განხილვის ქვეშ მყოფი საქმე წამოჭრის სერიოზულ საკითხებს, რომლებიც ეხებიან კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებას, ან როდესაც პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გადაწყვეტილების გამოტანამდე გადასცეს იურისდიქცია დიდ პალატას, თუკი საქმის არც ერთი მხარე არ იქნება ამის წინააღმდეგი.

მუხლი 31 – დიდი პალატის უფლებამოსილება

დიდი პალატა:

- a. გადაწყვეტს 33-ე ან 34-ე მუხლების მიხედვით შემოსულ საქმეებს, როდესაც რომელიმე პალატა გადასცემს მას იურისდიქციას 30-ე მუხლის შესაბამისად, ან როდესაც მას საქმე გადაეცემა 43-ე მუხლის მიხედვით.
- b. განიხილავს 47-ე მუხლის მიხედვით შემოსულ თხოვნებს კონსულტაციების თაობაზე.

მუხლი 32 – სასამართლოს იურისდიქცია

1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებასა და გამოყენებას, როგორც ეს განსაზღვრულია 33-ე, 34-ე და 47-ე მუხლებით.
2. სასამართლო თავად გადაწყვეტს დავას იმის თაობაზე, აქვს თუ არა მას იურისდიქცია კონკრეტულ საქმეზე.

მუხლი 33 – სახელმწიფოთაშორისი საქმეები

ნებისმიერ მაღალ ხელმომწერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა მაღალი ხელმომწერი მხარის მიერ კონვენციისა და მისი დებულებების ნებისმიერი დარღვევის თაობაზე.

მუხლი 34 – ინდივიდუალური განაცხადები

სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელმომწერი მხარის მიერ კონვენციითა და თანდართული ოქმებით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელმომწერი მხარეები ვალდებული არიან არ შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტურ განხორციელებას.

მუხლი 35 – საქმის მიღების კრიტერიუმი

1. სასამართლოს შეუძლია მიიღოს საქმე მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული წესების თანახმად, ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება ამოიწურება, და ამასთან, ექვსი თვის ვადაში იმ თარიღიდან, როდესაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება იქნა მიღებული.
2. სასამართლო არ მიიღებს 34-ე მუხლის მიხედვით შემოსულ ინდივიდუალურ საქმეებს, თუკი:
 - a. იგი არის ანონიმური, ან

- b. არსებითად წარმოადგენს იგივე საკითხს, რომელიც უკვე განხილული იქნა სასამართლოს მიერ, ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა პროცედურას და არ შეიცავს რაიმე ახალ ინფორმაციას.
3. სასამართლო გამოაცხადებს მიუღებლად ინდივიდუალურ განაცხადს, შემოსულს 34-ე მუხლის მიხედვით, თუკი მიიჩნევს, რომ განაცხადი შეუთავსებელია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად უსაფუძვლოა ან ბოროტად იყენებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.
 4. სასამართლო უარყოფს განაცხადს, რომელსაც იგი მიიჩნევს მიუღებლად ამ მუხლის მიხედვით. სასამართლოს ამის გაკეთება შეუძლია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 36 – შესამე მხარის მონაწილეობა

1. პალატის ან დიდი პალატის მიერ განსახილველ ყველა საქმეში, მაღალ ხელმძღვრე მხარეს, რომლის ერთ-ერთი მოქალაქეც არის განმცხადებელი, უფლება ექსნება წარმოადგინოს წერილობითი კომენტარები და მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენაში.
2. სასამართლოს პრეზიდენტს შეუძლია მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, მოიწვიოს ნებისმიერი მაღალი ხელმძღვრე მხარე ან ნებისმიერი პიროვნება, რომელიც არ არის მხარე პროცესში, რათა მათ წარმოადგინონ წერილობითი კომენტარები ან მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენაში.

მუხლი 37 – განაცხადის ამოღება სასამართლოს საქმეთა სიიდან

1. სასამართლოს შეუძლია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ამოიღოს განაცხადი მის საქმეთა სიიდან, როდესაც საქმის გარემოებებს იგი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ
 - a. განმცხადებელი არ აპირებს ბოლომდე მიჰყვეს მის განაცხადს;
 - b. საკითხი გადაწყდა;

- c. სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა მიზეზით აღარ არის გამართლებული განაცხადის განხილვის გაგრძელება.

ამასთან, სასამართლო განაგრძობს განაცხადის განხილვას იმ შემთხვევაში, თუკი კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების პატივისცემა ამას მოითხოვს.

2. სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის მის საქმეთა სიაში აღდგენის შესახებ, თუკი მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებანი ამართლებენ ამგვარ ქმედებას.

მუხლი 38 – საქმის განხილვა და დავის მეგობრულად მოგვარების პროცედურები

1. თუკი სასამართლო გამოაცხადებს, რომ განაცხადი მიღებულია, იგი
- a. შეუდგება საქმის განხილვას მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად, და თუკი საჭირო იქნება, ჩაატარებს გამოძიებას, რომლის ეფექტური განხორციელებისათვის შესაბამისი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელ საშუალებას;
 - b. შესთავაზებს შესაბამის მხარეებს თავის სამსახურს საქმის მეგობრულად მოგვარების მიღწევის მიზნით კონვენციითა და თანდართული ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების გათვალისწინებით.
2. 1. b პუნქტით გათვალისწინებული პროცედურები კონფედენციალური ხასიათისაა.

მუხლი 39 – საქმის მეგობრულად მოგვარება

მეგობრულად მოგვარების შემთხვევაში სასამართლო ამოიღებს საქმეს თავისი სიიდან სათანადო გადაწყვეტილების მიღების გზით, რომელიც შემოიფარგლება ფაქტისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე აღნუსხვით.

მუხლი 40 – საჯარო მოსმენები და დოკუმენტების ხელმისაწვდომობა

1. სასამართლო მოსმენები იქნება საჯარო იმ გამონაკლის შემთხვევების გარდა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად გადაწყვეტს.
2. კანცელარიაში შესანახად გადაცემული დოკუმენტები ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისათვის, თუკი სასამართლოს თავმჯდომარე სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

მუხლი 41 – სამართლიანი დაკმაყოფილება

თუკი სასამართლო დაადგენს, რომ მოხდა კონვენციისა და მისი ოქმების დარღვევა, და თუკი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი მხოლოდ ნაწილობრივი დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა, სასამართლო აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს დაზარალებული მხარის სამართლიან დაკმაყოფილებას.

მუხლი 42 – პალატების გადაწყვეტილებები

პალატათა გადაწყვეტილებები საბოლოოა 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 43 – საქმის დიდ პალატაში გადაცემა

1. პალატის მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან სამი თვის ვადაში, საქმის ნებისმიერ მხარეს გამონაკლის შემთხვევებში შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა.
2. დიდი პალატის ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია მიიღებს თხოვნას იმ შემთხვევაში, თუკი საქმე ეხება კონვენციისა და მისი ოქმების გამოყენებასა და ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებულ საკითხებს ან სხვა ზოგადი მნიშვნელობის საკითხს.
3. თუკი კოლეგია მიიღებს თხოვნას, დიდი პალატა გადაწყვეტს საქმეს სასამართლო აქტის მიღების გზით.

მუხლი 44 – საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებები

1. დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა.
2. პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა, როდესაც
 - a. მხარეები აცხადებენ, რომ ისინი არ მოითხოვენ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემას;
 - b. გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში არ ყოფილა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის მოთხოვნა;
 - c. დიდი პალატის კოლეგია უარს ეტყვის 43-ე მუხლის შესაბამისად შემოსულ თხოვნას.
3. საბოლოო დადგენილებები უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 45 – სასამართლო დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების დასაბუთება

1. განაცხადის მისაღებად ან მიუღებლად გამოცხადებული აქტისა და გადაწყვეტილებების დასაბუთებანი წარმოდგენილნი უნდა იქნენ.
2. თუკი დადგენილება მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილი არ წარმოადგენს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერ მოსამართლეს უფლება აქვს წარმოადგინოს განსხვავებული მოსაზრება.

მუხლი 46 – სასამართლო აქტების სავალდებულო ძალა და მათი აღსრულება

1. მაღალი ხელმოწერი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ შეასრულონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ნებისმიერ საქმეზე, რომელშიც ისინი მხარეები არიან.
2. სასამართლოს საბოლოო აქტი გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობას უწევს მის აღსრულებას.

მუხლი 47 – საკონსულტაციო დასკვნები

1. სასამართლოს, მინისტრთა კომიტეტის თხოვნით, შეუძლია წარმოადგინოს საკონსულტაციო დასკვნები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხებიან კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებას.
2. ამგვარი დასკვნები არ უნდა ეხებოდეს კონვენციის პირველ ნაწილში და მის ოქმებში განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსთან ან მიზანთან დაკავშირებულ არც ერთ საკითხს, რომელსაც სასამართლო ან მინისტრთა კომიტეტი განიხილავენ სამართალწარმოების სათანადო წესით, როგორც ეს შეიძლება განსაზღვრული იქნას კონვენციის მიხედვით.
3. მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება სასამართლოსთვის საკონსულტაციო დასკვნების მიწოდების მოთხოვნაზე საჭიროებს კომიტეტში სხდომის უფლების მქონე წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობას.

მუხლი 48 – სასამართლოს კომპეტენცია საკონსულტაციო დასკვნების მიმართ

სასამართლო წყვეტს, შედის თუ არა მის კომპეტენციაში მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენილი თხოვნა საკონსულტაციო დასკვნების შესახებ, იმგვარად, როგორც ეს დადგენილია 47-ე მუხლით.

მუხლი 49 – საკონსულტაციო დასკვნების დასაბუთება

1. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები უნდა იყოს დასაბუთებული.
2. თუკი საკონსულტაციო დასკვნა მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილი არ წარმოადგენს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერ მოსამართლეს უფლება აქვს წარმოადგინოს განსხვავებული მოსაზრება.
3. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს.

მუხლი 50 – სასამართლოს ხარჯები

სასამართლოს შენახვის ხარჯებს ფარავს ევროპის საბჭო.

მუხლი 51 – მოსამართლეთა პრივილეგიები და იმუნიტეტები

თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელების პერიოდში მოსამართლეებს ენიჭებათ ევროპის საბჭოს წესდების მე-40 მუხლით და შესაბამისი შეთანხმებებით უზრუნველყოფილი პრივილეგიები და იმუნიტეტები.

მუხლი 2

1. კონვენციის V ნაწილი გახდება კონვენციის III ნაწილი; კონვენციის 57-ე მუხლი გახდება კონვენციის 52-ე მუხლი. კონვენციის 58-ე და 59-ე მუხლები წაიშლება, ხოლო 60-დან 66-მდე მუხლები შესაბამისად გახდებიან კონვენციის 53-დან 59-ე მუხლები.
2. კონვენციის I ნაწილს დაერქმევა „უფლებები და თავისუფლებები“ და კონვენციის ახალ, III ნაწილს დაერქმევა „სხვადასხვა დებულებები“. კონვენციის 1-დან 18-მდე და 52-დან 59-მდე ახალი მუხლები წარმოდგენილი იქნებიან დასათაურებით, როგორც ეს მოცემულია ამ ოქმის დამატებაში.
3. ახალი 56-ე მუხლის 1 პუნქტში სიტყვები „ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით“ ჩაემატება „უნდა“-ს შემდეგ, მე-4 პუნქტში სიტყვები „კომისიას, რათა მიიღოს პეტიციები“ და „წინამდებარე კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად“ შეიცვლება სიტყვებით: „სასამართლოს, რათა მიიღოს განაცხადები“ და „როგორც ეს დადგენილია კონვენციის 34-ე მუხლით“. ახალი 58-ე მუხლის მე-4 პარაგრაფში სიტყვები „63-ე მუხლი“ შეიცვლება სიტყვებით „58-ე მუხლი“.
4. კონვენციის ოქმი შეიცვლება შემდეგი გზით:
 - a. მუხლები წარმოდგენილი იქნებიან იმ დასათაურებით, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე ოქმის დამატებაში; და

- b. მე-4 მუხლის ბოლო წინადადებაში სიტყვები „63-ე მუხლის“ შეიცვლება სიტყვებით „56-ე მუხლის“.

5. კონვენციის მე-4 ოქმი შეიცვლება შემდეგი გზით:

- a. მუხლები წარმოდგენილი იქნებიან იმ დასათაურებით, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე ოქმის დამატებაში; და
- b. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვები „63-ე მუხლის“ შეიცვლება სიტყვებით „56-ე მუხლის“. დამატებული იქნება ახალი მე-5 პუნქტი, რომელიც შემდგენიარად წაიკითხება:

“ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ მუხლის 1 და 2-ე პუნქტების შესაბამისად, შეუძლია შემდგომში ნებისმიერ დროს გამოაცხადოს ერთი ან მეტი ტერიტორიების სახელით, რომლებსაც დეკლარაცია ეხებათ, რომ ის იღებს სასამართლოს კომპეტენციას მიიღოს განაცხადები ფიზიკური პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფისაგან, როგორც ეს დადგენილია კონვენციის 34-ე მუხლით ან ამ ოქმის 1-დან მე-4 ყველა ან ნებისმიერი მუხლის შესაბამისად“;

- c. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი წაიშლება.

6. მე-6 ოქმი შეიცვლება შემდეგი გზით:

- a. მუხლები წარმოდგენილი იქნებიან წინამდებარე ოქმში ჩამოთვლილი დასათაურებით;
- b. მე-4 მუხლში სიტყვები „63-ე მუხლის მიხედვით“ შეიცვლება სიტყვებით „57-ე მუხლის მიხედვით“.

7. მე-7 ოქმი შეიცვლება შემდეგი გზით:

- a. მუხლები წარმოდგენილი იქნებიან წინამდებარე ოქმში ჩამოთვლილი დასათაურებით;
- b. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში სიტყვები „63-ე მუხლის“ შეიცვლება სიტყვებით „56-ე მუხლის“. ამას დამატება ახალი მე-6 პუნქტი, რომელიც შემდგენიარად წაიკითხება:

„ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ მუხლის 1 და მე-2 პუნქტების მიხედვით, შეუძლია ნებისმიერ დროს თავისი ერთი ან მეტი ტერიტორიების სახელით განაცხადოს რომ იგი აღიარებს სასამართლოს კომპეტენციას, მიიღოს განაცხადები ფიზიკური პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფებისაგან, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის 34-ე მუხლით, ამ ოქმის 1-დან 5-ე მუხლების გათვალისწინებით.“

c. წაიშალოს მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

8. გაუქმდეს მე-9 ოქმი.

მუხლი 3

1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად კონვენციის ხელმოწერი ვეროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომელმაც უნდა გამოთქვან თავიანთი თანხმობა იყვნენ ვალდებული
 - a. ხელმოწერით რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცებისათვის დათქმების გარეშე; ან
 - b. ხელმოწერით, რომელიც ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას, რომელსაც უნდა მოჰყვეს რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება.
2. რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების სიგელები შესანახად გადაეცემა ვეროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 4

წინამდებარე ოქმი ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოჰყვება ერთწლიანი პერიოდის გასვლას მას შემდეგ, როცა კონვენციის ყველა მხარე გამოთქვამს თავის თანხმობას იყოს ვალდებული წინამდებარე ოქმით მისი მე-3 მუხლის დებულებათა შესაბამისად. ახალი მოსამართლეები შეიძლება იქნენ არჩეული, და ნებისმიერი სხვა ეტაპი შეიძლება იქნას გავლილი ამ ოქმის დებულებების შესაბამისად იმ თარიღიდან, როდესაც კონვენციის ყველა მხარე გამოთქვამს თანხმობას იყოს ვალდებული ამ ოქმით.

მუხლი 5

1. წინამდებარე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების დებულებათა დაურღვევლად, მოსამართლეების, კომისიის წევრების, რეგისტრატორისა და რეგისტრატორის მოადგილის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღიდან.
2. კომისიის მიერ განსახილველი განაცხადები, რომლებიც არ ყოფილან გამოცხადებული მიღებულად ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღისათვის, განიხილება სასამართლოს მიერ ოქმის დებულებათა შესაბამისად.
3. განაცხადები, რომლებიც გამოცხადებული იქნენ მიღებულად ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღისათვის, განიხილება კომისიის წევრების მიერ ერთი წლის ვადაში. ნებისმიერი განაცხადი, რომლის განხილვაც არ დასრულდა ზემოხსენებულ ვადაში, გადაეცემა სასამართლოს, რომელიც განიხილავს მათ როგორც მიღებულ საქმეებს, ამ ოქმის დებულებათა შესაბამისად.
4. ის განაცხადები, რომლებზედაც კომისიამ ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ მიიღო მოხსენება ყოფილი 34-ე მუხლის მიხედვით, გადაეცემა მხარეებს, რომლებსაც არ ექნებათ მისი გამოქვეყნების უფლება. იმ დებულებების მიხედვით, რომლებიც გამოიყენებიათ ამ ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, საქმე შეიძლება გადაეცეს სასამართლოს. დიდი პალატის კოლეგია განსაზღვრავს, საქმეს დიდი პალატა განიხილავს თუ ერთ-ერთი პალატა. თუკი საქმე უნდა გადაწყდეს პალატის მიერ, პალატის გადაწყვეტილება საბოლოო იქნება. ის საქმეები, რომლებიც არ გადაეცემა სასამართლოს, განიხილება მინისტრთა კომიტეტის მიერ, რომელიც იმოქმედებს კონვენციის ყოფილი 32-ე მუხლის შესაბამისად.
5. სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეები, რომლებიც არ იქნენ გადაწყვეტილი ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღისათვის, გადაეცემა სასამართლოს დიდ პალატას, რომელიც განიხილავს მათ ამ ოქმის დებულებათა შესაბამისად.
6. მინისტრთა კომიტეტის მიერ განსახილველი საქმეები, რომლებიც არ იქნენ გადაწყვეტილი კონვენციის ყოფილი 32-ე მუხლის მიხედვით

ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღისათვის დასრულება მინისტრთა კომიტეტის მიერ, რომელიც იმოქმედებს ზემოხსენებული მუხლის მიხედვით.

მუხლი 6

თუ რომელიმე მაღალმა ხელმძღვანელმა მხარემ გააკეთა განცხადება კომისიის კომპეტენციის ან სასამართლოს იურისდიქციის აღიარების შესახებ კონვენციის ყოფილი 25-ე და 46-ე მუხლების დებულებათა შესაბამისად იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც წამოიჭრება შემდგომში, ან ფაქტების საფუძველზე, რომელსაც ადგილი აქვს ყოველი ასეთი განცხადების შემდეგ, მოცემული შეზღუდვა ამ ოქმით ძალაში რჩება სასამართლოს იურისდიქციასთან მიმართებაში.

მუხლი 7

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს საბჭოს წევრ ქვეყნებს:

- a. ოქმის ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b. სარატიფიკაციო სიგელის, ან მიღების ან დამტკიცების შესახებ დოკუმენტის დეპონირების თაობაზე;
- c. ამ ოქმისა და მის დებულებათა ძალაში შესვლის თარიღის შესახებ მე-4 მუხლის შესაბამისად, და
- d. ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინებისა და კომუნიკაციის შესახებ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ 1994 წლის მაისის მეთერთმეტე დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ერთ პირად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ამასთან ორივე ტექსტი არის თანაბარი ძალის მქონე. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ პირებს გადასცემს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს.

1951 წლის მაისის რეზოლუცია
მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ VIII სესიისაზე

მინისტრთა კომიტეტი

შემოთავაზებული წინადადების შესაბამისად, საკონსულტაციო ასამბლეასთან ერთად, აწარმოებს ევროპის საბჭოს წესდების რევიზიას,

თელის რა, რომ შემოთავაზებული დებულებები არ იმყოფებიან წინააღმდეგობაში არსებულ წესდებასთან;

აცხადებს ამ დებულებების ძალაში შესვლას:

ახალი წევრების მიღება

მინისტრთა კომიტეტი მე-4 და მე-5 მუხლების საფუძველზე მოწვევის გაგზავნამდე ან მე-8 მუხლის მოთხოვნების შესრულებამდე, უპირველესად არსებული პრაქტიკის შესაბამისად ითვალისწინებს ასამბლეის შეხვედრებს.

მინისტრთა კომიტეტის უშლებამონიღება

კომიტეტის დადგენილებები, რამდენადაც შესაძლებელია, იღებენ კონვენციის ან შეთანხმების ხასიათს. ამის გამო, წარმოიშობა შემდეგი დებულებები:

1. კონვენცია ან შეთანხმება რატიფიკაციისათვის უნდა გადაეგზავნოს ყველა მხარეს გენერალური მდივნის მიერ.
2. ყველა მხარე იღებს პასუხისმგებლობას, რომ ასეთი ინფორმაციის გადაგზავნიდან ერთი წლის მანძილზე, ან სადაც ეს შეუძლებელია განსაკუთრებული გარემოებების გამო, 18 თვის მანძილზე, კონვენციის ან შეთანხმების რატიფიკაციის საკითხი გატანილი იქნება მისი ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლების წინაშე.
3. სარატიფიკაციო სიგელები უნდა გადაეცეს გენერალურ მდივანს.
4. კონვენცია ან შეთანხმება ძალაშია მხოლოდ იმ წევრებისათვის, რომელთაც მოახდინეს მისი რატიფიცირება.

გაერთიანებული კომიტეტი

1. გაერთიანებული კომიტეტი ევროსაბჭოს მაკოორდინირებელი ორგანოა. მინისტრთა კომიტეტისა და საკონსულტაციო ასამბლეის უფლებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, გაერთიანებული კომიტეტის ფუნქციებია:
 - a. იმ პრობლემების განხილვა, რომლებიც საერთოა ორივე ორგანოსათვის.
 - b. კონკრეტულ საკითხებზე ორივე ორგანოს ყურადღების გამახვილება, რაც წარმოაჩენს ევროსაბჭოს განსაკუთრებულ ინტერესს.
 - c. მინისტრთა კომიტეტისა და ასამბლეის სესიის დღის წესრიგისათვის წინადადებების მომზადება.
 - d. ერთი ან მეორე ორგანოს მიერ მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკულად შესრულების საშუალებების მომზადება და ხელის შეწყობა.
2.
 - a. გაერთიანებული კომიტეტი ეფუძნება თორმეტი წევრის პრინციპს რომელთაგანაც ხუთი მინისტრთა კომიტეტის წარმომადგენელია, ხოლო შვიდი საკონსულტაციო ასამბლეისა. ამ უკანასკნელში შვიდის საკონსულტაციო ასამბლეის პრეზიდენტი თანამდებობრივად.
 - b. წევრთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს მინისტრთა კომიტეტისა და ასამბლეის შეთანხმებით. მინისტრთა კომიტეტმა არ შეიძლება გაზარდოს თავისი წარმომადგენლობა გაერთიანებულ კომიტეტში ერთი ან ორი კაცით.
 - c. მინისტრთა კომიტეტი და ასამბლეა თავისუფალნი არიან გაერთიანებული კომიტეტისათვის წარმომადგენლების არჩევაში.

- d. გენერალური მდივანი უფლებამოსილია დაესწოროს გაერთიანებული კომიტეტის სხდომებს მრჩეველის სტატუსით.

3.

- a. გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე საკონსულტაციო ასამბლეის პრეზიდენტია.
- b. კომიტეტის სხდომები უფლებამოსილია ქვორუმის არსებობის შემდეგ, რასაც შეადგენს მინისტრთა კომიტეტის სამი და საკონსულტაციო ასამბლეის ხუთი წარმომადგენელი.
- c. გაერთიანებული კომიტეტის დადგენილებები მიიღება კენჭისყრის გარეშე.
- d. გაერთიანებული კომიტეტის სხდომები მიჰყავს თავმჯდომარეს და ტარდება საჭიროებისამებრ, განსაკუთრებით მინისტრთა კომიტეტისა და საკონსულტაციო ასამბლეის სესიების წინ და შემდეგ...
- e. გაერთიანებული კომიტეტი იღებს თავისი პროცედურის წესებს.

**ურთიერთობები
სამთავრობათშორისო და არასამთავრობო
საერთაშორისო
ორგანიზაციებთან**

- 1. მინისტრთა კომიტეტი ევროსაბჭოს სახელით ღებს შეთანხმებებს ნებისმიერ სამთავრობო ორგანიზაციასთან, საბჭოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე. ასეთი შეთანხმებები განსაზღვრავენ ამ ორგანიზაციების ევროსაბჭოსთან ურთიერთობაში შესვლის ვალებს.
- 2. ევროსაბჭო ან მისი ნებისმიერი ორგანო, მათი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია განახორციელონ სხვა ევროპული სამთავრობო ორგანიზაციებისაგან გადაცემული ფუნქციები. მინისტრთა კომიტეტი იღებს ამ მიზნისათვის სავალდებულო ხელშეკრულებებს.

3. პირველ მუხლთან დაკავშირებული შეთანხმებების უზრუნველსაყოფად:

a. საბჭო დგამს საჭირო ნაბიჯებს ორგანიზაციისათვის რიგით მოსხენებებისა და ინფორმაციების წარდგენით, წერილობითი ან ზეპირი ფორმებით.

b. საბჭო იძლევა შეხედულებებს და სთავაზობს სამსახურს, ამ ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად.

4. მინისტრთა კომიტეტი, ევროსაბჭოს სახელით, იღებს დადგენილებებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებაში რაც დაკავშირებულია ევროსაბჭოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან.

1951 წლის რეზოლუცია დაკავშირებული მხარეთა
შეთანხმებულებასთან

მიღებულია მინისტრთა კომიტეტის IX სესიაზე

მინისტრთა კომიტეტი

მხედველობაში ვიღებთ რა, სტატუსის მე-20 მუხლის „ა“ პარაგრაფს, რომელიც უზრუნველყოფს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს წევრი-სახელმწიფოებისათვის და მოითხოვს წარმომადგენელთა ხმების ერთხმიანობას;

მხედველობაში ვიღებთ რა, 1950 წლის 3 აგვისტოს საკონსულტაციო ასამბლეის მიერ მიღებულ რეკომენდაციას;

ვისურვებდით შეთანხმების მიღწევას, შესაძლებელ ფარგლებში. განვიხილავთ როგორც მისაღებს, რადგან სტატუსის მე-20 მუხლის „ა“ პარაგრაფით გათვალისწინებულია პროცედურა, რომელიც განისაზღვრება, როგორც ცალკეული წარმომადგენლების უფლება, მინისტრთა კაბინეტში თავი შეიკავონ კენჭისყრისაგან, ან გააუქმონ მათი კოლეგების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საკვალდებულოება თავიანთი მთავრობებისათვის, რეზოლუციით დასტურდება.

ვაცხადებთ ამ დებულებების ძალაში შესვლას:

1. თუ კომიტეტი, წარმომადგენელთა ერთხმიანობით უფლებამოსილია დაესწროს მინისტრთა კომიტეტს, და გადაწყვეტს თავის შეკავებას რაიმე წინადადების განხილვაში მონაწილეობისაგან, ეს საკითხი წარედგინება მინისტრთა კომიტეტს; იგი განიხილება, როგორც მიღებული მხოლოდ იმ წარმომადგენლების მიერ, რომლებიც შემდეგ კენჭს უყრიან მის სასარგებლოდ, და მისი ძალისმიერებაც შესაბამისად იზღუდება.
2. ნებისმიერი დამატებითი ხარჯები, რომლებიც გაიცემა საბჭოს მიერ, საჭიროებს დამტკიცებას და პროცედურის შესაბამისად იფარება იმ წევრების მიერ, რომლებიც ხმას აძლევენ მის სასარგებლოდ.

1951 წლის მაისის რეზოლუცია დაკავშირებული
სამეციალურ თანამდებობებთან

მიღებული მინისტრთა კომიტეტის IX სესიის მიერ

1. ა) ევროსაბჭო იღებს ინიციატივას მოილაპარაკოს მხარეებს შორის, ევროპის სპეციალიზებული ორგანოების შექმნის შესახებ – ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა სფეროებში.
- ბ) ყოველი წევრი თავისუფალია არჩევანში, შეუერთდეს ან არ შეუერთდეს ასეთ სპეციალიზებულ ორგანიზაციებს.
2. თუ წევრი სახელმწიფო, მათ შორის თავისი ინიციატივით შექმნის ევროპის სპეციალიზებულ სამსახურებს, ამ სამსახურის ევროსაბჭოსთან ურთიერთობა განხილულ უნდა იქნეს, ევროპის თანამეგობრობის ინტერესებიდან გამომდინარე.
3. ა) მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მოიწვიოს ყოველი სამსახური, მის წინაშე პერიოდული მოხსენებების წარსადგენად.
- ბ) რამდენადაც ნებისმიერი შეთანხმება უზრუნველყოფს საპარლამენტო ორგანოს შექმნას, სპეციალიზებული სამსახურის მიერ, ეს ორგანო შეუძლია მოიწვიოს ასამბლეამ პერიოდული მოხსენებებისათვის.
4. ა) პირობები, რომლითაც სპეციალური სამსახურები საბჭოსთან ურთიერთობებში შედიან, განისაზღვრება სპეციალიზებულ ორგანოსა და საბჭოს შორის დადებული შეთანხმებით. ასეთი შეთანხმებები მოიცავს შემდეგს:
 1. ურთიერთ-წარმომადგენლობას, და თუ საკითხი წარმოიშობა – ევროსაბჭოსა და სპეციალიზებულ ორგანიზაციის გაერთიანებაზე, ამისათვის განსაზღვრულ ფორმებს.
 2. ინფორმაციის, დოკუმენტებისა და სტატისტიკური მონაცემების გაცვლას.
 3. მოხსენებების წარდგენას სპეციალური სამსახურების მიერ ევროსაბჭოსათვის და რეკომენდაციების წარდგენას ევროსაბჭოს მიერ სპეციალური სამსახურებისათვის
 4. დადგენილებებს, რომლებიც შეეხება მომსახურე პერსონალს და ადმინისტრაციულ, ფინანსურ, საბიუჯეტო და ტექნიკურ მომსახურებას.

ბ) ასეთი მოლაპარაკებები წარმოებულ უნდა იქნას და ხელშეკრულებები დადებული ევროსაბჭოს სახელით, მინისტრთა კომიტეტის მიერ, საკონსულტაციო ასამბლეის პოზიციის გაცნობის შემდეგ.

ევროსაბჭო კოორდინაციას უწევს სპეციალიზებული სამსახურების საქმიანობას, ერთიანი დოკუმენტებისა და შეთავაზებული დოკუმენტების საფუძველზე, ისევე როგორც წევრი სახელმწიფოების მთავრობების მიერ შეთავაზებული რეკომენდაციებით.

ვეროპის სოციალური ქარტია

მიღებულია ვეროპის საბჭოს მიერ 1961 წლის 18 ოქტომბერს, ტურიში, ძალაშია 1965 წლის 6 თებერვლიდან

ვეროპის კავშირის წვერი ქვემორე ხელისმომწერი სახელმწიფოები, რომლებიც

ითვალისწინებენ, რომ ვეროპის კავშირის მიზანია საერთო მემკვიდრეობით მიღებული იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და განხორციელების, აგრეთვე, წვერ-სახელმწიფოთა ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ხელშეწყობისათვის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შენარჩუნებისა და შემდგომი რეალიზაციის მემკვიდრეობით წვერ-სახელმწიფოთა შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა;

ითვალისწინებენ, რომ ვეროპის კავშირის წვერი სახელმწიფოები, 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილი ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ვეროპის კონვენციითა და 1952 წლის 20 მარტს პარიზში ხელმოწერილი მისი თანმხლები ოქმით, შეთანხმდნენ თავიანთი მოსახლეობისათვის ამ დოკუმენტებით განსაზღვრული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე;

ითვალისწინებენ, რომ სოციალური უფლებებით სარგებლობა უნდა უზრუნველყოფილ იქნას რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის საფუძველზე რაიმე დისკრიმინაციის გარეშე;

იღებენ გადაწყვეტილებას, შესაბამისი დაწესებულებების შექმნითა და ღონისძიებების მიღებით, მიმართონ თავიანთი ძალისხმევა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ღონის გაუმჯობესებისა და სოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობისათვის,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები პოლიტიკურ მიზნად ისახვენ ყველა შესაბამისი ეროვნული თუ საერთაშორისო საშუალებებით შექმნან პირობები შემდეგი უფლებებისა და პრინციპების ეფექტურად განხორციელებისათვის:

1. ყველას აქვს უფლება გამოიმუშავოს საკუთარი ნებით დაკავებული თანამდებობით საარსებო სახსრები;
2. ყველა მოსამსახურეს აქვს უფლება ჰქონდეს შრომის სამართლიანი პირობები;
3. ყველა მოსამსახურეს აქვს უფლება ისარგებლოს შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობებით;
4. ყველა მოსამსახურეს აქვს უფლება მისი და მისი ოჯახის ცხოვრების ღირსეული დონის უზრუნველსაყოფად მიიღოს აუცილებელი სამართლიანი ანაზღაურება;
5. მოსამსახურეებსა და დამქირავებლებს აქვთ უფლება თავიანთი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად გაერთიანდნენ ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში;
6. მოსამსახურეებსა და დამქირავებლებს აქვთ უფლება დადონ კულტურული შეთანხმებები;
7. ბავშვები და ახალგაზრდები სარგებლობენ ფიზიკური და მორალური ზიანის საშიშროებისაგან განსაკუთრებული დაცვის უფლებით;
8. ყველა მოსამსახურე ქალი, დედობის ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებით, და სხვა მოსამსახურე ქალები, შესაბამის შემთხვევაში, საკუთარ სამუშაო ადგილას სარგებლობენ განსაკუთრებული დაცვის უფლებით;
9. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს შესაბამისი პროფესიული სახელმძღვანელო საშუალებებით, რომლებიც დაეხმარება მისი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისი საქმიანობის არჩევაში.
10. ყველას აქვს უფლება ჰქონდეს წვრთნისათვის შესაფერისი საშუალებები;
11. ყველას აქვს უფლება მიიღოს სარგებელი ნებისმიერი ღონისძიებებისაგან, რომელიც აძლევს მას ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო და მიღწევადი სტანდარტებით სარგებლობის საშუალებას;
12. ყველა მოსამსახურესა და მათ კმაყოფაზე მყოფ პირებს აქვთ სოციალური დაზღვევის უფლება;

13. ყველას, მიუხედავად ადეკვატური შესაძლებლობებისა, აქვს უფლება მიიღოს სოციალური და სამედიცინო დახმარება;
14. ყველას აქვს სოციალური მომსახურებით სარგებლობის უფლება;
15. ინვალიდებს აქვთ პროფესიული წვრთნის, რეაბილიტაციისა და ხელახალი განთავსების უფლება, უუნარობის წარმოშობისა და ხარისხის შესაბამისად;
16. ოჯახს, როგორც საზოგადოების ძირითად უჯრედს, აქვს მისი სრული განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელი სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვის უფლება;
17. დედები და ბავშვები. მიუხედავად მათი ოჯახური მდგომარეობისა და კავშირებისა, სარგებლობენ შესაბამისი სოციალური და ეკონომიკური დაცვით.
18. ხელშეკრულების მონაწილე ერთი სახელმწიფოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ეწეოდნენ ანაზღაურებად შრომით საქმიანობას ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მათი მოქალაქეებს თანაბრად, საპატიო (მისაღებ) სოციალურ და ეკონომიკურ მიზეზებზე დაფუძნებული შეზღუდვების შესაბამისად;
19. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების მოქალაქე მიგრანტ მოსამსახურეთა (მუშეხა) და მათი ოჯახის წევრებს აქვთ უფლება მიაღწიონ დაცვა და დახმარება ხელშეკრულებაში მონაწილე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ნაწილი III

ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებში, III ნაწილის თანახმად, იღებენ მატერიალურ შეწყვეტითა და მარაგწაფებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

მუხლი I. — შრომის უფლება

შრომის უფლების ყველაზეტი განხორციელების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების მონაწილე მხრეები ვალდებულიან იღებენ:

1. უზრუნველყონ სრულად აღზრდილების მიზნით, უპირველეს მხრად და მოუვლელად დასაცემ დასაქმების შეძლებისდაგვარად მაღალი და სტაბილური დონის წილიწევა;
2. ყველაზეტი დაიცვან ყველა მისამსახურის უფლება — საკუთარი ნებით დაკავებული თანამდებობით გამოიძევათ საარსებო საშუალება;

3. შემოიღონ ან შეინარჩუნონ ყველა მოსამსახურისათვის უფასო სადამკირავებლო მომსახურება;
4. უზრუნველყონ (ხელი შეუწყონ) პროფესიული ხელმძღვანელობის, წვრთნისა ან რეაბილიტაციის დანერგვას ან მის განვითარებას.

მუხლი 2 – უფლება შრომის სამართლიან პირობებზე

შრომის სამართლიანი პირობებით სარგებლობის უფლების ეფექტურად განხორციელებისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულიებას იღებენ:

1. უზრუნველყონ დღიური და ყოველკვირეული სამუშაო საათების კეთილგონივრული ხანგრძლივობა, სამუშაო კვირის თანდათანობითი შემცირება იმ მოცულობით, რომლის საშუალებასაც შრომისნაყოფიერების ზრდა და მასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორები იძლევა;
2. შესაბამისი ანაზღაურებით უზრუნველყონ დასვენება საზოგადოებრივ უქმე დღეებში;
3. უზრუნველყონ, სულ მცირე, ორკვირიანი ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება;
4. უზრუნველყონ დამატებითი ანაზღაურებადი შვებულებები ან შეამცირონ სამუშაო საათების ხანგრძლივობა მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან ჯანმრთელობისთვის სახიფათო და მავნე პირობებიან სამუშაოზე, რომელთა ჩამონათვალიც განსაზღვრულია;
5. უზრუნველყონ ყოველკვირეული დასვენება შეძლებისდაგვარად იმ დღეს, რომელიც ქვეყანაში დამკვიდრებულია ტრადიციის ან, ჩვეულებრივ, მიჩნეულია დასვენების დღედ.

მუხლი 3 – უფლება შრომის უსაფრთხო და ჯანსაღ პირობებზე

შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობებით სარგებლობის უფლების ეფექტური განხორციელებისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულიებას იღებენ:

1. შეიმუშაონ შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების დაცვის წესები (შრომის დაცვის წესები);
2. უზრუნველყონ ზედამხედველობა ზემოაღნიშნული წესების განხორციელებაზე;
3. შესაბამის შემთხვევაში ჩაატარონ კონსულტაციები დამკირაველთა და მუშა-მოსამსახურეთა ორგანიზაციებთან საწარმოში შრომის

უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების დაცვის გასაუმჯობესებლად დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე.

მუხლი 4 – სამართლიანი ანაზღაურების უფლება

სამართლიანი ანაზღაურების უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ:

1. აღიარონ მუშა-მოსამსახურეთა უფლება ანაზღაურებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მათი და მათი ოჯახების ცხოვრების ღირსეულ ღონეს;
2. აღიარონ მუშა-მოსამსახურეთა უფლება – მიიღონ მეტი ანაზღაურება ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა;
3. აღიარონ ქალი და მამაკაცი მუშა-მოსამსახურეების უფლება თანაბარი შრომის ანაზღაურებაზე;
4. აღიარონ მუშა-მოსამსახურეთა უფლება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ დროის კეთილგონივრულ მონაკვეთში შეტყობინების თაობაზე;
5. დაუშვან დაქვითვები ხელფასიდან მხოლოდ ეროვნული კანონებით ან სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ ან კოლექტიური ხელშეკრულებებით ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებით დადგენილ პირობასა და ფარგლებში;

აღნიშნული უფლებები უნდა განხორციელდეს ნებაყოფლობით დადებული კოლექტიური ხელშეკრულებების, ხელფასის განსაზღვრის კანონით გათვალისწინებული მექანიზმის ან, ეროვნული პირობებიდან გამომდინარე სხვა სათანადო ღონისძიებების მეშვეობით.

მუხლი 5 – გაერთიანების უფლება

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას აღიარონ მუშა-მოსამსახურეთა და დამქირავებელთა თავისუფლება – საკუთარი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად შექმნან და გაერთიანდნენ ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციებში – ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ, რომ ეროვნული კანონმდებლობით არ შეზღუდავენ აღნიშნულ თავისუფლებას ან არ გამოიყენებენ ეროვნულ კანონმდებლობას ისე, რომ ეს თავისუფლება შეიზღუდოს. ამ მუხლით გათვალისწინებული გარანტიები პოლიციის მიმართ გამოიყენება ეროვნული კანონებითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოცულობით. შეიარაღებული

ძალების მიმართ აღნიშნული გარანტიების გამოყენება და მოცულობა, რომლითაც ისინი გამოიყენება ამ კატეგორიას მიკუთვნებული პირების მიმართ, ასევე განისაზღვრება ეროვნული კანონებითა და სხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით.

მუხლი 6 – კოლექტიური შეთანხმების უფლება

კოლექტიური შეთანხმებების დადების უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ:

1. ხელი შეუწყონ მუშა-მოსამსახურეთა და დამქირავებელთა შორის საკონსულტაციო მოლაპარაკებების წარმოებას;
2. აუცილებელ და შესაფერის შემთხვევაში ხელი შეუწყონ დამქირავებლებს ან მათ ორგანიზაციებსა და მუშა-მოსამსახურეთა ორგანიზაციებს შორის ნებაყოფლობითი მოლაპარაკებების მექანიზმის შექმნას, კოლექტიური შეთანხმებების მეშვეობით შრომის პირობებისა და გარემოებების რეგულირების მიზნით.
3. შრომითი დაკების გადასაწყვეტად ხელი შეუწყონ მორიგებისა და ნებაყოფლობითი არბიტრაჟის შესაფერისი მექანიზმის შექმნასა და გამოყენებას;

და აღიარონ:

4. მუშა-მოსამსახურეთა და დამქირავებელთა უფლება ინტერესთა კონფლიქტის დროს მიმართონ ერთობლივ ღონისძიებებს გაფიცვის ჩათვლით, დადებული კოლექტიური შეთანხმებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესაბამისად.

მუხლი 7 – ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვის უფლება

ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის დაცვის უფლების ეფექტური განხორციელებისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ:

1. უზრუნველყონ, რომ მინიმალურ სამუშაო ასაკად მიჩნეულ იქნას 15 წელი, იმ ბავშვების გარდა, რომლებიც ასრულებენ მსუბუქ სამუშაოს, რომელიც ზიანს არ აყენებს მათ ჯანმრთელობას, ზნეობას ან განათლების პროცესს.
2. უზრუნველყონ, რომ მაქსიმალური სამუშაო ასაკი განისაზღვროს დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, სამუშაო პირობების საშიშროებისა და მავნეობის ხარისხის მიხედვით;
3. უზრუნველყონ, რომ პირები, რომლებიც იღებენ სავალდებულო განათლებას, არ იქნენ მიღებული ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც გამოიწვევს მათ მოწყვეტას სრული სამუშაო პროცესიდან;

4. უზრუნველყონ, რომ 16 წლამდე ასაკის პირთათვის სამუშაო საათების რაოდენობა შეიზღუდოს მათი განვითარების, კერძოდ, პროფესიული წვრთნისათვის საჭირო დროის შესაბამისად;
5. აღიარონ ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეებისა და შეგირდების უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე ან სხვა შესაბამის ფულად დახმარებაზე;
6. უზრუნველყონ, რომ ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეებს მათ მიერ სამუშაო საათებში დახარჯული დრო, დამქირაველის თანხმობით, ჩათვალოთ სამუშაო დღის ნაწილად;
7. უზრუნველყონ, რომ 18 წლამდე ასაკის მუშა-მოსამსახურეებს ჰქონდეთ ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების უფლება ვადით არა უმცირეს სამი კვირისა;
8. უზრუნველყონ, რომ 18 წლამდე ასაკის პირები არ იქნენ დაშვებული დამის სამუშაოებზე, ეროვნული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სამუშაოების გარდა;
9. უზრუნველყონ, რომ 18 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც ეროვნული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შრომით საქმიანობას ეწევიან, დაექვემდებარონ რეგულარულ სამედიცინო შემოწმებას;
10. უზრუნველყონ ბავშვები და არასრულწლოვანები ფიზიკური და მორალური ზიანისაგან განსაკუთრებული დაცვით, კერძოდ, თუ ეს ზიანი პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეობს მათი საქმიანობის ხასიათიდან.

მუხლი 8 – მუშა-მოსამსახურე ქალების უფლება – იყვნენ დაცული მუშა-მოსამსახურე ქალების დაცვის უფლების ეფექტური განხორციელებისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულებას იღებენ:

1. უზრუნველყონ ქალები შვებულებით ორსულობისა და მშობიარობის გამო მთლიანობაში ანაზღაურებადი შვებულების არა უმცირეს 12 კვირისა, სოციალური დაცვის ან საზოგადოებრივი ფონდიდან გაღებული სახსრების მეშვეობით;
2. მიიჩნიონ უკანონოდ დამქირაველის მიერ გათავისუფლების შესახებ ქალისათვის შეტყობინების გაგზავნა ორსულობის ან მშობიარობის გამო მისი შვებულებაში ყოფნის პერიოდში ან, თუ შეტყობინების ვადა იწურება, აღნიშნულ პერიოდში;
3. უზრუნველყონ დედები ჩვილი ბავშვის კვებისათვის შესაბამისი ხანგრძლივობის დასვენებით;

- a) დაარეგულირონ სამრეწველო საწარმოებში ღამის სამუშაოებზე ქალთა დაქირავების პირობები;
- b) აკრძალონ ქალის შრომა მიწისქვეშა და, შესაბამის შემთხვევაში, ყველა სხვა სახის სახიფათო ჯანმრთელობისათვის საშიშ ან მძიმე სამუშაოზე;

მუხლი 9 – პროფესიული ხელმძღვანელობის უფლება

პროფესიული ხელმძღვანელობის უფლების ეფექტური განხორციელების მიზნით, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ შემოიღონ ან ხელი შეუწყონ სავალდებულო მომსახურებას, რომელიც დაეხმარება ყველა ადამიანს, ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანების ჩათვლით, პროფესიის არჩევასა და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში პიროვნების დამახასიათებელი თვისებებისა და თანამდებობასთან მათი შესაბამისობის მხედველობაში მიღებით: ეს დახმარება უფასოა როგორც არასრულწლოვანების, მათ შორის სკოლის მოსწავლეების, ისე ზრდასრული ადამიანებისათვის.

მუხლი 10 – პროფესიული წვრთნის უფლება

პროფესიული წვრთნის უფლების ეფექტური განხორციელების მიზნით, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ:

1. შემოიღონ ან განავითარონ ტექნიკური და პროფესიული წვრთნა ყველა ადამიანისათვის, ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანების ჩათვლით, დამქირავებელთა და მუშა-მოსამსახურეთა ორგანიზაციებთან კონსულტაციით და უზრუნველყონ საშუალებები უმაღლესი ტექნიკური და საუნივერსიტეტო განათლების ხელმისაწვდომობისათვის, პიროვნების მიდრეკილებებისა და უნარის შესაბამისად.
2. სხვადასხვა პროფესიის არასრულწლოვანი ბიჭებისა და გოგონების წვრთნის მიზნით, შემოიღონ ან განავითარონ მოსწავლეობის სისტემა ან სხვა სისტემატური ღონისძიებები;
3. სავალდებულო სახით შემოიღონ ან განავითარონ:
 - a) შესაბამისი და მზა საწვრთნელი საშუალებები ზრდასრული მუშა-მოსამსახურეებისათვის;
 - b) სპეციალური საშუალებები ზრდასრული მუშა-მოსამსახურეების გადამზადებისათვის, ტექნოლოგიური განვითარებისა და ახალი სადამქირავებლო ტენდენციების შესაბამისად;
4. წაახალისონ ყველა არსებული საშუალების სრული გამოყენება შესაბამისი ზომების მიღებით, როგორცაა:

- a) შესატანის ან ღირებულების შემცირება ან გაუქმება;
- b) შესაბამის შემთხვევაში ფინანსური დახმარების გაწევა;
- c) მუშაობის პერიოდში მუშა-მოსამსახურის მიერ დაპქირავებლის მოთხოვნით დამატებითი წერთნის დროს დახარჯული დროის ჩათვლა ნორმალურ სამუშაო საათებში;
- d) შესაბამისი ზედამხედველობით და დამქირავებელთა და მუშა-მოსამსახურეთა ორგანიზაციებთან კონსულტაციით არასრულწლოვანი (ახალგაზრდა) მუშაკებისათვის მოსწავლეობის და სხვაგვარი საწერთნელი ღონისძიებების ეფექტურობის უზრუნველყოფა და ზოგადად, ახალგაზრდა მუშაკების სათანადო დაცვა.

მუხლი 11 – ჯანმრთელობის დაცვის უფლება

ჯანმრთელობის დაცვის უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულებას იღებენ უშუალოდ ან სხვა საზოგადოებრივ თუ კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მიიღონ შესაბამისი ზომები, რომელთა მიზანია, ინტერ ალია:

1. ავადმყოფობის შემთხვევების შეძლებისდაგვარი აღმოფხვრა;
2. საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საშუალებების უზრუნველყოფა ჯანმრთელობის დასაცავად და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებში პიროვნული პასუხისმგებლობის წახალისება;
3. ეპიდემიური, ენდემური და სხვა ავადმყოფობების შეძლებისდაგვარად თავიდან აცილება.

მუხლი 12 – სოციალური უზრუნველყოფის უფლება

სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტური განხორციელებისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულებას იღებენ:

1. შექმნან ან შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა;
2. შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა დამაკმაყოფილებელ დონეზე, უკიდურეს შემთხვევაში, – იმ მოთხოვნებთან შესაბამისობით მაინც, რომლებიც დაწესებულია სოციალური უზრუნველყოფის მინიმალური სტანდარტების შესახებ საერთაშორისო შრომის კონვენციის (№ 102) რატიფიცირებისათვის;
3. მიმართონ თავიანთი ძალისხმევა სოციალური უზრუნველყოფის სისტემის უფრო და უფრო მაღალი დონის მისაღწევად;

4. შესაბამისი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების დადებით ან სხვა საშუალებებით, მიიღონ აღნიშნული შეთანხმებებით გათვალისწინებული ზომები, რათა უზრუნველყონ:
 - a) ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარის მოქალაქეების თანაბარი მოპყრობა სოციალური უზრუნველყოფის უფლებასთან დაკავშირებით, მათ შორის სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობით გათვალისწინებული სარგებლის შენახვა, მიუხედავად ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ტერიტორიაზე აღნიშნულ პირთა გადაადგილებისა;
 - b) სოციალური უზრუნველყოფის უფლების შემოღება, შენარჩუნება და განახლება ისეთი ღონისძიებებით, როგორებიცაა: დაზღვევისა და შრომითი სტაჟის აკუმულირება ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13 – სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება
 სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლების ეფექტური განხორციელებისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულიება იღებენ:

1. უზრუნველყონ, რომ ნებისმიერ პირს, რომელსაც არ გააჩნია სათანადო სახსრები და არ შეუძლია მიიღოს ეს სახსრები საკუთარი ძალისხმევით ან სხვა წყაროებიდან, კერძოდ, სოციალური უზრუნველყოფის ფორმით გაცემული სარგებლის სახით, გაეწიოს სათანადო დახმარება და ავადმყოფობის შემთხვევაში, - მისი მდგომარეობის შესაბამისი მზრუნველობა;
2. უზრუნველყონ, რომ პირებს, რომლებიც იღებენ აღნიშნულ დახმარებას, ამ მიზეზით არ შეუმცირდეთ პოლიტიკური ან სოციალური უფლებები;
3. უზრუნველყონ, რომ თითოეულს შეეძლოს საზოგადოებრივი და კერძო მომსახურებით ისეთი კონსულტაციისა და პერსონალური დახმარების მიღება, რომელიც საჭიროა პერსონალური ან ოჯახური უსახსრობის თავიდან აცილების, აღმოფხვრის ან შემსუბუქებისათვის;
4. თავიანთი მოქალაქეებისა და ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეების მიმართ, თავიანთ ტერიტორიაზე, გამოიყენონ ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებები თანაბარ საწყისებზე, კანონიერად, 1953 წლის 11 დეკემბერს პარიზში ხელმოწერილი სოციალური და სამედიცინო დახმარების შესახებ ევროპის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

მუხლი 14 – სოციალური მომსახურებით სარგებლობის უფლება
სოციალური მომსახურებით სარგებლობის უფლების ეფექტური
განხორციელებისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები
ვალდებულებას იღებენ:

1. განავითარონ ან შემოიღონ მომსახურება, რომელიც სოციალური შრომის მეთოდების გამოყენებით ხელს შეუწყობს პიროვნებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების კეთილდღეობასა და განვითარებას, და სოციალურ გარემოსთან მათი შეგუება;
2. წახალისონ პიროვნებისა და მოხალისე ან სხვა ორგანიზაციების მონაწილეობა აღნიშნული მომსახურების შექმნასა და შენარჩუნებაში.

მუხლი 15 – ფიზიკურად და გონებრივად არასრულფასოვანი პირების პროფესიული წვრთნის, რეაბილიტაციისა და სოციალური ადაპტაციის უფლება

ფიზიკურად და გონებრივად არასრულფასოვანი პირების პროფესიული წვრთნის, რეაბილიტაციისა და სოციალური ადაპტაციის უფლების ეფექტური განხორციელებისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულებას იღებენ:

1. განახორციელონ სათანადო ზომები საწვრთნელი საშუალებების, მათ შორის, სადაც ეს საჭიროა, სპეციალიზებული საზოგადოებრივი ან კერძო დაწესებულებების, შესაქმნელად;
2. განახორციელონ სათანადო ზომები არასრულფასოვანი პირების დასაქმების მიზნით, როგორებიცაა: სპეციალიზებული სამსახურების, თავშესაფრებში შრომის საშუალებების დანერგვა და დამქირავებელთა წახალისება - მიიღონ ინვალიდები სამსახურში.

მუხლი 16 – ოჯახის სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვის უფლება

ოჯახის, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედის, განვითარებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულებას იღებენ ხელი შეუწყონ ოჯახური ცხოვრების ეკონომიკურ, სამართლებრივ და სოციალურ დაცვას ისეთი საშუალებებით, როგორებიცაა: სოციალური და საოჯახო დახმარებები, ფისკალური ღონისძიებები, ოჯახების ბინებით უზრუნველყოფა, დახმარებები ახალდაქორწინებულთათვის და სხვა.

მუხლი 17 – დედათა და ბავშვთა სოციალური და ეკონომიკური დაცვის უფლება

დედათა და ბავშვთა სოციალური და ეკონომიკური დაცვის უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მიმართავენ ყველა შესაფერის და აუცილებელ ზომას, შესაბამისი დაწესებულებების ან მომსახურების შემოღების ან შენარჩუნების ჩათვლით.

მუხლი 18 – ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის უფლება ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარის ტერიტორიაზე ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარის ტერიტორიაზე ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ:

1. გამოიყენონ არსებული ზომები ლიბერალიზმის სულისკვეთებით;
2. გაამარტივონ არსებული ფორმალობები და შეამცირონ ან გააუქმონ ცპანცერყ დუეს და სხვა გადასახადები უცხოელი მუშა-მოსამსახურეებისა და მათი დაქირავებულებისათვის;
3. მოახდინონ უცხოელი მუშა-მოსამსახურეების დაქირავების მარეგულირებელი ნორმების ლიბერალიზაცია ინდივიდუალურად ან კოლექტიურად; და აღიარონ;
4. მათი მოქალაქეების უფლება დატოვონ საკუთარი ქვეყანა ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარის ტერიტორიაზე ანაზღაურებად შრომით საქმიანობაში ჩაბმის მიზნით.

მუხლი 19 – მიგრანტი მუშებისა და მათი ოჯახების დაცვისა და დახმარების უფლება

ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარის ტერიტორიაზე მიგრანტი მუშებისა და მათი ოჯახების დაცვისა და დახმარების უფლებით ეფექტური სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ:

1. შეინარჩუნონ ან დარწმუნდნენ, რომ შენარჩუნებული აქვთ ადეკვატური და უფასო მომსახურება ასეთი მუშების დასახმარებლად, კერძოდ, ზუსტი და მართებული ინფორმაციის მიღების მიზნით და მიიღონ ყველა შესაფერისი ზომა, რომელიც გათვალისწინებულია მათი ეროვნული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით, ემიგრაციისა და იმიგრაციის შესახებ შეცდომაში შემყვანი პროპაგანდის წინააღმდეგ;

2. თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში მიიღონ შესაბამისი ზომები ასეთი მუშებისა და მათი ოჯახების გამგზავრების, მგზავრობისა და მიღების ხელშეწყობის მიზნით და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში უზრუნველყონ ისინი სათანადო მომსახურებით, სამედიცინო დახმარებითა და მგზავრობის განმავლობაში კარგი ჰიგიენური პირობებით;
3. ხელი შეუწყონ ემიგრაციისა და იმიგრაციის ქვეყნების კერძო და საჯარო სოციალურ სამსახურებს შორის შესაფერის თანამშრომლობას;
4. ასეთი მუშებისათვის უზრუნველყონ თავიანთი მოქალაქეების თანაბარი მოპყრობა კანონიერად, თავიანთი ტერიტორიის ფარგლებში იმდენად, რამდენადაც ეს საკითხები რეგულირდება მათი საკანონმდებლო ან სხვა ნორმატიული აქტებით ან ექვემდებარება ხელისუფლების ორგანოთა კონტროლს, შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:
 - a) ანაზღაურება და სხვა სადამქირაველო და შრომის პირობები;
 - b) პროფესიული კავშირების წევრობა და კოლექტიური შეთანხმებებით მიღებული სარგებელი;
 - c) ცხოვრების პირობები;
5. ასეთი მუშებისათვის უზრუნველყონ თავიანთი მოქალაქეების თანაბარი მოპყრობა კანონიერად, თავიანთი ტერიტორიის ფარგლებში, დაქირავებულ პირებთან დაკავშირებულ შრომით გადასახადებთან, მოსაკრებლებთან ან შენატანებთან მიმართებაში;
6. ხელი შეუწყონ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იმ უცხოელი მუშის ოჯახის კვლავ გაერთიანებას, რომელსაც მათ ტერიტორიაზე დაფუძნების ნება დაერთო;
7. ასეთი მუშებისათვის უზრუნველყონ თავიანთი მოქალაქეების თანაბარი მოპყრობა კანონიერად, თავიანთი ტერიტორიის ფარგლებში, ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებულ პროცესუალურ მოქმედებებთან მიმართებაში;
8. უზრუნველყონ, რომ არ მოხდეს მათ ტერიტორიაზე კანონიერად მყოფი ასეთი მუშების გაძევება, თუ ისინი არ უქმნიან საფრთხეს ეროვნულ უშიშროებას ან არ ჩაიდენენ საზოგადოებრივი ინტერესების ან ზნეობის საწინააღმდეგო სამართალდარღვევას;
9. დაუშვან, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში, მუშა-მოსამსახურეთა სურვილისამებრ მათი გამომუშავებისა და დანაზოგების ნაწილის გადარიცხვა;

10. გააფართოვონ ამ მუხლით გათვალისწინებული დაცვა და დახმარება თვითდასაქმებული მიგრანტებისათვის იმდენად, რამდენადაც ეს ზომები გამოიყენება.

ნაწილი III

მუხლი 20 - ვალდებულებები

1. ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულებას იღებს:
 - a) განიხილოს ამ ქარტიის პირველი ნაწილი, როგორც იმ მიზნების დეკლარაცია, რომლებსაც ის განახორციელებს ყველა შესაბამისი საშუალებით, როგორც ეს გამოცხადებულია აღნიშნული ნაწილის შესავალ პუნქტში;
 - b) სავალდებულოდ მიიღოს ამ ქარტიის II ნაწილის, სულ მცირე, ხუთი მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები შემდეგი მუხლებიდან: პირველი, მე-5, მე-6, მე-12, მე-13, მე-16 და მე-19;
 - c) ამ პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად მის მიერ შერჩეული მუხლების გარდა, სავალდებულოდ მიიღოს ამ ქარტიის II ნაწილის სხვა მუხლები და ნუმერაციის მქონე პუნქტები, საკუთარი შეხედულებისამებრ, ისე, რომ აღნიშნული მუხლებისა და პუნქტების საერთო რაოდენობა არ იყოს ათზე ნაკლები - მუხლების შემთხვევაში და ორმოცდახუთზე ნაკლები - ნუმერაციის მქონე პუნქტების შემთხვევაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ" და "ც" ქვეპუნქტების შესაბამისად შერჩეული მუხლებისა და პუნქტების სია ვგზავნება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ხელშეკრულების მონაწილე მხარის მიერ რატიფიცირების ან მოწონების დოკუმენტის დეპონირებისას.
3. ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი შეტყობინებით განაცხადოს, რომ ამ ქარტიის II ნაწილის ნებისმიერ იმ მუხლს ან ნუმერაციის მქონე პარაგრაფს მისთვის სავალდებულოდ თვლის, რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არ უღიარებია. ასეთი ვალდებულება წარმოადგენს რატიფიცირების ან მოწონების განუყოფელ ნაწილს და შესაბამისი ძალა ენიჭება შეტყობინების გაგზავნიდან ოცდამათუ დღეს.
4. გენერალური მდივანი ხელმომწერ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო შრომის ოფისის გენერალურ დირექტორს უგზავნის ინფორმაციას ქარტიის ამ ნაწილის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების შესახებ.

5. ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე ინარჩუნებს შრომის ინსპექციის სისტემას თავისი ეროვნული პირობების შესაბამისად.

ნაწილი IV

მუხლი 21 - ანგარიშები მიღებული დებულებების შესახებ
ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ორწლიანი ინტერვალით უგზავნიან ანგარიშს ამ ქარტიის II ნაწილის იმ დებულებების გამოყენების თაობაზე, რომლებიც მათ მიიღეს. ანგარიშის ფორმას ადგენს მინისტრთა კომიტეტი.

მუხლი 22 - ანგარიშები იმ დებულებების შესახებ, რომლებიც არ არის მიღებული

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მინისტრთა კომიტეტის მიერ დაწესებული ინტერვალით გენერალურ მდივანს უგზავნიან ანგარიშებს ამ ქარტიის II ნაწილის იმ დებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც არ მიუღიათ ქარტიის რატიფიცირების ან მოწონების დროს ან შემდგომი შეტყობინებით. მინისტრთა კომიტეტი დროდადრო განსაზღვრავს რომელ დებულებებთან დაკავშირებით და როგორი ფორმით უნდა იქნას წარმოდგენილი ასეთი ანგარიშები.

მუხლი 23 - ასლების გაგზავნა

1. ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე ამ ქარტიის 21-ე და 22-ე მუხლების შესაბამისად წარდგენილი ანგარიშების ასლებს უგზავნის დამქირაველთა იმ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პროფკავშირების წევრ ეროვნულ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ ქარტიის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიწვეული არიან სამთავრობო სოციალური კომიტეტის ქვეკომიტეტის სხდომებზე.
2. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები გენერალურ მდივანს უგზავნიან კომენტარებს, რომლებიც მიიღეს ზემოაღნიშნული ანგარიშების თაობაზე ეროვნული ორგანიზაციებისაგან, თუ ეს კომენტარები მათ მიერ გამოთხოვილი იყო.

მუხლი 24 - ანგარიშების გამოკვლევა
ამ ქარტიის 21-ე და 22-ე მუხლების შესაბამისად გენერალური მდივანისადმი გაგზავნილ ანგარიშებს იკვლევს ექსპერტთა კომიტეტი, რომლის განკარგულებამაც იმყოფება აგრეთვე ამ ქარტიის 23-ე მუხლის

მე-2 პუნქტის შესაბამისად გენერალური მდივნისადმი გადაგზავნილი კომენტარები.

მუხლი 25 - ექსპერტთა კომიტეტი

1. ექსპერტთა კომიტეტი შედგება არა უმეტეს შვიდი წევრისაგან, რომლებსაც ნიშნავს მინისტრთა კომიტეტი ხელშეკრულების მონაწილე მხარეების მიერ წარდგენილი მაღალი მორალური თვისებებისა და საერთაშორისო სოციალურ საკითხებში აღიარებული კომპეტენციის მქონე დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან.
2. კომიტეტის წევრები ინიშნებიან ექვსი წლის ვადით. ისინი შეიძლება ხელმეორედ დანიშნონ. პირველად დანიშნული წევრებიდან ორი მათგანის უფლებამოსილების ვადა იწურება ოთხი წლის შემდეგ.
3. იმ წევრებს, რომელთა უფლებამოსილების ვადაც პირველი ოთხი წლის შემდეგ იწურება, პირველი დანიშვნების ჩატარებისთანავე წილისყრით ირჩევა მინისტრთა კომიტეტი.
4. ექსპერტთა კომიტეტის წევრი, რომელიც დანიშნულია იმ წევრის ნაცვლად, რომლის უფლებამოსილების ვადაც არ ამოწურულა, თანამდებობაზე იმყოფება წინამორბედის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

მუხლი 26 - საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის მონაწილეობა საერთაშორისო შრომის ორგანიზაცია ნიშნავს საკუთარ წარმომადგენელს ექსპერტთა კომიტეტის სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 27 - სამთავრობო სოციალური კომიტეტის ქვეკომიტეტი

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ანგარიშები და ექსპერტთა კომიტეტის დასკვნები განსახილველად ეგზავნება ევროპის საბჭოს სამთავრობო სოციალური კომიტეტის ქვეკომიტეტს.
2. ქვეკომიტეტი შედგება ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარის ერთი წარმომადგენლისაგან. მის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად ის მეთვალყურედ იწვევს დამჭირავებულთა არა უმეტეს ორ საერთაშორისო ორგანიზაციას და არა უმეტეს ორ საერთაშორისო პროფკავშირს, სათათბირო ხმის უფლებით. ქვეკომიტეტი უფლებამოსილია ევროპის საბჭოს მრჩველის სტატუსის მქონე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების არა უმეტეს ორ წარმომადგენელთან ჩაატაროს კონსულტაციები იმ საკითხებზე, რომლებიც ამ ორგანიზაციების საქმიანობის სფეროში

შედის, როგორცაა, სოციალური კეთილდღეობა და ოჯახის ეკონომიკური და სოციალური დაცვა.

3. ქვეკომიტეტი მინისტრთა კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს საკუთარი დასკვნებით, რომელსაც ერთვის ექსპერტთა კომიტეტის ანგარიში.

მუხლი 28 - საკონსულტაციო ასამბლეა

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ექსპერტთა კომიტეტის დასკვნებს წარუდგენს საკონსულტაციო ასამბლევას. საკონსულტაციო ასამბლეა თავის მოსაზრებებს აღნიშნული დასკვნების შესახებ უგზავნის მინისტრთა კომიტეტს.

მუხლი 29 - მინისტრთა კომიტეტი

მინისტრთა კომიტეტი, წვერთა ხმების ორი-მესამედის უმრავლესობით, უფლებამოსილია, ქვეკომიტეტის ანგარიშის საფუძველზე, საკონსულტაციო ასამბლევასთან კონსულტაციის შემდეგ, ხელშეკრულების მონაწილე მხარეებისათვის მიიღოს რეკომენდაციები.

ნაწილი V

მუხლი 30 - შეზღუდვები ომისა და საგანგებო მდგომარეობის დროს

1. ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, როცა საფრთხე ემუქრება ერის არსებობას, ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს ზომებს, რომლებიც, ამ ქარტიის შესაბამისად, ზღუდავს მის ვალდებულებებს იმ მოცულობით, რომელსაც აუცილებლად მოითხოვს არსებული სიტუაცია, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ზომები არ იყოს შეუთავსებელი საერთაშორისო სამართლის შესაბამისად მხარის სხვა ვალდებულებებთან.
2. ხელშეკრულების მონაწილე თითოეულმა მხარემ, რომელმაც გამოიყენა შეზღუდვის დაწესების უფლება, დროის კეთილგონივრულ მონაკვეთში ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს უნდა მიაწოდოს სრული ინფორმაცია მიღებული ზომებისა და მათი მიღების მიზეზების შესახებ. მხარემ ასეთივე ფორმით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გენერალურ მდივანს აღნიშნული შეზღუდვების მოქმედების ვადის დასრულებისა და ქარტიის იმ დებულებათა კვლავ ამოქმედების შესახებ, რომლებიც მხარეს მიღებული ჰქონდა.
3. გენერალური მდივანი, თავის მხრივ, ინფორმაციას აწვდის ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარეებსა და საერთაშორისო

შრომის ოფისის გენერალურ დირექტორს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ყველა კომუნიკაციის შესახებ.

მუხლი 31 - შეზღუდვები

1. ამ ქარტიის I ნაწილით გათვალისწინებული უფლებებისა და პრინციპების განხორციელებისას და ამ ქარტიის II ნაწილით გათვალისწინებული მათი გამოყენების მექანიზმი არ უნდა დაექვემდებაროს რაიმე შეზღუდვას, რომელიც ამ ნაწილებით არ არის გათვალისწინებული, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების ან საზოგადოებრივი ინტერესების, ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და მორალის დასაცავად.
2. დაუშვებელია უფლებებისა და ვალდებულებების ამ ქარტიით გათვალისწინებული შეზღუდვების გამოყენება რაიმე სხვა მიზნით, გარდა იმისა, რა დანიშნულებითაც არის ისინი შემოღებული.

მუხლი 32 - ურთიერთობა ამ ქარტიასა და შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას

ან საერთაშორისო შეთანხმებებს შორის ამ ქარტიის დებულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ან რომელიმე ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულების, კონვენციის ან შეთანხმების დებულებებს, რომლებიც უკვე ძალაშია ან ძალაში უნდა შევიდეს და აწესებს უკეთესი მოპყრობის პირობებს იმ პირებისათვის, რომელთაც იცავს ეს ქარტია.

მუხლი 33 - განხორციელება კოლექტიური შეთანხმებების საშუალებით

1. წვერი სახელმწიფოებში, სადაც ამ ქარტიის II ნაწილის მე-2 მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების, მე-7 მუხლის მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტების და მე-10 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების დებულებებით გათვალისწინებული საკითხები ჩვეულებრივ რეგულირდება დამქირავებელთა ან დამქირავებელთა ორგანიზაციებსა და მუშა-მოსამსახურეთა ორგანიზაციებს შორის დადებული შეთანხმებებით ან კანონისაგან განსხვავებული რომელიმე სხვა ფორმით, ზემოაღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები ითვლება მიღებულად, ხოლო მათი შესრულება - ეფექტურად, თუ მათი დებულებები ხორციელდება ამ შეთანხმებების ან სხვა ღონისძიებების

ნაწილი V

მუხლი 33

2. წევრ სახელმწიფოებში, სადაც აღნიშნული დებულებები, ჩვეულებრივ, გათვალისწინებულია კანონმდებლობით, შესაბამისი ვალდებულებები შეიძლება ჩაითვალოს მიღებულად და მათი შესრულება – ეფექტურად, თუ ეს დებულებები, კანონის მიხედვით, გამოიყენება მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობის მიმართ.

მუხლი 34 – ტერიტორიული გამოყენება

1. ეს ქარტია გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარის მეტროპოლიურ (ცენტრალურ) ტერიტორიაზე. თითოეულ ხელისმომწერ სახელმწიფოს შეუძლია ქარტიის ხელმოწერის ან მისი რატიფიცირების ან მოწონების დოკუმენტის დეკონირების დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი განცხადებით განსაზღვროს ტერიტორია, რომელსაც იგი განიხილავს თავის მეტროპოლიურ ტერიტორიად ამ მიზნისათვის.
2. ხელშეკრულების მონაწილე თითოეულ მხარეს შეუძლია ამ ქარტიის რატიფიცირების ან მოწონების ან შემდგომ, ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი შეტყობინებით, გამოაცხადოს, რომ ქარტიის მოქმედება ვრცელდება მთლიანად ან ნაწილობრივ არამეტროპოლიურ ან განცხადებით განსაზღვრულ იმ ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის აგებს პასუხს ან, რომელთათვისაც იღებს საერთაშორისო პასუხისმგებლობას. აღნიშნულ განცხადებაში მხარემ უნდა მიუთითოს ქარტიის II ნაწილის ის მუხლები ან პუნქტები, რომლებსაც ის განიხილავს როგორც სავალდებულოს განცხადებით განსაზღვრულ ტერიტორიებთან მიმართებაში.
3. ამ ქარტიის მოქმედება ზემოხსენებული განცხადებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე ვრცელდება გენერალური მდივნის მიერ აღნიშნული განცხადების შემცველი შეტყობინების მიღების ოცდამეათე დღიდან.
4. ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ მხარეს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი შეტყობინებით, შეუძლია მოგვიანებით განაცხადოს, რომ იმ ტერიტორიებთან მიმართებაში, რომლებზეც ქარტიის მოქმედება გავრცელდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ის ცნობს ნებისმიერი იმ მუხლისა და

ნუმერაციის მქონე პუნქტის სავალდებულო ძალას, რომელიც ჯერ არ მოქმედებს აღნიშნულ ტერიტორიებთან მიმართებაში. მოგვიანებით ნაკისრი ეს ვალდებულებები ითვლება მოცემულ ტერიტორიასთან დაკავშირებული პირველი განცხადების განუყოფელ ნაწილად და იძენს შესაბამის ძალას შეტყობინებიდან ოცდამეათე დღეს.

5. გენერალური მდივანი სხვა ხელისმომწერ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო შრომის ოფისის გენერალურ დირექტორს უგზავნის ამ მუხლის შესაბამისად მიღებულ ყველა შეტყობინებას..

მუხლი 35 – ხელმოწერა, რატიფიცირება და ძალაში შესვლა

1. ეს ქარტია ხელმოსაწერად ღიაა ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის. ის ექვემდებარება რატიფიცირებას ან მოწონებას. რატიფიცირების ან მოწონების დოკუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.
2. ეს ქარტია ძალაში შედის მისი რატიფიცირების ან მოწონების მეთხუთმეტე დოკუმენტის დეპონირების დღიდან ოცდამეათე დღეს.
3. ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც ქარტიის რატიფიცირებას მოგვიანებით მოახდენს, ქარტია ძალაში შედის მისი რატიფიცირების ან მოწონების დოკუმენტების დეპონირების დღიდან ოცდამეათე დღეს.
4. გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს ყველა წევრსა და საერთაშორისო შრომის ოფისის გენერალურ დირექტორს ატყობინებს ქარტიის ძალაში შესვლის თარიღსა და ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარეების შესახებ, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება ან მოიწონეს იგი, აგრეთვე, რატიფიცირების ან მოწონების ნებისმიერი შემდგომი დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

მუხლი 36 – შესწორებები

ევროპის საბჭოს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანისადმი გაგზავნილი, შეუძლია კომუნიკაციით შესთავაზოს შესწორებები ამ ქარტიაში. გენერალური მდივანი შეთავაზებულ შესწორებებს უგზავნის ევროპის საბჭოს დანარჩენ წევრებს, რის შემდეგაც მათ განიხილავს მინისტრთა კომიტეტი და დასკვნისათვის უგზავნის საკონსულტაციო ასამბლეას. მინისტრთა კომიტეტის მიერ მოწონებული ნებისმიერი შესწორება ძალაში შედის ხელშეკრულების მონაწილე მხარეების მიერ მისი მიღების შესახებ გენერალური მდივანისადმი შეტყობინებიდან ოცდამეათე დღეს. გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს ყველა წევრსა და საერთაშორისო

შრომის ოფისის გენერალური დირექტორის ატყობინებს ასეთი შესწორებების ძალაში შესვლის თაობაზე.

მუხლი 37 – დენონსირება

1. ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ამ ქარტიის დენონსირება მისთვის ამ ქარტიის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ ან ყოველი მომდევნო ორწლიანი პერიოდის დასასრულს, თითოეულ შემთხვევაში, - ევროპის კავშირის გენერალური მდივნისადმი ექვსი თვით ადრე შეტყობინების გაგზავნით, რომლის შესახებაც გენერალური მდივანი შესაბამის ინფორმაციას აწვდის დანარჩენ მხარეებსა და საერთაშორისო შრომის ოფისის გენერალური დირექტორს. ასეთი დენონსირება ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარეების მიმართ გავლენას არ ახდენს ქარტიის ნამდვილობაზე, თუ მათი რიცხვი არ აღმოჩნდა ხუთზე ნაკლები.
2. ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ მხარეს, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეუძლია მოახდინოს ამ ქარტიის II ნაწილის ნებისმიერი, მის მიერ მიღებული მუხლის ან პუნქტის დენონსირება იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მხარისათვის სავალდებულო ძალის მქონე მუხლების რიცხვი არ იყოს ათზე, ხოლო სავალდებულო ძალის მქონე პუნქტების რიცხვი – ორმოცდახუთზე ნაკლები და ამ მუხლებისა და პუნქტების რიცხვში შედიოდეს ის მუხლები და პუნქტები, რომელთა შესახებ ამ ქარტიის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტში გაკეთებულია საგანგებო მითითება.
3. ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია ამ ქარტიის ან მისი II ნაწილის ნებისმიერი მუხლის ან პუნქტის დენონსირება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ნებისმიერ იმ ტერიტორიასთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც ეს ქარტია გამოიყენება 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადების ძალით.

მუხლი 38 – დანართი

ამ ქარტიის დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად, ქვემოთ ხელისმომწერმა სათანადოდ უფლებამოსილმა პირებმა ხელი მოაწერეს ამ ქარტიას.

შესრულებულია ტურინში, 1961 წლის 18 ოქტომბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე თანაბრად ავთენტურ ტექსტებად, ერთ ვგზემპლარად, რომელიც დეკონირდება ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი თითოეულ ხელისმომწერ მხარეს უგზავნის სათანადოდ დამოწმებულ ასლს.

ევროპის კონვენცია წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილებისათვის

მიღებულია: ევროპის საბჭოს მიერ 1987 წლის 26 ნოემბერს

ძალაშია: 1989 წლის 1 თებერვლიდან

ქვემოთ ხელისმომწერი, ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც მხედველობაში იღებენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დებულებებს;

შეახსენებენ რა, რომ აღნიშნული კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, "არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსები შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს";

აღნიშნავენ რა, რომ ზემოხსენებული კონვენციით გათვალისწინებული მექანიზმი მოქმედებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც აცხადებენ, რომ არიან მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლნი;

დარწმუნებული არიან რა, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირების დაცვა წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელისაგან შეიძლება გაძლიერდეს ვიზიტებზე დაფუძნებული პრევენციული ხასიათის არასამართლებრივი ღონისძიებებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I

მუხლი I

შეიქმნება წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების ევროპის კომიტეტი (შემდგომში კომიტეტი). ვიზიტების საშუალებით კომიტეტმა უნდა გამოიკვლიოს თავისუფლებააღკვეთილ პირთა მდგომარეობა წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან სასჯელისაგან მათი დაცვის სათანადო უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 2

თითოეულმა მონაწილემ, ამ კონვენციის შესაბამისად, დაუშვას ვიზიტები ნებისმიერ ადგილას, სადაც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თავისუფლებააღკვეთილი პირები იმყოფებიან.

მუხლი 3

ამ კონვენციის გამოყენებისას, კომიტეტი და შესაბამისი მხარის ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები ვალდებული არიან ითანამშრომლონ ერთმანეთთან.

თავი II

მუხლი 4

1. კომიტეტის წევრთა რაოდენობა მონაწილე მხარეთა რაოდენობის თანაბარი იქნება.
2. კომიტეტის წევრები აირჩევიან მაღალი მორალური თვისებების მქონე პირებისაგან, რომლებიც ცნობილი არიან მაღალი კომპეტენციით ადამიანის უფლებებში და პროფესიული გამოცდილებით ამ კონვენციით გათვალისწინებულ სფეროში.
3. არ შეიძლება კომიტეტის 2 წევრი ერთი სახელმწიფოს მოქალაქე იყოს.
4. კომიტეტის წევრები იმოქმედებენ პერსონალური პასუხისმგებლობით, იქნებიან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი და ქმედითად მოემსახურებიან კომიტეტს.

მუხლი 5

1. კომიტეტის წევრებს აირჩევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის ბიუროს მიერ წარდგენილი სიიდან; საკონსულტაციო ასამბლეის თითოეულ წევრ ეროვნულ დელეგაციას შეუძლია წამოაყენოს 3 კანდიდატი, რომელთაგან 2 მაინც მისი მოქალაქე უნდა იყოს.
2. იგივე პროცედურა გამოიყენება მოულოდნელად წარმოშობილი ვაკანტური ადგილების დასაკავებლად.
3. კომიტეტის წევრები აირჩევიან 4 წლით. მათი ხელმეორედ არჩევა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ. თუმცა პირველად არჩეულ წევრთა შორის სამს უფლებამოსილების ვადა 2 წლის შემდეგ გაუდის. წევრებს, რომელთა უფლებამოსილების ვადაც პირველი ორი წლის შემდეგ დამთავრდება, პირველი არჩევნების დამთავრებისთანავე წილისყრით გამოავლენს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.

მუხლი 6

1. კომიტეტის სხდომები იქნება დახურული. ქვორუმს შეადგენს წევრთა უმრავლესობა. კომიტეტის გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.
2. კომიტეტი შეიმუშავებს საკუთარ რეგლამენტს.
3. კომიტეტის სამდივნოს ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.

თავი III

მუხლი 7

1. კომიტეტი მოაწვობს ვიზიტებს მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადგილებში. პერიოდული ვიზიტების გარდა კომიტეტს შეუძლია განახორციელოს სხვა ვიზიტებიც, რომლებსაც შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე, აუცილებლად მიიჩნევს.
2. ზოგადი წესის მიხედვით, ვიზიტებს განახორციელებს კომიტეტის სულ მცირე ორი წევრი მაინც. კომიტეტს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ისარგებლოს ექსპერტებისა და მთარგმნელების დახმარებით.

მუხლი 8

1. კომიტეტი შესაბამისი სახელმწიფოს მთავრობას ატყობინებს მომავალი ვიზიტის შესახებ. ასეთი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ კომიტეტს შეუძლია ნებისმიერ დროს ეწვიოს მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ ადგილას.
2. მისი ფუნქციების განსახორციელებლად სახელმწიფომ კომიტეტი უნდა უზრუნველყოს შემდეგი საშუალებებით:
 - a) მის ტერიტორიაზე შესვლისა და შეუზღუდავი გადაადგილების უფლებით;
 - b) სრული ინფორმაციით იმ ადგილების შესახებ, სადაც თავისუფლებადაკვეთილი პირები იმყოფებიან;
 - c) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შეუზღუდავი შესვლისა და დაწესებულების შიდა ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლებით;
 - d) სახელმწიფოსათვის ხელმისაწვდომი სხვა ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია კომიტეტის ფუნქციების განსახორციელებლად. ასეთი ინფორმაციის ძიებისას, კომიტეტმა მხედველობაში უნდა მიიღოს

ეროვნული კანონმდებლობისა და პროფესიული ეთიკის შესაბამისი ნორმები.

3. კომიტეტი უფლებამოსილია გაესაუბროს თავისუფლებააღკვეთილ პირებს.
4. კომიტეტი უფლებამოსილია თავისუფლად დაამყაროს კონტაქტი ნებისმიერ პირთან, რომელსაც, მისი აზრით, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება შეუძლია.
5. აუცილებლობის შემთხვევაში, კომიტეტს შეუძლია დაუყოვნებლივ გაუგზავნოს თავისი შენიშვნები დაინტერესებული მხარის ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს.

მუხლი 9

1. გამონაკლის შემთხვევებში დაინტერესებული მხარის ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ საწინააღმდეგო მოსაზრებები წარუდგინონ კომიტეტს ვიზიტის ამ უკანასკნელის მიერ შეთავაზებული დროისა ან კონკრეტული ადგილის თაობაზე. აღნიშნული წინააღმდეგობა შეიძლება დაეფუძნოს ისეთ მიზეზს, როგორებიცაა: ეროვნული თავდაცვა, საზოგადოებრივი უშიშროება, სერიოზული უწყსრიგობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა ან სასწრაფო დაკითხვა მძიმე დანაშაულთან დაკავშირებით.
2. ასეთი წინააღმდეგობის არსებობისას კომიტეტი და დაინტერესებული მხარე დაუყოვნებლივ იწყებენ კონსულტაციებს სიტუაციის ნათელყოფისა და ისეთი შეთანხმების მიღწევის მიზნით, რომელიც კომიტეტს მისი ფუნქციების განხორციელების საშუალებას მისცემს. ასეთი შეთანხმება შეიძლება ითვალისწინებდეს იმ პირის სხვა ადგილას გადაყვანას, რომლის ნახვაც კომიტეტს სურს. ვიზიტის მსვლელობისას, დაინტერესებულმა მხარემ კომიტეტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ნებისმიერი პირის შესახებ, რომლითაც კომიტეტი დაინტერესდება.

მუხლი 10

1. თითოეული ვიზიტის შემდეგ, დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი შენიშვნების მხედველობაში მიღებით, კომიტეტი ადგენს მოხსენებას ვიზიტის მსვლელობისას აღმოჩენილი ფაქტების შესახებ. აღნიშნული ანგარიში, რომელიც შეიცავს კომიტეტის მიერ აუცილებლად მიჩნეულ რეკომენდაციებს, ეგზავნება დაინტერესებულ მხარეს. აუცილებლობის შემთხვევაში, კომიტეტს

თავისუფლება აღკვეთილ პირთა დაცვის გაუმჯობესების შეთავაზების მიზნით შეუძლია კონსულტაციები გამართოს შესაბამის მხარესთან.

2. თუ მხარე არ გამოთქვამს თანამშრომლობის სურვილს ან უარს იტყვის კომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად სიტუაციის გამოსწორებაზე, კომიტეტს შეუძლია მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება მხარის პოზიცია, მის წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე საჯარო განცხადების გაკეთების შესახებ.

მუხლი 11

1. ვიზიტთან დაკავშირებით კომიტეტის მიერ მოპოვებული ინფორმაცია, მისი ანგარიში და კონსულტაციები კონფიდენციალურია და ინტერესებულ მხარესთან.
2. კომიტეტს დაინტერესებული მხარის მოთხოვნით, ნებისმიერ დროს შეუძლია გამოაქვეყნოს თავისი ანგარიში, აღნიშნული მხარის შენიშვნებთან ერთად.
3. არ შეიძლება პირადი ხასიათის რაიმე მონაცემების გამოქვეყნება იმ პირის თანხმობის გარეშე, ვისაც ეს მონაცემები ეხება.

მუხლი 12

მე-11 მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის დაცვით კომიტეტი მინისტრთა კომიტეტს ყოველწლიურად წარუდგენს ზოგად ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ, რომელიც ეგზავნება საკონსულტაციო ასამბლეას და ქვეყნდება საჯაროდ.

მუხლი 13

კომიტეტის წევრებს, ექსპერტებსა და სხვა პირებს, რომლებიც კომიტეტს დახმარებას უწევდნენ უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ მოეთხოვებათ არ გაამჟღავნონ ის ფაქტები ან ინფორმაცია, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა საკუთარი თანამდებობრივი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით.

მუხლი 14

1. იმ პირთა ვინაობა, რომლებიც კომიტეტს დახმარებას უწევენ, განისაზღვრება მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული შეტყობინებით.
2. ექსპერტები მოქმედებენ კომიტეტის ინსტრუქციების შესაბამისად და მისი ხელმძღვანელობით. კომიტეტის საქმიანობის სფეროში მათ უნდა ჰქონდეთ კონკრეტული ცოდნა და გამოცდილება და

კომიტეტის სხვა წევრების მსგავსად, ვვალებათ იყვნენ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და მისაწვდომი.

3. გამონაკლის შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია განაცხადოს, რომ ექსპერტს ან კომიტეტის დამხმარე სხვა პირს არ შეიძლება ნება დაერთოს მონაწილეობა მიიღოს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე განხორციელებულ ვიზიტში მონაწილეობის.

თავი IV

მუხლი 15

თითოეულმა მხარემ კომიტეტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ხელისუფლების იმ ორგანოს სახელწოდებისა და ადგილსამყოფელის შესახებ, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს შეტყობინებები მთავრობის სახელით, აგრეთვე იმ საკონტაქტო თანამდებობის პირის ვინაობა და მისამართი, რომელსაც დანიშნავს.

მუხლი 16

კომიტეტი, ამ კონვენციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებული მისი წევრები და ექსპერტები, სარგებლობენ ამ კონვენციის დანართით განსაზღვრული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით.

მუხლი 17

1. ეს კონვენცია არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის ან რომელიმე საერთაშორისო შეთანხმების დებულებებს, რომლებიც თავისუფლებააღკვეთილ პირებს უფრო ფართო დაცვით უზრუნველყოფს.
2. ამ კონვენციაში არაფერი უნდა განიმარტოს როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებულ ორგანოთა უფლებამოსილების ან ამავე კონვენციით მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შემზღვეველი ან შემამცირებელი.
3. კომიტეტი არ განახორციელებს ვიზიტებს იმ ადგილებში, სადაც, 1949 წლის 12 აგვისტოს ფენევის კონვენციებისა და 1977 წლის 8 ივნისის დამატებითი ოქმების შესაბამისად, რეგულარულად ჩადიან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დამცავი ძალების წარმომადგენლები ან დელეგატები.

თავი V

მუხლი 18

ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. ის ექვემდებარება რატიფიცირებას, მიერთებას ან დამტკიცებას. რატიფიკაციის, მიერთებისა ან დამტკიცების (მოწონების) დოკუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 19

1. ეს კონვენცია ძალაში შედის იმ თარიღის მომდევნო თვის პირველ დღეს, როცა ამოიწურება სამთვიანი პერიოდი ევროპის საბჭოს 7 წევრი სახელმწიფოს მიერ ამ კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად თანხმობის გამოთქმის დღიდან იკისროს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები.
2. ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომ გამოთქვამს თანხმობას – იკისროს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები, კონვენცია ძალაში შედის რატიფიკაციის, მიერთებისა ან დამტკიცების დოკუმენტის დეპონირებიდან სამთვიანი ვადის გასვლის თარიღის მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 20

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიერთების ან დამტკიცების დოკუმენტის დეპონირებისას შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა მიმართაც კონვენცია გამოიყენება.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი განცხადებით განავრცოს ამ კონვენციის მოქმედება განცხადებაში მითითებულ ახალ ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიასთან მიმართებაში კონვენცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ განცხადების მიღებიდან სამთვიანი ვადის გასვლის დღის მომდევნო თვის პირველ დღეს.
3. წინამდებარე ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება მასში მითითებულ ტერიტორიასთან მიმართებაში შეიძლება გაუქმებულად ჩაითვალოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი შეტყობინებით. გაუქმება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ზემოაღნიშნული შეტყობინებით. გაუქმება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ზემოაღნიშნული შეტყობინების

მიღებიდან სამთვიანი პერიოდის გასვლის დღის მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 21

კონვენციის დებულებებთან დაკავშირებით არ შეიძლება რაიმე დათქმის გაკეთება.

მუხლი 22

1. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსირება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი შეტყობინებით.
2. დენონსირება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან თორმეტთვიანი პერიოდის გასვლის დღის მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 23

ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს უნდა აცნობოს:

- a) ნებისმიერი ხელმოწერის;
- b) რატიფიკაციის, მიერთების ან დამტკიცების, ნებისმიერი დოკუმენტის დეპონირების;
- c) მე-18 და მე-20 მუხლების შესაბამისად ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის;
- d) ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, გარდა ამ კონვენციასთან დაკავშირებული მე-8 და მე-10 მუხლების შესაბამისად შესრულებული რაიმე მოქმედებისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, ქვემოთ ხელისმომწერმა სათანადოდ უფლებამოსილმა პირებმა ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია სტრასბურგში, 1987 წლის 26 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე თანაბრად ავთენტური ტექსტების სახით, ერთ ეგზემპლარად, რომელიც დეპონირდება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი სათანადოდ დამოწმებულ ასლს გადაუგზავნის ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს.

ევროპის სოციალური ქარტიის
დამატებითი ოქმი

მოღებულა ევროპის საბჭოს მიერ 1988 წლის 5 მაისს,
ძალაშია 1992 წლის 4 სექტემბრიდან

შესავალი

ევროპის კავშირის წევრი ქვემოთ ხელისმომწერი სახელმწიფოები, რომლებმაც გადაწყვიტეს მიიღონ ახალი ზომები 1961 წლის 18 ოქტომბერს ტურინში შესრულებული ევროპის სოციალური ქარტიით (შემდგომში "ქარტია") გარანტირებული სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გასაფართოებლად, შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მხარეები თავიანთ პოლიტიკურ მიზნად ისახევენ ყველა შესაბამისი ეროვნული თუ საერთაშორისო საშუალებით შექმნან პირობები, რომლებშიც ეფექტურად განხორციელდება შემდეგი უფლებები და პრინციპები:

1. ყველა მუშა-მოსამსახურეს ექნება თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის უფლება სამუშაოდ მიღებისა და შრომითი საქმიანობის დროს, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;
2. მუშა-მოსამსახურეებს ექნებათ საწარმოში ინფორმაციის მიღებისა და კონსულტაციის უფლება;
3. მუშა-მოსამსახურეებს ექნებათ საწარმოში შრომის პირობებისა და შრომითი გარემოს განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში მონაწილეობის უფლება;
4. ყველა ხანშიშესულ პირს ექნება სოციალური დაცვის უფლება.

ნაწილი II

მხარეები, ამ ოქმის III ნაწილის შესაბამისად, იღებენ შემდეგი მუხლებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს:

მუხლი 1 – სამუშაოდ მიღებისა და შრომითი საქმიანობის დროს თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის უფლება, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე

1. სამუშაოდ მიღებისა და შრომითი საქმიანობის დროს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის უფლების ეფექტური განზორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ აღიარონ ეს უფლება და მიიღონ შესაბამისი ზომები შემდეგ სფეროებში მისი გამოყენების უზრუნველყოფისა და ხელშეწყობისათვის:
 - სამუშაოდ მიღების ხელმისაწვდომობა, სამუშაოდან გათავისუფლებისა და სხვა სამუშაოზე გადაყვანისაგან დაცვა;
 - პროფესიული მომზადება, წვრთნა, გადამზადება და რეაბილიტაცია;
 - სამუშაოდ მიღებისა და შრომის პირობები, ანაზღაურების ჩათვლით;
 - თანამდებობრივ საფეხურებზე წინსვლა, დაწინაურება.
2. დებულებები, რომლებიც ეხება ქალის დაცვას, განსაკუთრებით ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, არ განიხილება დისკრიმინაციულად ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ეწინააღმდეგება საგანგებო ზომების მიღებას უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.
4. საქმიანობის ფორმები, რომლებიც თავიანთი ხასიათისა და იმ პირობების გამო, რომლებშიც ისინი ხორციელდება, შეიძლება შესრულდეს მხოლოდ კონკრეტული სქესის წარმომადგენლის მიერ, შესაძლებელია გაიმიჯნოს ამ მუხლის ან მისი რომელიმე დებულების მოქმედების სფეროდან.

მუხლი 2 – ინფორმაციის მიღებისა და კონსულტაციის უფლება

1. მუშა-მოსამსახურეთა უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად – მიიღონ ინფორმაცია და გაეწიონ კონსულტაციები საწარმოში – მხარეები ვალდებულია იღებენ განახორციელონ ან წაახალისონ ღონისძიებები, რომლებიც მუშა-მოსამსახურეებს ან მათ წარმომადგენლებს, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, საშუალებას მისცემს:
 - a) რეგულარულად ან ღროის კეთილგონივრულ მონაკვეთში მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია მათი საწარმოს ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, იმის გაცნობიერებით, რომ საწარმოს შეუძლია უარი თქვას განსაზღვრული ინფორმაციის გაცემაზე, რომლის გამჟღავნებაც საზიანოა მისი ინტერესებისათვის ან რომელიც კონფიდენციალურია; და
 - b) ღროის კეთილგონივრულ მონაკვეთში მიიღონ კონსულტაცია მომავალი გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება არსებითად იმოქმედოს მათ ინტერესებზე, განსაკუთრებით იმ გადაწყვეტილებების თაობაზე, რომლებიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოახდენს საწარმოში დასაქმების პირობებზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების სფეროდან მხარეებს შეუძლიათ გამორიცხონ ის საწარმოები, სადაც მუშახელის რაოდენობა ნაკლებია ეროვნული კანონმდებლობით ან პრაქტიკით განსაზღვრულ გარკვეულ ციფრზე.

მუხლი 3 – შრომის პირობებისა და შრომითი გარემოს განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში მონაწილეობის უფლება

1. მუშა-მოსამსახურეთა უფლების ეფექტური განხორციელების მიზნით – მონაწილეობა მიიღონ საწარმოში შრომის პირობებისა და შრომითი გარემოს განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში, მხარეები ვალდებულია იღებენ განახორციელონ ან წაახალისონ ღონისძიებები, რომლებიც მუშა-მოსამსახურეებს ან მათ წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, საკუთარი წვლილი შეიტანონ:

- a) შრომის პირობების, შრომის ორგანიზაციისა და შრომითი გარემოს განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში,
- b) საწარმოში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვაში,
- c) საწარმოში სოციალური და სოციალურ-კულტურული სამსახურებისა და საშუალებების ორგანიზებაში,
- d) ამ საკითხების მარეგულირებელი ნორმების შესრულებაზე ზედამხედველობაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების სფეროდან მხარეებს შეუძლიათ გამორიცხონ ის საწარმოები, სადაც მუშახელის რაოდენობა ნაკლებია ეროვნული კანონმდებლობით ან პრაქტიკით განსაზღვრულ გარკვეულ ციფრზე.

მუხლი 4 – ხანშიშესულთა სოციალური დაცვის უფლება

ხანშიშესულთა სოციალური დაცვის უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად, მხარეები ვალდებულია იღებენ უშუალოდ, ან საზოგადოებრივ, ან კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, განახორციელონ ან წაახალისონ შესაფერისი ღონისძიებები, რომელთა მიზანია:

1. მისცეს ხანშიშესულ პირებს საზოგადოების სრულფასოვან წევრებად დარჩენის საშუალება დროის შეძლებისდაგვარად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში:
 - a) შესაბამისი რესურსების მეშვეობით, რომლებიც მისცემს ამ პირებს ღირსეული არსებობისა და საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის საშუალებას;
 - b) ხანშიშესულთათვის განკუთვნილი მომსახურების ფორმებისა და საშუალებების და მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ სათანადო ინფორმაციის მიწოდებით;
2. მისცეს ხანშიშესულ პირებს დროის შეძლებისდაგვარად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მათი სურვილისა და შესაძლებლობების შესაბამისად, საკუთარი ცხოვრების სტილის თავისუფალი არჩევისა

და მათთვის კარგად ნაცნობ გარემოცვაში დამოუკიდებელი არსებობის საშუალება:

- a) მათი მოთხოვნებიდან და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფით ან ადექვატური დახმარებით მათ მიერ ასეთი საცხოვრებლის მოპოვებაში;
- b) მათი მდგომარეობის შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის და სხვა მომსახურებით უზრუნველყოფით;
3. უზრუნველყოს შესაბამის დაწესებულებებში მცხოვრები ხანშიშესული პირები სათანადო დახმარებით, მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისადმი პატივისცემით, და მისცეს დაწესებულების საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის საშუალება.

ნაწილი III

მუხლი 5 - ვალდებულებები

1. ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია იღებს:
 - a) განიხილოს ამ ოქმის პირველი ნაწილი, როგორც იმ მიზნების დეკლარირება, რომლებსაც ის განაზოცილებს ყველა შესაბამისი საშუალებით, როგორც ეს გაცხადებულია აღნიშნული ნაწილის შესავალ პუნქტში;
 - b) სავალდებულოდ მიიღოს ამ ოქმის II ნაწილის ერთი ან რამდენიმე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ხ" ქვეპუნქტის შესაბამისად შერჩეული მუხლის ან მუხლების სია ეგზავნება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ხელშეკრულების მონაწილე შესაბამისი მხარის მიერ მისი რატიფიცირების, მიღების ან მოწონების დოკუმენტის დეპონირებისას.
3. ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი შეტყობინებით განაცხადოს, რომ

სავალდებულოდ მიიჩნევა ამ ქარტიის II ნაწილის ნებისმიერ იმ მუხლს, რომელიც არ უღიარებია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. მოგვიანებით ნაკისრი ნებისმიერი ასეთი ვალდებულება წარმოადგენს რატიფიცირების, მიღების ან მოწონების განუყოფელ ნაწილს და შესაბამისი ძალა ენიჭება შეტყობინების გაგზავნიდან ოცდამეათე დღეს.

ნაწილი IV

მუხლი 6 - ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობა მხარეები წარმოადგენენ ანგარიშებს ოქმის II ნაწილის იმ დებულებების გამოყენების თაობაზე, რომლებიც მათ მიიღეს, ქარტიის 21-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ ანგარიშებთან ერთად.

ნაწილი V

მუხლი 7 - ნაკისრი ვალდებულებების განხორციელება

1. ამ ოქმის II ნაწილის პირველი და მე-4 მუხლების შესაბამისი დებულებების იმპლემენტაცია შესაძლებელია:
 - a) საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტებით;
 - b) შეთანხმებებით დამჭირავებლებს ან დამჭირავებელთა და მუშა-მოსამსახურეთა ორგანიზაციებს შორის;
 - c) ზემოაღნიშნული ორი მეთოდის კომბინირებით;
 - d) სხვა შესაბამისი საშუალებებით.
2. ამ ოქმის II ნაწილის მე-2 და მე-3 მუხლებიდან აღმოცენებული ვალდებულებების შესრულება ითვლება ეფექტურად, თუ აღნიშნული დებულებები, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გამოიყენება მუშა-მოსამსახურეთა უდიდესი უმრავლესობის მიმართ.

მუხლი 8 - კავშირი ქარტიასა და ოქმს შორის

1. ამ ოქმის დებულებები არ ეწინააღმდეგება ქარტიის დებულებებს.
2. ქარტიის 22-32-ე მუხლები და 36-ე მუხლი გამოიყენება, *mutatis mutandis*, ოქმის მიმართაც.

მუხლი 9 - ტერიტორიული გამოყენება

1. ეს ოქმი გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარის მეტროპოლიურ ტერიტორიაზე. თითოეულ ხელისმომწერ სახელმწიფოს შეუძლია ქარტიის ხელმოწერის ან მისი რატიფიცირების, მიღების ან მოწონების დოკუმენტის დეკონირების დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი განცხადებით, განსაზღვროს ტერიტორია, რომელსაც იგი ამ მიზნისათვის განიხილავს თავის მეტროპოლიურ ტერიტორიად.
2. ხელშეკრულების მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია ამ ოქმის რატიფიცირების, მიღების ან მოწონების ან შემდგომ, ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი შეტყობინებით, განაცხადოს, რომ ოქმის მოქმედება ვრცელდება მთლიანად ან ნაწილობრივ არამეტროპოლიურ ან განცხადებით განსაზღვრულ იმ ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი ან, რომელთათვისაც იღებს საერთაშორისო პასუხისმგებლობას. აღნიშნულ განცხადებაში მხარემ უნდა მიუთითოს ოქმის II ნაწილის ის მუხლი ან მუხლები, რომლებსაც ის განიხილავს როგორც სავალდებულოს განცხადებით განსაზღვრულ ტერიტორიებთან მიმართებაში.
3. ამ ოქმის მოქმედება ზემოხსენებული განცხადებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე ვრცელდება გენერალური მდივნის მიერ აღნიშნული განცხადების შემცველი შეტყობინების მიღებიდან ოცდამეათე დღეს.
4. ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ მხარეს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი შეტყობინებით, შეუძლია მოგვიანებით განაცხადოს, რომ იმ ტერიტორიებთან მიმართებაში, რომლებზეც ოქმის მოქმედება გავრცელდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის

შესაბამისად, ის ცნობს ნებისმიერი იმ მუხლის სავალდებულო ძალას, რომელიც ჯერ არ მოქმედებს აღნიშნულ ტერიტორიასთან ან ტერიტორიებთან დაკავშირებით. მოგვიანებით ნაკისრი ეს ვალდებულებები ითვლება მოცემულ ტერიტორიასთან დაკავშირებული პირველი განცხადების განუყოფელ ნაწილად და იძენს შესაბამის ძალას შეტყობინებიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 10 - ხელმოწერა, რატიფიცირება, მიღება, მოწონება და ძალაში შესვლა

1. ეს ოქმი ხელმოსაწერად ღიაა ევროპის საბჭოს იმ წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს ქარტიას. ის ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან მოწონებას. ევროპის საბჭოს არც ერთ წევრ სახელმწიფოს შეუძლია ამ ოქმის რატიფიცირება, მიღება ან მოწონება, თუ იმავდროულად ან უფრო ადრე არ მოახდინა ქარტიის რატიფიცირება. რატიფიცირების, მიღების ან მოწონების დოკუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.
2. ეს ოქმი ძალაში შედის მისი რატიფიცირების, მიღების ან მოწონების შესაბამე დოკუმენტის დეპონირებიდან ოცდამეათე დღეს.
3. ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ ოქმის რატიფიცირებას მოგვიანებით მოახდენს, ოქმი ძალაში შედის აღნიშნული სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიცირების, მიღების ან მოწონების დოკუმენტის დეპონირებიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 11 – დენონსირება

1. ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ამ ოქმის დენონსირება მისთვის აღნიშნული ოქმის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ ან ყოველი მომდევნო ორწლიანი პერიოდის დასასრულს, თითოეულ შემთხვევაში ევროპის კავშირის გენერალური მდივნისადმი ექვსი თვით ადრე შეტყობინების გაგზავნით. ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარეების მიმართ ასეთი დენონსირება გავლენას არ ახდენს ოქმის ნამდვილობაზე, თუ მათი რიცხვი არ აღმოჩნდა სამზე ნაკლები.

2. ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ მხარეს, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეუძლია მოახდინოს ამ ოქმის II ნაწილის ნებისმიერი მის მიერ მიღებული მუხლის დენონსირება იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მხარისათვის სავალდებულო ძალის მქონე მუხლების რიცხვი არ იყოს ერთზე ნაკლები.
3. ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია ამ ოქმის ან მისი II ნაწილის ნებისმიერი მუხლის დენონსირება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ნებისმიერ იმ ტერიტორიასთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც ეს ოქმი გამოიყენება მე-9 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად გაკეთებული განცხადების ძალით.
4. ქარტიის ან ამ ოქმის მონაწილე ნებისმიერი მხარის მიერ ქარტიის დენონსირება მისი 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით განიხილება ასევე ამ ოქმის დენონსირებად.

მუხლი 12 – შეტყობინებები

ვეროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვეროპის საბჭოს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოსა და საერთაშორისო შრომის ოფისის გენერალურ დირექტორს უგზავნის შეტყობინებას:

- a) ნებისმიერი ხელმოწერის;
- b) რატიფიკირების, მიღების ან მოწონების ნებისმიერი დოკუმენტის დეპონირების;
- c) ამ ოქმის მე-9 და მე-10 მუხლების შესაბამისად მისი ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის;
- d) ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მოქმედების, შეტყობინების ან კომუნიკაციის -

შესახებ.

მუხლი 13 - დანართი

ამ ოქმის დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად, ქვემოთხელისმოძწერმა სათანადოდ უფლებამოსილმა პირებმა ხელი მოაწერეს ამ ქარტიას.

შესრულებულია სტრასბურგში, 1988 წლის 5 მაისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე თანაბრად ავთენტურ ტექსტებად, ერთ ვგ შემპლარად, რომელიც დეკონირდება ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს უგზავნის ოქმის სათანადოდ დამოწმებულ ასლს.

ოქმის დანართი

ოქმის მოქმედება პირთა წრის მიხედვით

1. ამ ოქმის პირველი და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ პირთა წრეს მიეკუთვნებიან მხოლოდ ის უცხოელები, რომლებიც წარმოადგენენ ზელშეკრულების მონაწილე სხვა მხარეთა მოქალაქეებს და მოცემული მხარის ტერიტორიაზე კანონიერად ცხოვრობენ ან ეწევიან კანონის შესაბამის რეგულარულ შრომით საქმიანობას, იმ პირობით, რომ ეს მუხლები განიმარტება ქარტიის მე-18 და მე-19 მუხლების მხედველობაში მიღებით.

ასეთი განმარტება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მხარეთა მიერ სხვა პირთა მიმართ მსგავსი საშუალებების გამოყენებას.

2. თითოეული მხარე ვალდებულია მის ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ პირებს, რომლებიც, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის 1951 წლის 28 ივლისის კონვენციისა და 1967 წლის 31 იანვრის ოქმის შესაბამისად, განიხილებიან ლტოლვილებად, მოეპყრას, შეძლებისდაგვარად, საუკეთესო ფორმით და ნებისმიერ შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტებითა და ლტოლვილთა შესახებ არსებული სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.
3. თითოეული მხარე ვალდებულია მის ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ პირებს, რომლებიც, უსახლკაროთა სტატუსის შესახებ ნიუ-იორკის 1954 წლის 28 სექტემბრის კონვენციის შესაბამისად, განიხილებიან უსახლკაროებად, მოეპყრას, შეძლებისდაგვარად, საუკეთესო ფორმით და ნებისმიერ შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტითა და უსახლკაროთა შესახებ არსებული სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

მუხლი 1

ამ მუხლის მოქმედების სფეროდან შეიძლება გამოირიცხოს სოციალური დაცვის საკითხები ისევე, როგორც სხვა დებულებები უმუშევრობასთან, ასაკსა და მარჩენალთან დაკავშირებით არსებული დახმარებების შესახებ.

მუხლი 1, პუნქტი 4

ეს დებულება მხარეებისაგან არ მოითხოვს შეიტანონ თავიანთ საკანონმდებლო ან სხვა ნორმატიულ აქტებში იმ პროფესიათა ჩამონათვალი, რომლებიც, თავიანთი ბუნებიდან ან შესრულების თავისებურებებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ რომელიმე სქესის წარმომადგენლებმა დაიკავონ.

მუხლები 2 და 3

1. ამ მუხლების მიზნებისათვის ტერმინი - “მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლები”, გულისხმობს პირებს, რომლებიც ასეთად აღიარებული არიან ეროვნული კანონმდებლობის ან პრაქტიკის შესაბამისად.
2. ტერმინი - “ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა”, შესაბამის შემთხვევაში, საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებთან ერთად, გულისხმობს კოლექტიურ ან სხვა სახის შეთანხმებებს დამქირავეებელთა და მიშა-მოსამსახურეთა შორის, ჩვეულებებს ისევე, როგორც შესაბამის პრეცედენტულ სამართალს.
3. ამ მუხლების მიზნებისათვის ტერმინი - “საწარმო”, გულისხმობს ხელშესახები და უხილავი კომპონენტების ერთობლიობას, რომელსაც გააჩნია ან არ გააჩნია იურიდიული პირის სტატუსი და ქმნის პროდუქციას ან ეწევა მომსახურებას მოგების მიზნით და გააჩნია საკუთარი საბაზრო პოლიტიკის განსაზღვრის უნარი.
4. რელიგიური საზოგადოებები და მათი დაწესებულებები შეიძლება გამოირიცხოს ამ მუხლების გამოყენების სფეროდან იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი წარმომადგენენ “საწარმოებს” მე-3 პუნქტის შესაბამისად. დაწესებულებები, რომელთა საქმიანობა ემსახურება განსაზღვრული იდეალების განხორციელებას ან რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ განსაზღვრული მორალური კონცეფციებით, იდეალებით ან კონცეფციებით, რომლებიც დაცულია ეროვნული კანონმდებლობით, შეიძლება გამოირიცხოს ამ მუხლების

მოქმედების სფეროდან იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია საწარმოს ორიენტაციის დასაცავად.

5. როცა სახელმწიფოში მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები ხორციელდება სხვადასხვა საწარმო დაწესებულებებში, მხარე განიხილება როგორც აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე მოვალეობების შემსრულებელი.

მუხლი 3

ეს დებულება, სამუშაო ადგილებში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული დებულებების მიღებასა და მათი განხორციელების მონიტორინგთან დაკავშირებით, არ ეხება სახელმწიფოთა უფლებას ან მოვალეობას.

ტერმინები - "სოციალური და სოციალურ-კულტურული მომსახურება და საშუალებები", გულისხმობს სოციალურ და კულტურულ საშუალებებს, რომლებსაც მუშა-მოსამსახურეებისათვის უზრუნველყოფს ზოგიერთი საწარმო, როგორებიცაა: სოციალური დახმარება, სპორტული მოედნები, ოთახები მეტუპური დედებისათვის, ბიბლიოთეკები, ბავშვთა დასასვენებელი ბანაკები და სხვა.

მუხლი 4, პუნქტი 1

ამ პუნქტის მიზნებისათვის ტერმინი - "დროის შეძლებისდაგვარად ხანგრძლივი პერიოდი", გულისხმობს ხანშიშესული პირის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს.

მუხლი 7

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც გამორიცხული არიან მე-2 და მე-3 მუხლების მე-2 პუნქტების მოქმედების სფეროდან არ მიიღებიან მხედველობაში მუშა-მოსამსახურეთა შესაბამისი რიცხვის დადგენის დროს.

ევროპის ქარტია რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ

მიღებულია ევროპის საბჭოს მიერ 1992 წლის 2 ოქტომბერს,
ძალაში არ არის 1995 წლის 17 ივლისისათვის

შესავალი

ევროპის საბჭოს ქვემოთ ხელისმომწერი წვერი სახელმწიფოები, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ ევროპის კავშირის მიზანია საერთო მემკვიდრეობით მიღებული იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და განხორციელების მიზნით წვერ სახელმწიფოთა შორის უფრო ღიდი ერთიანობის მიღწევა;

ითვალისწინებენ, რომ ევროპის ისტორიული, რეგიონალური და უმცირესობათა ენების დაცვა, რომელთაგან ზოგიერთს საბოლოო გაქრობის საფრთხე ემუქრება, ხელს უწყობს ევროპის კულტურული სიმდიდრისა და ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას;

ითვალისწინებენ, რომ კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენების უფლება წარმოადგენს განუყოფელ უფლებას, გაერთიანებული ერების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტში ხორცშესხმული პრინციპებისა და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციის სულისკვეთების შესაბამისად;

პატივს სცემენ CSCE-ს საქმიანობას, კერძოდ, 1975 წლის ჰელსინკის ფინალურ აქტს და 1990 წლის კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტს; ხაზს უსვამენ კულტურათშორისი ურთიერთობის, მრავალენოვანებისა და იმ აზრის ღირებულებას, რომ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების დაცვამ და წახალისებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ოფიციალურ ენებს, აგრეთვე რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესწავლის საჭიროებას;

აცნობიერებენ, რომ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების დაცვა და მათთვის ხელშეწყობა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს ისეთი ევროპის მშენებლობაში, რომელიც დაეფუძნება დემოკრატიისა და კულტურული მრავალფეროვნების

პრინციპს ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში;

მხედველობაში იღებენ ევროპის სახელმწიფოების სხვადასხვა რეგიონებში არსებულ სპეციფიკურ პირობებსა და ისტორიულ ტრადიციებს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I – ზოგადი დებულებები

მუხლი I – განსაზღვრებები

ამ ქარტიის მიზნებისათვის

- a) “რეგიონული ან უმცირესობათა ენები” გულისხმობს ენებს, რომლებიც:
 - (i) ტრადიციულად გამოიყენება სახელმწიფოს მოცემულ ტერიტორიაზე სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ, რომლებიც, სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, რიცხობრივად მცირე ჯგუფს წარმოადგენენ; და
 - (ii) განსხვავდება სახელმწიფოს ოფიციალური ენისაგან (ენებისაგან);
- b) “ტერიტორია, რომელზეც გამოიყენება რეგიონალური და უმცირესობათა ენები” ნიშნავს გეოგრაფიულ სივრცეს, სადაც აღნიშნული ენა გამოხატვის ფორმაა ადამიანთა გარკვეული რიცხვისათვის, რომელთა მიმართაც გამართლებულია ამ ქარტით გათვალისწინებული სხვადასხვა დამცავი და წამახალისებელი ზომების გამოყენება;
- c) “არატერიტორიული ენები” გულისხმობს სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ გამოყენებულ ენებს, რომლებიც განსხვავდება სახელმწიფოს დანარჩენი მოსახლეობის მიერ გამოყენებული ენის ან ენებისაგან, მაგრამ, მიუხედავად სახელმწიფოს ფარგლებში გამოყენებისა, არ იდენტიფიცირდება კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცესთან.

მუხლი 2 – ვალდებულებები

1. თითოეული მხარე ვალდებულია იღებს გამოიყენოს ამ ქარტიის II ნაწილის დებულებები ყველა რეგიონალური ან უმცირესობის ენის

მიმართ, რომლებიც გამოიყენება მის ტერიტორიაზე და შესაბამება ამ ქარტიის პირველ მუხლში მოცემულ განსაზღვრებას.

2. იმ ენებთან მიმართებაში, რომლებიც, ამ ქარტიის მე-3 მუხლის შესაბამისად, მისი რატიფიცირების, მიერთების ან მოწონების დროისათვის დაკვალიფიცირდება როგორც რეგიონალური ან უმცირესობათა ენები, თითოეული სახელმწიფო ვალდებულია იღებს გამოიყენოს ამ ქარტიის III ნაწილის დებულებებიდან ამორჩეული, სულ მცირე, ოცდათხუთმეტი პუნქტი ან ქვეპუნქტი, რომელთა შორის იქნება სულ მცირე სამი პუნქტი ან ქვეპუნქტი მე-8 და მე-12 მუხლებიდან და თითო-თითო მე-9, მე-10, მე-11 და მე-13 მუხლებიდან.

მუხლი 3 – პრაქტიკული ღონისძიებები

1. თითოეულმა სახელმწიფომ ამ ქარტიის რატიფიცირების, მასთან მიერთების ან მისი მოწონების დოკუმენტში უნდა მიუთითოს ის რეგიონალური ან უმცირესობის ენა, ან მის ტერიტორიაზე, ან ტერიტორიის ნაწილში ნაკლებად გამოყენებული ის ოფიციალური ენა, რომლის მიმართაც, ამ ქარტიის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ ქარტიის დებულებები გამოიყენება.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ამ ქარტიის რატიფიცირების, მასთან მიერთების ან მისი მოწონების შემდეგ ნებისმიერ დროს შეატყობინოს გენერალურ მდივანს, რომ ის იღებს ამ ქარტიის იმ მუხლებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რომლებიც მითითებული არა აქვს რატიფიცირების, მიერთების ან მოწონების დოკუმენტში, ან გამოიყენებს ამ მუხლის პირველ პუნქტს სხვა რეგიონალური ან უმცირესობათა ენების, ან სხვა ოფიციალური ენების მიმართ, რომლებიც ნაკლებად გამოიყენება მის ტერიტორიაზე ან ტერიტორიის ნაწილში.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებები წარმოადგენს რატიფიცირების, მიერთების ან მოწონების პროცესის განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს შესაბამისად, შეტყობინების დღიდან.

მუხლი 4 – დაცვის არსებული რეჟიმები

1. ამ ქარტიაში არაფერი უნდა განიმარტოს როგორც ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შემზღვეველი ან შემამცირებელი.
2. ამ ქარტიის დებულებები გავლენას არ ახდენს სახელმწიფოში არსებულ ან შესაბამისი ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო

ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ დებულებებზე, რომლებიც რეგიონალური ან უმცირესობათა ენებისათვის აწესებს უკეთეს სტატუსს ან უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის - უფრო კეთილსასურველ სამართლებრივ რეჟიმს.

მუხლი 5 – არსებული ვალდებულებები

ამ ქარტილაში არაფერი უნდა განიმარტოს როგორც რაიმე ღონისძიებაში მონაწილეობის ან რაიმე მოქმედების განხორციელების უფლების მაგულისხმებელი, რომელიც ეწინააღმდეგება გავრთიანებული ერების ქარტილას ან საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ჩათვლით.

მუხლი 6 – ინფორმაცია

მხარეები ვალდებულებას იღებენ იზრუნონ, რომ შესაბამის ხელისუფლების ორგანოებს, ორგანიზაციებსა და პირებს კქონდეთ ინფორმაცია ამ ქარტილით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

ნაწილი II – მიზნები და პრინციპები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ქარტილის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

მუხლი 7 – მიზნები და პრინციპები

1. რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებთან დაკავშირებით, იმ ტერიტორიების ფარგლებში, სადაც ეს ენები გამოიყენება თითოეული ენის მდგომარეობის შესაბამისად, მხარეებმა თავიანთი პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის საფუძვლად უნდა მიიღოს შემდეგი მიზნები და პრინციპები:
 - a) რეგიონალური ან უმცირესობათა ენების, როგორც კულტურული სიმდიდრის, გამოხატულების აღიარება;
 - b) თითოეული რეგიონალური ან უმცირესობის ენის გავრცელების გეოგრაფიული სივრცის პატივისცემა იმ მიზნით, რომ არსებულმა ან ახალმა ადმინისტრაციულმა დაყოფამ აღნიშნული რეგიონალური თუ უმცირესობის ენის განვითარებას დაბრკოლებები არ შეუქმნას.
 - c) რეგიონალური ან უმცირესობათა ენების დაცვის მიზნით, მათი განვითარებისათვის ქმედითი ღონისძიებების საჭიროება;

- d) სახელმწიფო და კერძო სექტორში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენების უზრუნველყოფა და/ან წახალისება ზეპირ მეტყველებასა და წერა-კითხვაში;
- e) ამ ქარტიით გათვალისწინებულ სფეროში არსებული ქსელის შენარჩუნება და გაფართოება რეგიონალური ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებსა და სახელმწიფოში არსებულ სხვა ჯგუფებს შორის, რომლებიც იყენებენ აღნიშნულ ენას იდენტური ან მსგავსი ფორმით ისევე, როგორც სახელმწიფოს შიგნით არსებულ სხვა ენებზე მოლაპარაკე ჯგუფებთან კულტურული ურთიერთობების დამყარება;
- f) რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სწავლებისა და შესწავლის შესაბამისი ფორმებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა სწავლების ყველა ეტაპზე;
- g) რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გავრცელების გეოგრაფიულ სივრცეში მცხოვრები პირებისათვის, რომლებიც აღნიშნულ ენაზე არ საუბრობენ, ენის შესწავლის შესაძლებლობის შექმნა, თუკი მათ ამის სურვილი აქვთ;
- h) უნივერსიტეტში ან მსგავს დაწესებულებაში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესწავლისა და კვლევის პროცესის ხელშეწყობა;
- i) ეროვნებათშორისი გაცვლების შესაბამისი სახეების განვითარება ამ ქარტიით განსაზღვრულ სფეროში იმ რეგიონალური ან უმცირესობათა ენებისათვის, რომლებიც იდენტური ან მსგავსი ფორმით გამოიყენება ორ ან მეტ სახელმწიფოში.
2. მხარეები ვალდებულია იღებენ აღმოფხვრან, თუ ეს აქამდე არ გაუკეთებიათ, რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენებასთან დაკავშირებული გაუმართლებელი განსხვავება, გამიჯვნა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება, რომლებიც მიზნად ისახავს აღნიშნული ენების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ხელის შეშლას ან მათი საფრთხის ქვეშ დაყენებას. სპეციალური ზომების გამოყენება რეგიონალური ან უმცირესობათა ენების მიმართ, რაც მიზნად ისახავს ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანებსა და დანარჩენ მოსახლეობას შორის თანასწორობის დამყარებას ან სათანადოდ ითვალისწინებს მათ სპეციფიკურ მდგომარეობას, უფრო ფართოდ გავრცელებულ ენებზე მოსაუბრეთა დისკრიმინაციად არ განიხილება.

3. მხარეები ვალდებულებას იღებენ შესაბამისი ღონისძიებებით ხელი შეუწყონ ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ლინგვისტურ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნას, კერძოდ, გაითვალისწინონ რეგიონალური ან უმცირესობათა ენებისადმი პატივისცემა, შეგნებული და შემწყნარებლური დამოკიდებულებები თავიანთ საგანმანათლებლო მიზნებში და წაახალისონ მასშედიან მონაწილეობა მიიღოს ამ მიზნის მისაღწევად.
4. რეგიონალური ან უმცირესობათა ენების მიმართ მხარეებმა, თავიანთი პოლიტიკის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა მიიღონ ამ ენებზე მოსაუბრე ჯგუფების საჭიროებები და სურვილები, აუცილებლობის შემთხვევაში მიზანშეწონილია შეიქმნას ორგანო, რომელიც რჩევებს მისცემს ხელისუფლებას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.
5. მხარეები ვალდებულებას იღებენ ამ მუხლის 1-4 პუნქტებში ჩამოთვლილი პრინციპები გამოიყენონ მუტატის მუტანდის არატერიტორიული ენების მიმართ. თუმცა აღნიშნულ ენებთან მიმართებაში ამ ქარტიის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ღონისძიებების ხასიათი და მოცულობა უნდა განისაზღვროს მოქნილი ფორმით, იმ ჯგუფების ტრადიციებისა და ხასიათის პატივისცემითა და მათი საჭიროებებისა და სურვილების მხედველობაში მიღებით, რომლებიც ამ ენებზე საუბრობენ.

ნაწილი III – ზომები, რომლებიც ხელს უწყობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენებას ამ ქარტიის მე-2 მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად

მუხლი 8 – განათლება

1. მხარეები, განათლებასთან დაკავშირებით, ვალდებულებებს იღებენ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გავრცელების ტერიტორიაზე თითოეული ენის მდგომარეობის შესაბამისად და სახელმწიფო ენის (ენების) სწავლების პროცესთან რაიმე წინააღმდეგობის გარეშე:
 - a) (i) უზრუნველყონ სკოლამდელი განათლება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან
 - (ii) უზრუნველყონ სკოლამდელი განათლების ძირითადი ნაწილი შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან
 - (iii) ამ ქვეპუნქტის გაატარონ (i) და (ii) ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებები იმ მოსწავლეთა მიმართ

- მანც, რომელთა ოჯახებიც ამას მოითხოვენ და რომელთა რაოდენობაც საკმარისად მიიჩნევა; ან
- (iv) თუ სკოლამდელი განათლება უშუალოდ სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენციაში არ შედის, ხელი შეუწყონ და/ან წაახალისონ წინამორბედ ნაწილებში მითითებული (ი) და (იი) ღონისძიებები.
- b)
- (i) უზრუნველყონ დაწყებითი განათლება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან
- (ii) უზრუნველყონ დაწყებითი განათლების ძირითადი ნაწილი რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან
- (iii) უზრუნველყონ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სწავლება, როგორც დაწყებითი საგანმანათლებლო კურსის განუყოფელი ნაწილი; ან
- (iv) გაატარონ ამ ქვეპუნქტის ნაწილებით გათვალისწინებული ღონისძიებები იმ მოსწავლეთა მიმართ მანც, რომელთა ოჯახებიც ამას მოითხოვენ და რომელთა რაოდენობაც საკმარისად მიიჩნევა;
- c)
- (i) უზრუნველყონ საშუალო განათლება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან
- (ii) უზრუნველყონ საშუალო განათლების ძირითადი ნაწილი რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან
- (iii) უზრუნველყონ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სწავლება, როგორც საშუალო საგანმანათლებლო კურსის განუყოფელი ნაწილი; ან
- (iv) გაატარონ ამ ქვეპუნქტის (i)-(იი) ნაწილებით გათვალისწინებული ღონისძიებები იმ მოსწავლეთა მიმართ მანც, რომელთა ოჯახებიც ამას მოითხოვენ და რომელთა რაოდენობაც საკმარისად მიიჩნევა;
- d)
- (i) უზრუნველყონ ტექნიკური და პროფესიული განათლება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან
- (ii) უზრუნველყონ ტექნიკური და პროფესიული განათლების ძირითადი ნაწილი რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

- (iii) უზრუნველყონ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სწავლება, როგორც ტექნიკური და პროფესიული საგანმანათლებლო კურსის განუყოფელი ნაწილი; ან
 - (iv) გაატარონ ამ ქვეპუნქტის (ი)-(იი) ნაწილებით გათვალისწინებული ღონისძიებები იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომელთა ოჯახებიც ამას მოითხოვენ და რომელთა რაოდენობაც საკმარისად მიიჩნევა;
- e)
- (i) უზრუნველყონ საუნივერსიტეტო და სხვა უმაღლესი განათლება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან
 - (ii) უზრუნველყონ ამ ენების სწავლება, როგორც საუნივერსიტეტო უმაღლესი საგანმანათლებლო საგნებისა; ან
 - (iii) თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით, სახელმწიფოს როლის გამო, შეუძლებელია ამ ქვეპუნქტის (ი)-(იი) ნაწილების გამოყენება, წაახალისონ და/ან ნება დართონ საუნივერსიტეტო ან სხვაგვარი უმაღლესი განათლების რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე შემოღება ან ამ ენების, როგორც საუნივერსიტეტო ან უმაღლესი საგანმანათლებლო საგნების, დაწერვა;
- f)
- (i) შემოიღონ მოზრდილთა და გახანგრძლივებული სწავლების კურსები ძირითადად ან მთლიანად რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან
 - (ii) შემოიღონ ეს ენები, როგორც მოზრდილთა და გახანგრძლივებული სწავლების სასწავლო საგნები; ან
 - (iii) თუ მოზრდილთა განათლება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უშუალო კომპეტენციაში არ შედის, ხელი შეუწყონ და/ან წაახალისონ ამ ენების, როგორც მოზრდილთა და გახანგრძლივებული სწავლების სასწავლო კურსის საგნების, შემოღება;
- g) უზრუნველყონ იმ ისტორიისა და კულტურის სწავლება, რომლებიც ასახულია რეგიონალურ და უმცირესობათა ენებში;
- h) უზრუნველყონ ძირითადი და დამატებითი საწვრთნელი ღონისძიებები იმ მასწავლებელთათვის, რომელთაც მოეთხოვებათ სახელმწიფოს მიერ ამ პუნქტის ა-ც ქვეპუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელება;

- i) დააარსონ საზედამხებველო ორგანო ან ორგანოები, რეგიონალური და უმცირესობათა ენების სწავლების დანერგვისა და განვითარების მიზნით გატარებულ ღონისძიებებსა და ამ სფეროში მიღწეულ პროგრესზე მონიტორინგის განხორციელებისა და თავიანთი აღმოჩენების შესახებ პერიოდული ანგარიშის წარმოდგენისათვის, რომელიც საჯაროდ გამოქვეყნდება.
2. საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებით, იმ ტერიტორიებზე, სადაც რეგიონალური და უმცირესობათა ენები ტრადიციულად არ გამოიყენება, მხარეები ვალდებულიან იღებენ, თუ ამ ტერიტორიებზე რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოსაუბრეთა რაოდენობა ამას ამართლებს, ნება დართონ, წაახალისონ ან უზრუნველყონ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე ან ამ ენების სწავლება განათლების ყველა შესაფერის სტადიაზე.

მუხლი 9 – სასამართლო ხელისუფლების ორგანოები

1. იმ სასამართლო ოლქებთან დაკავშირებით, სადაც რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოსაუბრე რეზიდენტების რაოდენობა ამართლებს ქვემოხსენებული ღონისძიებების გატარებას, თითოეული ამ ენის მდგომარეობის გათვალისწინებით და იმ პირობით, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები, მოსამართლის აზრით, ზიანს არ მიაყენებს მართლმსაჯულების მართებულ განხორციელებას, მხარეები ვალდებულიან იღებენ:
 - a) სისხლის სამართლის საქმის განხილვისას:
 - (i) უზრუნველყონ, ერთ-ერთი მხარის თხოვნის საფუძველზე, სასამართლოს მიერ საქმის განხილვა რეგიონალურ და უმცირესობის ენაზე; და/ან
 - (ii) უზრუნველყონ ბრალდებულისათვის მისი რეგიონალური ან უმცირესობის ენის გამოყენების უფლება; და/ან
 - (iii) უზრუნველყონ, რომ მოთხოვნა და მტკიცებულება, წერილობითი თუ ზეპირი, არ იქნას მიჩნეული მიუღებლად მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ის ფორმირებულია რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე; და/ან
 - (iv) სასამართლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, მოთხოვნის საფუძველზე, წარმოადგინონ შესაბამის რეგიონალურ და უმცირესობის ენაზე, თუ აუცილებელია, თარჯიმნებისა და თარგმანის გამოყენებით, რომელიც დაინტერესებული პირისაგან ზედმეტ ხარჯებს არ ითვალისწინებს;

b) სამოქალაქო სამართლის საქმის განხილვისას:

- (i) უზრუნველყონ ერთ-ერთი მხარის თხოვნის საფუძველზე სასამართლოს მიერ საქმის განხილვა რეგიონალურ და უმცირესობის ენაზე; და/ან
- (ii) ნება დართონ მოდავე მხარეს გამოიყენოს მისი რეგიონალური ან უმცირესობის ენა, დამატებითი ხარჯების გაღების გარეშე, სასამართლოს წინაშე პერსონალურად წარდგომის ყველა შემთხვევაში; და/ან
- (iii) დაუშვან დოკუმენტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენა რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე, თუ აუცილებელია თარჯიმანთა და თარგმანის გამოყენებითაც.

c) ადმინისტრაციული სამართლის საქმის განხილვისას:

- (i) უზრუნველყონ, ერთ-ერთი მხარის თხოვნის საფუძველზე, სასამართლოს მიერ საქმის განხილვა რეგიონალურ და უმცირესობის ენაზე; და/ან
- (ii) ნება დართონ მოდავე მხარეს გამოიყენოს მისი რეგიონალური ან უმცირესობის ენა, დამატებითი ხარჯების გაღების გარეშე, სასამართლოს წინაშე პერსონალურად წარდგომის ნებისმიერ შემთხვევაში; და/ან
- (iii) დაუშვან დოკუმენტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენა რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე, თუ აუცილებელია, თარჯიმანთა და თარგმანის გამოყენებითაც.

d) მიიღონ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ (ბ) და (ც) ქვეპუნქტებისა (ი) და (იი) ნაწილების გამოყენება, ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, - თარჯიმანის მომსახურება და თარგმანი, დაინტერესებული პირისათვის არ იყოს დაკავშირებული დამატებით ხარჯებთან.

2. მხარეები ვალდებულია იღებენ:

- a) არ უარყონ სახელმწიფოს ფარგლებს შიგნით შექმნილი იურიდიული დოკუმენტის ნამდვილობა მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ის შედგენილია რეგიონალურ და უმცირესობის ენაზე; ან
- b) არ უარყონ სახელმწიფოს ფარგლებს შიგნით მხარეთა შორის დადებული იურიდიული დოკუმენტის ნამდვილობა მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ის შედგენილია რეგიონალურ და უმცირესობის

ენაზე, და უზრუნველყონ მისი გამოყენება დაინტერესებული მესამე მხარეების წინააღმდეგ, რომლებიც არ არიან აღნიშნულ ენებზე მოსაუბრენი, იმ პირობით, რომ პირი (პირები), რომელიც იყენებს აღნიშნულ დოკუმენტს, ამ პირებს გააცნობს მის შინაარსს; ან

- c) არ უარყონ სახელმწიფოს ფარგლებს შიგნით მხარეთა შორის დადებული იურიდიული დოკუმენტის ნამდვილობა მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ის შედგენილია რეგიონალურ და უმცირესობის ენაზე.
- 3. მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყონ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტების, აგრეთვე, იმ ნორმატიული აქტების არსებობა, რომლებიც უშუალოდ ეხება ამ ენებზე მოსაუბრეებს, თუ ეს აქტები სხვაგვარად არ მიეწოდებათ.

მუხლი 10 – ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები და საზოგადოებრივი სამსახურები

1. სახელმწიფოს იმ ადმინისტრაციულ ოლქებში, სადაც რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოსაუბრე რეზიდენტების რაოდენობა ამართლებს ქვემოხსენებული ღონისძიებების გატარებას და თითოეული ამ ენის მდგომარეობის გათვალისწინებით, მხარეები გონივრული შესაძლებლობის ფარგლებში ვალდებულია იღებენ:

- a)
 - (i) უზრუნველყონ აღმასრულებელი ორგანოების მიერ რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენება; ან
 - (ii) უზრუნველყონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენების გამოყენება იმ მოხელეების მიერ, რომლებსაც ურთიერთობა უხდებათ საზოგადოებასთან, ამ ენებზე მოსაუბრე პირებთან ურთიერთობაში; ან
 - (iii) უზრუნველყონ, რომ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოსაუბრე პირებს შეეძლოთ ამ ენებზე ზეპირი და წერილობითი განცხადებების წარდგენა და პასუხის მიღება; ან
 - (iv) უზრუნველყონ, რომ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოსაუბრე პირებმა შეძლონ ამ ენებზე ზეპირი და წერილობითი განცხადებების წარდგენა; ან
 - (v) უზრუნველყონ, რომ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოსაუბრე პირებმა შეძლონ ამ ენებზე დოკუმენტის კანონიერად წარდგენა;

- b) უზრუნველყონ ფართოდ გამოყენებადი ადმინისტრაციული აქტების ხელმისაწვდომობა მოსახლეობისათვის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე ან ორენოვან ვერსიებად.
- c) ნება დართონ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს შეადგინონ ღოკუმენტების პროექტები რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე.
2. იმ ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოებთან მიმართებაში, რომელთა ტერიტორიაზეც რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოსაუბრეთა რაოდენობა ამართლებს ქვემოხსენებული ღონისძიებების გატარებას, მხარეები ვალდებულიან იღებენ ნება დართონ და/ან წაახალისონ:
- a) რეგიონალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ფარგლებში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენება;
- b) რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოსაუბრეთათვის ამ ენებზე ზებირი ან წერილობითი განცხადებების წარდგენის შესაძლებლობა;
- c) რეგიონალური ხელისუფლების ორგანოების მიერ მათი ოფიციალური ღოკუმენტების გამოქვეყნება, აგრეთვე, შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე;
- d) ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ მათი ოფიციალური ღოკუმენტების გამოქვეყნება, აგრეთვე, შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე;
- e) რეგიონალური ხელისუფლების ორგანოების მიერ სხდომებზე გამართული დებატების დროს რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენება, სახელმწიფოს ოფიციალური ენის (ენების) გამოყენების გამორიცხვის გარეშე;
- f) რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე ადგილების ტრადიციული და მართებული სახელწოდებების გამოყენება ან მიიღება, თუ აუცილებელია, ოფიციალურ ენაზე (ენებზე) არსებულ სახელწოდებასთან ერთად.
3. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ან მათი სახელით მოქმედი პირების მიერ გაწეულ საზოგადოებრივ მომსახურებასთან დაკავშირებით, მხარეები ვალდებულიან იღებენ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გავრცელების ტერიტორიაზე, თითოეული ენის მდგომარეობის გათვალისწინებით და გონივრული შესაძლებლობების ფარგლებში:

- a) უზრუნველყონ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენება მომსახურების გაწევისას; ან
 - b) ნება დართონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოსაუბრე პირებს წარადგინონ მოთხოვნა და მიიღონ პასუხი ამ ენებზე; ან
 - c) ნება დართონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოსაუბრე პირებს წარადგინონ მოთხოვნა ამ ენებზე.
4. ამ მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტების იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც მათ მიიღეს, მხარეები ვალდებულებას იღებენ გაატარონ ერთი ან რამდენიმე შემდეგი ღონისძიებებიდან:
- a) წერილობითი ან ზეპირი თარგმანი, მოთხოვნილებისამებრ;
 - b) თანამდებობის პირებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეების შერჩევა და, საჭიროების შემთხვევაში, წერთა, მოთხოვნილებისამებრ;
 - c) საჯარო მოსამსახურეებისაგან, შეძლებისდაგვარად, იმ რეგიონალური ან უმცირესობის ენის ცოდნის მოთხოვნა, სადაც ინიშნებიან.
5. მხარეები ვალდებულებას იღებენ დაინტერესებულ პირებს დართონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე გვარების გამოყენებისა და მიღების ნება.

მუხლი 11 – მედია

1. რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოსაუბრეთათვის ამ ენების გავრცელების ტერიტორიაზე, თითოეული ენის მდგომარეობის შესაბამისად, იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ხელისუფლების ორგანოები, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფლობენ კომპეტენციას, ძალაუფლებას ან ამ სფეროში გარკვეულ როლს თამაშობენ და მედიის დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის პრინციპის პატივისცემით, მხარეები ვალდებულებას იღებენ:
- a) იმ მოცულობით, რა მოცულობითაც რადიო და ტელევიზია ახორციელებს საჯარო სამსახურის მისიას:
 - (i) უზრუნველყონ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე ერთი რადიოსადგურისა და ერთი სატელევიზიო არხის დაარსება მაინც; ან
 - (ii) წახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე ერთი რადიოსადგურისა და ერთი სატელევიზიო არხის დაარსებას მაინც; ან

- (iii) შექმნან შესაბამისი პირობები მაუწყებლობის მუშაკებისათვის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე გადაცემების მოსამზადებლად;
- b)
 - (i) წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე ერთი რადიოსადგურის შექმნას მაინც; ან
 - (ii) წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე რადიოგადაცემების რეგულარულ მომზადებას;
- c)
 - (i) წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალური ან უმცირესობის ენაზე ერთი სატელევიზიო არხის დაარსებას მაინც; ან
 - (ii) წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე სატელევიზიო გადაცემების რეგულარულ მომზადებას;
- d) წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე აუდიო და აუდიოვიზუალური ნაწარმოებების წარმოებასა და გავრცელებას;
- e)
 - (i) წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე სულ მცირე ერთი გაზეთის დაარსებას და/ან შენარჩუნებას; ან
 - (ii) წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე საგაზეთო სტატიების რეგულარულ გამოცემას;
- f)
 - (i) დაფარონ იმ მედიის დამატებითი ხარჯები, რომელიც იყენებს რეგიონალურ ან უმცირესობის ენას, სადაც კი კანონმდებლობა, ჩვეულებრივ, მედიისათვის ფინანსურ დახმარებას ითვალისწინებს; ან
 - (ii) გამოიყენონ არსებული ღონისძიებები რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე აუდიოვიზუალური წარმოების ფინანსური დახმარებისათვის;

გ) ხელი შეუწყონ საწვრთნელი კურსების ჩატარებას ჟურნალისტებისა და იმ მაუწყებლობის თანამშრომლებისათვის, რომელიც იყენებს რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებს.

2. მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყონ მეზობელი ქვეყნებიდან ტელე და რადიო გადაცემების პირდაპირი მიღების თავისუფლება იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება რეგიონალური ან უმცირესობის ენის იდენტური ან მსგავსი ფორმით, და ხელი არ შეუშალონ ამ ენებზე მეზობელი ქვეყნებიდან მიღებული ტელე და რადიო გადაცემების რეტრანსმისიას. ისინი, ასევე, ვალდებულია იღებენ არ დააწესონ პრესაში წერილობითი ინფორმაციის მოძრაობის მიმართ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვები იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება რეგიონალური ან უმცირესობის ენის იდენტური ან მსგავსი ფორმით. რამდენადაც ზემოაღნიშნული თავისუფლებებით სარგებლობას თან სდევს მოვალეობები და პასუხისმგებლობა, ამიტომ ის ექვემდებარება ისეთ ფორმალობებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, არეულობის ან დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის ან ზნეობის, სხვათა უფლებების ან ღირსების დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების ან სასამართლო ხელისუფლების თავიდან აცილების, ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის.
3. მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოსაუბრეთა ინტერესების წარმოდგენა ან მხედველობაში მიღება იმ ორგანოების მხრიდან, რომლებიც შეიძლება შეიქმნას კანონის შესაბამისად, მედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის უზრუნველყოფისათვის.

მუხლი 12 – კულტურული ღონისძიებები და საშუალებები

1. ისეთ კულტურულ ღონისძიებებთან ან საშუალებებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: განსაკუთრებით, ბიბლიოთეკები, ვიდეობიბლიოთეკები, კულტურული ცენტრები, მუზეუმები, არქივები, აკადემიები, კინოთეატრები ისევე, როგორც მხატვრული შემოქმედება და კინემატოგრაფია, კულტურული შემოქმედების აბორიგენული ფორმები, ფესტივალები და კულტურული ინდუსტრია, ინტერ ლია, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ჩათვლით – მხარეები ვალდებულია იღებენ, ამ ენების გავრცელების ტერიტორიაზე და იმ მოცულობით, რა მოცულობითაც სახელმწიფო ხელისუფლების

ორგანოები ფლობენ კომპეტენციას, ძალაუფლებას ან ამ სფეროში გარკვეულ როლს თამაშობენ:

- a) წახალისონ რეგიონალური ან უმცირესობათა ენებისათვის დამახასიათებელი გამოხატვისა და ინიციატივის ფორმები და გააფართოვონ ამ ენებზე შესრულებული ნაწარმოების ხელმისაწვდომობის სხვადასხვა საშუალებები;
- b) გააფართოვონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე შესრულებული ნაწარმოებების სხვა ენებზე ხელმისაწვდომობის სხვადასხვა საშუალებები მთარგმნელობითი საქმიანობის, დუბლირების, პოსტ-სინქრონიზაციისა და სუბტიტრების ხელშეწყობითა და განვითარებით;
- c) გააფართოვონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე სხვა ენებზე შესრულებული ნაწარმოებების ხელმისაწვდომობა მთარგმნელობითი საქმიანობის, დუბლირების, პოსტ-სინქრონიზაციისა და სუბტიტრების ხელშეწყობითა და განვითარებით;
- d) უზრუნველყონ, რომ ორგანოებმა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებასა და დახმარებაზე, სათანადო ყურადღება დაუთმონ მათი ინიციატივით ან დახმარებით მომზადებულ ღონისძიებებში რეგიონალური და უმცირესობათა ენებისა და კულტურის შესახებ ცოდნისა და მათი გამოყენების გაერთიანებას;
- e) მიიღონ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ იმ ორგანოების თანამშრომლები, რომლებსაც კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და მხარდაჭერა ევალებათ, სრულად ფლობდნენ შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობის ენას ისევე, როგორც დანარჩენი მოსახლეობის სასაუბრო ენას (ენებს);
- f) წახალისონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოსაუბრეთა წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობა კულტურული ღონისძიებების დაგეგმვასა და შესაბამისი საშუალებებით უზრუნველყოფაში;
- g) წახალისონ და/ან ხელი შეუწყონ ორგანოს ან ორგანოების შექმნას, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე შექმნილი ნაწარმოებების შეგროვებაზე, ასლების გადაღებასა და ჩვენებაზე ან გადმოცემაზე;
- h) საჭიროების შემთხვევაში, შექმნან და/ან ხელი შეუწყონ და დააფინანსონ მთარგმნელობითი და ტერმინოლოგიური კვლევის სამსახურები, თითოეულ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე შესაბამისი ადმინისტრაციული, კომერციული, ეკონომიკური,

სოციალური, ტექნიკური ან იურიდიული ტერმინოლოგიის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით.

2. იმ ტერიტორიებთან დაკავშირებით, სადაც რეგიონალური და უმცირესობათა ენები გამოყენება ტრადიციულად, მხარეები ვალდებულებას იღებენ, თუ იქ მცხოვრებ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოსაუბრეთა რაოდენობა ამას ამართლებს, ნება დართონ, წაახალისონ და/ან უზრუნველყონ შესაბამისი კულტურული ღონისძიებების ჩატარება და საშუალებების დანერგვა წინამდებარე პუნქტის თანახმად.
3. მხარეები, საზღვარგარეთ თავიანთი კულტურული პოლიტიკის გატარებისას, ვალდებულებას იღებენ სათანადოდ იზრუნონ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებსა და იმ კულტურებზე, რომლებსაც ეს ენები ასახავს.

მუხლი 13 – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება

1. ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებებთან დაკავშირებით, მხარეები ვალდებულებას იღებენ ქვეყნის მასშტაბით:
 - a) საკუთარი კანონმდებლობიდან აღმოფხვრან ნებისმიერი დებულება, რომელიც, გამამართლებელი მიზეზების გარეშე, კრძალავს ან ზღუდავს რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენებას ეკონომიკურ და სოციალურ სფეროსთან დაკავშირებულ დოკუმენტებში, კერძოდ, შრომის ხელშეკრულებებსა და ტექნიკურ დოკუმენტებში, როგორცაა, ინსტრუქციები საქონლის ან მოწყობილობის გამოყენების შესახებ;
 - b) აღმოფხვრან კომპანიათა წესდებებსა და კერძო დოკუმენტებში ისეთი დებულებების ჩადების პრაქტიკა, რომლებიც გამორიცხავს ან ზღუდავს რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენებას, უკიდურეს შემთხვევაში - ერთ ენაზე მოსაუბრე პირებს შორის;
 - c) შეეწინააღმდეგონ პრაქტიკას, რომელიც მიმართულია ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებებში რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენებისათვის ხელის შეშლისკენ;
 - d) ხელი შეუწყონ და/ან წაახალისონ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენება წინამორბედი ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგანგებო საშუალებებით.
2. ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებებთან დაკავშირებით, მხარეები, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა

უფლებამოსილებისა (კომპეტენციის) და გონივრული შესაძლებლობების ფარგლებში, რეგიონალურ ან უმცირესობათა ენების გავრცელების ტერიტორიაზე ვალდებულებას იღებენ:

- a) თავიანთ ფინანსურ და საბანკო ნორმებში ჩაღონ დებულებები, რომლებიც კომერციულ პრაქტიკასთან შეთავსებადი პროცედურების მეშვეობით საგადასახადო ორდერების (ჩეკების, საბანკო ვექსელებისა და სხვა) ან სხვა ფინანსური დოკუმენტების შედგენისას რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა ან, სადაც ეს შესაძლებელია, უზრუნველყონ ამ დებულებების განხორციელება;
- b) უშუალოდ მათ კონტროლს დაქვემდებარებულ ეკონომიკურ და სოციალურ სექტორებში (საჯარო სექტორი) მოახდინონ ისეთი ღონისძიებების ორგანიზება, რომლებიც ხელს უწყობს რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენებას;
- c) უზრუნველყონ, რომ სოციალური მზრუნველობის ისეთი დაწესებულებები, როგორებიცაა: სააუდიტო ოფისები, მოხუცთა სახლები და თავშესაფრები, სთავაზობდნენ საკუთარ ენაზე მიღებისა და ურთიერთობის შესაძლებლობას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოსაუბრე პირებს, რომლებსაც სჭირდებათ მზრუნველობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის ან სხვა მიზეზის გამო;
- d) უზრუნველყონ შესაფერისი საშუალებებით უსაფრთხოების ინსტრუქციების არსებობა რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე;
- e) იზრუნონ, რომ ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია მომხმარებელთა უფლებების შესახებ ხელმისაწვდომი იყოს რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე.

მუხლი 14 – გაცვლითი ურთიერთობები საზღვრებს გარეთ მხარეები ვალდებულებას იღებენ:

- a) გამოიყენონ უკვე არსებული ან საჭიროების შემთხვევაში, დაღონ ახალი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები იმ სახელმწიფოებთან, რომელთა ფარგლებშიც იგივე ენა გამოიყენება იდენტური ან მსგავსი ფორმით, ერთ ენაზე მოსაუბრეთა შორის კონტაქტების გაფართოებისათვის კულტურის, განათლების, ინფორმაციის, პროფესიული წვრთნისა და პერმანენტული განათლების სფეროში;
- b) რეგიონალური ან უმცირესობათა ენების საკეთილდღეოდ, ხელი შეუწყონ და/ან განავითარონ თანამშრომლობა საზღვრებს გარეთ,

განსაკუთრებით იმ რეგიონალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის, რომელთა ტერიტორიაზეც გამოიყენება ერთი და იგივე ენა იდენტური ან მსგავსი ფორმით.

ნაწილი IV – ქარტიის გამოყენება

მუხლი 15 – პერიოდული ანგარიშები

1. მხარეები ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს პერიოდულად წარუდგენენ ანგარიშს მინისტრთა კომიტეტის მიერ დამტკიცებული ფორმით ქარტიის II ნაწილის შესაბამისად გატარებული პოლიტიკისა და III ნაწილის იმ დებულებების განსახორციელებლად მიღებული ზომების შესახებ, რომლებიც მიიღეს. პირველი ანგარიში წარუდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი მხარის მიმართ კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ, ხოლო შემდგომი ანგარიშები – პირველი ანგარიშის წარუდგენიდან 3 წლის ინტერვალით.
2. მხარეები თავიანთ ანგარიშებს საჯაროდ აქვეყნებენ.

მუხლი 16 – ანგარიშების გამოკვლევა

1. ამ ქარტიის მე-15 მუხლის შესაბამისად წარუდგენილ ანგარიშებს იკვლევს ამ ქარტიის მე-17 მუხლის შესაბამისად ევროპის კავშირის გენერალურ მდივანთან შექმნილი ექსპერტთა კომიტეტი.
2. სახელმწიფოში კანონიერად შექმნილ ორგანოებს ან ასოციაციებს შეუძლიათ ექსპერტთა კომიტეტის ყურადღება მიაპყრონ სახელმწიფოს მიერ ამ ქარტიის II ნაწილის შესაბამისად განხორციელებულ ღონისძიებებზე. მხარესთან კონსულტაციის შემდეგ, ექსპერტთა კომიტეტი უფლებამოსილია მხედველობაში მიიღოს აღნიშნული ინფორმაცია ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ანგარიშის შედგენისას. ზემოხსენებული ორგანოებს ან ასოციაციებს ასევე შეუძლიათ განცხადებების წარუდგენა ამ ქარტიის II ნაწილის შესაბამისად სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის თაობაზე.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ანგარიშისა და მე-2 პუნქტში მოხსენებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა კომიტეტი ამზადებს ანგარიშს მინისტრთა კომიტეტისათვის. ამ ანგარიშს თან ერთვის კომენტარები, რომელთა გაკეთებასაც მხარეები ითხოვენ. ანგარიში მინისტრთა კომიტეტის მიერ შეიძლება გამოქვეყნდეს საჯაროდ.

- ამ მუხლის მე-3 პარაგრაფით განსაზღვრული ანგარიში შეიცავს მინისტრთა კომიტეტისადმი ექსპერტთა კომიტეტის თხოვნას – მოამზადოს რეკომენდაციები ერთი ან რამდენიმე მხარისათვის, მოთხოვნებისამებრ.
- ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი საპარლამენტო ასამბლეას წარუდგენს ორწლიან დაწერილებით ანგარიშს ქარტიის გამოყენების თაობაზე.

მუხლი 17 – ექსპერტთა კომიტეტი

- ექსპერტთა კომიტეტი შედგება თითოეული მხარის მიერ წამოყენებული თითო წევრისაგან, რომლებსაც ნიშნავს მინისტრთა კომიტეტი შესაბამისი მხარეების მიერ წამოყენებული, უმაღლესი პატიოსნებისა და ქარტიის მოქმედების სფეროში აღიარებული კომპეტენციის მქონე პიროვნებების სიიდან.
- კომიტეტის წევრები ინიშნებიან 6 წლის ვადით და უფლებამოსილი არიან დაინიშნონ ხელმეორედ. წევრი, რომელსაც არ შეუძლია დარჩეს თანამდებობაზე უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, შეიცვლება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად. მისი შემცვლელი თანამდებობაზე იმყოფება წინამორბედის უფლებამოსილების ვადის დასრულებამდე.
- ექსპერტთა კომიტეტი იღებს თავის პროცედურულ წესებს (რეგლამენტს). კომიტეტის სამდივნო მომსახურებას უზრუნველყოფს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.

ნაწილი V – დასკვნითი დებულებები

მუხლი 18

ქარტია ხელმოსაწერად - ღიაა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. ის ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან მოწონებას. რატიფიცირების, მიღების ან მოწონების დოკუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 19

- ეს ქარტია, ქარტიის მე-18 მუხლის შესაბამისად, ძალაში შედის ევროპის საბჭოს ხუთი წევრი სახელმწიფოს მიერ თანხმობის გამოხატვიდან - იკისრონ ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებები - სამთვიანი ვადის ამოწურვის დღის მომდევნო თვის პირველ დღეს.

2. ნებისმიერი წვერი სახელმწიფოსათვის, რომელიც ამის შემდეგ გამოხატავს თანხმობას - იკისროს ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებები, ეს ქარტია ძალაში შედის მისი რატიფიცირების, მიღების ან მოწონების დოკუმენტის დეკონირებიდან სამთვიანი ვადის ამოწურვის დღის მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 20

1. ამ ქარტიის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის კავშირის მინისტრთა კომიტეტს შეუძლია ევროპის კავშირის არაწევრ ნებისმიერ სახელმწიფოს შესთავაზოს ქარტიასთან მიერთება.
2. ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც ქარტიას უერთდება, ეს ქარტია ძალაში შედის ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მიერთების დოკუმენტის დეკონირებიდან სამთვიანი ვადის ამოწურვის დღის მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 21

1. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ქარტიის ხელმოწერის ან მისი რატიფიცირების, მიღების, მოწონების ან მიერთების დოკუმენტის დეკონირების დროს გააკეთოს ერთი ან რამდენიმე დათქმა ამ ქარტიის მე-7 მუხლის მე-2 - მე-5 პარაგრაფების მიმართ. ნებისმიერი სხვა დათქმის გაკეთება დაუშვებელია.
2. ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა ამ მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად, შეუძლია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გაუქმება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან შეტყობინების გაგზავნით. გაუქმება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან.

მუხლი 22

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ამ ქარტიის დენონსირება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან შეტყობინების გაგზავნის საშუალებით.
2. ასეთი დენონსირება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ექვსთვიანი ვადის ამოწურვის დღის მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 23

ევროპის კავშირის გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებსა და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ქარტიას მიუერთდება, უგზავნის შეტყობინებას:

- a) ნებისმიერი ხელმოწერის;
- b) რატიფიცირების, მიღების, მოწონების ან მიერთების დოკუმენტის დეპონირების;
- c) ამ ქარტიის მე-19 და მე-20 მუხლების შესაბამისად ქარტიის ძალაში შესვლის თარიღის;
- d) ამ ქარტიის მე-3 მუხლის მე-2 პარაგრაფის გამოყენებასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი შეტყობინების;
- e) ქარტიასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, ქვემოთ ხელისმომწერმა, სათანადოდ უფლებამოსილმა პირებმა ხელი მოაწერეს ამ ქარტიას.

შესრულებულია სტრასბურგში, 1992 წლის 5 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე თანაბრად ავთენტური ტექსტების სახით, ერთ ეგზემპლარად, რომელიც დეპონირდება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი სათანადოდ დამოწმებულ ასლებს უგზავნის ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებსა და იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მოწვეული არიან ქარტიასთან მისაერთებლად.

ჩარჩოკონვენცია
მროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ

მიღებულია ევროპის საჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წლის 10 ნოემბერს

ევროპის საჭოს წვერი სახელმწიფოები და სხვა სახელმწიფოები, რომლებიც ხელს აწერენ წინამდებარე ჩარჩოკონვენციას,

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საჭოს მიზანია მის წევრებს შორის მეტი ერთიანობის მისაღწევად შეინარჩუნოს და განახორციელოს იდეალები და პრინციპები, რომლებიც მათი საერთო შემკვიდრეობაა,

ითვალისწინებენ რა, რომ ერთი იმ მეთოდთაგანი, რომლის საშუალებითაც ეს მიზანი მიიღწევა, არის ადამიანის უფლებათა და ძირითადად თავისუფლებათა დაცვა და შემდგომი განხორციელება,

ესწრავებიან რა, რომ შემდგომაც განხორციელონ ენაში 1993 წლის 9 ოქტომბერს მიღებული ევროპის საჭოს წვერი სახელმწიფოების სახელმწიფოს მეთაურთა და მთავრობათა დეკლარაცია,

მტკიცედ გადაწყვიტეს რა რომ შემზარავმა უბედურებებმა, რომლებსაც ადგილი ქონდათ ევროპის ისტორიაში, გვიჩვენეს, რომ ეროვნულ უმცირესობათა დაცვა აუცილებელია ამ კონტინენტზე სტაბილურობის, დემოკრატიული უშიშროებისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად.

ითვალისწინებენ რა, რომ ქლურალისტური და ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება არა მარტო პატივს უნდა სცემდეს თითოეული ადამიანის, ვინც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნის, ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობას, არამედ შესაბამის პირობებსაც უქმნიდეს მას, რათა საშუალება მიეცეს გამოამჟღავნოს, შეინარჩუნოს და განავითაროს ეს თვითმყოფადობა,

ითვალისწინებენ რა, რომ შემწენარებლობისა და დიალოგისათვის გარემო პირობების შექმნა აუცილებელია იმისათვის, რათა კულტურული ნაირფეროვნება იყოს წყარო და ფაქტორი არა განხეთქილების, არამედ ყოველი საზოგადოების გამდიდრებისა,

მხედველობაში იღებენ რა რომ შემწყნარებლური და აყვავებული ევროპის შექმნა დამოკიდებულია არა მარტო თანამშრომლობაზე სახელმწიფოთა შორის – იგი მოითხოვს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობასაც ხელისუფლების ადგილობრივ და რეგიონალურ ორგანოებს შორის თითოეული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ზიანის მიუყენებლად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციისა და თანდართული ოქმების გათვალისწინებით,

ითვალისწინებენ რა, ვალდებულებებს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის თაობაზე, რაც მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციებსა და დეკლარაციებში და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის დოკუმენტებში, კერძოდ, კოპენჰაგენის 1990 წლის 29 ივნისის დოკუმენტში,

მტკიცებ განზრახვით, განსაზღვრონ პრინციპები, რომლებსაც პატივისცემა სჭირდება, და, აგრეთვე, ვალდებულებები, გამოძინარე მათგან, რათა მონაწილე სახელმწიფოებში და სხვა ისეთ სახელმწიფოებში, რომლებიც შეიძლება ამ დოკუმენტის მონაწილენი გახდნენ, უზრუნველყოფილ იქნეს სამართლის უზენაესობის ფარგლებში ეროვნულ უმცირესობათა და იმ პირთა უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტური დაცვა, ამ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემის პირობით, აღსავსენი გადაწყვეტილებით განახორციელონ პრინციპები, დამკვიდრებულნი ამ ჩარჩოკონვენციით ეროვნული კანონმდებლობისა და შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველზე.

შეთანხმდნენ შემდგომზე:

ნაწილი I

მუხლი 1

ეროვნულ უმცირესობათა და იმ პირთა უფლებათა და თავისუფლების დაცვა, ამ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის აუცილებელი ნაწილია და ამ სახით საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში შედის.

მუხლი 2

ამ ჩარჩოკონვენციის დებულებები გამოიყენება კეთილსინდისიერად, ურთიერთ გაგებისა და შემწყნარებლობის სულისკვეთებით და კეთილმეზობლობის, მეგობრული ურთიერთობისა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 3

1. ყოველ პირს, რომელიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნის, აქვს უფლება თავისუფლად ირჩევდეს, ასეთად ითვლებოდეს, ან არადა ამ არჩევანმა ან უფლებათა განხორციელებამ, რომლებიც დაკავშირებულია ამ არჩევანთან, ეს პირი არახელსაყრელ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს.
2. პირებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან, შეუძლიათ ახორციელებდნენ უფლებებს და სარგებლობდნენ თავისუფლებებით გამომდინარე პრინციპებიდან, რომლებიც დამკვიდრებულია ამ ჩარჩოკონვენციით, ინდივიდუალური წესით, აგრეთვე სხვა პირთა თანაზიარად.

ნაწილი II

მუხლი 4

1. მონაწილენი იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ პირები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან, თანასწორობის უფლებით კანონის წინაშე და თანასწორი დაცვით კანონის მხრიდან, ამასთან ნებისმიერი დისკრიმინაცია, დაფუძნებული ეროვნულ უმცირესობათა კუთვნილებაზე, აკრძალულია.
2. მონაწილენი ვალდებულბას კისრულობენ იქ, სადაც ეს აუცილებელია, მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში წაახალისონ სრული და ქმედითი თანასწორობა იმ პირებს შორის, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან, და იმ პირთა მიმართ, რომლებიც მოსახლეობის ძირითად ეროვნულ ჯგუფს ეკუთვნიან. ამასთან, ისინი სათანადოდ ითვალისწინებენ იმ პირთა კონკრეტულ პირობებს, რომლებიც

ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან. მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომები არ განიხილება როგორც დისკრიმინაციის აქტი.

მუხლი 5

1. მონაწილენი კისრულობენ ვალდებულებებს საჯირო პირობები შეუქმნან პირებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან, რაც ხელს შეუწყობს მათი კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებას და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ კი მათი რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას.
2. იმ ზომებისათვის ზიანის მიუყენებლად, თავისი საერთო პოლიტიკის ინტეგრაციის განსახორციელებლად რომ ღებულობენ, მონაწილენი თავს იკავებენ პოლიტიკისა თუ პრაქტიკისაგან, მიმართულს იმ პირთა ასიმილაციისაკენ, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან, მათი სურვილის წინააღმდეგ და იცავენ ამ პირთ ნებისმიერი მოქმედებისაგან, მიმართულს ასეთი ასიმილაციისაკენ.

მუხლი 6

1. მონაწილენი მხარს უჭერენ შემწყნარებლობისა და კულტურათშორისი დიალოგის სულისკვეთებას და ქმედით ზომებს იღებენ ურთიერთპატივისცემის, გაგებისა და თანამშრომლობის ხელშესაწყობად მათს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირს შორის, დამოუკიდებლად მათი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი ან რელიგიური კუთვნილებისა, კერძოდ კი განათლების, კულტურისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დარგში.
2. მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ სათანადო ზომები მიიღონ იმ პირთა დასაცავად, რომლებიც შეიძლება გახდნენ მუქარის ან დისკრიმინაციული აქტების, მტრობისა თუ ძალმომრეობის ობიექტები მათი ეთნიკური, კულტურული, რელიგიური ან ენობრივი კუთვნილების გამო.

მუხლი 7

მონაწილენი უზრუნველყოფენ ყოველი პირის, ეროვნულ უმცირესობას რომ ეკუთვნის, პატივისცემის, მშვიდობიანი კრებების თავისუფლების, გაერთიანების შექმნის თავისუფლების, მრწამსის გამოხატვის თავისუფლებისა და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლებას.

მუხლი 8

მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ აღიარონ, რომ ყოველ პირს, რომელიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნის, აქვს თავისი სარწმუნოების ან მრწამსის აღმსარებლობის უფლება და, ასევე რელიგიური დაწესებულებების, ორგანიზაციების და ასოციაციების შექმნის უფლება.

მუხლი 9

1. მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ აღიარონ, რომ ყოველი პირის, რომელიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნის, აზრის გამოხატვის თავისუფლება შეიცავს უფლებას გააჩნდეს რაიმე მოსაზრება, მიიღოს და გაცვალოს ინფორმაციები და იდეები უმცირესობის ენაზე სახელმწიფო ორგანოების მხრივ ჩარევის გარეშე და საზღვრებისაგან დამოუკიდებლად. მონაწილენი თავის სამართლებრივ სისტემათა ჩარჩოებში უზრუნველყოფენ, რათა პირები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნიან, არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისას.
2. 1-ელი პუნქტი მონაწილეთ არ ართმევს უფლებას მოითხოვონ ლიცენზირებები რაიმე დისკრიმინაციის გარეშე და ობიექტური კრიტერიუმების, ხმოვან რადიოსა და ტელემაუწყებლობის ან კინემატოგრაფიული მოღვაწეობის საფუძველზე.
3. მონაწილენი ხელს არ უშლიან პირებს, ეროვნულ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან, შექმნან და გამოიყენონ ბეჭდვითი გამოცემები. ხოლო რაც შეეხება ხმოვან რადიოსა და ტელემაუწყებლობის სამართლებრივ საფუძველს, ისინი უზრუნველყოფენ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, და 1-ლი პუნქტის დებულებათა გათვალისწინებითაც, რათა პირებს, ეროვნულ უმცირესობას რომ

ეკუთვნიან, შესაძლებლობა ჰქონდეთ შექმნან და გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციის საკუთარი საშუალებანი.

4. თავის სამართლებრივ სისტემათა ფარგლებში მხარეები სათანადო ზომებს იღებენ, რათა ხელი შეუწყონ პირებს, ეროვნულ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სარგებლობაში და კიდევ იმაში, რომ წახალისონ შემწყნარებლობა და ხელი შეუწყონ კულტურულ პლურალიზმს.

მუხლი 10

1. მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ აღიარონ, რომ ყოველ პირს, რომელიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნის, აქვს უფლება თავისუფლად და ყოველგვარი ჩარევის გარეშე სიტყვიერად თუ წერილობით თავისი უმცირესობის ერთ სარგებლობდეს, კერძოდ და საჯაროდ.
2. რაიონებში, სადაც ტრადიციულად ან საკმაო ოდენობით ცხოვრობენ პირები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან, თუ ეს პირები ითხოვენ ამას და თუ ასეთი თხოვნა რეალურ საჭიროებას პასუხობს, მონაწილენი ესწრაფვიან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უზრუნველყონ პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემენ გამოიყენონ უმცირესობის ენა ამ პირებისა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობისათვის.
3. მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ უზრუნველყონ ყოველი პირის, რომელიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნის, უფლება დაუყოვნებლივ მისთვის გასაგებ ენაზე შეატყობინონ მისი დაკავების მიზეზთა თაობაზე და მის წინააღმდეგ წაყენებული ნებისმიერი ბრალდების ხასიათსა და მიზეზზე, და დაიცვას თავი ამ ენაზე, აუცილებლობის შემთხვევაში კი ისარგებლოს თარჯიმნის უსასყიდლო დახმარებით.

მუხლი 11

1. მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ აღიარონ, რომ ყოველ პირს, რომელიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნის, აქვს

უფლება სარგებლობდეს თავისი გვართა და თავისი სახელით ამ უმცირესობის ენაზე, აგრეთვე უფლება, ოფიციალურად აღიარონ ისინი მათი სამართლებრივი სისტემის გათვალისწინების პირობების შესაბამისად.

2. მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ აღიარონ, რომ ყოველ პირს, რომელიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნის, აქვს უფლება საზოგადოებრიობისათვის თვალსაჩინო ადგილზე განალაგოს ფირნიშები, წარწერები და კერძო ხასიათის სხვა ინფორმაცია თავის უმცირესობის ენაზე.
3. რაიონებში, სადაც ტრადიციულად დიდი ოდენობით ცხოვრობენ პირები, ეროვნულ უმცირესობას რომ ეკუთვნიან, მონაწილენი უზრუნველყოფენ თავიანთ სამართლებრივ სისტემათა ჩარჩოებში, ხოლო, აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით და მათი თავისებურებების გათვალისწინებით, მოსახლეობისათვის და უმცირესობის ენაზე მაჩვენებლების დაყენებას ტრადიციული ადგილობრივი სახელწოდებებით, ქუჩათა სახელწოდებებით და სხვა ტოპოგრაფიული მაჩვენებლებით, თუ ასეთ მაჩვენებლებზე საკმარისი მოთხოვნილება არსებობს.

მუხლი 12

1. კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის დარგში მოსახლეობის ეროვნული უმცირესობისა და ძირითადი ეროვნული ჯგუფის ცოდნის გაღრმავების მიზნით მონაწილენი, აუცილებლობის შემთხვევაში, ღებულობენ ზომებს განათლებისა და სამეცნიერო კვლევის სფეროში მოსახლეობის ეროვნული უმცირესობისა და ძირითადი ეროვნული ჯგუფის ცოდნის გაღრმავების მიზნით.
2. ამ მიმართებით მონაწილენი, კერძოდ, უზრუნველყოფენ სათანადო შესაძლებლობებს მასწავლებელთა შემადგენლობის მოსამზადებლად და სახელმძღვანელოების მისაღებად, აგრეთვე ხელს უწყობენ სტუდენტთა და სხვადასხვა თემის მასწავლებელთა კონტაქტებს.

3. მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ უზრუნველყონ ყველა დონის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა იმ პირთათვის, ეროვნულ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან.

მუხლი 13 .

1. განათლების თავის სისტემათა ფარგლებში მონაწილენი აღიარებენ, რომ პირებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან, აქვს უფლება დააფუძნონ და მოაწყონ საკუთარი კერძო დაწესებულებები განათლებისა და პროფესიული მომზადების მიზნით.
2. ამ უფლების განხორციელება მონაწილეთათვის რაიმე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული არ არის.

მუხლი 14

1. მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ აღიარონ, რომ ყოველ პირს, რომელიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნის, აქვს უფლება შეისწავლოს თავისი უმცირესობის ენა.
2. მონაწილენი ესწრაფვიან რაიონებში, სადაც ტრადიციულად ან დიდი ოდენობით ცხოვრობენ პირები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან, ამაზე საკმარის მოთხოვნილების შემთხვევაში უზრუნველყონ განათლების თავის სისტემათა ფარგლებში და რამდენადაც ეს შესაძლებელია, რათა პირებს, ამ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან, გააჩნდეთ სათანადო შესაძლებლობა შეისწავლონ თავისი უმცირესობის ენა ან ისწავლონ ამ ენაზე.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულებანი ხორციელდება ოფიციალური ენის შესწავლის ან მასზე განათლების მიღებისათვის ზიანის მიუყენებლად.

მუხლი 15

მონაწილენი უქმიანე აუცილებელ პირობებს ეფექტური მონაწილეობისათვის პირებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრებისა და

სახელმწიფო საქმეების წარმოებისათვის, კერძოდ, იმ საკითხებში, მათ რომ ეხებათ.

მუხლი 16

მონაწილენი თავს იკავებენ ისეთი ზომების მიღებისაგან, რომლებიც გაელენას მოახდენდა მოსახლეობისა და იმ რაიონებში მცხოვრებ პირთა სტრუქტურულ შემადგენლობაზე, რომლებიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნიან, და მიმართული იქნებოდა წინამდებარე კონვენციაში ასახულ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვისაკენ.

მუხლი 17

1. მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ ხელი არ შეუშალონ პირთ, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან, დაამყარონ და მხარი დაუჭირონ თავისუფალ ტრანსსასაზღვრო კონტაქტებს პირებთან, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, კერძოდ, იმ პირებთან, რომლებთანაც მათ აკავშირებთ საერთო ეთნიკური კუთვნილება, კულტურა, ენა თუ რელიგია ან საერთო კულტურული მემკვიდრეობა.
2. მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ ხელი არ შეუშალონ პირებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან, მონაწილეობა მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მუხლი 18

1. მონაწილენი ყველა დონეს ხმარობენ, რათა დადონ, როცა ეს აუცილებელია, ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმება სხვა სახელმწიფოებთან, კერძოდ, მეზობელ სახელმწიფოებთან, რათა უზრუნველყონ იმ პირთა დაცვა, შესაბამის ეროვნულ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან.
2. შესაბამის შემთხვევებში მონაწილენი იღებენ ზომებს, მიმართულს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის წასახალისებლად.

მუხლი 19

მონაწილენი ვალდებულია კისრულობენ პატივი სცენ და ახორციელებდნენ პრინციპებს, დამკვიდრებულს ამ ჩარჩოკონვენციაში, აუცილებლობის შემთხვევაში კი დაუშვან მხოლოდ ისეთი შეზღუდვები და გადახვევები, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლის დოკუმენტებით, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციით, იმ ზომით, რამდენადაც ისინი ეხება უფლებებსა და თავისუფლებებს, გამომდინარე მითითებული პრინციპებიდან.

ნაწილი III

მუხლი 20

უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას, რომლებიც ამ ჩარჩონკონვენციაში დამკვიდრებული პრინციპებიდან გამომდინარეობს, ყოველი პირი, რომელიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნის, იცავს ეროვნულ კანონმდებლობას და პატივს სცემს სხვათა უფლებებს, კერძოდ, იმ პირთა უფლებებს, ძირითად ეროვნულ ჯგუფებს ან სხვა ეროვნულ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან.

მუხლი 21

წინამდებარე ჩარჩოკონვენციაში არაფერი უნდა განიმარტოს ისე, რაც გულისხმობს ვინმეს უფლებას ეწეოდეს ნებისმიერ საქმიანობას, ან სჩადიოდეს ნებისმიერ მოქმედებას, რომლებიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს, კერძოდ, სახელმწიფოთა სუვერენული თანაწისორობის, ტერიტორიული თმლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპებს.

მუხლი 22

ამ ჩარჩოკონვენციაში არაფერი უნდა შეფასდეს. როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შემზღუდველი ან შემლახველი, რომლებიც შეიძლება გარანტირებული იყოს ნებისმიერი მონაწილის კანონმდებლობით ან ნებისმიერ სხვა შეთანხმებით, რომელშიც ის მონაწილეობს.

მუხლი 23

უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც ამ ჩარჩოკონვენციაში დამკვიდრებული პრინციპებიდან გამომდინარეობს იმ ზომით, რამდენადაც ისინი აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას ან თანდართული ოქმების შესაბამის დებულებათა საგანს წარმოადგენს, ამ უკანასკნელთა შესატყვის დებულებებადაც ითვლება.

ნაწილი IV

მუხლი 24

1. ევროპის საჭოს მინისტრთა კომიტეტი თვალყურს ადევნებს მონაწილეთა მიერ წინამდებარე ჩარჩოკონვენციის განხორციელებას.
2. მონაწილენი, რომლებიც ევროპის საჭოს წევრები არ არიან, მონაწილეობენ განხორციელების მექანიზმში პირობებით, რომლებიც ცალკე იქნება განსაზღვრული.

მუხლი 25

1. ერთი წლის განმავლობაში ამ ჩარჩოკონვენციის ძალაში შესვლიდან ამა თუ იმ მონაწილის მიმართ ეს უკანასკნელი ევროპის საჭოს გენერალურ მდივანს მიაწვდის სრულ ინფორმაციას სამართლებრივი და სხვა ზომების შესახებ, მიღებულს იმ პრინციპების განსახორციელებლად, რომლებიც ჩამოყალიბებულია წინამდებარე ჩარჩოკონვენციაში.
2. ამის შემდეგ ყოველი მონაწილე პერიოდულ საფუძველზე და ყოველთვის, როცა მინისტრთა კომიტეტიდან შემოვა თხოვნა ამის თაობაზე, გენერალურ მდივანს გადასცემს ნებისმიერ დამატებით ინფორმაციას, რომელიც კავშირშია აღნიშნული ჩარჩოკონვენციის განხორციელებასთან.
3. გენერალური მდივარი მინისტრთა კომიტეტს უკზავნის ინფორმაციას, მოწოდებულს ამ მუხლის პირობების თანახმად.

მუხლი 26

1. ზომათა ადეკვატურობის შეფასებისას, რომლებისაც მონაწილენი ამ ჩარჩოკონვენციაში ჩამოყალიბებულ პრინციპთა განსახორციელებლად ღებულობენ, მინისტრთა კომიტეტი სარგებლობს საკონსულტაციო კომიტეტის დახმარებით, რომლის წევრები აღიარებული სპეციალისტები არიან ეროვნულ უმცირესობათა დაცვის სფეროში.
2. საკონსულტაციო კომიტეტის შემადგენლობა და მისი მუშაობის პროცედურები განისაზღვრება მინისტრთა კომიტეტის მიერ წინამდებარე ჩარჩოკონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში.

ნაწილი V

მუხლი 27

ეს ჩარჩოკონვენცია ხელმოსაწერად ღიაა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. კონვენციის ძალაში შესვლის თარიღამდე იგი ასევე ღიაა ხელმოსაწერად ნებისმიერი სხვა სახელმწიფოებისათვის, რომელიც ამისათვის მინისტრთა კომიტეტის მიერ არის მოწვეული. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან მოწონებას. დოკუმენტები რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების შესახებ დეპონირებისათვის გადაეცემა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 28

1. წინამდებარე ჩარჩოკონვენცია ძალაში შედის თავის პირველ დღეს მომდევნო სამი თვის გასვლის შემდეგ იმ თარიღიდან, რომელზეც ევროპის საბჭოს მონაწილე თორმეტი სახელმწიფო გამოხატავს თავის თანხმობას იყვნენ შეკრულნი კონვენციასთა 27-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად.
2. ნებისმიერი წევრი სახელმწიფოებისათვის, რომელიც შემდგომში განაცხადებს თავის თანხმობას შეკრული იყოს ჩარჩოკონვენციასთან, ეს უკანასკნელი ძალაში შედის თავის პირველ დღეს მომდევნო სამი თვის გასვლის შემდეგ

რატიფიკაციის, მიღებისა ან მოწონების დოკუმენტის დეპონირების თარიღიდან.

მუხლი 29

1. წინამდებარე ჩარჩო კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ და კონსულტაციის შემდეგ მონაწილეებთან ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეუძლია მიიწვიოს ევროპის საბჭოს ნებისმიერი არაწევრი სახელმწიფო, რომელიც, თუმცა მიწვეული ხელმოსაწერად 27-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად, და ჯერ ეს არ გაუკეთებია, აგრეთვე, სხვა ნებისმიერი არაწევრი სახელმწიფო, რათა მიუერთდეს კონვენციას, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს წესდების მე-20 d მუხლით.
2. ნებისმიერი მიერთებული სახელმწიფოსათვის ჩარჩოკონვენცია ძალაში შედის თვის პირველ დღეს მომდევნო სამი თვის გასვლის შემდეგ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შემოერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან.

მუხლი 30

1. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, მოწონების ან მიერთების თაობაზე თავისი დოკუმენტის შესანახად ჩარაბებისას მიუთითოს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობისათვისაც იგი პასუხს აგებს და რომელთა მიმართაც ეს ჩარჩოკონვენცია გამოიყენება.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს უფრო მოგვიანებით ნებისმიერ დროს შეუძლია განცხადების საშუალებით ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე ამ ჩარჩოკონვენციის გამოყენება განაუკროს ნებისმიერ სხვა, განცხადებაში მითითებულ ტერიტორიაზეც. ასეთი ტერიტორიისათვის ჩარჩოკონვენცია ძალაში შედის თვის პირველ დღეს მომდევნო სამი თვის გასვლის შემდეგ გენერალური მდივნის მიერ ასეთ განცხადების მიღების თარიღიდან.
3. ნებისმიერი განცხადება, გაკეთებული წინა ორი პუნქტის შესაბამისად, შეიძლება გამოთხოვილ იქნეს ასეთ განცხადებაში

მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, გენერალური მდივნისათვის გაგზავნილი შეტყობინებით. უკუგამოთხოვნა ძალაში შედის თვის პირველ დღეს მომდევნო სამი თვის გასვლის შემდეგ გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 31

1. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს ამ ჩარჩოკონვენციის დენონსირება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნით.
2. ასეთი დენონსაცია ძალაში შედის თვის პირველ დღეს მომდევნო ექვსი თვის გასვლის შემდეგ გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 32

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, სხვა ხელმომწერ სახელმწიფოებს, აგრეთვე ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ამ ჩარჩოკონვენციას შემოუერთდა, ატყობინებს:

- a. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b. ნებისმიერი რატიფიკაციის, მიღების, მოწონების ან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შესახებ
- c. 28-ე, 29-ე და 30-5 მუხლების შესაბამისად ამ ჩარჩოკონვენციის ნებისმიერი თარიღის ძალაში შესვლის შესახებ;
- d. ნებისმიერი სხვა მოქმედების შეტყობინების ან ცნობის შესახებ, რაც ამ ჩარჩოკონვენციას ეხება.

რის დასტურადაც ქვემოთ ხელის მომწერნი, ამისათვის სათანადო რწმუნებულებით აღჭურვილნი, ხელს ვაწერთ ამ ჩარჩოკონვენციას.

შმსრულმბულია სტრასბურგში 1995 წლის თებერვლის პირველ დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ერთადერთ ეგზემპლარად. ორივე ტექსტი თანაბარი ძალისაა და ევროპის საბჭოს აქივში ინახება. გენერალური მდივანი დამოწმებულ პირებს უგზავნის თითოეულ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს და, აგრეთვე, ნებისმიერ სახელმწიფოს, მოწვეულს ხელი მოაწეროს ამ ჩარჩოკონვენციას ან მიუერთდეს მას.

პარიზის ქარტა ახალი ევროპისათვის
(პარიზში გამართული ევროთათბირის შემაჯავებელი დოკუმენტები)
1990 წლის 21 ნოემბერი

დემოკრატიის, მშვიდობისა და ერთიანობის ახალი ერა

ჩვენ, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა სახელმწიფო და მთავრობათა მეთაურები, შევიკრიბეთ პარიზში ღრმა ცვლილებებისა და ისტორიული მოლოდინის პერიოდში. ევროპის კონფორტაციისა და განხეთქილების ერა დამთავრდა. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამიერიდან ჩვენი ურთიერთობა ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობას დაემყარება.

ევროპა თავისუფლდება წარსულის მემკვიდრეობისაგან. მამაკაცთა და ქალთა სიმამაცემ, ხალხთა ნების ძალამ და ჰელსინკის დასკვნითი აქტის იდეების ძლიერებამ დასაბამი მისცეს დემოკრატიის – მშვიდობისა და ერთიანობის ახალ ეპოქას ევროპაში.

ჩვენი ღრო – ეს არის ღრო იმ იდეებისა და მოლოდინის ხორცშესხმისა, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში ცოცხლობდა ჩვენი ხალხების გულში: ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებზე დამყარებული დემოკრატიის მტკიცე ერთგულება; აყვავება ეკონომიკური თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის მეშვეობით და თანასწორი უშიშროება ყველა ჩვენი ქვეყნისათვის. დასკვნითი აქტის ათი პრინციპი ჩვენი გზის მანათობელი ვარსკვლავი იქნება ამ ნანატრი მომავლისაკენ წინსვლაში. ისევე, როგორც ეს ათი პრინციპი გვინათებდა ურთიერთობის გაუმჯობესების გზას უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე. ევროთათბირის ხაზით ნაკისრ ვალდებულებათა მთლიანად შესრულება საფუძვლად უნდა ედოს იმ თაოსნობას, რასაც ახლა ვიჩენთ, რათა მიცევთ ჩვენს ხალხებს შესაძლებლობა თავისი იმედების შესატყვისად იცხოვრონ.

ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა

ჩვენ ვკისრულობთ ავაშენოთ, შევამჭიდროოთ და განვამტკიცოთ დემოკრატია, როგორც მმართველობის ერთადერთი სისტემა ჩვენს ქვეყნებში. ამ წამოწყებაში ჩვენ ვიხელმძღვანელებთ შემდეგით:

ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები დაბადებითვე ეკუთვნის ყველა ადამიანს, ისინი ხელშეუვალია და გარანტირებულია კანონით. მათი დაცვა და მათთვის ხელისშეწყობა მთავრობის უპირველესი მოვალეობაა. მათი პატივისცემა არსებითი გარანტიაა

ზედმეტი ხელისუფლების მქონე სახელმწიფოს წინააღმდეგ. მათი დაცვა და სრულად განხორციელება თავისუფლების, სამართლიანობის და მშვიდობის საფუძველია.

დემოკრატიული მმართველობა ემყარება ხალხის ნებას, რომელიც რეგულარულად გამოიხატება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებით. დემოკრატია საფუძვლად უდევს ადამიანის პიროვნებისა და კანონის უზენაესობის პატივისცემა. დემოკრატია საკუთარი აზრის გამოთქმის თავისუფლების, საზოგადოების ყველა ჯგუფის მიმართ შემწყნარებლობის და ყოველი ადამიანისათვის თანაბარი შესაძლებლობების საუკეთესო გარანტიაა.

დემოკრატია, რომელსაც წარმომადგენლობითი და პლურალისტული ხასიათი აქვს, თან ახლავს ამომრჩევლების წინაშე ანგარიშვალდებულება. სახელმწიფო ხელისუფალთა ვალდებულება იცავდნენ კანონებს და მართლმსაჯულების მიუკერძოებელი აღსრულება. არავინ არ უნდა იდგეს კანონზე მაღლა.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ყოველ ადამიანს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს:

აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლება,

თავის აზრის გამოთქმის თავისუფლების უფლება,

ასოციაციისა და მშვიდობიანი კრებების თავისუფლების უფლება,

მიმოსვლის თავისუფლების უფლება,

არავინ უნდა დააპატიმრონ და იყოლიონ საპატიმროში თვითნებურად,

არავის მიმართ გამოიყენონ წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელი;

ყველას აქვს აგრეთვე უფლება:

იცოდეს თავისი უფლებები და იქცოდეს მათ შესაბამისად,

მონაწილეობდეს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში,

სამართლიანი და ღია სასამართლო გარჩევისა იმ შემთხვევაში, თუ მას წაუყენეს დანაშაულის ჩადენის ბრალდება,

ფლობდეს საკუთრებას ერთპიროვნულად ან სხვებთან ერთად და ეწეოდეს ინდივიდუალურ მეწარმეობას,

სარგებლობდეს თავისი ეკონომიკური, სოციალური ან კულტურული უფლებებით.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ დაცული იქნება ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფობა და რომ პირებს, ეროვნულ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან, უფლება ჰქონდეს თავისუფლად გამოხატონ, დაიცვან და განავითარონ ეს თვითმყოფობა

ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და კანონის წინაშე სრული თანასწორობის პირობებში.

უზრუნველყოფთ:

რომ ყოველ ადამიანს ჰქონდეს საშუალება ისარგებლოს სამართლებრივი დაცვის ეროვნული თუ საერთაშორისო ეფექტური საშუალებებით მისი უფლებების ნებისმიერი დარღვევის წინააღმდეგ.

ამ დებულებათა სრული დაცვა ის საბირკველია, რომელზედაც ჩვენ შევეცდებით ავაშენოთ ახალი ევროპა.

ჩვენი სახელმწიფოები ითანამშრომლობენ და მხარს დაუჭერენ ერთმანეთს, რათა დემოკრატიული მონაპოვრები შეუქცევადი გახდეს.

ეკონომიკური თავისუფლება და პასუხისმგებლობა

ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური სამართლიანობა და გარემოსადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება აბსოლუტურად აუცილებელია აყვავებისათვის.

პიროვნების თავისუფალი ნება, რომელიც დემოკრატიის პირობებში ხორციელდება და დაცულია კანონის უზენაესობით, აუცილებელი საფუძველია წარმატებული ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა. ჩვენ წავახალისებთ ისეთ ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც ადამიანური ღირსების პატივისცემისა და განმტკიცების ვითარებაში ხორციელდება.

თავისუფლება და პოლიტიკური პლურალიზმი ჩვენი საერთო მიზნის — მყარი ეკონომიკური ზრდის მიმართულებით საბაზრო ეკონომიკის განვითარების, აყვავების, სოციალური სამართლიანობის, დასაქმების გადიდებისა და ეკონომიკური რესურსების ეფექტურად გამოყენების აუცილებელი ელემენტებია. იმ ქვეყნების წარმატებით გადასვლას საბაზრო ეკონომიკაზე, რომლებიც საამისო ღონისძიებებს ახორციელებენ, დიდი მნიშვნელობა აქვს და შეესაბამება ყველა ჩვენთაგანის ინტერესებს. ეს საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ კეთილდღეობის უფრო მაღალ დონეს, რაც ჩვენი საერთო მიზანია. ჩვენ ვითანამშრომლებთ ამ ამოცანის გადასაწყვეტად.

გარემოს დაცვა ყველა ჩვენი ქვეყნის საერთო მოვალეობაა. მხარს უუჭერთ რა ამ დარგში ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე წამოწყებულ ღონისძიებებს, ჩვენ, ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ძალზე საჭიროა ერთობლივი მოქმედება უფრო ფართო საფუძველზე.

მომავლის ორიენტირები

ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს ევროთათბირის ყველა პრინციპისა და დებულების სრულად დაცვას და ახლა ვიღებთ გადაწყვეტილებას ახალი ბიძგი მივცეთ ჩვენი თანამშრომლობის ბალანსირებულ და ყოველმხრივ განვითარებას ჩვენი ხალხების საჭიროებისა და იმედების დაკმაყოფილების მიზნით.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენი პატივისცემა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი უცვლელია. სრულად დავიცავთ და განვახორციელებთ დებულებებს, რომლებიც ევროთათბირის ადამიანურ განზომილებას ეხება.

ჩვენ ვხელმძღვანელობთ ადამიანური განზომილებისადმი მიძღვნილი კონფერენციის კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტებით და ვითანამშრომლებთ დემოკრატიული ინსტიტუტების განსამტკიცებლად და კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად, ამ მიზნით გადავწყვიტეთ ჩავატაროთ ექსპერტთა სემინარი ოსლოში 1991 წლის 4-დან 15 ნოემბრამდე.

მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ხელი შევეწყობთ ეროვნულ უმცირესობათა მდიდარ წვლილს ჩვენი საზოგადოებების ცხოვრებაში და ვკისრულობთ, კვლავაც გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა. კვლავ ვადასტურებთ ჩვენს ღრმა რწმენას, რომ ჩვენი ხალხების მეგობრული ურთიერთობა, აგრეთვე მშვიდობა, სამართლიანობა, სტაბილურობა და დემოკრატია მოითხოვს, რათა ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფობა დაცული იყოს და იქმნებოდეს ამ თვითმყოფობის წახალისების პირობები. ვაცხადებთ, რომ ეროვნულ უმცირესობათა საკითხები დამაკმაყოფილებლად შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ დემოკრატიულ პოლიტიკურ ფარგლებში. ჩვენ შეგდგომ ვალიარებთ, რომ იმ პირთა უფლებები, ეროვნულ უმცირესობებს რომ ეხებიან, სრულ პატივისცემას იმსახურებს, როგორც ადამიანის საყოველთაო უფლებების ნაწილი. ჩვენ გვესმის ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში თანამშრომლობის აქტივიზაციის, აგრეთვე მათი დაცვის გაუმჯობესების გადაუდებელი საჭიროება და გადავწყვიტეთ 1991 წლის 1-დან 19 ივლისამდე ჟენევაში ჩავატაროთ ექსპერტთა თათბირი ეროვნულ უმცირესობათა საკითხებზე.

მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ვიბრძოლოთ ყოველგვარი სახის რასობრივი და ეთნიკური სიძულვილის, ანტისემიტიზმის, ქსენოფობიისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ვისაც უნდა ეხებოდეს და, აგრეთვე, რელიგიური და იდეოლოგიური მოტივებით დევნის წინააღმდეგ.

ევროთათბირის ხაზით ნაკისრ ვალდებულებათა შესაბამისად ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მოქალაქეების თავისუფალ მიმოსვლას და მათს კონტაქტებს, აგრეთვე ინფორმაციისა და იდეების თავისუფალ ნაკადს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავისუფალი საზოგადოებისა და აყვავებული კულტურების დაცვისა და განვითარებისათვის. ჩვენ მივესალმებით ტურიზმის განვითარებას და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა ერთმანეთთან გამგზავრების გაფართოებას.

ადამიანური განზომილების მექანიზმმა დაამტკიცა თავისი სარგებლიანობა და ამიტომ ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ გავაფართოოთ იგი ახალი პროცედურების ჩართვით, რომლებიც ითვალისწინებს, კერძოდ, ექსპერტების ან იმ გამოჩენილ მოღვაწეთა კოლეგიების მომსახურებას, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ამ მექანიზმის ფარგლებში განსახილველ ადამიანის უფლებათა საკითხებში. ამ მექანიზმის კონტექსტში ჩვენ უზრუნველვყოფთ ცალკეულ პირთა მონაწილეობას მათს უფლებათა დაცვაში. ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ, რომ მტკიცედ დაეუჭერთ მხარს ჩვენი ვალდებულებების გაფართოებას ამ დარგში, კერძოდ, ადამიანური განზომილებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მოსკოვის თათბირზე, ისე, რომ ზიანი არ მიაღგეს იმ არსებული საერთაშორისო ინსტრუმენტების მიხედვით ნაკისრ ვალდებულებებს, რომელთა მონაწილენიც შეიძლება ჩვენი სახელმწიფოები იყვნენ.

ჩვენ ვაღიარებთ ევროპის საბჭოს წვლილს, რომელიც მან შეიტანა ადამიანის უფლებების და დემოკრატიის პრინციპების და კანონის უზენაესობისათვის ხელშეწყობის საქმეში, აგრეთვე კულტურის დარგში თანამშრომლობის განვითარებაში. ჩვენ მივესალმებით ზოგიერთი მონაწილე სახელმწიფოს გადადგმულ ნაბიჯებს ევროპის საბჭოში შესასვლელად და მის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შემოსაერთებლად. ასევე მივესალმებით ევროპის საბჭოს მზადყოფნას გაუზიაროს თავისი გამოცდილება ევროთათბირს.

პელსინკის გადაწყვეტილება ევროპაში უშიშროებისა და
თანამშრომლობის თათბირის ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი
კომისრის შესახებ

გადაწყვეტილება მიღებულია ევროპაში უშიშროებისა და
თანამშრომლობის თათბირის პელსინკის სამიტზე, 1992 წლის
დეკემბერს

1. მონაწილე სახელმწიფოთა გადაწყვეტილებით, არსდება ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის თანამდებობა.

მანდატი

2. უმაღლესი კომისარი მოქმედებს CSO-ს სახელით და ამრიგად, წარმოადგენს, შეძლებისდაგვარად, ადრეულ სტადიაზე არსებული კონფლიქტების თავიდან აცილების მექანიზმს.
 3. უმაღლესი კომისარი მიმართავს “ადრეულ გაფრთხილებას” და შესაფერის შემთხვევაში, – “ადრეულ მოქმედებას,” შეძლებისდაგვარად, ადრეულ სტადიაზე, იმ დაძაბულობასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს ეროვნულ უმცირესობათა საკითხს და ჯერ არ გასცდენია გამაფრთხილებელ სტადიას, მაგრამ, უმაღლესი კომისრის აზრით, შესაძლებელია გადაიზარდოს კონფლიქტში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სივრცეში, რომელიც გავლენას მოახდენს მშვიდობაზე, სტაბილურობაზე ან მონაწილე სახელმწიფოთა ურთიერთობაზე და რომელიც საბჭოსა და CSO-ს მხრიდან ყურადღებასა და რეაგირებას ითხოვს.
 4. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც ეფუძნება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პრინციპებსა და მოვალეობებს, უმაღლესი კომისარი მოქმედებს დაძაბულობის უშუალო მონაწილე მხარეთა ნდობით და მათგან დამოუკიდებლად.
- a) უმაღლესი კომისარი განიხილავს ეროვნულ უმცირესობათა საკითხს, რომელსაც ადგილი აქვს იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქე ან რეზიდენტიც არის კომისარი, ან ეხება იმ ეროვნულ უმცირესობას,

რომელსაც იგი მიეკუთვნება, მხოლოდ ყველა უშუალოდ მონაწილე მხარის თანხმობით, დაინტერესებული სახელმწიფოს ჩათვლით;

- b) უმაღლესი კომისარი არ განიხილავს ეროვნულ უმცირესობათა საკითხს ორგანიზებული ტერორიზმის პირობებში;
- c) უმაღლესი კომისარი არ განიხილავს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ვალდებულებების დარღვევის შემთხვევებს ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელ კერძო პირთან მიმართებაში.

- 1. სიტუაციის განხილვისას, უმაღლესი კომისარი მხედველობაში იღებს იმ დემოკრატიული საშუალებებისა და საერთაშორისო მექანიზმების ხელმისაწვდომობას, რომლებიც აუცილებელია მისი დარეგულირებისათვის და მხარეების მიერ მათ გამოყენებას.
- 2. როცა ეროვნული უმცირესობის კონკრეტული საკითხი მოქცეულია CSO-ს ყურადღების სფეროში, ამ საკითხის დარეგულირებაში უმაღლესი კომისარის ჩაბმისათვის აუცილებელია მოთხოვნა და CSO-ს მხრიდან კონკრეტული (სპეციფიკური) მანდატი.

პროფილი, დანიშვნა, მხარდაჭერა

- 8. უმაღლესი კომისარი იქნება გამოჩენილი, საერთაშორისო მასშტაბის პიროვნება, რომელსაც აქვს ხანგრძლივი გამოცდილება მოცემულ სფეროში და რომლისგანაც მოსალოდნელია მისი ფუნქციების მიუკერძოებელი შესრულება.
- 9. უმაღლესი კომისარს ნიშნავს საბჭო კონსენსუსის წესით, CSO-ს რეკომენდაციის საფუძველზე, სამი წლის ვადით. მისი უფლებამოსილება შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ მომდევნო სამი წლით.
- 10. უმაღლესი კომისარი სარგებლობს ვარშავის ODIHR-ის დახმარებით, კერძოდ იღებს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომელიც ODIHR-ს გააჩნია.

ადრეული გაფრთხილება

- 11. უმაღლესი კომისარი:

- a) იღებს და აგროვებს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ქვემოთმოცემული წყაროებიდან (იხილეთ დამატებითი პუნქტები (23)-(25));
 - b) შეძლებისდაგვარად, უადრეს სტადიაზე აფასებს უშუალოდ მონაწილე მხარეთა როლს, დაძაბულობის ხასიათსა და უკანასკნელ ტენდენციებს და, თუ შესაძლებელია, მის პოტენციურ გავლენას ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სივრცეში მშვიდობასა და სტაბილურობაზე;
 - c) ამ მიზნით, მე-17 პუნქტისა და 27-30-ე დამატებითი პუნქტების შესაბამისად, ახორციელებს ვიზიტებს მონაწილე სახელმწიფოებში და ეროვნულ უმცირესობებზე ინფორმაციის პირველი წყაროდან მოპოვების მიზნით, 25-ე პარაგრაფის დებულებებით განსაზღვრული ფორმით, ურთიერთობას ამყარებს უშუალო მონაწილე მხარეებთან.
12. მონაწილე სახელმწიფოში ვიზიტის დროს, უშუალო მონაწილე მხარეებისაგან პირველადი ინფორმაციის მოპოვებისას, უმაღლესი კომისარი უფლებამოსილია განიხილოს პრობლემა მხარეებთან ერთად და შესაფერის შემთხვევაში ხელი შეუწყოს მათ შორის დიალოგს, ურთიერთნდობასა და თანამშრომლობას.

ადრეული გაფრთხილების გამოყენება

- 13. თუ უმაღლესი კომისარი მხარეებთან კომუნიკაციების გაცვლისა და ურთიერთობის საფუძველზე დარწმუნდა, რომ არსებობს პოტენციური კონფლიქტის prima facie რისკი (ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის შესაბამისად), მას შეუძლია გააკეთოს ადრეული გაფრთხილება, რომელიც დაუყოვნებლივ ეგზავნება CSO-ს ოფისის თავმჯდომარეს.
- 14. CSO-ს თავმჯდომარეს აღნიშნული ადრეული გაფრთხილება შეაქვს CSO-ს მომავალი სხდომის დღის წესრიგში. თუ სახელმწიფოს მიაჩნია, რომ ასეთი ადრეული გაფრთხილება დაუყოვნებლივ (სასწრაფო) კონსულტაციას იმსახურებს, მას შეუძლია დაიწყოს საბჭოს ბერლინის შეხვედრის შემაჯამებელი დასკვნების მე-2 დანართში მოცემული პროცედურა (“საგანგებო მექანიზმი”).
- 15. უმაღლესმა კომისარმა CSO-ს უნდა აუხსნას ადრეული გაფრთხილების გამოყენების მიზეზები.

ადრეული მოქმედება

16. უმაღლეს კომისარს შეუძლია მოითხოვოს შესაბამის მხარეებთან შემდგომი ურთიერთობების დამყარებისა და უფრო მჭიდრო კონსულტაციებში ჩართვის უფლებამოსილება შესაძლო გადაწყვეტის მიღწევის მიზნით, CSO-ს მიერ მინიჭებული მანდატის შესაბამისად. CSO-ს უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ანგარიშვალდებულება

17. უმაღლესი კომისარი აწყობს საკონსულტაციო შეხვედრას ოფისის თავმჯდომარესთან, მონაწილე სახელმწიფოში ეროვნულ უმცირესობათა საკითხზე არსებული დაძაბულობის განსახილველად გამგზავრებამდე. ოფისის თავმჯდომარე მართავს საიდუმლო კონსულტაციებს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) და შეუძლია გამართოს უფრო ფართო კონსულტაციები.
18. მონაწილე სახელმწიფოში ვიზიტის შემდეგ, უმაღლესი კომისარი ოფისის თავმჯდომარეს წარუდგენს მკაცრად გასაიდუმლოებულ ანგარიშებს საკუთარი აღმოჩენებისა და კონკრეტულ საკითხში მისი მონაწილეობის მიმდინარეობის შესახებ.
19. კონკრეტულ საკითხში უმაღლესი კომისარის მონაწილეობის შეწყვეტის შემდეგ, ეს უკანასკნელი ოფისის თავმჯდომარეს წარუდგენს ანგარიშს საკუთარი აღმოჩენების, ვიზიტის შედეგებისა და გამოტანილი დასკვნების თაობაზე. ერთი თვის განმავლობაში ოფისის თავმჯდომარე წარმოდგენილი აღმოჩენების, შედეგებისა და დასკვნების შესახებ საიდუმლო კონსულტაციას მართავს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოსთან და შეუძლია გამართოს უფრო ფართო კონსულტაციები. ამის შემდგომ ანგარიში, შესაძლო შენიშვნებთან ერთად, გადაეგზავნება CSO-ს.
20. თუ უმაღლესი კომისარი დაასკვნის, რომ სიტუაცია გადადის კონფლიქტში ან თუ მიიჩნევს, რომ მისი მოქმედების შესაძლებლობები ამოწურულია, მან, ოფისის თავმჯდომარის მეშვეობით, ამის შესახებ უნდა აცნობოს CSO-ს.
21. თუ CSO ჩაერევა მოცემულ საკითხში, უმაღლესი კომისარი მას აწვდის ინფორმაციას და, მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, კონსულტაციას უწევს CSO-ს ან ნებისმიერ სხვა დაწესებულებას ან ორგანიზაციას, რომელსაც CSO, ამ დოკუმენტის III თავის

დებულებების შესაბამისად, მოიწვევს დამაბულობასთან ან კონფლიქტთან დაკავშირებული ზომების მისაღებად.

22. უმაღლესი კომისარი, CSO-ს მოთხოვნის საფუძველზე და მისი მანდატის განხორციელებასთან დაკავშირებული კონფიდენციალობის შესაბამისად, საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საიმპლემენტაციო სხდომების მონაწილეებს.

ინფორმაციის წყაროები ეროვნულ უმცირესობათა საკითხებზე

23. უმაღლესი კომისარი უფლებამოსილია:

a) შეაგროვოს და მიიღოს ინფორმაცია ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობისა და ამ საკითხში ჩართული ყველა მხარის საქმიანობის შესახებ ნებისმიერი წყაროდან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით, გარდა ამ დოკუმენტის 25-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისისა;

b) მიიღოს სპეციალური ანგარიშები უშუალოდ მონაწილე მხარეებისგან ეროვნულ უმცირესობათა საკითხთან დაკავშირებულ მოვლენებზე. აქ იგულისხმება ის ანგარიშებიც, რომლებიც ეხება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ვალდებულებათა დარღვევას ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში და აღნიშნულ საკითხში ნებისმიერ სხვა დარღვევას.

24. აღნიშნული ანგარიშები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნილებებს:

წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, უშუალოდ უმაღლესი კომისარის სახელზე და შეიცავდეს ხელმოწერებს სახელებისა და გვარების, აგრეთვე, მისამართების სრული მითითებით;

უნდა შეიცავდეს იმ მოვლენების ფაქტობრივ აღწერას, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ პირთა მდგომარეობასა და მიმდინარე პროცესებში მონაწილე მხარეთა როლთან და რომლებსაც ადგილი ჰქონდა

უახლოეს წარსულში, კერძოდ, არა უადრეს 12 თვისა. ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება სათანადო მტკიცებულებებს.

25. უმაღლესი კომისარი არ უგზავნის და არ იღებს კომუნიკაციებს რომელიმე პირის ან ორგანიზაციისაგან, რომელიც ეწვეა ან საჯარო შემწყნარებლობას იჩენს ტერორიზმისა და ძალადობისადმი.

უშუალოდ მონაწილე დაინტერესებული მხარეები

26. დაძაბულობაში უშუალოდ მონაწილე მხარეები, რომელთაც შეუძლიათ უმაღლესი კომისარისათვის სპეციალური ანგარიშების წარდგენა და რომლებთანაც უმაღლესი კომისარი, თავისი ვიზიტის დროს, ამყარებს ურთიერთობას მონაწილე სახელმწიფოში, არიან:
- a) მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობები, შესაბამის შემთხვევაში, იმ რეგიონალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ჩათვლით, რომელთა ტერიტორიაზეც ეროვნული უმცირესობები იმყოფებიან;
- b) უშუალოდ დაინტერესებული და დაძაბულობის ზონაში მყოფი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასოციაციების, რელიგიური და ეროვნული უმცირესობების სხვა ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც უმცირესობათა ჯგუფს მიკუთვნებული პირებისაგან აღჭურვილი არიან შესაბამისი უფლებამოსილებით.

უმაღლესი კომისარის მგზავრობის პირობები

27. დაგეგმილი ვიზიტის წინ, უმაღლესი კომისარი შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს წარუდგენს სპეციალურ ინფორმაციას ვიზიტის მიზნების თაობაზე. ორი კვირის განმავლობაში შესაბამისი მონაწილე სახელმწიფო (სახელმწიფოები) კონსულტაციებს მართავს (მართავენ) უმაღლეს კომისართან მომავალი ვიზიტის შინაარსის შესახებ, რომელიც შეიძლება შეიცავდეს წინადადებებს მხარეთა შორის დიალოგის, ნდობისა და თანამშრომლობის გზების ძიების თაობაზე. მის ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ, მონაწილე სახელმწიფო, უმაღლეს კომისარს უქმნის თავისუფალი გადაადგილებისა და

კომუნიკაციის პირობებს, ამ დოკუმენტის 25-ე მუხლის დებულებების შესაბამისად.

28. თუ შესაბამისი მონაწილე სახელმწიფო უმაღლეს კომისარს სახელმწიფოში შესვლის, თავისუფალი მგზავრობისა და კომუნიკაციის ნებას არ ღართავს, უმაღლესი კომისარი ამის შესახებ აცნობებს CSO-ს.
29. ასეთი ვიზიტის განმავლობაში, უმაღლეს კომისარს, ამ დოკუმენტის 25-ე მუხლის დებულებების შესაბამისად, შეუძლია კონსულტაციები გამართოს მონაწილე მხარეებთან და მიიღოს საიდუმლო ინფორმაცია ნებისმიერი პირისაგან, ჯგუფის ან ორგანიზაციისაგან, რომელიც უშუალო კავშირშია უმაღლესი კომისრის საქმიანობასთან. უმაღლესი კომისარი პატივს სცემს ინფორმაციის კონფიდენციალურ ხასიათს.
30. მონაწილე სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი პირის, ორგანიზაციის ან დაწესებულების წინააღმდეგ რაიმე ზომების მიღებისაგან, უმაღლეს კომისართან ამ უკანასკნელთა ურთიერთობის გამო.

უმაღლესი კომისარი და ექსპერტთა მონაწილეობა

31. უმაღლეს კომისარს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არა უმეტეს სამი ექსპერტის დახმარების მოთხოვნის შესახებ კონკრეტულ საკითხზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, რომელიც მოითხოვს ხანმოკლე, სპეციალიზებულ კვლევას და რომლის შესახებაც აუცილებელია ექსპერტის რჩევა.
32. თუ უმაღლესი კომისარი მიიღებს გადაწყვეტილებას ექსპერტთა დახმარების გამოყენების შესახებ, მან ნათლად უნდა განსაზღვროს ექსპერტთა საქმიანობის სფერო და ხანგრძლივობა.
33. ექსპერტები შეიძლება ეწვიონ მონაწილე სახელმწიფოს მხოლოდ უმაღლესი კომისრის აღნიშნულ სახელმწიფოში ყოფნის პერიოდში. მათი მანდატი წარმოადგენს უმაღლესი კომისრის მანდატის განუყოფელ ნაწილს და ისინი უზრუნველყოფილი არიან მგზავრობის ანალოგიური პირობებით.
34. ექსპერტები შესაბამის რჩევებსა და რეკომენდაციებს საიდუმლოდ წარუდგენენ უმაღლეს კომისარს, რომელიც პასუხისმგებელია მათ საქმიანობასა და ანგარიშებზე და იღებს გადაწყვეტილებას

აღნიშნული რჩევებისა და რეკომენდაციების მონაწილე მხარეებისათვის წარდგენის მიზანშეწონილობისა და ფორმის შესახებ. ექსპერტთა რჩევებსა და რეკომენდაციებს სავალდებულო ძალა არა აქვს. თუ უმაღლესი კომისარი აღნიშნულ რჩევებსა და რეკომენდაციებს მხარეთათვის ხელმისაწვდომს გახდის, დაინტერესებულ სახელმწიფოს (სახელმწიფოებს) უფლება ექვსეა (ექვსეათ) გამოთქვას (გამოთქვან) საკუთარი შენიშვნები.

35. ექსპერტების შერჩევას ახდენს უმაღლესი კომისარი ODIHR-ის დახმარებით, ამ უკანასკნელის მიერ შექმნილი სათადარიგო სიიდან, როგორც ეს განსაზღვრულია მოსკოვის შეხვედრის დოკუმენტით.
36. ექსპერტთა რიცხვში არ შეიძლება შედიოდეს დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე ან რეზიდენტი ან აღნიშნული სახელმწიფოს მიერ დანიშნული ან ნებისმიერი სხვა პირი, რომლის წინააღმდეგაც ამ სახელმწიფოს მანამდე დათქმა აქვს გაკეთებული. ექსპერტთა რიცხვში ასევე არ შეიძლება შედიოდეს მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე ან რეზიდენტი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც სახელმწიფომ წარადგინა ექსპერტთა სათადარიგო სიაში, ან ნებისმიერი სახელმწიფოს ერთზე მეტი მოქალაქე ან რეზიდენტი პირი.
37. ODIHR ადგენს განცალკევებულ ბიუჯეტს, რომლიდანაც შესაბამისი მოცულობით გამოიყოფა სახსრები მგზავრობისა და ცხოვრებისათვის. ბიუჯეტის შემოსავლებს ფარავენ მონაწილე სახელმწიფოები ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მიერ შემუშავებული განაწილების სქემის მიხედვით. დეტალური მონაცემებს შეიმუშავენ ფინანსთა კომიტეტი და ამტკიცებს CSO.

პრინციპები ადამიანის უფლებების დაცვისა და
ხელშეწყობის სახელმწიფო ინსტიტუტების
სტატუსისა და ფუნქციების შესახებ

კომპენტენცია და პასუხისმგებლობა

1. სახელმწიფო ინსტიტუტი აღჭურვილი უნდა იყოს უფლებამოსილებით ხელი შეუწყოს და დაიცვას ადამიანის უფლებები.
2. სახელმწიფო ინსტიტუტს უნდა მიეცეს რაც შეიძლება ფართო მანდატი, რომელიც ნათლად იქნება განმარტებული მისი შემადგენლობისა და უფლებამოსილების განმსაზღვრელ კონსტიტუციურ და საკანონმდებლო დოკუმენტში.
3. სახელმწიფო ინსტიტუტს, *inter alia*, უნდა ჰქონდეს შემდეგი მოვალეობები:
 - a. საკონსულტაციო სტატუსით და შესაბამისი ორგანოს მოთხოვნისამებრ ან მისი უფლებამოსილების განხორციელებისას მთავრობაში, პარლამენტსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოში მოსასმენად შეიტანოს საკითხი, რეკომენდაციების, მოსაზრებების, წინადადებებისა და მოხსენებებისათვის მიმართვის გარეშე, ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ეხება ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობას. მათი საჯაროობის საკითხს წყვეტს სახელმწიფო ინსტიტუტი. ამგვარი მოსაზრებები, რეკომენდაციები, წინადადებები და მოხსენებები, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტის სხვა პრეროგატივები, უკავშირდება შემდეგ სფეროებს:

- (i) ნებისმიერ საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ აქტს, ასევე სასამართლო ორგანოებთან დაკავშირებულ დებულებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების შენარჩუნებასა და დაცვის გაფართოებას. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ინსტიტუტი შეისწავლის მოქმედ

საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ დებულებებს, ასევე კანონპროექტებსა და წინადადებებს, და შეიმუშავებს ისეთ რეკომენდაციებს, რომლებიც საჭიროა ამ დებულებების ადამიანის უფლებების ძირითად პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. საჭიროების შემთხვევაში, მას შეუძლია შეიმუშაოს რეკომენდაციები ახალი კანონმდებლობის მისაღებად, ასევე მოქმედ კანონმდებლობასა და ადმინისტრაციულ ღონისძიებებში შესწორებების მისაღებად;

(ii) ნებისმიერ სიტუაციას, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დარღვევასთან და რომელსაც იგი გადაწყვეტს მიიღოს განსახილველად;

(iii) ზოგადი ხასიათის მოხსენებების მომზადებას სახელმწიფოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მდგომარეობასა და უფრო კონკრეტულ საკმებზე;

(iv) ხელისუფლების ყურადღების გამახვილებას ქვეყნის რომელიმე ნაწილში ადამიანის უფლებების დარღვევაზე და წინადადებების შემუშავებას იმ ინიციატივების თაობაზე, რომელიც ასეთ სიტუაციას მოაწესრიგებს და სადაც საჭიროა, გამოთქვამს მოსაზრებებს სახელმწიფოს პოზიციისა და რეაგირების შესახებ;

b. ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, დადგენილებებისა და პრაქტიკის პარმონიზაციას ადამიანის უფლებების საერთაშორისო დოკუმენტებთან, რომლის მონაწილეც არის მოცემული

სახელმწიფო, და ხელი შეუწყოს მათ ეფექტურ განხორციელებას;

- c. მხარი დაუჭიროს ზემოაღნიშნული დოკუმენტების რატიფიკაციას ან მათთან მიერთებას და უზრუნველყოს მათი განხორციელება;
- d. წვლილი შეიტანოს მოხსენებებში, რომლებსაც მთავრობა, სახელმწიფოებო ვალდებულებების თანახმად, წარადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებსა და კომიტეტებში და რეგიონალურ ინსტიტუტებში და, საჭიროებისამებრ, გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები მისი დამოუკიდებლობის ფარგლებში;
- e. ითანამშრომლოს გაერთიანებულ ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების სისტემის სხვა ორგანოებთან, რეგიონალურ ინსტიტუტებსა და სხვა ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუტებთან, რომლებიც კომპეტენტური არიან ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის საქმეში;
- f. დაეხმაროს სკოლებს, უნივერსიტეტებსა და პროფესიულ წრეებს ადამიანის უფლებათა სფეროში სასწავლო პროგრამების შემუშავებაში, კვლევების წარმოებასა და მათ გამოყენებაში.
- g. საჯარო გახადოს ადამიანის უფლებები და დისკრიმინაციის, კერძოდ, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელი ხერხები საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გზით, განსაკუთრებით პრესის ყველა ორგანოს გამოყენებით, ინფორმაციისა და განათლების გავრცელებით.

შემადგენლობა, დამოუკიდებლობისა და პლურალიზმის გარანტიები

1. სახელმწიფო ინსტიტუტის შემადგენლობა და მისი წევრების დანიშვნის წესი, არჩევნებისა თუ სხვა გზით, უნდა განისაზღვროს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ყველა საჭირო გარანტიები სხვადასხვა სოციალური ფენის (სამოქალაქო

საზოგადოების) კლურალისტური წარმომადგენლობისათვის, რომლებიც მოღვაწეობენ ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის სფეროში, განსაკუთრებით, ისეთი ზერზებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ეფექტური თანამშრომლობის ჩამოყალიბებას:

a. არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც საქმიანობენ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში და წვლილი შეაქვთ რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრაში, პროფესიულ კავშირებთან შესაბამის სოციალურ და პროფესიულ ორგანიზაციებთან, მაგალითად: იურისტთა, ექიმთა, ჟურნალისტთა და გამოჩენილ მეცნიერთა ასოციაციებთან;

b. ფილოსოფიურ და რელიგიურ მიმდინარეობებთან;

c. უნივერსიტეტებსა და კვალიფიციურულ ექსპერტებთან;

d. პარლამენტთან;

e. სახელმწიფო ორგანოებთან (თუ ისინი ჩართული არიან, მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ საკონსულტაციო სტატუსით).

2. სახელმწიფო ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს სათანადო ინფრასტრუქტურა, კერძოდ, სათანადო ფინანსები, რაც მას საშუალებას მისცემს განახორციელოს თავისი ფუნქციები. დაფინანსების მიზანი უნდა იყოს საკუთარი აპარატის შენახვა და შენობის ქონა, რათა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა ხელისუფლებისაგან და არ მოხდეს მისი დაქვემდებარება ფინანსური კონტროლის გამო.

3. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო ინსტიტუტის წევრთა სტაბილური მანდატი, რომლის გარეშეც არ იარსებებს რეალური დამოუკიდებლობა, წევრების დანიშვნა უნდა განხორციელდეს ოფიციალური აქტით, რომელიც განსაზღვრავს მანდატის ხანგრძლივობას. მანდატი შეიძლება

განახლდეს იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტის პლურალიზმი უზრუნველყოფილი იქნება.

მოქმედების მეთოდები

თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო ინსტიტუტმა:

- a. დამოუკიდებლად უნდა განიხილოს მის კომპეტენციაში შემავალი ნებისმიერი საკითხი, შეტანილი მთავრობის მიერ ან მიღებული უმაღლესი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად, მისი წევრების ან სხვა პირების წინადადებით;
- b. უნდა მოუსმინოს ნებისმიერ პირს, მიიღოს ინფორმაცია და საჭირო დოკუმენტები, რაც აუცილებელია მის კომპეტენციაში შემავალი სიტუაციის შეფასებისათვის;
- c. მიმართოს საზოგადოებას პირდაპირ ან პრესის ორგანოების მეშვეობით, განსაკუთრებით თავისი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების საჯაროობის გაზრდის მიზნით;
- d. საჭიროებისამებრ, და თავისი წევრების მონაწილეობით, მოაწყოს რეგულარული შეხვედრები, წევრებთან შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ;
- e. თავის წევრთაგან შექმნას სამუშაო ჯგუფები და ადგილობრივი და რეგიონალური განყოფილებები, რათა განახორციელოს თავისი ფუნქციები;
- f. მიიღოს კონსულტაციები სასამართლო თუ სხვაგვარი ორგანოებისაგან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საქმეში (განსაკუთრებით, ომბუდსმენისაგან, მედიატორისა და მსგავსი ინსტიტუტებისაგან);
- g. ითვალისწინებს რა, არასამთავრობო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს როლს სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის გაფართოებაში, განავითაროს ურთიერთობები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებში,

რასიზმის აღმოფხვრაში, დაუცველი ჯგუფების დაცვაში (განსაკუთრებით, ბავშვების, მიგრანტი მუშების, ლტოლვილების, ფიზიკურად და გონებრივად დაავადებული პირების) ან სხვა სპეციალიზირებულ სფეროში.

კმპაზი-სასამართლოს კომპეტენციის მქონე კომისიის სტატუსთან დაკავშირებული დამატებითი პრინციპები

სახელმწიფო ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს უფლება მოისმინოს და განიხილოს ინდივიდუალურ საქმეებთან დაკავშირებული სარჩელები და შუამდგომლობები. საქმეები შეიძლება შემოტანილ იქნას ინდივიდების, მათი წარმომადგენლების, მესამე მხარის, არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფკავშირებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ. ასეთ მდგომარეობაში კომისიის უფლებამოსილებები და ფუნქციები ზემოაღნიშნული დებულებების დაურღვევლად დაფუძნებული უნდა იყოს შემდეგ პრინციპებზე:

- a. კანონის თანახმად, მორიგების საფუძველზე მეგობრულად მოგვარების გზების ძიება სავალდებულო გადაწყვეტილებებით ან, სადაც საჭიროა, კონფიდენციალობის დაცვით;
- b. იმ მხარის ინფორმირება მისი უფლებების შესახებ, რომელმაც შეიტანა სარჩელი, განსაკუთრებით არსებული კომპენსაციისა და ინსტიტუტების ხელმისაწვდომობის შესახებ;
- c. სარჩელების ან შუამდგომლობების მოსმენა და მათი გადაცემა კომპეტენტური ორგანოსათვის, კანონით გათვალისწინებულ ვადებში;
- d. რეკომენდაციების შემუშავება კომპეტენტური ორგანოსათვის, განსაკუთრებით შესწორებების ან კანონებში, დადგენილებებსა და ადმინისტრაციულ პრაქტიკაში რეფორმების შეთავაზებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ შექმნეს სირთულეები, პირებისათვის, რომლებმაც შეიტანეს სარჩელი მათი უფლებების დასაცავად.

კონვენცია იძულებითი შრომის შესახებ (კონვენცია №29)

მიღებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მე-14 სესიის მიერ 1930 წლის 28 ივნისს

ძალაშია: 1932 წლის 1 მაისიდან, 28-ე მუხლის შესაბამისად

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია, რომელიც მოწვეულ იქნა ვენეციაში საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ და შეიკრიბა 1930 წლის 10 ივნისს თავის მე-14 სესიაზე,

დაადგინა რა მიიღოს მთელი რიგი წინადადებებისა იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ, რაც წარმოადგენს სესიის დღის წესრიგის პირველი პუნქტის ნაწილს,

გადაწყვიტა რა მისცეს ამ წინადადებებს საერთაშორისო კონვენციის ფორმა,

იღებს 1930 წლის 28 ივნისის ამ კონვენციას, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს, როგორც 1930 წლის კონვენცია იძულებითი შრომის შესახებ და რომელიც ექვემდებარება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრების მიერ რატიფიკაციას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების დებულებების შესაბამისად.

მუხლი 1

1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელიც მოახდენს ამ კონვენციის რატიფიკირებას, ვალდებულია კისრულობს გააუქმოს იძულებითი ან სავალდებულო შრომის ყველა ფორმის გამოყენება შესაძლებლად მოკლე ვადაში.
2. ასეთი სრული გაუქმების გამო იძულებითი ან სავალდებულო შრომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მხოლოდ საზოგადოებრივი მიზნებისათვის და გამონაკლისის წესით

იმ პირობებითა და გარანტიებით, რომლებიც დადგენილია მომდევნო მუხლებში.

- ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან 5 წლის შემდეგ და 31-ე მუხლით გათვალისწინებულ მოხსენებასთან დაკავშირებით შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო განიხილავს იძულებითი ან სავალდებულო შრომის ყველა ფორმის გაუქმების შესაძლებლობას ახალი გადავადების გარეშე და გადაწყვეტს კონვენციის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანას.

მუხლი 2

- ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი "იძულებითი ან სავალდებულო შრომა" ნიშნავს ყოველგვარი სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც მოეთხოვება რომელიმე პირს რაიმე სასჯელის მუქარით და რომელსაც ეს პირი ნებაყოფლობით არ შეასრულებდა.
- ამასთან ტერმინი "იძულებითი ან სავალდებულო შრომა" ამ კონვენციის მიზნებისათვის არ გულისმხვბს:
 - ყოველგვარ სამუშაოს და სამსახურს, რომელიც მოეთხოვება პიროვნებას კანონით სავალდებულო სამხედროს სამსახურის შესახებ და გამოიყენება წმინდა სამხედრო ხასიათის სამუშაოებისათვის;
 - ყოველგვარ სამუშაოს და სამსახურს, რომელიც წარმოადგენს მოქალაქეთა ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ მოვალეობას სრული თვითმმართველობის ქვეყანაში;
 - ყოველგვარ სამუშაოსა და სამსახურს, რომელიც მოეთხოვება პიროვნებას სასამართლო ორგანოს მიერ გამოტანილი განაჩენის შედეგად იმ პირობით, რომ ეს სამუშაო ან სამსახური შესრულება სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლითა და ზედამხედველობით და რომ აღნიშნული პიროვნება არ იქნება მიჭირავებული ან გადაცემული კერძო პირების, კომპანიების ან საზოგადოებების განკარგულებაში;

- d. ყოველგვარ სამუშაოსა და სამსახურს, რომელიც მოეთხოვება პიროვნებას საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ანუ ომის, სტიქიური უბედურების ან ასეთი უბედურების საშიროების – ხანძრის, წყალდიდობის, შიმშილის, მიწისძვრის, ძლიერი ეპიდემიის ან ეპიზოტიის, მავნე ცხოველების, ქვეწარმავლების ან მცენარეთა პარაზიტების შემოსევის და საერთოდ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც ქმნიან ან შესაძლებელია შეუქმნან საშიშროება მოსახლეობის ან მისი ნაწილის სიცოცხლეს ან ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს;
- e. კომუნალური ხასიათის წვრილმან სამუშაოებს ან ისეთი სამუშაოებს, რომლებიც სრულდება კოლექტივის წევრთა მიერ ამ კოლექტივის პირდაპირი სარგებლობისათვის და რომლებიც ამის გამო შეიძლება ჩაითვალოს კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ მოვალეობად იმ პირობით, რომ თვითონ მოსახლეობას ან მის უშუალო წარმომადგენლებს უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი შეხედულება ამ სამუშაოთა მიზანშეწონილობის შესახებ.

მუხლი 3

ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი "კომპეტენტური ხელისუფლება" ნიშნავს ან მეტროპოლიის ხელისუფლებას, ან მოცემული ტერიტორიის უმაღლეს ცენტრალურ ხელისუფლებას.

მუხლი 4

1. კომპეტენტურმა ხელისუფლებამ არც უნდა დააწესოს, და არც უნდა დართოს ნება დაწესდეს იძულებითი ან სავალდებულო შრომა კერძო პირების, კომპანიების ან საზოგადოებების სასარებლოდ.
2. თუ იძულებითი ან სავალდებულო შრომის ამგვარი ფორმა კერძო პირების, კომპანიების ან საზოგადოებების სასარგებლოდ არსებობს იმ მომენტიანათვის, როდესაც ორგანიზაციის რომელიმე წევრისგან ამ კონვენციის რატიფიცირება რეგისტრირებულია შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორის მიერ, ორგანიზაციის ეს წევრი მთლიანად გააუქმებს ამგვარ იძულებითურ ან

სავალდებულო შრომას მისთვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის მომენტიდან.

მუხლი 5

1. კერძო პირებისათვის, კომპანიებისათვის ან საზოგადოებებისათვის მინიჭებული არანაირი კონცესია არ შეიძლება იყენებდეს იძულებით ან სავალდებულო შრომის არავითარ ფორმას წარმოების მიზნებისათვის ან პროდუქტების ასაღებად, რომლებიც გამოიყენება ამ კერძო პირების კომპანიების ან საზოგადოებების მიერ და რომლებითაც ისინი ვაჭრობენ.
2. თუ იძულებითი ან სავალდებულო შრომის ამგვარი ფორმა გამოდინარეობს არსებული კონცესიების დებულებებიდან, ეს დებულებანი უნდა შეიცვალოს შესაძლებლად მოკლე ვადაში ამ კონვენციის I მუხლის მოთხოვნათა შესრულების მიზნით.

მუხლი 6

ადმინისტრაციის წარმომდგენლებმა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი ამოცანაა ასწავლონ მათდამი რწმუნებულ მოსახლეობას შრომის ესა თუ ის ფორმა, არ შეიძლება აიძულონ მოსახლეობა ან ცალკეული პირები იმუშაონ კერძო პირების, კომპანიების ან საზოგადოებების სასარგებლოდ.

მუხლი 7

1. ტომთა ბელადებმა, რომლებიც არ ასრულებენ ადმინისტრაციულ მოვალეობებს, არ შეიძლება მიმართონ იძულებით ან სავალდებულო შრომას.
2. ტომთა ბელადებმა, რომლებიც ასრულებენ ადმინისტრაციულ მოვალეობებს, შეიძლება კომპეტენტური ხელისუფლების სპეციალური ნებართვით მიმართონ იძულებითი ან სავალდებულო შრომის გამოყენებას ამ კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ პირობებში.
3. ტომთა ბელადებმა, რომლებიც აღიარებულნი არიან სათანადოდ და რომლებიც არ იღებენ შესაბამის ჯილდოს სხვა ფორმით, შეიძლება

ისარგებლონ პირადი მომსახურებით შესაბამისი რეგლამენტაციის პირობით; ამ შემთხვევაში ყოველგვარი საჭირო ღონისძიება განხორციელდება ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 8

1. იძულებითი ან სავალდებულო შრომის გამოყენების ნებისმიერი გადაწყვეტილებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება მოცემული ტერიტორიის უმაღლეს სამოქალაქო ხელისუფლებას.
2. ამასთან ამ ხელისუფლებას შეუძლია უმაღლეს ადგილობრივ ხელისუფლებას მიანიჭოს უფლებამოსილება გამოიყენოს იძულებითი ან სავალდებულო შრომა იმ შემთხვევებში, როცა ასეთი შრომა არ გამოიწვევს მუშაკთა ჩვეული საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებას. ამ ხელისუფლებას შეუძლია აგრეთვე ამ კონვენციის 23-ე მუხლით გათვალისწინებული რეგლამენტაციით განსაზღვრულ პერიოდში და პირობებით უმაღლეს ადგილობრივ ხელისუფლებას მიანიჭოს უფლება მუშაკები ჩააბას იძულებით ან სავალდებულო შრომაში ჩვეული საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით, თუკი ასეთი შრომა გაუადვილებს ადმინისტრაციის მოხელეებს მიმოსვლას მოვალეებათა შესრულებისას და ადმინისტრაციის ტვირთის გადაზიდვას.

მუხლი 9

იმ შემთხვევების გარდა, როცა ამ კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულია სხვა რამ, ხელისუფლების ორგანო, რომელსაც აქვს იძულებით ან სავალდებულო შრომაში ჩაბმის უფლება, ვიდრე გადაწყვეტს შრომის ამგვარი ფორმით გამოყენებას, ვალდებულია წინასწარ დარწმუნდეს, რომ:

- a. სამსახური ან სამუშაო, რომელიც უნდა შესრულდეს, წარმოადგენს პირდაპირ და მნიშვნელოვან ინტერესს იმ კოლექტივისათვის, რომელმაც ეს უნდა შეასრულოს;
- b. სამსახური ან სამუშაო წარმოადგენს აუცილებლობას ამჟამად ან ახლო მომავალში;

- c. ამ სამუშაოსათვის ან სამსახურისათვის შეუძლებელია ნებაყოფლობითი მუშახელის მიღება, მოუხედავად იმისა, რომ შეთავაზებული იყო ისეთი ხელფასი და სამუშაო პირობები, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე ანალოგიური სამსახურისათვის ან სამუშაოსათვის არის პრაქტიკაში;
- d. მოსახლეობისათვის ამ სამსახურის ან სამუშაოს შედეგები არ იქნება მეტად მძიმე ტვირთი არსებული მუშახელისა და ამ მუშახელის მიერ აღნიშნული სამუშაოს შესრულების უნარის გათვალისწინებით.

მუხლი 10

- 1. იძულებითი ან სავალდებულო შრომა, რომელიც მოითხოვება როგორც ბეგარა, და იძულებითი ან სავალდებულო შრომა, რომელსაც მიმართავენ ადმინისტრაციული მოვალეობის შემსრულებელი ტომთა ბელადები საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულებისათვის, თანდათანობით უქმდება.
- 2. ამ გაუქმებისათვის იმ შემთხვევებში, როცა იძულებითი ან სავალდებულო შრომა მოთხოვნილი იქნება, როგორც ბეგარა და როცა იძულებითი ან სავალდებო შრომა ადმინისტრაციული მოვალეობის შემსრულებელი ტომთა ბელადების მიერ იქნება დაწესებული საზოგადოებრივი სამუშაოს შესასრულებლად, დაინტერესებული ხელისუფლება წინასწარ უნდა დარწმუნდეს, რომ:
 - a. სამსახური ან სამუშაო, რომლებიც უნდა შესრულდეს, წარმოადგენს იმ კოლექტივის პირდაპირ და მნიშვნელოვან ინტერესს, რომელმაც ეს სამუშაო უნდა შეასრულოს;
 - b. სამსახური ან სამუშაო არის აუცილებელი ამჟამად ან ახლო მომავალში;
 - c. მოსახლეობისათვის ამ სამუშაოს ან სამსახურის შედეგები არ იქნება მეტად მძიმე ტვირთი არსებული მუშახელის და ამ მუშახელის მიერ აღნიშნული სამუშაოს შესრულების უნარის გათვალისწინებით;

- d. ამ სამსახურის ან სამუშაოს შესრულება არ იძულებს მუშაკებს დატოვონ მათი ჩვეული საცხოვრებელი ადგილი;
- e. ამ სამსახურის ან სამუშაოს ხელმძღვანელობა წარიმართება რელიგიის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სოფლის მეურნეობის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 11

1. იძულებით ან სავალდებულო შრომაში შეიძლება ჩააბან მხოლოდ ზრდასრული შრომისუნარიანი მამაკაცები არანაკლებ 18 და არა უმეტეს 45 წლის ასაკისა. ამ კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული კატეგორიის სამუშაოთა გარდა, დაცული უნდა იყოს შემდეგი შეზღუდვები და პირობები:
 - a. ყველა შემთხვევაში, როცა ეს შესაძლებელია, ადმინისტრაციის დანიშნულმა ექიმმა წინასწარ უნდა დაადასტუროს, რომ მოცემული პირები არ არიან დაავადებული რომელიმე ინფექციური დაავადებით, ფიზიკურად ვარგისნი არიან დაწესებული სამუშაოსა და იმ პრობებისათვის, რომლებშიც ეს სამუშაო სრულდება;
 - b. უნდა გათავისუფლდნენ სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, აგრეთვე მთელი ადმინისტრაციული პერსონალი;
 - c. ყველა კოლექტივში უნდა დარჩეს საოჯახო და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის აუცილებელი რაოდენობა მოზრდილი და შრომისუნარიანი მამაკაცებისა.
 - d. საოჯახო და ცოლქმრული კავშირების პატივისცემა.
2. პირველი პუნქტის c ქვეპუნქტში მითითებული მიზნებისათვის ამ კონვენციის 23-ე მუხლით გათვალისწინებული რეგლამენტაცია განსაზღვრავს იმ წილს მოსახლეობის მუდმივი შრომისუნარიანი მამაკაცების რაოდენობიდან, რომელთა ერთდროული ჩაბმა იძულებით ან სავალდებულო შრომაში შესაძლებელია, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ წილმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადააჭარბოს ამგვარი მოსახლეობის 25%-ს.

ასეთი წილის განსაზღვრისას კომპეტენტური ხელისუფლება ანგარიშს უწევს მოსახლეობის სიმჭიდროვეს, მის საზოგადოებრივ და ფიზიკურ განვითარებას, წლის დროსა და იმ სამუშაოს ხასიათს, რომელიც უნდა შეასრულონ მოცემულმა პირებმა თავიანთ საცხოვრებელ ადგილას და საკუთარი სახსრებით, და საერთოდაც პატივს სცემს მოცემული კოლექტივის ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო ეკონომიკურ და საზოგადოებრივ საჭიროებებს.

მუხლი 12

1. მაქსიმალური პერიოდი, რომლის განმავლობაში ესა თუ ის პირი შეიძლება ჩაებას სხვადასხვა ფორმის იძულებით ან სავალდებულო შრომაში, არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 60 დღეს. ამასთანავე სამუშაო ადგილამდე მისვლისა და უკან დაბრუნებისათვის აუცილებელი დრო შედის ამ 60 დღეში.
2. იძულებით ან სავალდებულო შრომაში ჩაბმულ ყოველ მუშაკს მიეცემა მოწმობა, რომელშიც აღნიშნული იქნება ასეთი შრომის პერიოდები, რომლებიც მან უკვე გამოიძუშავა.

მუხლი 13

1. იძულებით ან სავალდებულო შრომაში ჩაბმული ყოველი პირის ნორმალური სამუშაო დღის ხანგრძლივობა ისეთივე უნდა იყოს, როგორც თავისუფალი დაქირავების პირობებში, ხოლო დრო, რომელიც პირმა იმუშავა ჩვეულებრივი ნორმის გადამეტებით, ანაზღაურდება ისეთივე განაკვეთებით, როგორც ანაზღაურდება თავისუფალი დაქირავებული შრომის ზეგანაკვეთური სამუშაო.
2. იძულებით ან სავალდებულო შრომის ამა თუ იმ ფორმაში ჩაბმულ ყველა პირს ეძლევა კვირაში ერთი დასვენების დღე. ეს დღე შესაძლებლობის მიხედვით ემთხვევა მოცემული ქვეყნის ან რაიონის ტრადიციებით ან ჩვეულებებით განსაზღვრულ დღეს.

მუხლი 14

1. იძულებითი ან სავალდებულო შრომის ყველა ფორმა, გარდა ამ კონვენციის მე-10 მუხლში მოხსენიებული სამუშაოებისა, ანაზღაურდება ნაღდი ფულის იმ განაკვეთებით, რომლებიც არ შეიძლება იყოს იმ განაკვეთებზე ნაკლები, რომელიც დადგენილია ასეთივე სამუშაოებისთვის ან იმ რაიონში, სადაც ეს სამუშაო სრულდება, ან იმ რაიონში, სადაც დაიქირავეს მუშაკები, ამასთან გამოიყენება უმაღლესი განაკვეთები.
2. იმ შემთხვევებში, როცა სამუშაოს დაწესებენ, ადმინისტრაციული მოვალეობის შემსრულებელ ტომთა ბელადების ხელფასის გადახდა წინა პუნქტებით გათვალისწინებული პირობებით შემოღებული უნდა იყოს შესაძლებლად მოკლე დროში.
3. ყოველ მუშაკს პერსონალურად უნაზღაურდება ხელფასი, და არა მისი ტომის მეთაურს ანდა რომელიმე სხვა ხელისუფლებას.
4. დღეები, რომლებიც დახარჯულია სამუშაო ადგილამდე და იქიდან უკან მგზავრობაში, ხელფასის გაცემის მიზნისათვის ითვლება სამუშაო დღედ.
5. ამ მუხლის შედეგად არ იკრძალება მუშაკათათვის ჩვეულებრივი სასურსათო ულუფის გაცემა ხელფასის ნაწილის წილად იმ პირობით, რომ ეს ულუფა ტოლფასი იქნება იმ ფულადი თანხის მაინც, რომელიც მათ უნდა შეეცვალოს, მაგრამ არ შეიძლება ხელფასიდან არანაირი გამოქვითვა არც გადასახადების სახით და არც მუშაკათათვის შრომის განსაკუთრებულ პირობებში სამუშაოს გაგრძელებისათვის საჭირო უნარის შენარჩუნებისათვის მიცემული კვებისათვის, ტანსაცმლისათვის, ბინისათვის, აგრეთვე სამუშაო იარაღებისათვის.

მუხლი 15

1. მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედი ან მომავალში ამოქმედებული ყველა კანონი, რომელიც ეხება წარმოებაში უბედური შემთხვევებისას ან პროფესიული ავადმყოფობისას ანაზღაურებას და ყველა კანონი, რომელიც ითვალისწინებს იმ პირთათვის დახმარებას, რომლებიც იმყოფებოდნენ გარდაცვლილი ან შრომისუნარდაკარგული

მუშაკის კმაყოფაზე, გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომელიც ჩაბმული არიან იძულებით ან სავალდებულო შრომაში იმ საფუძველზე, როგორც თავისუფალი დაქირავებული მუშაკების მიმართ.

2. ყოველ შემთხვევაში ყველა ხელისუფლება, რომელიც იძულებით ან სავალდებულო შრომაში აბამს მუშაკებს, მოვალეა უზრუნველყოს მუშაკთა არსებობა, თუ წარმოებაში უბედური შემთხვევის ან პროფესიული დაავადების გამო მუშაკი მთლიანად ან ნაწილობრივ მოკლებულია უნარს თავი ირჩინოს. ეს ხელისუფლება აგრეთვე მოვალეა ყველაფერი იღონოს ყოველი იმ პირის სარჩენად, რომელიც ნამდვილად იმყოფებოდა ამ მუშაკის კმაყოფაზე ამ უკანასკნელი სიკვდილის, ან მის მიერ საბუშაოს შედეგად შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში.

მუხლი 16

1. იძულებით ან სავალდებულო შრომაში ჩაბმული პირები, განსაკუთრებულად აუცილებელი შემთხვევების გარდა, არ შეიძლება გადაყვანილ იქნენ იმ რაიონებში, სადაც კვების და კლიმატური პირობები იმდენად განსხვავებულია მათთვის ჩვეული პირობებისაგან, რომ სახიფათოა მათი ჯანმრთელობისათვის.
2. არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება მუშაკთა გადაყვანა, თუ ზუსტად არ განხორციელდა ყველა ის ღონისძიება პიეიენასა და საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით, რომლებიც აუცილებელია მუშაკთა მოწყობისათვის და მათი ჯანმრთელობის დაცვისათვის.
3. თუ ასეთი გადაყვანა აუცილებელი აღმოჩნდა, კომპეტენტურ სამედიცინო დაწესებულებებთან კონსულტაციების შემდეგ ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მუშაკთა ახალ კლიმატურ პირობებთან და კვებასთან თანდათანობით შეგუებას.
4. თუ მუშაკები ჩაბმული იქნებიან მათთვის უჩვეულო სამუშაოს რეგულარულ შესრულებაში, უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი მათი ამ სახის სამუშაოებისადმი მიჩვევის უზრუნველსაყოფად, კერძოდ, თანდათანობით სწავლებასთან, სამუშაო საათებთან, დასვენების ორგანიზაციასთან, კვების ულუფის გაუმჯობესებათან ან გაზრდასთან დაკავშირებით ისე, როგორც ეს საჭირო იქნება.

ვიდრე დაშვებული იქნება მუშაკთა ჩაბმა იძულებით ან სავალდებულო შრომაში იმ სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად, რომელთა შედეგადაც მუშაკებს მოუწევთ სამუშაო ადგილზე დიდხანს დარჩენა, კომპეტენტური ხელისუფლება უნდა დარწმუნდეს, რომ:

1. ყველაფერი იღონეს მუშაკთათვის სათანადო ჰიგიენური პირობებისა და აუცილებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად და რომ, კერძოდ:
 - a. ამ მუშაკებმა უნდა გაიარონ სამედიცინო შემოწმება სამუშაოს დაწყებამდე და ამ სამუშაოს მთელი ხნის განმავლობაში გარკვეული პერიოდულობით;
 - b. გათვალისწინებული იყო საკმარისი სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა, აგრეთვე ნებისმიერი საჭიროებისათვის აუცილებელი დისპანსერების, საავადმყოფოების, პოსაპიტლების შექმნა და ყველა საჭირო მოწყობილობით აღჭურვა;
 - c. სამუშაო ადგილზე დამაკმაყოფილებლად არის უზრუნველყოფილი კარგი ჰიგიენური პირობები, მუშაკთა მომარაგება სასმელი წყლითა და სურსათით, სათბობით, აგრეთვე სამზარეულო აღჭურვილობით და აუცილებლობის შემთხვევაში ტანსაცმლითა და ბინით დამაკმაყოფილებლად უზრუნველყოფა.
2. მუშაკთა ოჯახების არსებობის უზრუნველსაყოფად მიღებულია შესაბამისი ზომები, კერძოდ, მუშაკთა თანხმობით ან თხოვნით მათი ოჯახისათვის საიმედო გზით ხელფასის ნაწილის გაგზავნა.
3. ადმინისტრაციის პასუხისმგებლობისა და მისი ხარჯით უზრუნველყოფილია მუშაკთა მგზავრობა სამუშაო ადგილამდე და უკან, და რომ ადმინისტრაცია გაუადვილებს ამ მგზავრობას ტრანპორტის ყველა ხელმისაწვდომი საშუალების შესაძლებლად ფართო გამოყენებით.
4. იმ შემთხვევაში, თუ მუშაკმა დროებით დაკარგა შრომის უნარი ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის გამო, მისი ჩვეულ

საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების ხარჯებს გაიღებს
ადმინისტრაცია.

5. ნებისმიერ მუშაკს იძულებითი ან სავალდებულო შრომის ვადის გასვლის შემდეგ თავისი სურვილით შეუძლია დარჩეს იმავე ადგილზე თავისუფალ დაქირავებულ მუშად. მას მიეცემა ამის უფლება იმ უფლების ჩამორთმევის გარეშე, რომ ორი წლის განმავლობაში თავის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნდეს უფასოდ.

მუხლი 18

1. იძულებითი ან სავალდებულო შრომა, რომელიც დაკავშირებულია ხალხის გადაყვანასთან და ტვირთზიდვასთან, როგორც, მაგალითად, მებარგულებისა და მენიზბეებისა, უქმდება რაც შეიძლება მოკლე ვადაში. ამ გაუქმებამდე კომპეტენტური ხელისუფლება ვალდებულია გამოსცეს რეგლამენტაცია, რომელიც, კერძოდ, განსაზღვრავს:
- a. იმ ვალდებულებას, რომ შრომის ეს ფორმა გამოიყენონ მხოლოდ ადმინისტრაციის მოხელეთა მიმოსვლის გასაადვილებლად, როცა ისინი თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენ, ან ადმინისტრაციის ტვირთის გადაზიდვისას, ანდა მაშინ, როცა სრულიად აუცილებელი და გადაუდებელია სხვა პირების გადაყვანა, რომლებიც ადმინისტრაციის მოხელეები არ არიან;
 - b. მოვალეობას, ამგვარ გადაზიდვებში ჩააბას მხოლოდ ის მუშაკი მამაკაცები, რომლებიც წინასწარი სამედიცინო შემოწმებით მიჩნეულნი არიან ვარგისად ამ სამუშაოს შესრულებისათვის, თუკი ასეთი შემოწმება შესაძლებელია. თუ შეუძლებელია, პირი, რომელიც გამოიყენებს ასეთ მუშახელს, თავისი პასუხისმგებლობით უნდა დარწმუნდეს, რომ ამ მუშაკებს აქვს საჭირო ფიზიკური უნარი და არ სჭირთ ინფექციური სენი;
 - c. იმ ტვირთის მაქსიმალურ წონას, რომელიც უნდა წაიღონ მუშაკებმა;

- d. მაქსიმალურ მანძილს, რომლითაც შესაძლებელია მუშაკი დააშორონ თავის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილს;
- e. თვეში დღების მაქსიმალურ რაოდენობას ან ნებისმიერ სხვა პერიოდს, რომლის განმავლობაში მუშაკი შეიძლება ჩაებას შრომაში, ამასთან დღეების ამ რაოდენობაში შედის საცხოვრებელ ადგილას დასაბრუნებლად საჭირო დღეებიც;
- f. იმ პირებს, რომლებსაც უფლება აქვთ ჩააბან იძულებით ან სავალდებულო შრომაში, აგრეთვე ამ უფლების მოქმედების ფარგლებს.
2. წინა პუნქტის c, d, e ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მაქსიმუმების განსაზღვრისას, ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები მხედველობაში იღებენ საკითხთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფაქტორს, კერძოდ, მოსახლეობის ფიზიკურ უნარს, მუშაკთა მიერ გასავლელი მარშრუტის ხასიათს, აგრეთვე კლიმატურ პირობებს.
3. გარდა ამისა, კომპეტენტური ხელისუფლება ყველა ზომებს მიიღებს იმისათვის, რომ მებარგულების ნორმალურმა, ყოველდღიურმა მარშრუტმა არ გადააჭარბოს მანძილს, რომელიც შეესაბამება საშუალოდ 8 საათიანი დღის ხანგრძლივობას. ამასთანავე ამ მანძილის განსაზღვრისას მხედველობაში იღებენ არა მხოლოდ ტვირთის წონას და მარშრუტის სიგრძეს, არამედ გზის მდგომარეობასაც, წელიწადის დროსაც და ამასთან ყველა სხვა დაკავშირებულ ფაქტორს, ზეგანაკვეთურ დროს მუშაობის აუცილებლობის შემთხვევაში. ასეთი სამუშაო ანაზღაურდება ჩვეულებრივ განაკვეთზე უფრო მაღალი განაკვეთებით.

მუხლი 19

1. ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები მიწის იძულებითი დამუშავების ნებართვას იძლევიან მხოლოდ შიმშილის თავიდან ასაცილებლად ან სასურსათო პროდუქტების ნაკლებობისას და ყოველთვის იმ პირობით, რომ მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ან სურსათი დარჩება იმ კოლექტივისა და პირის საკუთრებაში, რომელმაც ის აწარმოა.

2. ამ მუხლის შედეგად არ უნდა შეიცვალოს კოლექტივის წევრთა მოვალეობა შეასრულონ კანონით ან კოლექტივის ჩვეულებით დაწესებული სამუშაო, თუ წარმოება ორგანიზებულია კანონებისა და ჩვეულებების შესაბამისად და პროდუქტები და პროდუქტების გაყიდვის შემდეგ მოგება რჩება კოლექტივის საკუთრებაში.

მუხლი 20

კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიურ დასჯას და გამოიყენება მთლიანად კოლექტივის მიმართ იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია მისი რომელიმე წევრის მიერ, არ შეიძლება ითვალისწინებდეს, როგორც სასჯელის ღონისძიებას, კოლექტივის იბულებით ან სავალდებულო შრომას.

მუხლი 21

იბულებითი ან სავალდებულო შრომა არ გამოიყენება მალარობში მიწისქვეშა სამუშაოების შესასრულებლად.

მუხლი 22

ამ კონვენციის დებულებათა განხორციელების ღონისძიებათა შესახებ ყოველწლიური მოხსენებები, რომლებსაც ორგანიზაციის ის წევრები, რომელთაც რატიფიკაცია გაუკეთეს ამ კონვენციას, ვალდებულებას იღებენ წარუდგინონ შრომის საერთაშორისო ბიუროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 22-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად, უნდა შეიტყუდეს ყველა შესაბამის ტერიტორიასთან დაკავშირებით შესაძლებლად სრულ ინფორმაციას იბულებითი ან სავალდებულო შრომის გამოყენების ზომის შესახებ ამ ტერიტორიაზე, აგრეთვე შემდეგ საკითხებზე: ამ შრომის გამოყენების მიზნები, ავადმყოფობისა და სიკვდილის შესახებ მონაცემები, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, განაკვეთი და ხელფასების გაცემის წესი, აგრეთვე ამასთან დაკავშირებული ყველა სხვა მონაცემი.

მუხლი 23

1. ამ კონვენციის დებულებათა შესრულების მიზნით კომპეტენტური ხელისუფლება გამოსცემს სრულ და ზუსტ რეგლამენტაციას იძულებითი ან სავალდებულო შრომის გამოყენების შესახებ.
2. ეს რეგლამენტაცია, კერძოდ, შეიცავს წესს, რომელიც იძულებით ან სავალდებულო შრომაში ჩაბმულ ყოველ პირს აძლევს უფლებას ხელისუფლებას წაუყენოს ნებისმიერი პრეტენზია შრომის პირობებთან დაკავშირებით, და მისი პრეტენზიების განხილვისა და გათვალისწინების გარანტიას.

მუხლი 24

იძულებითი ან სავალდებულო შრომის წესების ზუსტად დაცვის უზრუნველყოფისათვის ყველა შემთხვევაში მიიღება შესაბამისი ზომები ან ამგვარ (ე.ი. იძულებით ან სავალდებულო) შრომაზე ნებისმიერი (თავისუფალი, დაქირავებული შრომით), უკვე არსებული ინსპექციის ორგანოს ფუნქციების გავრცელების გზით, ან ნებისმიერი, სხვა შესაბამისი სისტემის საშუალებით მიიღება აგრეთვე ზომები იმისათვის, რომ ეს წესები გაეცნოს იძულებით ან სავალდებულო შრომაში ჩაბმულ პირებს.

მუხლი 25

იძულებითს ან სავალდებულო შრომაში უკანონო ჩაბმა ისჯება სისხლის სამართლის წესით და ორგანიზაციის ყველა წევრი, რომელმაც რატიფიკაცია გაუკეთა ამ კონვენციას, ვალდებულია უზრუნველყოს რეალური ეფექტიანობა და კანონით დაწესებული სანქციების ზუსტად აღსრულება.

მუხლი 26.

1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრი, რომელმაც რატიფიკაცია გაუკეთა ამ კონვენციას, ვალდებულია გამოიყენოს იგი მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც იმყოფებიან მისი სუვერენიტეტის იურისდიქციის, პროტექტორატის, სიუზერენიტეტის, მეთურეობის ან მმართველობის ქვეშ იმდენად, რამდენადაც მას

უფლება აქვს იკისროს მოვალეობა, რომელიც ეხება შიდა იურისდიქციას. თუ ორგანიზაციის ამ წევრს სურს ისარგებლოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 35-ე მუხლის დებულებით, მან უნდა დაურთოს რატიფიკაციის დოკუმენტს განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება:

- a. ტერიტორიები, რომლებზეც იგი აპირებს ამ კონვენციის დებულების გამოყენებას ცვლილებათა გარეშე.
 - b. ტერიტორიები, რომლებზეც იგი აპირებს ამ კონვენციის დებულების გამოყენებას ცვლილებებით და ამ ცვლილებათა დეტალებით.
 - c. ტერიტორიები, რომელთა მიმართაც იგი ჯერჯერობით თავს იკავებს გადაწყვეტილების მიღებისაგან.
2. მითითებული განცხადება ჩაითვლება რატიფიკაციის შესახებ დოკუმენტის განუყოფელ ნაწილად და გამოიწვევს ერთნაირ შედეგს. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს შეუძლია მომდევნო განცხადების საშუალებით უარი თქვას წინა განცხადებაში შეტანილ შენიშვნებზე ან მათ ნაწილზე ამ მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტების ძალით.

მუხლი 27

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, ამ კონვენციის რატიფიკაციის შესახებ ოფიციალური დოკუმენტები რეგისტრაციისათვის ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

მუხლი 28

1. ეს კონვენცია სავალდებულოა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ იმ წევრებისათვის, რომელთა რატიფიკაციის სიგელები რეგისტრირებულია შრომის საერთაშორისო ბიუროში.

2. ეს კონვენცია ძალაში შედის ორგანიზაციის ორი წევრის მიერ რატიფიკაციის სიგელების გენერალური დირექტორის მიერ რეგისტრაციიდან 12 თვის შემდეგ.
3. შემდეგში ეს კონვენცია ძალაში შედის ორგანიზაციის თითოეული წევრის მიმართ ამ წევრთა მიერ რატიფიკაციის სიგელების რეგისტრაციიდან 12 თვის შემდეგ.

მუხლი 29

როგორც კი რეგისტრირებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ორი წევრის სარატიფიკაციო სიგელები, შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი ამას აცნობებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს. იგი აცნობებს მათ აგრეთვე ორგანიზაციის სხვა წევრების მიერ წარდგენილ სარატიფიკაციო სიგელთა რეგისტრაციას.

მუხლი 30

1. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია მისი ძალაში შესვლიდან ათწლიანი პერიოდის გავლის შემდეგ შეუძლია დენონსაციის აქტით მისი დენონსირება, რაც უნდა აცნობოს შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს. დენონსაცია ძალაში შედის შრომის საერთაშორისო ბიუროს მიერ დენონსაციის აქტის რეგისტრაციიდან 1 წლის შემდეგ.
2. ორგანიზაციის თითოეული წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია, რომელიც წინა პუნქტში აღნიშნული ათწლიანი პერიოდის გავლის შემდეგ ერთწლიან ვადაში არ ისარგებლებს ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსირების უფლებით, დაკავშირებული იქნება მომდევნო ათწლიანი პერიოდით და შემდგომში შეეძლება ამ კონვენციის დენონსაცია ყოველი ათწლიანი პერიოდის გავლის შემდეგ ამ მუხლში დადგენილი წესით.

მუხლი 31

ამ კონვენციის ინგლისურ და ფრანგულ ტექსტებს თანაბარი ძალა აქვთ.

კონვენცია №52
კონვენცია ყოველწლიური ფასიანი შვებულების
შესახებ

შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ
უენევაში მოწვეული და 1936 წლის 4 ივნისს თავის მე-20 სესიაზე
შეკრებილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური
კონფერენცია,

რომელმაც დაადგინა მთელი რიგი წინადადებები ყოველწლიური ფასიანი
შვებულებების შესახებ, რაც წარმოადგენს სესიის დღის წესრიგის მე-2
პუნქტს,
გადაწყვიტა ამ წინადადებებისთვის მიეცა საერთაშორისო კონვენციის
ფორმა,

იღებს ათას ცხრაას ოცდათექვსმეტი წლის ოცდაათში ივნისის ქვემოთ
კონვენციას, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს, როგორც 1936 წლის
კონვენცია ფასიანი შვებულებების შესახებ:

მუხლი 1

1. ეს კონვენცია გამოიყენება ყველა პირის მიმართ, რომლებიც
დასაქმებული არიან ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ საწარმოებსა თუ
დაწესებულებებში იმისგან დამოუკიდებლად, ეს ობიექტები სახელმწიფოა
თუ კერძო:

a) საწარმოებში, სადაც იწარმოება, იცვლება და იწმინდება, შეკეთდება,
შეიმკობა, გაიწყოება, გასაყიდად დაშვადდება, დაიშლება ან განადგურდება
საგნები, ანდა საწარმოებში, სადაც მასალები გადამუშავდება, მათ შორის
გემთმშენებელ საწარმოებში ან ელექტროენერჯის ან სხვა ნებისმიერი
სახის მამოძრავებელი ძალის წარმოების, ტრანსფორმაციის ან გადამცემ
საწარმოებში;

b) საწარმოებში, რომლებიც მთლიანად ან უმთავრესად დასაქმებულია
მშენებლობით, რეკონსტრუქციით, შენახვით, შეკეთებით, გადაკეთებით ან
დემონტაჟით:

შენობებისა,
სარკინიგზო გზებისა,
ტრამვაის ხაზებისა,
აეროპორტებისა,

- ნავსადგურებისა,
 ღოკებისა,
 ღირსებისა
 წყალდიდობისაგან ან სანაპირო ზოლის ეროზიისაგან ღაცვის
 ნაგებობებისა
 არხებისა,
 შიდა, საზღვარ ან საბაერო ნავიგაციის მიზნებისათვის განკუთვნილი
 ნაგებობებისა,
 გზებისა
 გვირაბებისა
 ხიდებისა
 ვიადუკებისა
 საკანალიზაციო სისტემებისა
 წყალსადინარებისა-ჭებისა საირიგაციო ან საშრობი ნაგებობებისა,
 ელექტროკავშირგაბმულობის მოწყობილებებისა
 გაზის ან ელექტროენერჯის მწარმოებელი და გამანაწილებელი
 საწარმოებისა მილსადენებისა
 წყალმომარაგების სისტემებისა
 და იმ საწარმოებში, რომლებიც ასრულებენ სხვა მსგავს სამუშაოებს ან
 მშენებლობისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს, ან მუშაობენ
 საძირკვლის ჩაყრაზე, რაც წინ უსწრებს ზემოთ ჩამოთვლილ
 სამუშაოებს;
- c) იმ საწარმოებში, რომელთაც გადაყვით მგზავრები ან გადააქვთ
 ტვირთი გზატკეცილზე, ან რკინიგზით, შიდა სამდინარო ან საპაერო
 გზებით, ღრკებში, ნავსაბელებში, ნავმისადგომებში, საწყობებში ან
 აეროპორტებში ტვირთის დამუშავების ჩათვლით;
- d) შახტებში, კარიერებში ან სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ
 სხვა საწარმოებში;
- e) კომერციულ ან სავაჭრო საწარმოებში ფოსტისა და
 ელექტროკავშირგაბმულობის ჩათვლით;
- f) იმ დაწესებულებებში ან ადმინისტრაციულ ორგანოებში, რომელთა
 პერსონალი დასაქმებულია უმთავრესად საკანცელარიო სამუშაოებით;
- J) პერიოდული პრესის საწარმოებში;
- h) იმ დაწესებულებებში, რომლებიც დასაქმებულია ავადმყოფთა,
 დაუძღვრებულთა, ღატაკთა ან ჭკუასუსტთა მოვლით;
- i) სასტუმროებში, რესტორნებში, პანსიონებში, სასადილოებში,
 კლუბებში, კაფეებში და საზოგადოებრივი კვების სხვა მსგავს
 დაწესებულებებში;
- j) თეატრებში და საზოგადოებრივი გართობის სხვა ადგილებში;

კ)იმ შერეულ კომერციულ და სამრეწველო საწარმოებში, რომლებიც მითლიანა არ მოიცავს ზემოჩამოთვლილ კატეგორიებს.

2.ყოველი ქვეყნის ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო მეწარმეთა ან მშრომელთა ძირითად დაინტერესებულ ორგანიზაციასთან კონსულტაციების შემდეგ, იქ, სადაც ასეთები არის, მიჯნავს, ერთი მხრივ, წინა პუნქტით განსაზღვრულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, და, მეორე მხრივ, მათ, რომელთა მიმართაც ეს კონვენცია არ გამოიყენება.

3.ყოველი ქვეყნის ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია ამ კონვენციის გამოყენების სფეროდან გამორიცხოს:

ა) პირები, რომლებიც საქმიანობენ იმ დაწესებულებებსა და საწარმოებში სადაც დასაქმებული არიან მხოლოდ მეწარმის ოჯახის წევრები;

ბ)პირები, რომლებიც საქმიანობენ სახელმწიფო დაწესებულებებში, სადაც სამსახურის პირობები მათ აძლევთ იმ ყოველწლიური ფასიანი შევებულების უფლებას, რომელიც ხანგრძლივობით შეენაცვლება ამ კონვენციით დაწესებული შევებულების ტოლია.

მუხლი 2

1. ყოველ პირს, რომლის მიმართ გამოიყენება ეს კონვენცია, უფლება აქვს ერთი წლის განმავლობაში უწყვეტი მუშაობის შემდეგ ისარგებლოს ყოველწლიური ფასიანი შევებულებით, რომელიც 6 სამუშაო დღის ტოლი მაინც უნდა იყოს.

2. ექვს წელზე ახალგაზრდა პირებს, მათ შორის მოსწავლეებს, უფლება აქვთ ერთი წლის განმავლობაში უწყვეტი მუშაობის შემდეგ ისარგებლონ ყოველწლიური ფასიანი შევებულებით, რომელიც 12 სამუშაო დღის ტოლი მაინც უნდა იყოს.

3.ყოველწლიურ ფასიან შევებულებაში არ შედის:

ა)ოფიციალური და ტრადიციული დღესასწაულები;

ბ)მუშაობის პერიოდში ავადმყოფობით გამოწვეული შესვენებები.

4. ეროვნული კანონებით ან წესებით შეიძლება განსაკუთრებულ ვითარებაში ნებადართულ იქნეს ნაწილებად დაიყოს ის ყოველწლიური ფასიანი შევებულების წილი, რომელიც ამ კონვენციით დაწესებულ მინიმალურ ხანგრძლივობას აჭარბებს.

5.ყოველწლიური ფასიანი შევებულების ხანგრძლივობა იზრდება მუშაობის სტაჟის ხანგრძლივობის შესაბამისად იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებიც დაწესებულია ეროვნული კანონებით ან წესდებით.

მუხლი 3

ყოველი პირი, რომელიც შვებულებაში გადის ამ კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად; შვებულების მთელი პერიოდისათვის იღებს:

- a) ან ეროვნული კანონებითა და წესდებით განსაზღვრული ხერხით გამოთვლილ თავის ჩვეულებრივ ჯილდოს ნატურის სახით ჯილდოს შესაბამისი ფულადი ეკვივალენტის დამატებით, თუკი ასეთი არის;
- b) ან ჯილდოს, რომელიც განსაზღვრულია კოლექტიური შეთანხმებით.

მუხლი 4

ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც გამორიცხავს ყოველწლიური ფასიანი შვებულების უფლებას ან არ იძლევა ასეთი შვებულების უფლებას, ითვლება ბათილად.

მუხლი 5

ეროვნული კანონები ან წესები შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ პირმა, რომელიც თავისი ყოველწლიური შვებულების განმავლობაში იმუშავეს ფასიან სამუშაოზე, შეიძლება დაკარგოს შვებულების პერიოდის ანაზღაურება.

მუხლი 6

პირი, რომელიც გათავისუფლებულია მეწარმის მიზეზით, მაგრამ ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის იღებს ამ კონვენციის შესაბამისად იღებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ჯილდოს.

მუხლი 7

ამ კონვენციის დებულებათა ეფექტურად განხორციელების გასაიოლებლად ყოველი დამქირავებელი კომპეტენტური ორგანოს მიერ მოწონებული ფორმით უნდა აწარმოებდეს ჩანაწერს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

- a) მის მიერ დაქირავებული ყოველი პირის მიერ მუშაობის დაწყების თარიღი და იმ ყოველწლიური ფასიანი შვებულების ხანგრძლივობა, რომლის უფლებაც ყოველ ასეთ პირს აქვს;
- b) ყოველი პირის ყოველწლიურ ფასიან შვებულებაში გასვლის თარიღი;

ც) ყოველი პირის მიერ მიღებული ჯილდო ყოველწლიური ფასიანის შევსებების პერიოდში.

მუხლი 8

ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია, შეიძულებულს სანქციების სისტემას კონვენციის დებულებათა გამოყენების უზრუნველსაყოფდა.

მუხლი 9

ამ კონვენციით არ ირღვევა კანონით, სასამართლო გადაწყვეტილებით, ჩვეულებით ან მეწარმესა და შრომელს შორის დადებული შეთანხმებებით დადგენილი ის დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ უკეთეს პირობებს, ვიდრე ამ კონვენციით გათვალისწინებული.

მუხლი 10

ამ კონვენციის რატიფიკაციის შესახებ ოფიციალური დოკუმენტები რეგისტრირებისათვის ვეზავენება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

მუხლი 11

1. ეს კონვენცია აკავშირებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხლოდ იმ წევრებს, რომელთა დოკუმენტები რატიფიკაციის შესახებ რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ.

2. იგი ძალაში შედის ორგანიზაციის ორი წევრის რატიფიკაციის შესახებ დოკუმენტების გენერალური დირექტორის მიერ რეგისტრირებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

3. შემდგომში ეს კონვენცია ძალაში შედის ორგანიზაციის ყოველი წევრის მიმართ რატიფიკაციის შესახებ მისი დოკუმენტების რეგისტრირებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

მუხლი 12

როგორც კი რეგისტრირებული იქნება დოკუმენტები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ორი წევრის რატიფიკაციის შესახებ, შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი ამის თაობაზე

ატყობინებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს. იგი აგრეთვე აცნობებს მათ კონვენციის რატიფიკაციის შესახებ ყველა დოკუმენტის რეგისტრირების თაობაზე, რომლებიც მან შემდგომში მიიღო ორგანიზაციის სხვა წევრებისაგან.

მუხლი13

1. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, რომელმაც ამ კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა, ძალაშია მისი თავდაპირველად შესვლიდან 10-წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, შეუძლია კონვენციის დენონსირება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორისათვის გაგაზავნილი და მის მიერ რეგისტრირებული აქტით, დენონსირება ძალაში შედის დენონსაციის შესახებ აქტის რეგისტრირებიდან ერთი წლის შემდეგ.

2. ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც ამ კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა, თუ წინა პუნქტში მოხსენიებული 10-წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ერთი წლის ვადაში არ ისარგებლებს ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსირების უფლებით, დაკავშირებული იქნება ამ კონვენციასთან შემდგომი 10-წლიანი პერიოდისათვის და საბოლოოდ ამ კონვენციის დენონსირებას შეძლებს ყოველი 10-წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული წესით.

მუხლი14

ყოველთვის, როცა შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციები საბჭო საჭიროდ მიიჩნევენ, იგი გენერალურ კონფერენციას წარუდგენს მოცსენებას ამ კონვენციის გამოყენების შესახებ და გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა კონფერენციის დღის წესრიგში მისი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასინჯვის საკითხის შეტანა.

მუხლი 15

იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას, რომელშიც მთლიანად ან ნაწილობრივ გადასინჯულია კონვენცია, და თუ ახალი გადასინჯველი კონვენცია არ ითვალისწინებს საწინააღმდეგოს, მაშინ:

ა) ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ახალი, გადასინჯველი კონვენციის რატიფიკაცია გამოიწვევს ამ კონვენციის ავტომატურ, მე-13

მუხლის დებულებებისაგან დამოუკიდებლად, დაუყოვნებლივ დენონსირებას იმ პირობით, რომ ახალი გადამსინჯველი კონვენცია შევიდა ძალაში.

ხ) ახალი და გადამსინჯველი კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან დაწყებული, ეს კონვენცია დახურულია ორგანიზაციის წევრებისათვის სარატიფიკაციოდ.

2. ეს კონვენცია ყოველ შემთხვევაში თავისი ფორმითა და შინაარსით ძალაშია ორგანიზაციის იმ წევრთა მიმართ, რომელთაც მოახდინეს მისი და არა ახალი, გადამსინჯველი კონვენციის რატიფიკაცია.

მუხლი 16

წინამდებარე კონვენციის ფრანგულ და ინგლისურ ტექსტებს თანაბარი ძალა აქვთ.

კონვენცია კოლექტიური მოლაპარაკების
ორგანიზებისა და გამართვაზე უფლებათა
პრინციპების გამოყენების შესახებ, 1949
(კონვენცია №98)

მიღებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური
კონფერენციის 32-ე სესიაზე 1949 წლის 1 ივლისს

ძალაშია: 1951 წლის 18 ივლისიდან

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა კონფერენციამ,
რომელიც შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს
მიერ იქნა მოწვეული და შეიკრიბა 1949 წლის 8 ივნისს თავის 32-ე
სესიაზე,

დაკლავინა, მიუღო რიგი წინადადებები კოლექტიური მოლაპარაკების
ორგანიზებასა და გამართვაზე უფლებათა პრინციპების გამოყენების
შესახებ, რაც წარმოადგენს სესიის დღის წესრიგის მე-4 პუნქტს, და

გადაწყვიტა რა, მიეცა ამ წინადადებებისათვის საერთაშორისო
კონვენციის ფორმა,

1949 წლის 1 ივლისს იღებს ამ კონვენციას, რომელიც შეიძლება
იწოდებოდეს, როგორც კონვენცია კოლექტიური მოლაპარაკების
ორგანიზებასა და გამართვაზე უფლებათა პრინციპების გამოყენების
შესახებ

მუხლი 1

1. მშრომელები სარგებლობენ სათანადო დაცვით ნებისმიერი იმ
დისკრიმინაციული მოქმედების საწინააღმდეგოდ, რომლებიც
მიმართულია შრომის სფეროში გაერთიანების თავისუფლების
შელახვისაკენ.
2. ასეთი დაცვა გამოიყენება განსაკუთრებით იმ მოქმედებათა მიმართ,
რომლებიც მიზნად ისახავენ:

- a. სამუშაოზე მშრომელის მიღებას ან მისთვის სამუშაოს შენარჩუნებას იმ პირობით, თუ ის არ შეეა პროფკავშირში ან გამოვა პროფკავშირებიდან;
- b. მშრომელის გათავისუფლებას ან სხვა ნებისმიერი მეთოდით ზიანის მიყენებას იმ საფუძველზე, რომ იგი პროფკავშირის წევრია ან მონაწილეობას იღებს პროფკავშირულ საქმიანობაში არასამუშაო დროის ან სამუშაო დროშიც მეწარმესთან შეთანხმებით.

მუხლი 2

1. მშრომელთა და მეწარმეთა ორგანიზაციები სარგებლობენ სათანადო დაცვით ერთმანეთის, ან მათი აგენტების ან წევრთა მხრიდან ჩარევის ნებისმიერი აქტის საწინააღმდეგო ორგანიზაციების შექმნის, საქმიანობისა და მართვისას.
2. კერძოდ, ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავენ მშრომელთა ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობას მეწარმეთა ან მეწარმეთა ორგანიზაციის ბატონობის ქვეშ ან მშრომელთა ორგანიზაციის მხარდაჭერას დაფინანსების ან სხვა გზით მეწარმეთა ან მეწარმეთა ორგანიზაციების მიერ მათ საქმიანობაზე კონტროლის დაწესების მიზნით, ამ მუხლის თანახმად განიხილება, როგორც ჩარევა.

მუხლი 3

იქ, სადაც ეს აუცილებელია ქვეყნის პირობების შესაბამისად და ორგანიზებაზე უფლების პატივისცემის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება აპარატი.

მუხლი 4

იქ, სადაც ეს აუცილებელია, ქვეყნის პირობების შესაბამისად მიიღება ზომები, მეწარმისა ან მეწარმეთა ორგანიზაციის, ერთის მხრივ, და მშრომელთა ორგანიზაციის, მეორეს მხრივ, ნებაყოფლობით საფუძველზე მოლაპარაკებათა წარმოების პროცედურის სრული განვითარებისა და

გამოყენების წახალისებისა და ხელშეწყობისათვის კოლექტიური ხელშეკრულების დადების შრომის პირობების რეგულირების მიზნით.

მუხლი 5

1. ქვეყნის კანონმდებლობით განისაზღვრება შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის მიმართ რა ზომით იქნება გამოყენებული ამ კონვენციით გათვალისწინებული გარანტიები.
2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების მე-19 მუხლის მე-8 პუნქტში მოცემული პრინციპების შესაბამისად, ორგანიზაციის ნებისმიერი წევრის მიერ ამ კონვენციის რატიფიცირება არ განიხილება, როგორც არსებული კანონების, სასამართლო გადაწყვეტილებების, ჩვეულებათა ან შეთანხმებების, რომელთაც შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის პირად შემადგენლობას ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებამოსილებები ენიჭება, შელახვად.

მუხლი 6

ამ კონვენციის მოქმედება არ ვრცელდება სახელმწიფო მოხელეებზე. იგი არანაირად არ იქნება განმარტებული, როგორც მათი უფლებისა და დებულებების შემლახავი.

მუხლი 7

ამ კონვენციის რატიფიცირების ოფიციალური დოკუმენტები რეგისტრაციისათვის ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

მუხლი 8

1. ეს კონვენცია სავალდებულოა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ იმ წევრებისათვის, რომელთა სარატიფიკაციო დოკუმენტები რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ.
2. იგი ძალაში შედის 12 თვის შემდეგ იმ დღიდან, რაც გენერალური დირექტორი რეგისტრაციაში გაატარებს ორგანიზაციის ორი წევრის სარატიფიკაციო დოკუმენტებს.

3. საბოლოოდ ეს კონვენცია ორგანიზაციის თითოეული წევრის მიმართ ძალაში შედის ამ წევრის მიერ რატიფიცირების შესახებ დოკუმენტების რეგისტრაციიდან 12 თვის შემდეგ.

მუხლი 9

1. განცხადება, რომელიც ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებათა შესაბამისად, მიუთითებს:
- a. ტერიტორიებს, რომელთა მიმართაც ორგანიზაციის დაინტერესებული წევრი კისრულობს ამ კონვენციის დებულებათა უცვლელად გამოყენებას;
 - b. ტერიტორიებს, რომელთა მიმართაც იგი კისრულობს გამოიყენოს ამ კონვენციის დებულებანი ცვლილებებით;
 - c. ტერიტორიებს, რომელთა მიმართაც ეს კონვენცია არ იქნება გამოყენებული და მიზეზს, რის გამოც იგი არ გამოიყენება;
 - d. ტერიტორიებს, რომელთა მიმართაც იგი აყოვნებს გადაწყვეტილების მიღებას მომავალში დებულებათა შემდგომ განხილვამდე.
2. ამ მუხლის 1 პუნქტის a და b ქვეპუნქტში აღნიშნული ვალდებულებები ითვლება სარატიფიკაციო დოკუმენტების განუყოფელ ნაწილად და მათ მოსდევთ ერთიანი შედეგები.
3. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს შეუძლია ახალი განცხადებით უარი თქვას წინა განცხადებაში მოყვანილ ყველა შენიშვნაზე ან მათ ნაწილზე ამ მუხლის 1 პუნქტის b, c და d ქვეპუნქტების ძალით.
4. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს შეუძლია იმ პერიოდების გასვლის შემდეგ, როცა მე-2 მუხლის შესაბამისად შეიძლება ამ კონვენციის დენონსირება, გენერალურ დირექტორს გაუგზავნოს ახალი განცხადება, რომელიც ცვლის ნებისმიერი წინა განცხადების

პირობებს და მიუთითებს მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ დებულებებს.

მუხლი 10

1. განცხადებაში, რომელიც ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 35-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების დებულებათა შესაბამისად, მითითებულია მოცემული ტერიტორიების მიმართ ეს კონვენცია უცვლელად გამოიყენება თუ შეცვლილია. თუკი განცხადებაში მითითებულია, რომ კონვენციის დებულებანი გამოიყენება ცვლილებებით, მაშინ, უნდა დაზუსტდეს – სახელდობრ რა ცვლილებებით.
2. ორგანიზაციის დაინტერესებულ წევრს ან წევრებს, ან საერთაშორისო მმართველობას შეუძლია ნებისმიერ დროს ახალი განცხადებით უარი თქვას წინა განცხადებაში მითითებულ ცვლილებათა მთლიან ან ნაწილობრივ გამოყენებაზე.
3. ორგანიზაციის დაინტერესებულ წევრს ან წევრებს ან საერთაშორისო მმართველობას შეუძლია იმ პერიოდში, როცა მე-11 მუხლის შესაბამისად შესაძლებელია ამ კონვენციის დენონსირება, გაუგზავნოს გენერალურ დირექტორს ახალი განცხადება, რომელიც შეცვლის ნებისმიერ წინა განცხადებას და აცნობებს ამ კონვენციის გამოყენების დებულებათა შესახებ.

მუხლი 11

1. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება, მისი თავდაპირველი ძალაში შესვლიდან ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ შეუძლია მისი დენონსირება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილი და ამ უკანასკნელის მიერ რეგისტრირებული დენონსირების აქტით. დენონსირება ძალაში შედის დენონსირების შესახებ აქტის რეგისტრირებიდან ერთი წლის შემდეგ.
2. ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც ამ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა და წინა პუნქტში მოხსენებული ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ერთი წლის ვადაში არ ისარგებლებს ამ

მუხლით გათვალისწინებული თავისი უფლებებით დენონსირების შესახებ, იქნება შეზღუდული შემდგომი ათწლიანი პერიოდით და საბოლოოდ ამ კონვენციის დენონსირებას შეძლებს ყოველი ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 12

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი აცნობებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს ორგანიზაციის წევრთა მიერ გაგზავნილ რატიფიკირების ყველა დოკუმენტის რეგისტრირების, განცხადებისა და დენონსირების აქტების შესახებ.
2. გენერალური დირექტორი ორგანიზაციის წევრებს აცნობებს რა მის მიერ მიღებული მეორე დოკუმენტის რეგისტრირებას, მათ ყურადღებას მიაპყრობს ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს.

მუხლი 13

შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი გაეროს გენერალურ მდივანს გაეროს წესდების 160-ე მუხლის შესაბამისად რეგისტრაციისათვის უგზავნის სრულ ცნობებს რატიფიკირების დოკუმენტების, განცხადებების, დენონსირების აქტის შესახებ, რომლებიც წინა მუხლის შესაბამისად მის მიერაა რეგისტრირებული.

მუხლი 14

ყოველთვის, როცა შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო აუცილებლად მიიჩნევს, გენერალურ კონფერენციას წარუდგენს მოხსენებას ამ კონვენციის გამოყენების შესახებ და გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა კონფერენციის დღის წესრიგში საკითხის შეტანა კონვენციის სრული ან ნაწილობრივი შეცვლის შესახებ.

მუხლი 15

1. იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას – მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლილს – და თუკი ახალ კონვენციაში არ იქნება გათვალისწინებული საწინააღმდეგო, მაშინ:
 - a. ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ახალი შეცვლილი კონვენციის რატიფიცირება გამოიწვევს ამ კონვენციის ავტომატურ, მე-11 მუხლის დებულებებისაგან დამოუკიდებლად, დაუყოვნებლივ დენონსირებას იმ პირობით, რომ ახალი, შეცვლილი კონვენცია ძალაში შევიდა;
 - b. ახალი, შეცვლილი კონვენციის ძალაში შესვლიდან ეს კონვენცია დახურულია ორგანიზაციის წევრებისათვის სარატიფიკაციოდ.
2. ეს კონვენცია ყოველ შემთხვევაში ფორმითა და შინაარსით ძალაში რჩება ორგანიზაციის იმ წევრთათვის, რომლებსაც არ მოუხდენიათ ახალი შეცვლილი კონვენციის რატიფიკაცია.

მუხლი 16

ამ კონვენციის ინგლისური და ფრანგული ტექსტები თანაბარი ძალისაა.

კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანაბარი
ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების
შესახებ (კონვენცია №100)

მიღებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური
კონფერენციის 34-ე სესიაზე 1951 წლის 29 ივნისს

ძალაშია: 1953 წლის 23 მაისიდან, მე-6 მუხლის შესაბამისად

შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ
მოწვეულმა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა
კონფერენციამ, რომელიც 1951 წლის 6 ივნისს შეიკრიბა თავის 34-ე
სესიაზე ჟენევაში,

დაკლავინა რა, რომ მიიღოს მთელი რიგი წინადადებებისა მამაკაცთა
და ქალთა თანაბარი ანაზღაურების პრინციპების შესახებ, რაც
წარმოადგენს სესიის დღის წესრიგის მე-7 პუნქტს,

გადაწყვიტა რა, რომ ამ წინადადებებს მისცეს საერთაშორისო
კონვენციის ფორმა, 1951 წლის 9 ივნისს მიიღეს კონვენცია, რომელიც
შეიძლება იწოდებოდეს როგორც 1951 წლის კონვენცია თანაბარი
ანაზღაურების შესახებ.

მუხლი 1

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

ტერმინი „ანაზღაურება“ ჩვეულებრივ გულისხმობს ძირითად
მინიმალურ ხელფასს ან ჩვეულებრივ, რომელსაც პირდაპირ
ან ირიბად, ფულით ან ნატურით დამჭირავებელი უხდის
მუშაკს ამ უკანასკნელის მიერ რაიმე სამუშაოს
შესრულებისათვის.

ტერმინი „მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების
შრომის თანაბარი ანაზღაურება“ ეხება ანაზღაურების

განაკვეთს, რომელიც განისაზღვრება სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის გარეშე.

მუხლი 2

1. ორგანიზაციის ყოველი წევრი იმ საშუალებით, რომელიც შეესაბამება ანაზღაურების განაკვეთის დადგენილ მოქმედ მეთოდებს, წახალისებს და იმ ზომით, რამდენადაც ეს აღნიშნულ მეთოდებთანაა შეთავსებადი, უზრუნველყოფს ყველა მუშაკის მიმართ მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი განსაზღვრის პრინციპის გამოყენებას.
2. ეს პრინციპი შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი გზით:
 - a. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობითა და წესდებით;
 - b. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგენილი ან აღიარებული ანაზღაურების განსაზღვრის სისტემით;
 - c. დამქირავებელთა და მუშაკთა კოლექტიური ხელშეკრულებით;
 - d. ან ყველა ამ მეთოდის შეთავსებით.

მუხლი 3

1. იმ შემთხვევაში, როცა ასეთი ქმედებანი ხელს შეუწყობენ წინამდებარე კონვენციის დებულებათა გამოყენებას, შესრულებული სამუშაოს საფუძველზე სხვადასხვა მოვალეობის ობიექტურად შეფასებისათვის მიღებული იქნება ზომები.
2. ასეთი შეფასების მეთოდები შეიძლება იყოს ან იმ ხელისუფლების გადაწყვეტილების ობიექტი, რომელიც კომპეტენტურია განაკვეთების განსაზღვრის სფეროში, ან კოლექტიურ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა გადაწყვეტილებით, თუ ანაზღაურების განაკვეთი განისაზღვრება ამგვარი ხელშეკრულებებით.
3. ანაზღაურებათა განაკვეთების განსხვავება, რომელიც სქესისაგან დამოუკიდებლად შეესაბამება იმ განსხვავებას, რომელიც

შესრულებული საბუშაოს ობიექტური შეფასებიდან გამომდინარეობს, არ ეწინააღმდეგება მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების პრინციპს.

მუხლი 4

ორგანიზაციის ყოველი წევრი დამქირავეებელთა და მუშაკთა შესაბამის ორგანიზაციებთან სათანადოდ თანამშრომლობს წინამდებარე დებულებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

მუხლი 5

წინამდებარე კონვენციის რატიფიკაციის სიგელები რეგისტრაციისათვის ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

მუხლი 6

1. წინამდებარე კონვენცია სავალდებულოა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ იმ წევრებისათვის, რომელთა რატიფიკაციის სიგელები რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ.
2. იგი ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ ორგანიზაციის ორი წევრის რატიფიკაციის სიგელების რეგისტრაციიდან 12 თვის შემდეგ.
3. საბოლოოდ ეს კონვენცია ორგანიზაციის ყველა წევრის მიმართ ძალაში შედის ამ წევრის სარატიფიკაციო სიგელის რეგისტრაციიდან 12 თვის შემდეგ.

მუხლი 7

1. განცხადება, რომელიც შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს ეგზავნება, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებათა შესაბამისად უნდა შეიცავდეს მითითებებს იმ:
 - a. ტერიტორიებზე, რომლებზედაც ორგანიზაციის დაინტერესებული წევრი კისრულობს უცვლელად გამოიყენოს ამ კონვენციის დებულებები;

- b. ტერიტორიებზე, რომლებზედაც ორგანიზაციის დაინტერესებული წევრი კისრულობს გამოიყენოს ეს კონვენცია ცვლილებებით;
 - c. ტერიტორიებზე, რომლებზედაც ეს კონვენცია არ იქნება გამოყენებული და ამ შემთხვევაში უნდა მიეთითოს მიზეზი, რომელთა გამოც არ გამოიყენება;
 - d. ტერიტორიებზე, რომელთა მიმართაც იგი აყოვნებს გადაწყვეტილებას, მომავალში დებულებათა შეზღვევით განხილვამდე.
2. ამ მუხლის a და b ქვეპუნქტებში ვალდებულებანი ითვლება რატიფიკაციის განუყოველ ნაწილად და მათ მოსდევს ერთნაირი შედეგი.
 3. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს განცხადების საშუალებით შეუძლია უარი თქვას ყველა იმ შენიშვნაზე ან მათ ნაწილზე, რომელნიც მოყვანილია მის წინა განცხადებაში ამ მუხლის 1 პუნქტის b, c და d ქვეპუნქტების ძალით.
 4. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს შეუძლია იმ პერიოდებში, რომელთა განმავლობაში მე-9 მუხლის დებულებათა შესაბამისად შეიძლება ამ კონვენციის დენონსირება, გენერალურ დირექტორს გაუგზავნოს ახალი განცხადება, რომლითაც შეცვლის ნებისმიერ წინა განცხადებაში მითითებულ პირობებს და აცნობებს განსაზღვრულ ტერიტორიებზე მოქმედ დებულებათა შესახებ.

მუხლი 8

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილ განცხადებაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 35-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად მითითებული უნდა იყოს მოცემულ ტერიტორიებზე ეს კონვენცია უცვლელად გამოიყენება თუ იგი შეცვლილია. თუკი განცხადებაში მითითებულია, რომ ამ კონვენციის დებულებები გამოიყენება ცვლილებებით, უნდა დაზუსტდეს სახელდობრ, რა ცვლილებებია კონვენციაში.

2. ორგანიზაციის შესაბამის წევრს ან წევრებს ან საერთაშორისო ხელისუფლებას შეუძლია ახალი განცხადებით უარყოს თავისი უფლება რომელიმე წინა განცხადებაში მითითებული ცვლილების მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებაზე.
3. ორგანიზაციის შესაბამის წევრს ან წევრებს, ან საერთაშორისო ხელისუფლებას შეუძლია იმ პერიოდებში, როცა მე-9 მუხლის დებულებათა შესაბამისად შეუძლია ამ კონვენციის დენონსირება, გენერალურ დირექტორს გაუგზავნოს ახალი განცხადება, რომელიც შეცვლის ნებისმიერ წინა განცხადებაში მითითებულ პირობებს და აცნობებს ამ კონვენციის გამოყენების შესახებ არსებულ მდგომარეობას.

მუხლი 9

1. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, რომელმაც ამ კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა, შეუძლია მისი თავდაპირველი ძალაში შესვლიდან ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ მისი დენონსირება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილი და ამ უკანასკნელის მიერ რეგისტრირებული დენონსირების აქტით. დენონსაცია ძალაში შედის დენონსირების აქტის რეგისტრაციიდან ერთი წლის შემდეგ.
2. ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია და წინა პუნქტში მითითებული ათწლიანი პერიოდის გასვლიდან ერთი წლის ვადაში არ გამოიყენებს ამ მუხლით გათვალისწინებულ თავის უფლებას დენონსირების შესახებ, შემდეგი ათწლიანი პერიოდით იქნება შეზღუდული და საბოლოოდ კონვენციით დენონსირებას შეძლებს ყოველი ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ იმ წესით, როგორც ეს ამ მუხლითა დადგენილი.

მუხლი 10

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი აცნობებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს ორგანიზაციის წევრთაგან მის მიერ მიღებული რატიფიკაციის ყველა დოკუმენტის, განცხადების, დენონსირების აქტების რეგისტრირების შესახებ.

2. ორგანიზაციის წევრებს აცნობებს რა რატიფიკაციის მეორე დოკუმენტების რეგისტრირებას, გენერალური დირექტორი მათ ყურადღებას მიაპყრობს ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს.

მუხლი 11

შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი გაეროს გენერალურ მდივანს გაეროს წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად უგზავნის სრულ ინფორმაციას რატიფიკაციის სიგელების, განცხადებებისა და დენონსირების აქტების შესახებ, რომლებიც მის მიერ რეგისტრირებულია წინა მუხლის შესაბამისად.

მუხლი 12

1. იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას, მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლილს, და თუ ახალ კონვენციაში არ იქნება გათვალისწინებული საწინააღმდეგო, მაშინ:
 - a. ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ახალი შეცვლილი კონვენციის რატიფიკაციას მე-9 მუხლის დებულებებისაგან დამოუკიდებლად ავტომატურად მოსდევს ძველი კონვენციის დენონსირება იმ პირობით, რომ ახალი შეცვლილი კონვენცია ძალაში შევიდა;
 - b. ახალი შეცვლილი კონვენციის ძალაში შესვლის დროიდან ძველი კონვენცია დახურულია ორგანიზაციის წევრებისათვის სარატიფიკაციოდ.
2. წინამდებარე კონვენცია ნებისმიერ შემთხვევაში ძალაში რჩება ფორმითა და შინაარსით ორგანიზაციის იმ წევრისათვის, რომელთაც მოახდინეს მისი რატიფიკირება, მაგრამ არ მოუხდენიათ ახალი შეცვლილი კონვენციის რატიფიკაცია.

მუხლი 13

წინამდებარე კონვენციის ინგლისური და ფრანგული ტექსტები თანაბარი ძალისაა.

კონვენცია იპულეზიტი შრომის გაუმჯობესის შესახებ
(კონვენცია № 105)

მიღებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური
კონფერენციის 40-ე სესიაზე 1957 წლის 25 ივლისს

ძალაშია: 1959 წლის 17 იანვრიდან 4-ე მუხლის შესაბამისად

შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ
მოწვეული და უენევაში 1957 წლის 5 ივნისს თავის მეორმოცე სესიაზე
შეკრებილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური
კონფერენცია, რომელმაც

განიხილა რა საკითხი ითულებითი შრომის შესახებ, რომელიც
წარმოადგენს სესიის დღის წესრიგის მეოთხე პუნქტს,

ითვალისწინებს რა ითულებითი შრომის შესახებ 1930 წლის
კონვენციის დებულებებს,

მხედველობაში იღებს რა, რომ 1926 წლის კონვენცია მონობის
შესახებ ითვალისწინებს, რომ მიღებული იქნება აუცილებელი ზომები
იმისათვის, რომ სავალდებულო ან ითულებითა შრომამ არ მიგვიყვანოს
მონობის ანალოგიურ პირობებამდე; და რომ 1956 წლის დამატებითი
კონვენცია მონობის, მონათვაჭრობისა და მონობის მსგავსი
ინსტიტუტებისა და ჩვეულებების გაუქმების შესახებ ითვალისწინებს
ვალის კაბალის და ბატონყმური დამოკიდებულების მთლიან გაუქმებას,

მხედველობაში იღებს რა, რომ 1949 წლის კონვენცია შრომის
ანაზღაურების დაცვის შესახებ ითვალისწინებს ხელფასის დროული
გადახდას და კრძალავს შრომის ანაზღაურების ისეთი სისტემის
გამოყენებას, რომელიც ზღუდავს მშრომელთა საშუალოდ წასვლის
რეალურ შესაძლებლობას,

დაადგინა, მიიღოს დამატებითი წინადადებები ითულებითი ან
სავალდებულო შრომის ზოგიერთი სახეობის გაუქმების თაობაზე,
რომელიც გამოცხადებულია ადამიანის უფლებების საყოველთაო

დეკლარაციით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში მოხსენიებულია როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა,

ბადაწყვიტა, ამ წინადადებებს მისცეს საერთაშორისო კონვენციის ფორმა,

იღებს ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი წლის ოცდახუთ ივნისს ამ კონვენციას, რომელსაც ეწოდება 1957 წლის კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ

მუხლი 1

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია, ვალდებულია იღებს გააუქმოს იძულებითი ან სავალდებულო შრომა და არ გამოიყენოს მისი რომელიმე ფორმა:

- a. როგორც პოლიტიკური ზემოქმედების ან აღზრდის საშუალება ან დასჯის ღონისძიება დადგენილი პოლიტიკური, სოციალური ან ეკონომიკური სისტემის საწინააღმდეგო პოლიტიკური შეხედულებების ან იდეოლოგიური მრწამსის არსებობისას ან გამოხატვისას.
- b. როგორც ეკონომიკური განვითარების საჭიროებისათვის, სამუშაო ძალის მობილიზაციისა და გამოყენების მეთოდი.
- c. როგორც შრომის დისციპლინის დაცვის საშუალება.
- d. როგორც დასჯის საშუალება გაფიცვაში მონაწილეობისათვის.
- e. როგორც დისკრიმინაციის საშუალება რასობრივი, სოციალური, ეროვნული ან სარწმუნოების ნიშნის მიხედვით.

მუხლი 2

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება, ვალდებულია მიიღოს ამ

კონვენციის I მუხლში ჩამოთვლილი იძულებითი ან სავალდებულო შრომის სახეების დაუყოვნებლივი და სრული გაუქმების ღონისძიებები.

მუხლი 3

ამ კონვენციის ოფიციალური დოკუმენტები რეგისტრირებისათვის ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

მუხლი 4

ეს კონვენცია აკავშირებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ იმ წევრებს, რომელთა დოკუმენტები რატიფიცირების შესახებ რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ.

იგი ძალაში შედის თორმეტ თვეში მას შემდეგ, რაც გენერალური დირექტორი რეგისტრირებას გაუკეთებს ორგანიზაციის ორი წევრის დოკუმენტებს რატიფიცირების შესახებ.

შემდგომში ეს კონვენცია ძალაში შედის ორგანიზაციის თითოეული წევრის მიმართ თორმეტ თვეში რატიფიცირების შესახებ მისი დოკუმენტის რეგისტრირების თარიღიდან.

მუხლი 5

1. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია, მისი ძალაში შესვლიდან ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ შეუძლია მისი დენონსირება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი და მის მიერ რეგისტრირებული დენონსაციის აქტის საფუძველზე. დენონსაცია ძალაში შედის დენონსირების აქტის რეგისტრირებიდან ერთი წლის შემდეგ.
2. ორგანიზაციის თითოეული წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია, რომელიც წინა პუნქტში აღნიშნული ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ერთწლიან ვადაში არ ისარგებლებს ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსირების უფლებით, დაკავშირებული იქნება მომდევნო ათწლიანი პერიოდით და შემდგომში შეეძლება ამ კონვენციის დენონსაცია ყოველი ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ამ მუხლში დადგენილი წესით.

მუხლი 6

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი აუწყებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს ორგანიზაციის წევრებისაგან მიღებული ყველა დოკუმენტის რატიფიცირების და დენონსირების აქტების რეგისტრირების შესახებ.
2. გენერალური დირექტორი, რომელიც აუწყებს ორგანიზაციის წევრებს რატიფიცირების მეორე დოკუმენტის რეგისტრირების თაობაზე, მათ ყურადღებას ამახვილებს ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღზე.

მუხლი 7

შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი, თანახმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს რეგისტრირებისათვის უგზავნის სრულ ცნობებს მის მიერ წინა მუხლის დებულებების შესაბამისად რეგისტრირებული ყველა დოკუმენტის რატიფიცირებისა და დენონსირების აქტების შესახებ

მუხლი 8

ყოველთვის, როდესაც შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო ჩათვლის საჭიროდ, გენერალურ კონფერენციას წარუდგენს მოხსენებას წინამდებარე კონვენციის გამოყენების შესახებ და წყვეტს, შეტანილ იქნეს თუ არა კონფერენციის დღის წესრიგში მისი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასინჯვის საკითხი.

მუხლი 9

იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას, რომელშიც მთლიანად ან ნაწილობრივ იქნება გადასინჯული ეს კონვენცია და თუ ახალ კონვენციაში არ იქნება გათვალისწინებული საწინააღმდეგო, მაშინ:

- a. ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ახალი, გადასინჯული კონვენციის რატიფიცირება ითვალისწინებს ავტომატურ, მე-5 მუხლის დებულებების მიუხედავად, ამ კონვენციის იმავდროულ დენონსირებას იმ პირობით, რომ ძალაში შედის ახალი გადასინჯული კონვენცია.

- b. ახალი, გადასინჯული კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ეს კონვენცია დახურულია სარატიფიკაციოდ ორგანიზაციის წევრებისათვის.
- c. ეს კონვენცია ყველა შემთხვევაში ძალაში რჩება ფორმითა და შინაარსით ორგანიზაციის იმ წევრების მიმართ, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, მაგრამ არ მოუხდენიათ ახალი, გადასინჯული კონვენციის რატიფიცირება.

მუხლი 10

ამ კონვენციის ინგლისურ და ფრანგულ ტექსტებს თანაბარი ძალა აქვთ.

**კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში
დისკრიმინაციის შესახებ**

მიღებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური
კონფერენციის

42-ე სესიის მიერ 1958 წლის 25 ივნისს, კონვენცია (№ 111) შრომისა
და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ

პალაშია: 1960 წლის 15 ივნისიდან

შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ
ჯენევაში მოწვეული და 1958 წლის 4 ივნისს თავის ორმოცდამეორე
სესიაზე შეკრებილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური
კონფერენცია, რომელმაც

დაადგინა რა, რომ სესიის დღის წესრიგის მე-4 პუნქტად მიღებულ
იქნეს მთელი რიგი წინადადებები შრომისა და დასაქმების სფეროში
დისკრიმინაციის შესახებ,

გადაწყვიტა რა ამ წინადადებებს მისცეს საერთაშორისო
კონვენციის ფორმა,

ითვალისწინებს რა, რომ ფილადელფიის დეკლარაციის თანახმად,
ყოველ ადამიანს, მიუხედავად რასის, სარწმუნოების და სქესისა, აქვს
მატერიალური კეთილდღეობის და სულიერი განვითარების უფლება
თავისუფლებისა და ღირსების, ეკონომიკური სიმშვიდისა და თანაბარი
შესაძლებლობების პირობებში,

მიიჩნევს რა, რომ დისკრიმინაცია წარმოადგენს ადამიანის უფლებათა
საყოველთაო დეკლარაციით გამოცხადებული უფლებების დარღვევას

ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტი წლის ივნისის თვის ოცდამეხუთე დღეს
იღებს წინამდებარე კონვენციას, რომელსაც ეწოდება „1958 წლის
კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“

მუხლი 1

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „დისკრიმინაცია“ მოიცავს:
 - a. ყოველგვარ განსხვავებას, დაუშვებლობას, ან უპირატესობას რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, პოლიტიკური მრწამსის, უცხოელობის ან სოციალური წარმომავლობის ნიშნით, რომელიც იწვევს შრომისა და დასაქმების ფეროში შესაძლებლობების ან მოპყრობის თანასწორობის მოსპობას ან დარღვევას;
 - b. ყოველგვარ სხვა განსხვავებას, დაუშვებლობას ან უპირატესობას, რომელიც იწვევს შრომისა და დასაქმების სფეროში შესაძლებლობების ან მოპყრობის თანასწორობის მოსპობას ან დარღვევას და რომელსაც შესაბამისი წვერი განსაზღვრავს მეწარმეთა და მშრომელთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან, სადაც ასეთები არსებობს, და სხვა შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციის გზით,
2. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა ან უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოს მიმართ, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ეყარება.
3. ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინები „შრომა“ გულისხმობს პროფესიული სწავლების, შრომისა და სხვადასხვა საქმიანობის მისაწვდომობას, აგრეთვე შრომის ანაზღაურებას და პირობებს.

მუხლი 2

ორგანიზაციის ყოველი წვერი, რომლისთვისაც ეს კონვენცია ძალაშია, კისრულობს ვალდებულებას განსაზღვროს და განახორციელოს სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული პირობებისა და პრაქტიკის შესაბამისი მეთოდებით წაახალისოს შესაძლებლობებისა და მოპყრობის თანასწორობა შრომისა და დასაქმების სფეროში, რათა აღმოფხვრას ყოველგვარი დისკრიმინაცია.

მუხლი 3

ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომლისთვისაც ეს კონვენცია ძალაშია, კისრულობს ვალდებულებას სახელმწიფო პირობებისა და პრაქტიკის შესაბამისი მეთოდებით:

- a. ისწრაფოდეს მეწარმეთა და მშრომელთა ორგანიზაციის, აგრეთვე სხვა შესაბამისი ორგანოების თანამშრომლობისათვის ამ პოლიტიკის მიღებისა და ხელშეწყობის საქმეში;
- b. მიიღოს ისეთი კანონმდებობა და წაახალისოს იმგვარი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ პოლიტიკის მიღებასა და განხორციელებას;
- c. გააუქმოს ამ პოლიტიკასთან შეუთავსებელი ყოველგვარი საკანონმდებლო დებულებანი და შეცვალოს ყოველგვარი ადმინისტრაციული ინსტრუქციები ან პრაქტიკა;
- d. განახორციელოს შრომის სფეროში დადგენილი პოლიტიკა სახელმწიფო ხელისუფლების უშუალო კონტროლით;
- e. უზრუნველყოს სახელმწიფო ხელისუფლების ხელმძღვანელობით დადგენილი პოლიტიკის დაცვა პროფესიული ორიენტაციების, პროფესიული სწავლებისა და შრომითი მოწყობის დაწესებულებების საქმიანობაში;
- f. კონვენციის გამოყენების შესახებ თავის ყოველწლიურ მოხსენებაში მიუთითოს ზემოაღნიშნული პოლიტიკის თანახმად განხორციელებული ღონისძიებებისა და ამ ღონისძიებათა მეშვეობით მიღწეული შედეგების თაობაზე.

მუხლი 4

იმ პირის წინააღმდეგ მიღებული ნებისმიერი ზომები, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ან დამტკიცებულია, რომ იგი ეწევა სახელმწიფო უსაფრთხოების ძირგამომთხრელ საქმიანობას, არ ითვლება დისკრიმინაციად იმ პირობით, თუ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება მიმართოს სახელმწიფო პრაქტიკის შესაბამისად შექმნილ კომპეტენტურ ორგანოს.

მუხლი 5

1. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება დაცვისა და დახმარების განსაკუთრებული ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია შრომის საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებულ სხვა კონვენციებსა და რეკომენდაციებში.
2. ორგანიზაციის ყოველ წევრს შეუძლია მეწარმეთა და მშრომელთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან, სადაც ასეთი არსებობს, კონსულტაციის გზით დაადგინოს, რომ დისკრიმინაციად არ ჩაითვლება სხვა ნებისმიერი განსაკუთრებული ღონისძიებები, რომლებიც გამიზნულია იმ პირთა განსაკუთრებულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც სქესის, ასაკის, ფიზიკური არასრულფასოვნების, ფოთხურ გარემოებათა, ანდა სოციალური ან კულტურული ღონის გათვალისწინებით ჩვეულებრივ ცნობენ განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების გასაწევ პირებად.

მუხლი 6

ორგანიზაციის ყოველი წევრი რომელიც მოახდენს ამ კონვენციის რატიფიცირებას კისრულობს ვალდებულებას, გამოიყენოს იგი მეტროპოლიის გარე ტერიტორიაზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 7

ოფიციალური საბუთები წინამდებარე კონვენციის რატიფიკაციის რეგისტრაციისათვის ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

მუხლი 8

1. ეს კონვენცია სავალდებულოა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხლოდ იმ წევრებისათვის, რომელთა სარატიფიკაციო საბუთები რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ.
2. იგი ძალაში შედის იმ თარიღიდან თორმეტი თვის შემდეგ, როცა გენერალური დირექტორი რეგისტრაციაში გაატარებს ორგანიზაციის ორი წევრის სარატიფიკაციო სიგელებს.
3. შემდგომში ეს კონვენცია ორგანიზაციის ყოველი წევრისათვის ძალაში შედის რატიფიკაციის სიგელების რეგისტრაციის თარიღიდან თორმეტი თვის შემდეგ.

მუხლი 9

1. ორგანიზაციის ყოველ წევრს, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია, შეუძლია მისი თავდაპირველი ძალაში შესვლის მომენტიდან ათწლიანი პერიოდის დამთავრების შემდეგ მოახდინოს კონვენციის დენონსაცია დენონსაციის აქტის მეშვეობით, რომელიც ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს და რეგისტრირდება მის მიერ. დენონსაცია ძალაში შედის დენონსაციის აქტის რეგისტრაციიდან ერთი წლის შემდეგ.
2. ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია, თუ წინა პუნქტში აღნიშნული ათწლიანი პერიოდის დამთავრებიდან ერთი წლის ვადაში არ გამოიყენებს ამ მუხლით გათვალისწინებულ დენონსაციის უფლებას, კონვენციასთან დაკავშირებული იქნება მომდევნო ათწლიანი პერიოდით და შემდგომში მას შეუძლია კონვენციის დენონსირება ყოველი ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ამ მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 10

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს აცნობებს, რომ

რეგისტრირებულია მის მიერ ორგანიზაციის წევრებისაგან მიღებული რატიფიკაციის ყველა სიგელი და დენონსაციის ყველა აქტი.

2. გენერალური დირექტორი, რომელიც აცნობებს ორგანიზაციის წევრებს მის მიერ მიღებული რატიფიკაციის მეორე სიგელის რეგისტრაციის შესახებ, მათ ყურადღებას მიაპყრობს კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს.

მუხლი 11

შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციისათვის უგზავნის სრულ მონაცემებს მის მიერ წინა მუხლების დებულებათა შესაბამისად რეგისტრირებული რატიფიკაციის ყველა სიგელისა და დენონსაციის ყველა აქტის შესახებ.

მუხლი 12

ყოველთვის, როცა შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო ამას საჭიროდ ჩათვლის, გენერალურ კონფერენციას წარუდგენს მოხსენებას ამ კონვენციის გამოყენების თაობაზე და გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა კონფერენციის დღის წესრიგში მისი სრული ან ნაწილობრივი გადასინჯვის საკითხის შეტანა.

მუხლი 13

1. იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას, რომელშიც ეს კონვენცია მთლიანად ან ნაწილობრივ არის გადასინჯული, და თუ ახალ კონვენციაში საპირისპირო არ არის გათვალისწინებული, მაშინ:
 - a. ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ახალი, გადასინჯული კონვენციის რატიფიკაცია ავტომატურად მე-9 მუხლის დებულებებისაგან დამოუკიდებლად იწვევს იმ კონვენციის დაუყოვნებლივ დენონსაციას იმ პირობით, რომ ახალი გადასინჯული კონვენცია ძალაშია შესული;

- b. ახალი, გადასინჯული კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან ეს კონვენცია დახურულია ორგანიზაციის წევრების მიერ რატიფიკაციისათვის.
- 2. ეს კონვენცია ყველა შემთხვევაში ფორმითა და შინაარსით ძალაში რჩება ორგანიზაციის იმ წევრებისათვის, რომელთაც მოახდინეს მისი რატიფიკირება, მაგრამ არ მოუხდენიათ ახალი, გადასინჯული კონვენციის რატიფიკირება.

მუხლი 14

ამ კონვენციის ინგლისური და ფრანგულ ტექსტებს თანაბარი ძალა აქვს.

წინამდებარე წარმოადგენს კონვენციის აუთენტურ ტექსტს, რომელიც ჯეროვან იქნა მიღებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მიერ მის 42-ე კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა უნევაში და დახურულად გამოცხადდა 1958 წლის ივნისის თვის ოცდამეექვსე დღეს.

რის დასტურდაც ჩვენს ხელმოწერებს ეურთავთ 1958 წლის ივლისის თვის მეხუთე დღეს.

კონვენცია 117
სოციალური პოლიტიკის მიზნებისა და ნორმების
შესახებ

ჟენევა, 1962 წლის 6-28 ივნისი

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა კონფერენციამ, რომელიც მოწვეული იქნა ჟენევაში შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ თავის ორმოცდამეექვსე სესიაზე 1962 წლის 6 ივნისს,

დადგენილება მიიღოს რიგი წინადადებებისა მეტროპოლიის გარე ტერიტორიაზე სოციალური პოლიტიკის შესახებ 1947 წლის კონვენციის გადასინჯვის თაობაზე, რაც სესიის დღის წესრიგის მათე პუნქტს წარმოადგენს, იმ მიზნით, რომ უწინარეს ყოვლისა შესაძლებელი გახადოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის მისი შემდგომი რატიფიცირება და გამოყენება,

მიანიანა, რომ ამ წინადადებებს უნდა მიეცეს საერთაშორისო კონვენციის ფორმა,

მიანიანა, რომ ეკონომიკური განვითარება უნდა იყოს სოციალური პროგრესის საფუძველი,

მიანიანა, რომ მთელი ძალისხმევა საერთაშორისო, რეგიონალურ ან ნაციონალურ დონეზე უნდა მოხმარდეს იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ფინანსური და ტექნიკური დახმარება მოსახლეობის ინტერესების დასაცავად,

მიანიანა, რომ სათანადო შემთხვევებში მიღებულ უნდა იქნეს ზომები საერთაშორისო, რეგიონალურ და ნაციონალურ ასპექტში ვაჭრობის ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ წარმოების დონის ამაღლებას და ცხოვრების დამაკმაყოფილებელი დონის შენარჩუნებას,

მიანიანა, რომ მიღებულ უნდა იქნეს ყველა შესაძლო ზომა საერთაშორისო, რეგიონალურ და ნაციონალურ დონეზე პროგრესის ხელშესაწყობად ისეთ სფეროებში, როგორცაა ჯანმრთელობის დაცვა, საბინაო მშენებლობა, სურსათით უზრუნველყოფა, განათლება, ბავშვთა

კეთილდღეობაზე ზრუნვა, ქალთა მდგომარეობა, შრომის პირობები, დაქირავებული მუშებისა და დამოუკიდებელი მწარმოებლების შრომის ანაზღაურება, მიტრანტი მძრომელების უფლებების დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი სამსახურები და საერთოდ წარმოება,

მაინა, რომ მიღებულ უნდა იქნეს ყველა შესაძლო ზომა, რათა მოსახლეობა ნამდვილად დაინტერესდეს და ჩაებას სოციალური პროგრესის ხელშეწყობი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში,

მიიღო ათას ცხრაას სამოცდაორი წლის ოცდარ ივნისს ეს კონვენცია, რომელსაც ეწოდება 1962 წლის კონვენცია სოციალური პოლიტიკის მიზნებისა და ნორმების შესახებ.

კარი I. ზოგადი პრინციპები

მუხლი 1

1. ნებისმიერი პოლიტიკა უწინარეს ყოვლისა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ მიღწეულ იქნეს მოსახლეობის კეთილდღეობა და განვითარება, აგრეთვე ხელი შეუწყოს მის სწრაფვას სოციალური პროგრესისაკენ.

2. უფრო ზოგადი გამოყენების პოლიტიკა განისაზღვრება მოსახლეობის კეთილდღეობაზე მისი ზემოქმედების გათვალისწინებით.

კარი. Iშ. ცხოვრების ღონის ამაღლება

მუხლი 2

ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და ცხოვრების ღონის ამაღლება განიხილება, როგორც ძირითადი მიზანი.

მუხლი 3

1. ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისას ახორციელებენ ყველა პრაქტიკურ შესაძლებელ ღონისძიებას, რათა ასეთი განვითარება შეთავსებულ იქნეს მოსახლეობის შესაბამისი ჯგუფის ჯანსაღ ევოლუციასთან.

2. კერძოდ, ხორციელდება ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ოჯახისა და ცალკეული ტრადიციული ერთეულების რღვევა, განსაკუთრებით შემდეგი გზებით:

a) მიგრაციის მიზეზებისა და შედეგების გულდასმით შესწავლით და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებით;

b) მონაწილეობის მიღებით იმ ქალაქებისა და სოფლების დაგეგმარებაში, სადაც ეკონომიკური განვითარების მოთხოვნილებები იწვევს მოსახლეობის კონცენტრაციას;

c) ქალაქის რაიონებში ჭარბმოსახლეობის თავიდან აცილებითა და აღმოფხვრით.

d) სოფელ ადგილებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით და მრეწველობით შესაბამისი დარგების შექმნით, თუ არსებობს საამისო მუშახელი.

მუხლი 4

ღონისძიებები, რომლებიც ექვემდებარება კომპეტენტური ორგანოების განხილვას სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებისა და მწარმოებლების ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით, მლიცავს:

a) ქრონიკული დავალიანების მიზეზების შეძლებისდაგვარად სრულ აღმოფხვრას;

b) კონტროლს დამუშავებული მიწების გასხვისებაზე იმ პირთა მფლობელობაში, რომლებიც არ ეწევიან სოფლის მეურნეობას, რათა ასეთი გასხვისება ხდებოდეს მხოლოდ ქვეყნის ინტერესებისათვის შესაბამისი შემთხვევებში;

c) კონტროლს მიწისა და რესურსების მფლობელობასა და სარგებლობაზე შესაბამისი კანონების ან წესების შემოღებით, რათა ტრადიციული უფლებების სათანადო გათვალისწინებით უზრუნველყოფილ იქნეს ამ ქვეყნის მოსახლეობის ინტერესების დაცვა;

d) მეთვალყურეობას საიჯარო შეთანხმებაზე და შრომის პირობებზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მეიჯარეებისა და მშრომელებისათვის შეძლებისდაგვარად მაღალი ცხოვრების დონე და სამართლიანი წილი ნებისმიერ მოგებაში, რომელიც მიიღება შრომის ნაყოფილების ან ფასების დონის გაუმჯობესების შედეგად;

e) შეძლებისდაგვარად ყველა საშუალებით წარმოების და განაწილების დანახარჯების შემცირებას, კერძოდ საწარმოო და სამომხმარებლო კოოპერატივების შექმნისა და მათთვის დახმარების გაწევის გზით.

მუხლი 5

1. ხორციელდება ღონისძიებები, რათა დამოუკიდებელ მწარმოებლებსა და დაქირავებულ მუშაკებს შეექმნათ პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემთ საკუთარი ძალებით გაიუმჯობესონ ცხოვრების დონე და შეინარჩუნონ საარსებო მინიმუმი, დადგენილი ცხოვრების პირობების ოფიციალური შესწავლის გზით, მწარმოებელთა და მშრომელთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან კონსულტაციების წყალობით.

2. საარსებო მინიმუმის დადგენისას მხედველობაში მიიღება მშრომელთა ოჯახების სიეთს ძირითადი მოთხოვნილებები, როგორცაა კვების პროდუქტები და მათი კალორიულობა, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, სამედიცინო მომსახურება და განათლება.

კარი III. მიგრანტ მშრომელთა მდგომარეობა

მუხლი 6

იმ შემთხვევაში, როდესაც შრომის პირობები მოითხოვს, რომ მშრომელები ცხოვრობდნენ არა მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში, დაქირავების პირობები ითვალისწინებს მათი ოჯახების ჩვეულებრივ მოთხოვნილებებს.

მუხლი 7

იმ შემთხვევებში, როდესაც ერთი რაიონის მუშახელის რესურსები დროებით გამოიყენება მეორე რაიონებში, მიიღება ზომები იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს მშრომელთა ხელფასებისა და დანაზოგების ნაწილის გადაცემას მათი შრომის გამოყენების ადგილიდან იმ რაიონებისათვის, რომელიც აწვდის ამ მუშახელს.

მუხლი 8

1. იმ შემთხვევაში, როდესა. რომელიმე ქვეყნის მუშახელის რესურსების გამოყენება მეორე ქვეყნის რაიონში, რომელსაც მართავს სხვა ქვეყნის ხელისუფლება, ამ ქვეყნების ხელისუფალნი, თუ ეს საჭიროა ან მიზანშეწონილია, უთანხმდებიან ერთმანეთს იმ ურთიეთსაინტერესო საკითხების დასარეგულირებლად, რომლებიც წამოიჭრება ამ კონვენციის დებულებათა გამოყენებასთან დაკავშირებით.

2. ასეთი შეთანხმებები ითვალისწინებს, რომ ეს მშრომელები არანაკლებ სარგებლობენ დაცვისა და უპირატესობის უფლებებით, ვიდრე მათი შრომის გამოყენების რაიონში მცხოვრები მშრომელები.

3. ასეთი შეთანხმებები უზრუნველყოფენ კეთილსასურველ პირობებს იმისათვის, რომ მშრომელებმა შეძლონ თავიანთი ხელფასისა და დანაზოვის ნაწილის სახლში გაგზავნა.

მუხლი 9

მშრომელებისა და მათი ოჯახების ერთი რაიონიდან მეორე რაიონში გადასვლის შემთხვევაში, სადაც ფასები უფრო მაღალია, ითვალისწინებენ ცხოვრების ღირებულების ზრდას, რომელიც საცხოვრებელი ადგილის ასეთ შეცვლასთან არის დაკავშირებული.

კარი IV. მშრომელთა გასამრჯელო და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

მუხლი 10

1. კოლექტიურ ხელშეკრულებებში, რომლებსაც თავისუფლად დებენ ერთმანეთთან დაინტერესებულ მშრომელთა წარმომადგენლებისა და მეწარმეების ან მეწარმეთა ორგანიზაციების პროფკავშირები, მიზანშეწონილია მინიმალური ხელფასის დადგენა.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექტიურ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული არ არის შესაბამისი ღონისძიებები, ხელფასის მინიმუმის დასადგენად, იღებენ სათანადო ზომებს, რომელთა საშუალებითაც შეიძლება დადგინდეს ხელფასის მინიმალური განაკვეთები მეწარმეებთან და მშრომელებთან კონსულტაციისას, მათი შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩათვლით, თუკი ასეთი ორგანიზაციები არსებობს.

3. ხორციელდებენ აუცილებელი ჯონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაინტერესებულ მეწარმეთა და მშრომელთა ინფორმირება ხელფასის ასრებული მინიმალური განაკვეთების შესახებ და მათთვის ხელფასის გადახდა ამ განაკვეთებზე არანაკლები ოდენობით იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი გამოიყენება.

4. მშრომელს, რომლის მიმართაც გამოიყენეს დებულებები ხელფასის მინიმალური ოდენობის შესახებ და რომელსაც მას შემდეგ, რაც ეს დებულებები გამოიყენეს, ხელფასს უხდიდნენ უფრო ნაკლები განაკვეთებით, უფლება აქვს სასამართლო ან სხვა კანონით დადგენილი

წესით მიიღოს დაკლებული თანხა იმ პირობით, რომ დაცული იქნება კანონით ან წესებით განსაზღვრული ვადები.

მუხლი 11

1. ხორციელდება აუცილებელი ღონისძიებები მთელი ხელფასის ანაზღაურებლად სათანადო წესით, ხოლო მეწარმეებს მოეთხოვებათ ხელფასის ანაზღაურების აღრიცხვა, მშრომლებისათვის ხელფასის გადახდის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სხვა შებასამისი ზომების მიღება, რომლებიც აუცილებელია კონტროლის გასაადვილებლად.
2. ხელფასი ჩვეულებრივ გაიცემა მხოლოდ გადახდის კანონიერი საშუალებებით.
3. ხელფასს ჩვეულებრივ უხდიან უშუალოდ თითოეულ მუშაკს.
4. აკრძალულია შესრულებული სამუშაოსათვის ან მისი ნაწილისათვის გასამრჯელოს შეცვლა სპირტით ან სხვა ალკოჰოლური სასმელებით.
5. ხელფასის ანაზღაურება არ უნდა ხდებოდეს ტავერნებში ან მაღაზიებში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელფასს უხდიან იქ, მომუშავე მშრომლებს.
6. ხელფასის ანაზღაურება ხდება რეგულარულად დროის ისეთი მონაკვეთის შემდეგ, რომლებიც ამცირებს დაქირავებულ მუშაკებს შორის დავალიანების ალბათობას, თუ არ არსებობს საპირისპირო ხასიათის ადგილობრივი, დამკვიდრებული ჩვეულება და კომპეტენტური ორგანო დარწმუნდება, რომ ამ ჩვეულების შენარჩუნება სასურველია მშრომლებისათვის.
7. იმ შემთხვევებში, როდესაც, სურსათს, საცხოვრებელი, ტანსაცმელი და ძირითადი საგნები და მომსახურება შეადგენს გასამრჯელოს მთელ წილს, კომპეტენტური ორგანოები ახორციელებენ ყველა შესაძლო ღონისძიებას, რათა ისინი შეესაბამებოდნენ მშრომელის მოთხოვნილებებს და აგრეთვე უზრუნველყოფილი იყოს მათი ფულადი ღირებულების სწორად შეფასება.
8. ხორციელდება ყველა საჭირო ღონისძიება, რათა:
 - a) მშრომლები ინფორმირებულნი იყვნენ მათი უფლებების შესახებ ხელფასის საკითხში;
 - b) არ დაიშვება რაიმე უნებართვო დაკავება ხელფასიდან;
 - c) შემოიფარგლოს ხელფასიდან დასაკავებელი თანხმები მატერიალური და სხვა მომსახურებისათვის, რაც გასამრჯელოს ნაწილს წარმოადგენს, მათი ნამდვილი ფულადი ღირებულებით.

მუხლი 12

1. დაქირავებულ მუშახელსა და დამოუკიდებელ მეწარმეთა შორის მიზანშეწონილია არსებობდეს სახსრების დაზოგვის ნებაყოფლობითი ფორმები

2. ხორციელდება ყველა შესაძლო ღონისძიება დაქირავებული მუშახელისა და დამოუკიდებელ მეწარმეთა დაცვისათვის მევახშეობისაგან, კერძოდ, სესხებზე პროცენტული განაკვეთების შემცირების, გამსახებლის საქმიანობის კონტროლის გზით, აგრეთვე შესაბამისი მიზნით ფულადი სუბსიდიების გასაცემად პირობების შექმნით საკრედიტო კოოპერატივების ან კომპეტენტური ორგანოს კონტროლის ქვეშ მყოფი დაწესებულებების მეშვეობით.

კარი V დისკრიმინაციის აკრძალვა რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, ტომის ან პროფკავშირების წევრობის ნიშნის მიხედვით

მუხლი 13

1. პოლიტიკის მიზანია მშრომელთა შრომს ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრა რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, ტომის ან პროფკავშირების წევრობის ნიშნის მიხედვით, შემდეგ შემთხვევებში, როდესაც ეს ეხება:

a) შრომით კანონმდებლობას და შეთანხმებებს რომლებიც სთავაზობენ თანაბარ ეკონომიკურ პირობებს ყველას, ვინც

კანონიერად ცხოვრობს ანმუშაობს კონკრეტულ ქვეყანაში;

b) სახელმწიფო ან კერძო სამსახურში მიღებას;

c) დაქირავებისა და სამსახურში დაწინაურების პირობებს;

d) პროფესიული სწავლების შესაძლებლობებს;

e) შრომის პირობებს;

f) ჯანდაცვის შრომის დაცვისა და მშრომელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის ღონისძიებებს;

g) დისციპლინას;

h) კოლექტიური ხელშეკრულებების დადების მიზნით გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობას;

i) ხელფასის განაკვეთებს, რომლებიც განისაზღვრება ერთსა და იმავე ოპერაციებისა და საწარმოებში თანაბარი ღირებულების შრომს თანაბარი ანაზღაურების პრინციპით.

მუხლი 14

1. დაბალანაზღაურებადი მშრომელებისათვის ხელფასის მომატების გზით მიიღება ყველა შესაძლო ზომა რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, ტომის, პროფკავშირის წევრობის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის შედეგად ხელფასის განაკვეთში არსებულ განსხვავებათა შესამცირებლად.

2. ერთი ქვეყნის მშრომელებს, რომლებიც ძირით მუშაობენ სხვა ქვეყანაში, ძირითად ხელფასთან ერთად შეიძლება მიეცეთ: ღულადი ან ნატურალური დახმარება ნებისმიერი გონებრივი პირადი ან საოჯახო ხარჯების დასაფარად, რომლებიც გამოწვეულია მათი მუშაობით მშობლიური სახლიდან დაშორებით.

3. ამ მუხლში ჩამოთვლილი დებულებები არ ეწინააღმდეგება იმ ღონისძიებებს, რომელთაც აუცილებლად ან მიზანშეწონილად მიიჩნევს კომპეტენტური ორგანო დედობის დაცვისა და მშრომელ ქალთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

კარი VI. განათლება და პროფესიული სწავლება

მუხლი 15

1. ადგილობრივი პირობებისათვის დასაშვებ ფარგლებში ზორციელდება შესაბამისი ღონისძიებები განათლების ფართო სისტემისა და პროფესიული სწავლების გასანვითარებლად ორივე სქესის ბავშვებისა და მოზარდების სასარგებლოდ საქმიანობისათვის ეფექტური მომზადების მიზნით.

2. ქვეყნის კანონები და წესები ადგენენ სკოლის დამთავრების ასაკს, სამუშაოზე მიღების მინიმალურ ასაკსა და დაქირავების პირობებს.

3. ჰიმისავთვის, რომ ბავშვებმა ისარგებლონ სწავლების არსებული შესაძლებლობებით და ამ შესაძლებლობათა გაფართოებას არ ზღუდავდეს ბავშვთა შრომაზე მოთხოვნილება, იკრძალება სკოლაში სწავლის პერიოდში სკოლის დამთავრების ასაკზე უმცროს პირთა სამუშაოდ მიღება რაიონებში, სადაც სწავლის შესაძლებლობა შესაბამის დონეზე უზრუნველყოფილია სკოლის ასაკის ბავშვთა უმრავლესობისათვის.

მუხლი 16

1. მშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით შრომის მაღალი ნაყოფიერების უზრუნველყოფა სათანადო შემთხვევებში ხდება წარმოების ახალი ტექნიკური მეთოდების სწავლების მეშვეობით.

2. ასეთი სწავლების ორგანიზაცია ხორციელდება კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ ან მათი მეთვალყურეობით და მას კონსულტაციას უწევს იმ ქვეყნების მეწარმეთა და მშრომელთა ორგანიზაციები, საიდანაც სასწავლებლად იგზავნიებიან პირები და სადაც სწავლება ხდება.

კარი VII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 17

1. ოფიციალური დოკუმენტები ამ კონვენციის რატიფიკაციის თაობაზე სარეგისტრაციოდ ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

მუხლი 18

1. ეს კონვენცია ეხება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ იმ წევრებს, რომელთა სარატიფიკაციო დოკუმენტებიც რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ.,

2. ეს კონვენცია ძალაში შევა თორმეტი თვის შემდეგ იმ დღიდან, რაც გენერალური დირექტორი რეგისტრაციაში გაატარებს ორგანიზაციის ორ წევრს სარატიფიკაციო დოკუმენტებს.

2. შემდგომში ეს კონვენცია ორგანიზაციის თითოეულ წევრისათვის ძალაში შევა თორმეტი თვის შემდეგ მისი სარატიფიკაციო დოკუმენტების რეგისტრაციის თარიღიდან.

მუხლი 19

ამ კონვენციის ძალაში შესვლა არ იწვევს „სოციალური პოლიტიკის შესახებ“ 1947 წლის კონვენციის ავტომატურ დენონსაციას მეტროპოლიის გარე ტერიტორიებზე ნებისმიერი წევრის მიერ, რომელთათვისაც ეს კონვენცია ძალაში რჩება, და არ ნიშნავს, რომ ეს კონვენცია დახურულია სარატიფიკაციოდ ორგანიზაციის სხვა წევრებისათვის.

მუხლი 20

1. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია, მისი პირველად ძალაში შესვლის ათწლიანი პერიოდის დამთავრებისას, შეუძლია მისი დენონსირება შრომის

საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორისათვის დენონსაციის აქტის გაგზავნით. დენონსაცია ძალაში შევა ერთი წლის თავზე მას შემდეგ, რაც გენერალური დირექტორი რეგისტრაციაში გაატარებს დენონსაციის აქტს.

2. ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება, და რომელიც წინა პუნქტში აღნიშნული ათწლიანი პერიოდის დამთავრებამდე ერთი წლის ვადაში არ გამოიყენა ამ მუხლით გათვალისწინებული თავისი უფლება დენონსაციაზე. მომდევნო ერთი წლითაც იქნება ამ კონვენციის მონაწილე და შემდგომში მისი დენონსაცია შეუძლია ყოველი ათწლიანი პერიოდის გასვლისას ამ მუხლით დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი 21

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველ წევრს ატყობინებს ორგანიზაციის წევრებისაგან მიღებული სარატიფიკაციო დოკუმენტების და დენონსაციის აქტების რეგისტრაციის შესახებ.

2. მიღებული მეორე სარატიფიკაციო სიგელის რეგისტრაციის შეტყობინებასთან ერთად გენერალური დირექტორი ორგანიზაციის წევრების ყურადღებას მიაპყრობს ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს.

მუხლი 22

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება 102-ე მუხლის შესაბამისად შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი გაეროს გენერალურ მდივანს სარატიფიკაციოდ უგზავნის სრულ ცნობებს სარატიფიკაციო დოკუმენტებისა და დენონსაციის აქტების შესახებ, რომლებიც მან რეგისტრაციაში გაატანა წინა მუხლების დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 23

ყოველთვის, როცა შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო აუცილებლად მიიჩნევს, იგი გენერალურ კონფერენციას წარუდგენს მოხსენებას ამ კონვენციის გამოყენების შესახებ და გადაწყვეტს, უნდა შეატყობინონ თუ არა კონფერენციის დღის წესრიგში მისი სრული ან ნაწილობრივი გადასინჯვის საკითხი.

მუხლი 24

1.იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას, რომლითაც ეს კონვენცია სრულად ან ნაწილობრივ დაგაისინდება, და თუ ახალი კონვენციით გათვალისწინებული არ არის საწინაამდგეგო რამ,მაშინ:

ა)ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ახალი, ამ კონვენციის გადამსინჯველი კონვენციის რატიფიკაციას ავტომატურად, მე-20 მუხლის დებულებათა მიუხედავად, მოსდევს ამ კონვენციის დაუყოვნებელი დენონსაცია იმ პირობით, რომ, ახალი, გადასინჯული კონვენცია ძალაში შევიდა.

ბ) ახალი, გადამსინჯველი კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან ეს კონვენცია დახურულია ორგანიზაციის წევრთა მიერ მისი რატიფიცირებისათვის.

2.ეს კონვენცია თავისი ფორმითა და შინაარსით სველა შემთხვევაში ძალაში რჩება ორგანიზაციის იმ წევრთა მიმართ, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, მაგრამ არ მოუხდენიათ ახალი, გადამსინჯველი კონვენციის რატიფიცირება.

მუხლი 25

წინამდებარე კონვენციის ინგლისურ და ფრანგულ ტექსტებს თანაბარი ძალა აქვს.

კონვენცია დასაქმების პოლიტიკის შესახებ
(კონვენცია №122)

მიღებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური
კონფერენციის 48-ე სესიაზე 1964 წლის 9 ივლისს

ძალაშია: 1966 წლის 15 ივლისიდან, 5-ე მუხლის შესაბამისად

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია, მოწვეული ჟენევაში შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული სატყოს მიერ 1964 წლის 17 ივნისს, თავის ორმოცდამეორე სესიაზე

მხედველობაში იღებს რა, რომ ფილადელფიის დეკლარაცია ცნობს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საზიშო ვალდებულებას ხელი შეუწყოს ქვეყნების მიერ ისეთი პროგრამების მიღებას, რომლებიც მიზნად ისახვენ სრული დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლების მოწვევას, აგრეთვე იმას, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების პრეამბულაში გათვალისწინებულია ბრძოლა უმუშევრობასთან და ისეთი ხელფასის გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს ცხოვრების დამაკმაყოფილებელ პირობებს;

მხედველობაში იღებს რა რომ ფილადელფიის დეკლარაციის ძალით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ვალდებულებაში შედის პოლიტიკის ეკონომიკური და ფინანსური ასპექტების გაკლენის შესწავლა და განხილვა დასაქმების სფეროს პოლიტიკაზე, ამ დეკლარაციის მიერ აღიარებული ისეთი ძირითადი მიზნების მიმართ, როგორცაა: „ყოველ ადამიანს რასის, რწმენისა თუ სქესის მიუხედავად, ერთნაირი უფლება აქვს თავისი მატერიალური კეთილდღეობისა და სულიერი განვითარების განხორციელებაზე, თავისუფლებისა და ღირსების, ეკონომიკური სტაბილურობისა და თანაბარი შესაძლებლობების პირობებში“;

მხედველობაში იღებს რა რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გათვალისწინებულია: „ყოველ ადამიანს აქვს შრომისა და სატუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება“;

ითვალისწინებს რა არსებულ საერთაშორისო შრომით კონვენციებს და რეკომენდაციებს, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ დასაქმების პოლიტიკასთან, განსაკუთრებით კი 1948 წლის კონვენციას და რეკომენდაციას დასაქმების სამსახურების შესახებ, 1949 წლის რეკომენდაციას პროფესიულ ორიენტაციაზე, 1962 წლის რეკომენდაციას პროფესიონალურ მომზადებაზე, 1958 წლის კონვენციას და რეკომენდაციას შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ;

მხედველობაში იღებს რა, რომ ეს აქტები ჩართული უნდა იყოს ეკონომიკური განვითარების უფრო ფართო საერთაშორისო პროგრამებში, სრული, პროდუქტიული და თავისუფლად არჩეული დასაქმების საფუძველზე;

დაადგინა რა, რომ მიღებული იქნეს რიგი წინადადებები, რომლებიც მიეკუთვნებან პოლიტიკას დასაქმების სფეროში, რაც წარმოადგენს სესიის დღის წესრიგის მერვე პუნქტის ნაწილს;

გადაწყვიტა რა მისცეს ამ წინადადებებს კონვენციის ფორმა,

ათას ცხრაას სამოცდახუთი წლის ივლისის თვის 9 რიცხვში იღებს წინამდებარე კონვენციას, რომელიც შეძგომში იწოდება 1964 წლის კონვენციად დასაქმების პოლიტიკის შესახებ.

მუხლი 1

1. ეკონომიკური ზრდისა და განვითარების, ცხოვრების დონის ამაღლების, სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების სტიმულირების, აგრეთვე უმუშევრობისა და არასრული დასაქმების ლიკვიდაციის მიზნით, ორგანიზაციის ყოველი წევრი მთავარ მიზნად აცხადებს და ახორციელებს ისეთ აქტიურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია სრული, პროდუქტიული და თავისუფლად არჩეული დასაქმებისათვის ხელშეწყობისკენ.
2. ეს პოლიტიკა მიზნად ისახავს უზრუნველყოს ისეთი მდგომარეობა, რომ:

- a. არსებობდეს სამუშაო ყველა იმ პირისათვის, რომელიც მზად არის შეუდგეს მუშაობას და ამისთვის ეძებს სამუშაოს.
 - b. ასეთი სამუშაო იყოს რაც შეიძლება პროდუქტიული.
 - c. არსებობდეს დასაქმების არჩევის თავისუფლება და ფართო შესაძლებლობები ყოველი მშრომელისათვის, რათა მიიღოს სათანადო მომზადება და გამოიყენოს თავისი უნარ-ჩვევები თავისი შესაფერისი სამუშაოს შესრულებისათვის, რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების, უცხოური და სოციალური წარმოშობის მიუხედავად.
3. ეს პოლიტიკა სათანადოდ ითვალისწინებს ეკონომიკური განვითარების სტადიებსა და ღონეს, აგრეთვე ურთიერთკავშირს დასაქმებისა და სხვა ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებს შორის. იგი ზორციელდება იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება ეროვნულ პირობებსა და პრაქტიკას.

მუხლი 2

4. იმ მეთოდების დახმარებით, რომლებიც შეესაბამება ნაციონალურ პირობებს და იმ ზომით, რის საშუალებასაც იძლევა ეს პირობები, ორგანიზაციის ყოველი წევრი:
- a. კოორდინირებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ჩარჩოებში განსაზღვრავს და პერიოდულად გადასინჯავს ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია მიღებულ იქნეს იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც მითითებულია პირველ მუხლში.
 - b. გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც აუცილებელი იქნება ამ ღონისძიებათა გამოყენებისათვის, იმ შემთხვევების ჩათვლით, როდესაც მიზანშეწონილია პროგრამების დამუშავება.

მუხლი 3

- ამ კონვენციის გამოყენებისათვის განსაზღვრულ ღონისძიებათა გატარებით დაინტერესებული წრეების წარმომადგენლები, კერძოდ, მეწარმეთა და მშრომელთა წარმომადგენლები, მოიწვევიან კონსულტაციებზე დასაქმების პოლიტიკის განსაზღვრის დროს, რათა სრულად იქნეს გამოყენებული მათი გამოცდილება და აზრი და გარანტირებული იქნეს მათი სრული თანამშრომლობა ასეთი პოლიტიკის ფორმულირებისა და მხარდაჭერისათვის.

მუხლი 4

ოფიციალური დოკუმენტები ამ კონვენციის რატიფიკაციის შესახებ რეგისტრაციისათვის ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

მუხლი 5

- ეს კონვენცია სავალდებულოა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხლოდ იმ წევრებისათვის, რომელთა დოკუმენტები რატიფიკაციის შესახებ რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ.
- იგი ძალაში შედის 12 თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც გენერალური დირექტორის მიერ რეგისტრირდება ორგანიზაციის ორი წევრისაგან რატიფიკაციის შესახებ მიღებული დოკუმენტები.
- შემდგომში ეს კონვენცია ორგანიზაციის ყოველი წევრისათვის ძალაში შედის რატიფიკაციის შესახებ მისი დოკუმენტის რეგისტრაციის თარიღიდან 12 თვის შემდეგ.

მუხლი 6

- ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია, შეუძლია მისი თავდაპირველად ძალაში შესვლიდან ათწლიანი პერიოდის გავლის შემდეგ მოახდინოს მისი დენონსაცია დენონსაციის აქტის მეშვეობით, რომელიც გაეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს და რეგისტრირდება მის მიერ. დენონსაცია ძალაში შედის დენონსაციის აქტის რეგისტრაციიდან ერთი წლის შემდეგ.

2. ორგანიზაციის ყოველ წევრს, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია და რომელმაც წინა პუნქტში აღნიშნული ათწლიანი პერიოდის გავლის შემდეგ ერთი წლის ვადაში არ გამოიყენა ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის უფლება, მომდევნო ათწლიანი პერიოდის განმავლობაში ეკისრება ვალდებულებანი ამ კონვენციით და შემდგომში მისი დენონსაცია შეუძლია მხოლოდ ათწლიანი პერიოდის ამოწურვის შემდეგ იმ წესით, როგორც ეს დადგენილია მოცემულ მუხლში.

მუხლი 7

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველ წევრს აცნობებს ორგანიზაციის წევრებისაგან მიღებული რატიფიკაციის ყველა დოკუმენტისა და დენონსაციის აქტების შესახებ.
2. გენერალური დირექტორი, აცნობებს რა ორგანიზაციის წევრებს მათგან მიღებული რატიფიკაციის მეორე დოკუმენტის რეგისტრაციის შესახებ, ყურადღებას ამახვილებს წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის თარიღზე.

მუხლი 8

შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი გაერო-ს გენერალურ მდივანს გაერო-ს წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად რეგისტრაციისათვის უგზავნის სრულ მონაცემებს რატიფიკაციისა და დენონსაციის აქტების ყველა იმ დოკუმენტის შესახებ, რომლებიც მათ მიერ რეგისტრირებულია წინა მუხლების დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 9

ყოველთვის, როდესაც შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო ამას აუცილებლად მიიჩნევს, გენერალურ კონფერენციას წარუდგენს მოხსენებას ამ კონვენციის გამოყენების შესახებ და წყვეტს, საჭიროა თუ არა კონფერენციის დღის წესრიგში ჩართული იქნეს საკითხი მისი სრული ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ

მუხლი 10

1. იმ შემთხვევაში, თუ კონვენცია მიიღებს ახალ კონვენციას, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გადასინჯავს წინამდებარე კონვენციას და თუ ახალ კონვენციაში არ არის გათვალისწინებული საპირისპირო, მაშინ:
 - a. ორგანიზაციის ნებისმიერი წევრის მიერ ახალი, გადასინჯული კონვენციის რატიფიკაცია მე-ნ მუხლის დებულებათა მოუხედავად, ავტომატურად იწვევს წინამდებარე კონვენციის დენონსაციას, იმ პირობით, რომ ახალი გადასინჯული კონვენცია ძალაშია შესული;
 - b. ახალი გადასინჯული კონვენციის ძალაში შესვლიდან დაწყებული, წინამდებარე კონვენცია დახურულია რატიფიკაციისათვის მისი წევრების მიერ.
2. ეს კონვენცია ფორმითა და შინაარსით ძალაში რჩება ორგანიზაციის იმ წევრებისათვის, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიკაცია, მაგრამ არ მოუხდენიათ ახალი, გადასინჯული კონვენციის რატიფიკაცია.

მუხლი 11

ამ კონვენციის ინგლისურ და ფრანგულ ტექსტებს თანაბარი ძალა აქვთ.

კონვენცია სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის
შესახებ, 1973 (კონვენცია № 138)

მიღებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური
კონფერენციის 58-ე სესიაზე
1973 წლის 26 ივნისს

ძალაშია: 1976 წლის 19 ივნისიდან

შრომის საერთაშორისო ბიუროს აღმინისტრაციული საბჭოს მიერ
მოწვეული და ჟენევაში 1973 წლის 6 ივნისს თავის
ორმოცდამეთერთმეტე სესიაზე შეკრებილი შრომის საერთაშორისო
ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია,

გადაწყვიტა რა, მიიღოს რიგი წინადადებები სამუშაოზე მისაღები
მინიმალური ასაკის შესახებ, რაც სესიის დღის წესრიგის მეოთხე
პუნქტს წარმოადგენს;

მხელავლობაში იღებს რა, 1919 წლის კონვენციას
მრეწველობაში მინიმალური ასაკის შესახებ, 1920 წლის კონვენციას
ზღვაში მუშაობის მინიმალური ასაკის შესახებ, 1921 წლის კონვენციას
სოფლის მეურნეობაში მინიმალური ასაკის შესახებ, 1921 წლის
კონვენციას ფლოტში ნახშირის მტვირთავეებისა და ცეცხლფარეშთათვის
მინიმალური ასაკის შესახებ, 1932 წლის კონვენციას არასამრეწველო
სამუშაოებზე მინიმალური ასაკის შესახებ, 1936 წლის კონვენციას
(გადასინჯულს) ზღვაში მუშაობის მინიმალური ასაკის შესახებ, 1937
წლის კონვენციას (გადასინჯულს) არასამრეწველო სამუშაოებზე
მინიმალური ასაკის შესახებ, 1959 წლის კონვენციას მეტადურობის
მინიმალური ასაკის შესახებ და 1965 წლის კონვენციას მიწისქვეშა
სამუშაოებზე დაშვების მინიმალური ასაკის შესახებ;

მიიჩნევს რა, რომ დადგა ამ საკითხის შესახებ საერთო აქტის
დამუშავების დრო, რომელიც თანდათანობით შეცვლიდა შეზღუდული
ეკონომიკური სექტორების მიმართ გამოყენებულ არსებულ აქტებს
ბავშვთა შრომის მთლიანი გაუქმების მიღწევის მიზნით,

ბაღაწყვეტა რა, მისცეს ამ წინადადებებს საერთაშორისო კონვენციის ფორმა,

იღებს ათას ცხრაას სამოცდაცამეტი წლის ოცდაექვს ივნისს ამ კონვენციას, რომელსაც ეწოდება 1973 წლის კონვენცია მინიმალური ასაკის შესახებ

მუხლი 1

ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომლისთვისაც ძალაშია ეს კონვენცია, ვალდებულიებას იღებს განახორციელოს ეროვნული პოლიტიკა, რომლის მიზანია ბავშვთა შრომის ეფექტური გაუქმების უზრუნველყოფა და სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის გაზრდა მოზარდთა რაც შეიძლება სრული ფიზიკური და გონებრივი განვითარების შესაბამის დონემდე.

მუხლი 2

1. ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია, რატიფიცირების შესახებ დოკუმენტზე თანდართულ განცხადებაში აღნიშნავს თავის ტერიტორიის ფარგლებში და თავის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე სამუშაოზე მისაღებ მინიმალურ ასაკს, იმ პირობით, რომ ამ კონვენციის 4-8 პუნქტების დებულებების გათვალისწინებით, ამ ასაკზე ნაკლები ასაკის არცერთი მოზარდი არ დაიშვება დაქირავებით სამუშაოზე ან სხვა ნებისმიერი პროფესიის სამუშაოზე.
2. ორგანიზაციის ყოველ წევრს, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება, დამატებითი განცხადებით შემდგომში შეუძლია აუწყოს შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს, რომ იგი აწესებს შედარებით მაღალ მინიმალურ ასაკს იმასთან შედარებით, რაც ადრე ჰქონდა დადგენილი.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული მინიმალური ასაკი არ შეიძლება იყოს სავალდებულო სასკოლო განათლების დამთავრების ასაკზე დაბალი და ნებისმიერ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს თხუთმეტ წელზე დაბალი.

4. ამ მუხლის მესამე პუნქტის დებულებების მიუხედავად, ორგანიზაციის წევრს, რომლის ეკონომიკა და განათლების სისტემა არასაკმარისადაა განვითარებული, შეუძლია მეწარმეთა და მშრომელთა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან, სადაც ასეთები არსებობს, კონსულტაციების შემდეგ, თავდაპირველად დაადგინონ თოთხმეტი წელი როგორც მინიმალური ასაკი.
5. ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელსაც თანახმად მეოთხე პუნქტის დებულებებისა, დაწესებული აქვს თოთხმეტი წელი როგორც მინიმალური ასაკი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 22-ე მუხლის თანახმად წარდგენილ ამ კონვენციის შესრულების შესახებ თავის ანგარიშებს დაურთავს განცხადებას იმის შესახებ, რომ,
 - a. ასეთი გადაწყვეტილების გამომწვევი მიზეზი არ შეცვლილა, ან
 - b. რომ იგი უარს ამბობს თავის უფლებაზე იხელმძღვანელოს ქვემოთ დებულებებით, დაწესებული განსაზღვრული თარიღიდან.

მუხლი 3

1. ნებისმიერი დაქირავებული ხასიათის ან სხვა სახის სამუშაოს, რომელსაც თავისი ხასიათით ან იმ გარემოებების ძალით, რომელშიც ის ხორციელდება, შეუძლია ზიანი მიაყენოს მოზარდის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან ზნეობას, მისაღების ასაკი არ შეიძლება 18 წელზე ნაკლები იყოს.
2. დაქირავებული ხასიათის ან სხვა სახის ის სამუშაოები, რომელთა მიმართაც გამოიყენება ამ მუხლის პირველი პუნქტი, განისაზღვრება ეროვნული კანონებით ან წესებით ან ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ მეწარმეთა და მშრომელთა იმ ორგანიზაციებთან კონსულტაციების შედეგად, სადაც ასეთები არსებობს.
3. მიუხედავად ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებებისა, ეროვნულ კანონმდებლობას ან წესებს ან ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს მეწარმეთა და მშრომელთა იმ ორგანიზაციებთან, სადაც

ასეთები არსებობს, კონსულტაციების შემდეგ შეუძლიათ დართონ მუშაობის ნება დაქირავებითი ხასიათის ან სხვა სახის სამუშაოზე არანაკლებ 16 წლის ასაკის პირებს იმ პირობით, რომ ამ მოზარდების ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და ზნეობა სრულად დაცულია და რომ ამ მოზარდებმა მიიღეს საკმარისი სპეციალური განათლება ან პროფესიული მომზადება საქმიანობის შესაბამის დარგში.

მუხლი 4

1. ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს მეწარმეთა და მშრომელთა შესაბამის ორგანიზაციებთან შეთანხმებით, სადაც ასეთები არსებობს, საჭიროების მიხედვით შეუძლია ამ კონვენციის გამოყენების სფეროდან გამორიცხოს დაქირავებითი ხასიათის ან სხვა სახის სამუშაოთა განსაზღვრული კატეგორიები, რომელთა მიმართაც წამოიჭრება განსაკუთრებული და არსებითი ხასიათის პრობლემები.
2. ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 22-ე მუხლის შესაბამისად, ამ კონვენციის გამოყენების შესახებ წარდგენილ თავის პირველ მოხსენებაში ჩამოთვლის ყველა კატეგორიას, რომელიც ამ კონვენციის გამოყენების შესახებ წარდგენილ თავის პირველ მოხსენებაში ჩამოთვლის ყველა კატეგორიას, რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შეიძლება გამოირიცხოს და აღნიშნავს მიზეზს, ხოლო შემდგომ მოხსენებაში იუწყება თავისი კანონმდებლობისა და პრაქტიკის მდგომარეობის შესახებ ასეთი გამორიცხული კატეგორიების მიმართ და იმის შესახებ, თუ ამ კონვენციის დებულებები რა ზომით გამოიყენება ასეთი კატეგორიების მიმართ.
3. ამ კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დაქირავებით ან სხვა სახის სამუშაოები ამ მუხლის ძალით არ გამოირიცხება კონვენციის გამოყენების სფეროდან.

მუხლი 5

1. ორგანიზაციის წევრს, რომლის ეკონომიკა და ადმინისტრაციული აპარატი არასაკმარისადაა განვითარებული, მეწარმეთა და

მშრომელთა შესაბამის ორგანიზაციებთან კონსულტაციების შემდეგ, სადაც ასეთები არსებობს, შეუძლია შეზღუდოს ამ კონვენციის გამოყენების სფერო.

2. ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელიც იყენებს ამ მუხლის I პუნქტის დებულებებს, რატიფიცირების შესახებ დოკუმენტზე თანდართულ განცხადებაში ჩამოთვლის ეკონომიკური საქმიანობის იმ დარგებს ან იმ საწარმოებს, რომელთა მიმართაც იგი გამოიყენებს ამ კონვენციის დებულებებს.
3. კონვენციის დებულებები გამოიყენება სულ მცირე შემდეგი სამუშაოების მიმართ:

მალარობში და კარიერებში, დამმუშავებელ მრეწველობაში, მშენებლობაში, ელექტრო, აირ და წყალმომარაგების სამსახურებში, სანიტარულ-ტექნიკურ სამსახურებში, ტრანსპორტში, საწყობებში და კავშირგაბმულობის სამსახურებში, აგრეთვე პლანტაციებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას ძირითადად კომერციული მიზნებისათვის, მაგრამ ოჯახური ან წვრილი მეურნეობის გამოკლებით, რომლებიც აწარმოებენ ადგილობრივი მოხმარებისათვის და არ იყენებენ რეგულარულად დაქირავებულ მშრომელებს.

4. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 22-ე მუხლის შესაბამისად:
 - a. წარდგენილ თავის მოხსენებებში იუწყება ამ კონვენციის გამოყენების სფეროდან გამორიცხული საქმიანობის დარგებში დაქირავებითი ხასიათის ან სხვა სახის სამუშაოებზე მოზარდებისა და ბავშვების შრომის გამოყენების საერთო მდგომარეობის შესახებ და ამ კონვენციის დებულებების უფრო ფართოდ გამოყენების გზაზე განხორციელებულ ნებისმიერი წარმატების შესახებ.
 - b. ნებისმიერ დროს შეძლებს ოფიციალურად გააფართოოს კონვენციის გამოყენების სფერო, ამის თაობაზე შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი სახელზე გაგზავნილი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 6

ეს კონვენცია არ გამოიყენება სამუშაოების მიმართ, რომლებსაც ასრულებენ ბავშვები ზოგადი, პროფესიული ან ტექნიკური განათლების სკოლებში ან სხვა სასწავლო დაწესებულებებში ან სამუშაოების მიმართ, რომლებსაც ასრულებენ უკიდურეს შემთხვევაში თოთხმეტი წლის ასაკის პირები საწარმოებში, თუ ასეთი სამუშაო სრულდება ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ, მეწარმეთა და შრომელთა შესაბამის ორგანიზაციებთან კონსულტაციების შემდეგ, სადაც ასეთები არსებობს, დაწესებულ პირობებში და წარმოადგენენ:

- a. სწავლების ან მომზადების კურსის, რომლისთვისაც ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლას ან პროფესიული მომზადების დაწესებულებას;
- b. ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ მოწონებული ძირითადად ან მთლიანად საწარმოში განსახორციელებელი პროფესიული მომზადების პროგრამის;
- c. პროფესიის ან პროფესიული მომზადების ტიპის ადვილად ასარჩევი პროფესიული ორიენტაციის პროგრამის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 7

1. ეროვნული კანონმდებლობით ან წესებით დასაშვებია დაქირავებითი ხასიათის ან სხვა სახის მსუბუქ სამუშაოზე ცამეტიდან თხუთმეტ წლამდე ასაკის პირების მიღება, რომელიც:
 - a. არ ჩანს მკენდ მათი ჯანმრთელობის და განვითარებისათვის;
 - b. ხელს არ უშლის სკოლაში დასწრებას, მათ მონაწილეობას ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ დამუშავებული პროფესიული ორიენტაციის ან მომზადების პროგრამებში ან მათ უნარს გამოიყენოს მიღებული ცოდნა.

2. ეროვნული კანონმდებლობით ან წესებით შეიძლება აგრეთვე დაქირავებითი ხასიათის ან სხვა სახის სამუშაოზე უკიდურეს შემთხვევაში თხუთმეტი წლის პირის მიღება, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია აუცილებელი სასკოლო განათლება, ამ მუხლის I პუნქტის a და b ქვეპუნქტების მოთხოვნათა დაცვის პირობებით.
3. ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო განსაზღვრავს საქმიანობის იმ დარგებს, სადაც დაქირავებითი ხასიათის ან სხვა სახის სამუშაოზე მიღება დაიშვება ამ მუხლის I და II პუნქტის შესაბამისად, და ადგენს სამუშაო დროის ხანგრძლივობას და პირობებს, რომლებიც შეიძლება შესრულდეს ასეთი დაქირავებითი ხასიათის ან სხვა სახის სამუშაო.
4. მიუხედავად ამ მუხლის I და II პუნქტის დებულებებისა, ორგანიზაციის წევრს, რომელიც იყენებს მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის დებულებებს, შეუძლია მისთვის აუცილებელი ვადით პირველ პუნქტში ასაკი თორმეტი და თოთხმეტი წლის ასაკით, ზოლო ამ მუხლის მე-2 პუნქტში – ასაკი თოთხმეტი წელი თხუთმეტი წლით.

მუხლი 8

1. ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს, მეწარმეთა და მშრომელთა შესაბამის ორგანიზაციებთან, სადაც ასეთები არსებობს, კონსულტაციების შემდეგ, შეუძლია ნებართვის გაცემის გზით, ცალკეულ შემთხვევებში დაუმას გამონაკლისი ამ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დაქირავებითი ხასიათის ან სხვა სახის სამუშაოზე მიღების აკრძალვებიდან ისეთი მიზნებისათვის, როგორც მხატვრული გამოსვლებია.
2. ასეთი სახით გაცემული ნებართვები ზღუდავს სამუშაო დროის ხანგრძლივობას და ადგენს პირობებს, რომლებშიც შეიძლება შესრულდეს დაქირავებითი ხასიათის სხვა სახის სამუშაო.

მუხლი 9

1. ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო იღებს ყველა აუცილებელ ზომას, მათ შორის შესაბამისი სასჯელის დადებას, ამ კონვენციის დებულებების ეფექტური განხორციელებისათვის.

2. ეროვნული კანონმდებლობით ან წესებით ან ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ ინიშნებიან პირები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კონვენციის შესრულების უზრუნველყოფელი დებულებების დაცვაზე.
3. ეროვნული კანონმდებლობა ან წესები ან ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები ადგენენ რეესტრებს ან სხვა დოკუმენტებს, რომლებიც უნდა აწარმოონ და წარმოადგინონ მეწარმეებს. ასეთ რეესტრში ან დოკუმენტებში აღინიშნება მეწარმის მიერ დაქირავებული ან მის სასარგებლოდ მომუშავე თვრამეტ წლამდე ასაკის პირთა გვარები და ასაკი ან დაბადების თარიღი, თუ შესაძლებელია სათანადოდ დამოწმებული.

მუხლი 10

1. მოცემულ მუხლში გათვალისწინებულ პირობებში ამ კონვენციით გადასინჯება 1919 წლის კონვენცია მრეწველობაში მინიმალური ასაკის შესახებ, 1920 წლის კონვენცია ზღვაში მუშაობის მინიმალური ასაკის შესახებ, 1921 წლის კონვენცია ფლოტში ნახშირის მტვირთავებისა და ცეცხლფარეშთათვის მინიმალური ასაკის შესახებ, 1932 წლის კონვენცია არასამრეწველო სამუშაოებზე მინიმალური ასაკის შესახებ, 1936 წლის კონვენცია (გადასინჯული) ზღვაში მუშაობის მინიმალური ასაკის შესახებ, 1937 წლის კონვენცია (გადასინჯული) მრეწველობაში მინიმალური ასაკის შესახებ, 1937 წლის კონვენცია მებაღურების მინიმალური ასაკის შესახებ და 1965 წლის კონვენცია მიწისქვეშა სამუშაოებზე დაშვების მინიმალური ასაკის შესახებ.
2. ამ კონვენციის ძალაში შესვლა არ ნიშნავს 1965 წლის კონვენციის მიწისქვეშა სამუშაოებზე დაშვების მინიმალური ასაკის შესახებ დახურვას რატიფიცირებისათვის.
3. 1919 წლის კონვენცია მრეწველობაში მინიმალური ასაკის შესახებ, 1920 წლის კონვენცია ზღვაში მუშაობის მინიმალური ასაკის შესახებ, 1921 წლის კონვენცია სოფლის მეურნეობაში მინიმალური ასაკის შესახებ და 1921 წლის კონვენცია ფლოტში ნახშირის მტვირთავებისა და ცეცხლფარეშთათვის მინიმალური ასაკის შესახებ დაიხურება რატიფიცირებისათვის, როდესაც ამ კონვენციების ყველა

მხარე რატიფიცირებას გაუკეთებს ამ კონვენციას ან განუცხადებს თანხმობას ამის შესახებ გენერალურ დირექტორს.

4. როდესაც ამ კონვენციის ვალდებულებებს იღებს:

- a. ორგანიზაციის წევრი, რომელიც წარმოადგენს მრეწველობაში მინიმალური ასაკის შესახებ 1937 წლის კონვენციის (გადასინჯულის) მხარეს და თუ ამ კონვენციის მეორე მუხლის თანახმად, მინიმალურ ასაკად დგინდება არანაკლებ თხუთმეტი წელი, ეს ავტომატურად იწვევს მრეწველობაში მინიმალური ასაკის შესახებ 1937 წლის კონვენციის (გადასინჯულის) დაუყოვნებლივ დენონსირებას.
- b. ორგანიზაციის წევრი, რომელიც წარმოადგენს ამ კონვენციის მხარეს, არასამრეწველო სამუშაოებზე მინიმალური ასაკის შესახებ 1932 წლის კონვენციით განსაზღვრული არასამრეწველო სამუშაოების მიმართ, ეს ავტომატურად იწვევს არასამრეწველო სამუშაოებზე მინიმალური ასაკის შესახებ 1932 წლის კონვენციის დაუყოვნებლივ დენონსირებას.
- c. ორგანიზაციის წევრი, რომელიც წარმოადგენს ამ კონვენციის მხარეს არასამრეწველო სამუშაოებზე მინიმალური ასაკის შესახებ 1937 წლის კონვენციით (გადასინჯულის) განსაზღვრული არასამრეწველო სამუშაოების მიმართ, და თუ ამ კონვენციის მეორე მუხლის თანახმად, მინიმალურ ასაკად დგინდება არანაკლებ თხუთმეტი წელი, ეს ავტომატურად იწვევს არასამრეწველო სამუშაოებზე მინიმალური ასაკის შესახებ 1937 წლის კონვენციის (გადასინჯულის) დაუყოვნებლივ დენონსირებას.
- d. ორგანიზაციის წევრი, რომელიც წარმოადგენს ზღვაში მუშაობის მინიმალური ასაკის შესახებ 1936 წლის კონვენციის (გადასინჯულის) მხარეს, საზღვაო სამუშაოების მიმართ, და თუ ამ კონვენციის მეორე მუხლის თანახმად მინიმალურ ასაკად დგინდება არანაკლებ თხუთმეტი წელი ან ორგანიზაციის წევრი აზუსტებს, რომ ამ კონვენციის მესამე მუხლი გამოიყენება საზღვაო სამუშაოების მიმართ, ეს ავტომატურად იწვევს ზღვაში მუშაობის მინიმალური

ასაკის შესახებ 1936 წლის კონვენციის (გადასინჯულის) დაუყოვნებლივ დენონსირებას.

- e. ეს ორგანიზაციის წევრი, რომელიც წარმოადგენს მებადურთა მინიმალური ასაკის შესახებ 1959 წლის კონვენციის მხარეს საზღვაო ტევზჭერის მიმართ, და თუ ამ კონვენციის მეორე მუხლის თანახმად მინიმალურ ასაკად დგინდება არანაკლებ თხუთმეტი წელი ან ორგანიზაციის წევრი აზუსტებს, რომ ამ კონვენციის მესამე მუხლი გამოიყენება საზღვაო ტევზჭერის მიმართ, ეს ავტომატურად იწვევს მებადურთა მინიმალური ასაკის შესახებ 1959 წლის კონვენციის დაუყოვნებლივ დენონსირებას.
- f. ორგანიზაციის წევრი, რომელიც წარმოადგენს მიწისქვეშა სამუშაოებზე დაშვების მინიმალური ასაკის შესახებ 1965 წლის კონვენციის მხარეს, და თუ ამ კონვენციის მეორე მუხლის თანახმად მინიმალურ ასაკად იღებს არანაკლებ ზემო აღნიშული 1965 წლის კონვენციით დადგენილ მინიმალურ ასაკს ან ორგანიზაციის წევრი აზუსტებს, რომ ამ კონვენციის მესამე მუხლის ძალით ეს ასაკი გამოიყენება მალაროებში მიწისქვეშა სამუშაოებზე დასაშვებად, ეს ავტომატურად იწვევს მიწისქვეშა სამუშაოებზე დაშვების მინიმალური ასაკის შესახებ 1965 წლის კონვენციის დაუყოვნებლივ დენონსირებას.

5. ამ კონვენციის ვალდებულებების აღება იწვევს:

- a. თანახმად ამ კონვენციის მე-12 მუხლისა, მრეწველობაში მინიმალური ასაკის შესახებ 1919 წლის კონვენციის დენონსირებას.
- b. სოფლის მეურნეობის მიმართ, თანახმად ამ კონვენციის მე-9 მუხლისა, სოფლის მეურნეობაში მინიმალური ასაკის შესახებ 1921 წლის კონვენციის დენონსირებას.
- c. საზღვაო სამუშაოების მიმართ, თანახმად ამ კონვენციის მე-10 მუხლისა, ზღვაში მუშაობის შესახებ 1920 წლის კონვენციის და თანახმად ამ კონვენციის მე-12 მუხლისა ფლოტში ნახშირის მტკირთავეებისა და ცეცხლფარეშთათვის

მინიმალური ასაკის შესახებ 1921 წლის კონვენციის
დენონსირებას.

მუხლი 11

ამ კონვენციის რატიფიცირების შესახებ ოფიციალური დოკუმენტები
ეგზავნება რეგისტრირებისათვის შრომის საერთაშორისო ბიუროს
გენერალურ დირექტორს.

მუხლი 12

1. ეს კონვენცია სავალდებულოა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის
მხლოდ იმ წევრებისათვის, რომელთა დოკუმენტები
რატიფიცირების შესახებ რეგისტრირებულია გენერალური
დირექტორის მიერ.
2. იგი ძალაში შედის იმ დროიდან, როგორც კი გენერალური
დირექტორი დაარეგისტრირებს ორგანიზაციის ორი წევრის
დოკუმენტებს რატიფიცირების შესახებ.
3. შემდგომში ეს კონვენცია ორგანიზაციის თითოეული წევრისათვის
ძალაში შედის 12 თვის შემდეგ იმ დროიდან როცა
რეგისტრირებული იქნება მათი დოკუმენტები რატიფიცირების
შესახებ.

მუხლი 13

1. ამ კონვენციის რატიფიცირებაში მონაწილე ორგანიზაციის ნებისმიერ
წევრს მისი ძალაში შესვლიდან ათი წლის შემდეგ შეუძლია მისი
დენონსირება დენონსირების აქტის მეშვეობით, რომლითაც მიმართავს
შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს და
რეგისტრირებული იქნება მის მიერ. დენონსაცია შედის ძალაში
დენონსირების აქტის რეგისტრაციიდან ერთი წლის შემდეგ.
2. არსებული კონვენციის რატიფიცირებაში მონაწილე ორგანიზაციის
ყოველი წევრი, რომელიც ზემოთ მოყვანილ პუნქტში
გათვალისწინებული 10 წლის პერიოდის გავლის შემდეგ ერთი
წლის განმავლობაში ვერ გამოიყენებს აღნიშნული მუხლით

გათვალისწინებულ უფლებას დენონსაციის შესახებ, ამ კონვენციით დაკავშირებული იქნება მომდევნო 10 წლის განმავლობაში და შემდგომში შეიძლება არსებული კონვენციის დენონსირება ყოველი ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ამ მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 14

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი ატყობინებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს მათგან მიღებული რატიფიკაციის შესახებ ყველა საბუთისა და დენონსაციის აქტის რეგისტრაციის შესახებ.
2. გენერალური დირექტორი ატყობინებს აგრეთვე წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს

მუხლი 15

შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი გაეროს წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად, გაეროს გენერალურ მდივანს რეგისტრაციისათვის უგზავნის სრულ ცნობებს რატიფიკაციის შესახებ ყველა საბუთისა და დენონსაციის აქტების თაობაზე, რომლებიც რეგისტრირებულია მის მიერ მუხლების დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 16

ყოველთვის, როდესაც შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო საჭიროდ ჩათვლის, იგი გენერალურ კონფერენციას წარუდგენს მოხსენებას წინამდებარე კონვენციის გამოყენების შესახებ და წყვეტს, შეტანილ იქნეს თუ არა კონფერენციის დღის წესრიგში საკითხი მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გადასინჯვის თაობაზე.

მუხლი 17

1. იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გადასინჯავს წინამდებარე კონვენციას და ახალ კონვენციაში არ იქნება გათვალისწინებული საწინააღმდეგო, მაშინ:

- a. გადასასინჯი კონვენციის რატიფიკაცია ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ მე-13 მუხლის დებულებათა მიუხედავად, ავტომატურად იწვევს არსებული კონვენციის დაუყოვნებლივ დენონსაციას იმ პირობით, რომ ახალი, გადასინჯული კონვენცია შევიდა ძალაში.
 - b. ახალი, გადასინჯული კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან, არსებული კონვენცია დახურულია წევრი ორგანიზაციების მიერ რატიფიკაციისათვის.
2. ეს კონვენცია ფორმითა და შინაარსით ძალაში რჩება ორგანიზაციის იმ წევრებისათვის, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიკაცია, მაგრამ არ მოუხდენიათ ახალი, გადასინჯული კონვენციის რატიფიკაცია.

მუხლი 18

ამ კონვენციის ინგლისურ და ფრანგულ ტექსტებს თანაბარი ძალა აქვთ.